ჩვენი მწერლობა

№25

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 8 დეკემბერი 2006

სერგი მაკალათიას დაბრუნება გორში

ჯეკ ლონდონი და მართლმსაჯულება

პოლიტიკური ფრანკენშტეინები

ქარავანი მოდის, ქარავანი დგას

აპოლინერის დეტექტივი

სარტრის ინტიმურობა

თურქი ნობელიანტი

მწერლები და ფული

შინაარსი

რეპორტაჟი	2	**საბა სულხანიშვილი სახელი სერგი მაკალათიასი**
ექსპრეს-ინტერვიუ	5	**ქარავანი დგას** (საუბარი ლელა შუბითიძესთან)
ჩვენი ყოფა, წუთისოფელი	6	**მაია დე გრაფი ნადარეიშვილი პოლიტიკური „ფრანკენშტეინები“**
პროზა	9	**ქეთი ორჯონიკიძე ორი ნოველა**
პოეზია	15	**ნაილი ნეკერიშვილი გულის ფიცარზე დახატული მზეთუნახავი და სხვა ლექსები**
უცხოეთის ცხოვრებიდან	19	**სიმონ ლეისი მწერლები და ფული**
დოკუმენტური პროზა	22	**ელგუჯა თავბერიძე აირევი ივერია**
პერსონაჟი და პროტოტიპი	29	**როსტომ ჩხეიძე როგორ იძიეს შური ნოველით** (ჯეკ ლონდონი და მართლმსაჯულება)
დეტექტივი	33	**გიიომ აპოლინერი მატროსი ამსტერდამიდან**
აღმოსავლეთი და დასავლეთი	36	**ქეთევან ტომარაძე პირველი თურქი ნობელიანტი** (ორჰან ფამუქი)
კრიტიკა	39	**ეთერ ბერიაშვილი პოეზია – ღია ჭრილობა**
ფიქრები	40	**ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა**
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ	44	**კონსტანტინე ლადარია მარტოობის დემონი თავს დამტრიალებს და სხვა ლექსები**
უცხოური ნოველა	46	**ჟან-პოლ სარტრი ინტიმურობა**
ნაკვესები	61	**მახვილსიტყვაობის ნიმუშები**
მოზაიკა	63	**ვიდრე ცოცხალ არიან**

დამფუძნებელი **„ილიონი“**
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – **(995 32) 95-23-24**
რეკლამა – **(995 77) 48-12-24**
გავრცელება – **(995 99) 93-18-52**
ფაქსი: **(995 32) 96-20-62**
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**
პროზის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე** პოეზიის რედაქტორი – **გიორგი ლობჟანიძე**
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**
დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი** მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია**
კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **ლევან ჩხეიძე**
ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **მაკა ჯაფარიძე**
გავრცელების სამსახური – **ლევან ბიწაძე**

გარეკანზე: **პარიზი, მუსიკის ეროვნული აკადემია**
ჯეკ ლონდონი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 22 დეკემბერს

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

საბა სულხანიშვილი

სახელი სერგი მაკალათიასი

ამ ათი წლის წინათ გორში პავლე ინგოროყვას ხსოვნა რომ აღინიშნა, ეს დღე ნოდარ უთურგაიძემ, ჩვენმა ცნობილმა ენათმეცნიერმა და იმ მხრივაც კოლორიტულმა პიროვნებამ, მთელი საქართველო რომ აქვს მოვლილი ლექციებით, შეგნებულ დღედ მოიხსენია.

ესაა ხალხში შემორჩენილი იდიომური გამოთქმა, განსაკუთრებულ დღეს რომ გულისხმობს, გამორჩეულს გარეგნულადაც და შინაგანი სისავსითაც. დაუვიწყარის თავისებური სინონიმია, მაგრამ როგორღაც მიკარგული და ბატონი ნოდარი რომ ახსენებდა, ივანე ამირხანაშვილი ისე მოიხიბლებოდა ამ გამოთქმით, თავის რეპორტაჟულ ჩანაწერს სწორედ ასე დაასათაურებდა: „შეგნებული დღე“.

ასეთი შეგნებული დღე სხვაც არაერთი ჩამოითვლება და 2006 წლის 15 ნოემბერიც უსათუოდ ჩაიბეჭდება ამ ჩამონათვალში.

ისევ გორი.

ამჯერად ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, რომელსაც სულ ახლახან სერგი მაკალათიას სახელი მიენიჭა.

და სამეცნიერო სესიაც მის ხსოვნას ეძღვნება.

შესანიშნავი იდეა გახლდათ და შესაფერისადაც დაგვირგვინებული, ვისაც პირველად გაუელვა, და ვინც შემდგომ რეალობად აქცია ეს სასიკეთო განზრახვა.

კიდევ ერთხელ უნდა გახმიანებულიყო დიდებული მოღვაწის სახელი და მინიჭებოდა სწორედ მის მიერ დაარსებულ გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომელიც დღესდღეობითაც ღირსეული სახით წარმოდგება და ერთი მნიშვნელოვანი კულტურულ კერათაგანია ამ ქალაქში, მართლაც სერგი მაკალათიას სახელის შესაფერისი.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში რომ მოუჭრიდნენ გზას და მის თოთხმეტწლიან თავდადებულ გარჯას გამოძევებით დაუფასებდნენ, თბილისიდან გამოდევნილი მხარეთმცოდნეობითი მუზეუმების შექმნას დაადებდა თავს და ყაზბეგშიც დააარსებდა, გორშიც, ახალციხეშიც, მარტვილშიც.

გორში თერთმეტ წელიწადს შეინარჩუნებდა მუზეუმის დირექტორობას, მაგრამ საჩივარი საჩივარზე გაიგზავნებოდა ცენტრალურ კომიტეტში, ყოვლად უსარგებლო ნივთებით გამოტენა მუზეუმი, ნაცვლად იმისა, რომ რევოლუციონერთა ნაქონი ექსპონატები აგროვოს და შემოუნახოს მადლიერ შთამომავლობასო.

ყოვლად უსარგებლო ნივთთა შორის იგულისხმებოდა 1936 წელს ტყვიავის სამარხების გათხრების წყალობით მოპოვებული უმნიშვნელოვანესი ექსპონატები, რაც ადასტურებდა, რომ ქრისტეს დაბადებამდე 2 500 წელს, ენეოლითის ხანაში, შიდა ქართლის ტერიტორიაზე უკვე არსებობდა მოსახლეობა. ის კი არა, ამ არქეოლოგიური გათხრების შედეგთა სრული გაუქმებაც მოინდომეს, სერგი მაკალათია უნებართვოდ ხელმძღვანელობდა ამ ექსპედიციასო.

რაკიღა ოფიციალური ნებართვა აღმოაჩნდებოდა, ამ გათხრებისათვის ვეღარ დასჯიდნენ და არც ექსპედიციას დაედებოდა ტაბუ, მაგრამ მუზეუმს კი ჩამოაშორებდნენ; და რაოდენ სიმბოლური და მრავლისმეტყველია, რომ გამოდევნის შემდგომ ასეთი ტრიუმფით ბრუნდება მისი სახელი სწორედ იქ.

გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში დიდხანს კითხულობდა ლექციებს. 1935 წელს გამოჩნდა პირველად. ინსტიტუტში იმჟამად იგი გახლდათ ერთადერთი პროფესორი და საპროფესოროს ხუმრობით სამაკალათიოს ამიტომაც ეძახდნენ.

საჯარო ლექციების წასაკითხადაც ხშირად იხმობდნენ და 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული ამბების შემდგომ გორის გარნიზონში რომ მიიწვიეს რუსეთ-საქართველოს შესახებ ლექციის წასაკითხად, დიდი ალიაქოთი მოჰყვებოდა მის გამოსვლას სამხედროების წინაშე. ნეტა რას ელოდნენ სერგი მაკალათიასაგან? ოფიციალურ ვერსიას გაჰყვებოდა კვალდაკვალ და საქართველოსათვის ბედნიერებად და ხსნად დასახავდა რუსეთის მფარველობაში შესვლას? თუ ვინმეს მოეხსენებოდა, რასაც ნიშნავდა სინამდვილეში საქართველოში რუსეთის ფეხის მოკიდება, მათ შორის უპირველესად სერგი მაკალათიასაც და, ნაცვლად ორი ძმა და მეგობარი ქვეყნის დაახლოებისა, ამ ურთიერთობას წარმოსახავდა დამპყრობლისა და დაპყრობილის იმ მყიფე კავშირად, რაც ადრე თუ გვიან აუცილებლად გაწყდებოდა და საქართველო ჰპოვებდა ნანატრ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. არც 1801 წლის მანიფესტის დანაშაულებრივი არსის წარმოჩენა დაავიწყდებოდა, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას რომ იუწყებოდა, და არც მეთერთმეტე არმიის შემოსევისა.

საჩივარი საჩივარს მიჰყვებოდა აღშფოთებულ სამხედროთაგან: არასწორად გააშუქა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიული საფუძვლებიო. მწვავე კრიტიკა-ცილისწამებას დასმენა ცვლიდა, დასმენას – კრიტიკა-ცილისწამება.

არ შეეპუებოდა შეჩვენებას პრესასა თუ კათედრაზე და იმ სიმტკიცით იგერიებდა თავდამსხმელთ, მისი სულიერების პიროვნებებს რომ სჩვევიათ ყოველ დროსა და ქვეყანაში:

„ეს რა კათედრაა, ყველა ისტორიების კათედრაა, საკუთრივ საქართველოს ისტორიის კათედრა არ არისო, საქართველოს ისტორია აქ არავინ არ იცის, ხოლო კათედრის გამგემ ჰო საერთოდ არაფერი არ იცისო. ყველაზე მეტად იმაზე მოსდიოდა გული რაღა თქმა უნდა, სხვები თავს უკრავენ ასკილივითაო“.

ოთარ ჩხეიძის რომანშია ჩართული ეს სიტყვებიც და მთელი ეს ეპიზოდიც – „ჩემი სავანე“, ხასიათთა და პორტრეტთა თავისებურ გალერეად რომ წარმოგვიდგება და პირუთვნელად და რელიეფურად წარმოისახება საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დრამატიზმი გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფის ქარგაზე, და კანთიელად იხატება სერგი მაკალათიას ფსიქოლოგიური პორტრეტიც, როგორც თვალსაჩინო მოღვაწისა და მრავალმხრივ კოლორიტული პიროვნების, გრაალის მცველთა ახალი თაობის წარმომადგენლის, ვინც დაუმცხრალად აგრძელებდა დამსხვრეული სულიერების შეკოწიწებას და ინარჩუნებდა კულტურის უწყვეტობას.

ოთარ ჩხეიძე ნოველასაც მიუძღვნიდა სერგი მაკალათიას ხსოვნას, ერთ ეპიზოდს გამოარჩევდა მისი და თედო ჟორდანიას ბიოგრაფიიდან, რაც რომანშიც გაიელვებდა, მაგრამ ნოველაში უფრო დეტალურად გაიშლებოდა და ღრმა სიმბოლიკაშიც გაეხვეოდა:

„... უფლისციხეში, მთავარი გზიდან რო სერგი მაკალათია მიუძღოდა თავის სტუდენტებსა, არქიტექტურას რო უხსნიდა უფლისციხისა, ისტორიას რო უხსნიდა უფლისციხისა, გმირულ ისტორიასა, გასაოცარ ისტორიასა, გამძლეობასა საქართველოსი, შემართებას ქართველებისა, ხოლო ესა, თედო, მიიბობღებოდა რო ფრიალოებიდანა, სტუდენტებთან ერთადა რაღა თქმა უნდა, ხვრელებს ასწავლიდა ქვეწარმავლებისა, ცხოვრებას უხსნიდა ქვემძრომებისა... და მერე იქ, ზევით რო შეიყრებოდნენ თეატრისაო თუ სამეფო დარბაზთანაო თუ თამარის ეკლესიის ბანზედა, – სერგი დაყურსული ისტორიითა, თედო დატვირთული ჯოჯოებითა, ხვლიკებითა, ნაირნაირი რეპტილიებითა...“

და მზის შუქში არიან განბანილნი ორივენი.

ოთარ ჩხეიძის ამ რომანს არაერთხელ ახსენებენ იმ დღეს მუზეუმში, მომხსენებელნიც, მოგონებებით გამოსულნიც... ოღონდ ჯერ თვითონ მუზეუმი უნდა დავათვალიეროთ, დიდი გემოვნებითა და სათუთად მოვლილი, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისა და მეოცის დამდეგის ქალაქურ ყოფას რომ წარმოსახავს და, მასთან ერთად, არქეოლოგიური გათხრების წყალობით მოპოვებული ის ძველთაძველი ექსპონატებიც...

სხვათა შორის, კედელზე რომ თოფი ჰკიდია, მეჩვიდმეტე საუკუნისდროინდელი, რესტავრატორს თურმე ხელში აუფეთქდებოდა. კიდევ კარგი, უმსხვერპლოდ ჩაივლიდა და მეჩვიდმეტე საუკუნიდან გამოსროლილი ტყვია არავის გადაიყოლებდა. ამგვარი დეტალი დეტექტიურ სიუჟეტში ისე მოხდენილად შეიძლება ჩაერთოს!.. სულაც მასზე ამოშენდეს კომპოზიციური ქარგა.

ცალკე მოუწყვიათ სერგი მაკალათიას კუთხე – წიგნები, საექსპედიციო დღიურები, ფოტოალბომი...

ცალკე დიმიტრი ამილახვრისა, საფრანგეთის ეროვნული გმირის, ვისი მემორიალის გახსნასაც დღედღეზე მოელიან გორში.

კედლებს გიგო გაბაშვილის სურათებიც ამშვენებს. რაც ამერიკელები გადაირივნენ მის ნახატებზე, ჩვენს ცოტა არ იყოს სნობურ სინამდვილეში სულ სხვა თვალით შეხედეს მის შემოქმედებით მემკვიდრეობას და ყველამ დაიჩემა, ყოველთვის მისი დამფასებელი ვიყავიო. გორის მუზეუმში მას მართლაც ყოველთვის აფასებდნენ და ეამაყებოდათ მისი ნახატების ორიგინალებიც რომ ჰქონდათ, თუნდაც ეს ნახატი – სუმბათაშვილის პორტრეტი, გიგო გაბაშვილისათვის მეტად ძვირფასი პიროვნების, ვისი ათეულობით პორტრეტიც შეუქმნია მხატვარს ქართველი კაცის სახების წარმოსაჩენად.

ეს ვიღას ნახატია?

გიდი გიხსნის, რომ მხატვრის ვინაობის დასადგენად დიდხანს დასჭირდათ კვლევა-ძიება, ვინ აღარ შეაწუხეს, რომელი ხელოვნებათმცოდნე აღარ ჩამოიყვანეს საგანგებოდ და...

ვიდრე გაამჟღავნებდეს, რა გაირკვა ხელოვნებათამცოდნეთა შეხედულებების ურთიერთშეჯერებით, მანანა გაბაშვილი – ჩვენი ცნობილი ისტორიკოსი და არაერთი საასიკეთო საქმის აღმსრულებელი – მყისვე:

– გიორგი მაისურაძეა.

– და თქვენ ვინ გითხრათ?

– სტილზე ვიცანი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ყმა ყოფილა, 1837 წელს გაუთავისუფლებია ყმობიდან და სასწავლებლად გაუგზავნია პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, სადაც სწავლობდა 1837-44 წლებში. იგი იყო პირველი ქართველი ვინც აკადემია დაამთავრა. გვევლინება ქართული რეალისტური პორტრეტის ფუძემდებლად. მისი სურათების დიდი ნაწილი დაკარგულია და, ამდენად, უფრო ფასობს გორის მუზეუმში გადარჩენილი ნამუშევარი.

გიორგი მაისურაძეა ნამდვილად, ოღონდ ვისი პორტრეტი დაუხატავს, ეს დაბეჯითებით ჯერაც დაუდგენელია, ვარაუდით კი ალექსანდრე ბატონიშვილს ვარაუდობენ.

მერე უკვე სამეცნიერო სესიის დროც დგება.

სერგი მაკალათიას ბიოგრაფიას მუზეუმის დირექტორი თინა სოსანიძე გააცნობს მსმენელებს, ვინც ასეთ ერთგულ გამგრძელებლად მოევლინა ჩინებულად დაწყებულ ტრადიციას და ნიშანდობლივია, რომ მუზეუმს დამაარსებლის სახელი სწორედ მისი თაოსნობით მიენიჭა.

ეს იდეა მაშინვე ჰპოვებდა მომხრეებს გორის რაიონის გამგეობაში და უკამათოდ და უდავიდარაბოდ გადაწყდებოდა მუზეუმისათვის სერგი მაკალათიას სახელის მინიჭება, რასაც სიამაყით აღნიშნავს თავის სიტყვაში კულტური-

სა და სპორტის სამმართველოს უფროსი რობერტ მაღლაკელიძე.

თამილა კოშორიძე ტყვიავის 1938-41 წლების არქეოლოგიური ექსპედიციის სურათს აღადგენს, ზურაბ ქრისტესიაშვილი გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში სერგი მაკალათიას მოღვაწეობის წლებს და... კიდეც გამოიწვევს მღელვარებას ზოგიერთი მწვავე კრიტიკული ფრაზით. პროფესორი შოთა ქურდაძე გადამეტებულად მიიჩნევს კრიტიკულ პასაჟს და, სერგი მაკალათიას პიროვნულ პორტრეტს საგულისხმო შტრიხებით რომ შეავსებს და მისი სახელის გასახმაურებლად მუზეუმის თანამშრომელთა საქმიანობას დიდი მოწონებით შეაფასებს, ახალგაზრდა კაცს უსაყვედურებს: არც ისე ყოფილა წაქეზებული უნიჭობა ამ ინსტიტუტის კედლებში, როგორც თქვენ აღნიშნეთო. თუმც არც ის დაავიწყდება, რომ მთლიანობაში კმაყოფილება გამოთქვას როგორც სხვა მოხსენებებით, ისე ამ სამეცნიერო ნარკვევითაც.

მოხსენებით უნდა გამოსულიყო თამილა გოგოლაძეც, სერგი მაკალათიას საექსპედიციო მოღვაწეობას ერთიან ქარგაში რომ მოაქცევდა. და თუმც ამ მოხსენების წაკითხვა იმ დღეს ვერ მოხერხდებოდა, რადგანაც მკვლევარი თბილისში იმყოფებოდა სამეცნიერო კონფერენციაზე, მისი ეს მასალა დასაბეჭდად მზადდება და მკითხველისათვის ხელმისაწვდომი შეიქნება. დანარჩენი ნარკვევებიც უთუოდ უნდა გამოქვეყნდეს და ჩვენი ჟურნალი სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას მათ გამომზეურებაში.

მოგონებით გამოვიდოდა პროფესორი ელდარ მამისთვალიშვილიც, ვინც წამოჭრიდა იდეას, რომ ეს სამეცნიერო სესია განცალკევებულად არ დარჩენილიყო მუზეუმის ცხოვრებაში და ყოველწლიურად გაემართათ სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი სერგი მაკალათიას ხსოვნისადმი, და მონაწილეობისათვის კი თბილისიდანაც მოეწვიათ მკვლევარები და საქართველოს სხვა ქალაქებიდანაც.

სხვათა შორის, იუმორით უხვად შეზავებულ გამოსვლაში გამოურევდა იმ ეპიზოდსაც, თუ როგორ უთხრა ერთხელ სერგი მაკალათიამ სტუდენტებს: სამეგრელოში ვირები ორ მეტრზე ხტებიანო, – და როგორ გაუცინია ამის გაგონებაზე იმჟამად სტუდენტ ელდარს: ბრუმელივითო? მსოფლიო რეკორდსმენი გახლდათ სიმაღლეზე ხტომაში. და ძალიან განაწყენდებოდა პროფესორი და სტუდენტს გარეთ გაისტუმრებდა: როგორ თუ მეგრულ ვირებს დასცინიო. მოაწევდა სასესიო გამოცდები და ელდარ მამისთვალიშვილს რომ გამოიძახებდა ბილეთის ასაღებად, რომელიღაც სტუდენტი წამოიძახებდა: ეგ ის არის, მეგრულ ვირებს რომ დასცინაო. ეგონა, პროფესორის კეთილგანწყობას მოვიპოვებო. მაგრამ სერგი მაკალათიას თუ რაიმე სძაგდა, მათ შორის დასმენაც, ზარავდა, საბჭოთა მორალი ყველა მოქალაქეს დამსმენობას რომ ავალდებულებდა, და იმ სტუდენტის წამოძახილის პასუხად ელდარს – გამოუკითხავად – ფრიადს გაუფორმებდა მატრიკულში.

სამეცნიერო სესიის დასასრულს სერგი მაკალათიას ახლახან ხელმეორედ გამოცემული წიგნის – „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“ – პრეზენტაციაც გაიმართებოდა, მართლაც სანიმუშო გამოცემის, როგორც პოლიგრაფიული თვალსაზრისით („საარის“ მეოხებით), ისე მეცნიერული მომზადებით. და ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც მანანა გაბაშვილმა ითავა მისთვის გზის გაკაფვა და შესანიშნავი ნარკვევიც დაურთო, ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტიც და ეპოქის სახიერი სურათიც ერთსა და იმავე დროს.

ნარკვევს შესაძლოა ასეც დარქმეოდა – მოღვაწის ბედი დიქტატორულ სახელმწიფოში.

ეს წიგნი 1941 წლის შემდეგ, როდესაც პირველად გამოქვეყნდა, საუკუნის მიწურულს კიდევ ორჯერ განმეორდა, მაგრამ ყოვლად უგემოვნოდ, შეცდომებით გადატენილი და განახევრებული. ცოდვა გახლდათ მისი ასეთი დაკნინება კომერციული ინტერესით და მეცნიერის შვილიშვილმა ამ გამოცემით ღირსება დაუბრუნა პაპის აურაცხელი ნაღვაწის ერთ მომხიბლავ ფურცელს.

80-იანი წლების დამდეგს გამომცემლობა „ნაკადულმა“ წამოიწყო შთამბეჭდავი სერია სერგი მაკალათიას ეთნოგრაფიული წიგნებისა: „თუშეთი“, „ხევსურეთი“, „ფშავი“, „მთის რაჭა“. მაგრამ შეწყდა ეს სასიკეთო განზრახვა და ხელახალ თუ პირველ გამომზეურებას ელოდება მეცნიერის წიგნების როგორც ეს ციკლი, ისე ხეობათა აღწერილობანი – ლიახვისა თუ ფრონის, ქსნისა თუ ატენის, კავთურისა თუ ბორჯომის...

იქნებ „სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის“ გამოჩენამ დაძრას ის გაყინული წამოწყებაც და ეს მეორე ნაკადიც შეერიოს.

აგერ მუზეუმიც როგორი თავგამოდებულია მისი მოამაგის ღვაწლის დასაფასებლად.

მანანა გაბაშვილი თავისი გამოსვლისას უმთავრესად ისეთ დეტალებსა და დოკუმენტებს წარმოაჩენს, რაც მის ნარკვევში არ შესულა და შემდგომ დამუშავებასა და გახმაურებას მოელის.

სიტყვას თქვენი მონა-მორჩილიც წარმოთქვამდა და, ცალკეულ მოსაზრებებთან ერთად, რაც ამ ჩანაწერში მიმოიფანტა, საგანგებოდ ახსენებდა ოჯახიშვილობას, როგორც უმთავრეს საყრდენს ქვეყნისა. ამ კულტურის – ოჯახიშვილობის – თვალსაჩინო ნიმუშად დაასახელებდა სერგი მაკალათიასა და მის ნათესაურ წრესა და შთამომავლობას, რომელთაგან იმ თავყრილობაზე – მანანა გაბაშვილის გარდა – თამარ და ქეთევან მაკალათიებიც იმყოფებოდნენ, და მათი შვილებიც: არჩილ და გიორგი ჩოგოვაძეები და ნინო და დავით პაპუაშვილები, აგრეთვე გორელი ნათესავებიც – რეზო კეკელიას ოჯახი (სერგი მაკალათიას დისშვილისა), საერთოდ კი თავიანთი ცხოვრების წესით ადასტურებენ, რომ ეს დიდი მადლია არსებობისა და სიცოცხლისათვის აზრის მიმნიჭებელი, ყოველგვარი ადამიანური ღირსების განმსაზღვრელი.

შეგნებული დღე.

შეგნებული გარემო.

და შთამბეჭდავი სილუეტი იმ კაცისა, ვისაც ვერ გაეგო მუზეუმის დანიშნულება და რევოლუციონერთა ნივთების თავმოყრის ნაცვლად ყოვლად უსარგებლო ექსპონატებს აგროვებდა.

* * *

და იდგა უფლისციხის სამეფო დარბაზთან ისტორიით დატვირთული და მზის სხივებში განბანილი, იმავე შუქში კი თედო ჟორდანიაც ამოსვეტილიყო, ხელში შერჩენილი ხვლიკებითა და ჯოჯოებით, და ვერა და ვერ თანხმდებოდნენ, თუ საიდან იწყებოდა კაცობრიობის ისტორია.

ქარავანი დგას

*

საუბარი ლელა შუბითიძესთან

აღმოაჩენთ რა ამ მყუდრო და წყნარ გარემოს, ფურცელაძის ქ. №10-ში, დაიხსომებთ კიდეც. ეს ხელოვანთა კაფეა – „„ქარავანი“ – კარგა ხანს მიტოვებულ, გამოუსადეგრად ქცეულ სარდაფში სულ ახლახან გახსნილი.

არქიტექტურულად მომხიბლავ, მკვიდრად ნაგებ შენობაში წლებია ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთ კორპუსს უდევს ბინა. წინათ იქაურობა ფინანსთა სამინისტროს განკარგულებაში იყო. უფრო ადრე, XX საუკუნის დასაწყისში, 1918-1921 წლებში აქ ყოფილა განთავსებული ეროვნული ბანკი. მმართველად გამოჩენილი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის ძმა დაუნიშნავთ. შეიძლება ითქვას, სასიამოვნო დამთხვევაა, რადგან ოჯახის ერთ-ერთმა უმცროსმა შთამომავალმა, იასონ ლორთქიფანიძის შვილთა შვილიშვილმა, დედის მხრიდან, სანდრო ბაგრატიონმა მეგობართან, შავლეგ შავერდაშვილთან ერთად სწორედ ამ ფუძეზე, ამ ისტორიული შენობის სარდაფში ხელოვანთა კაფე „ქარავანი“ დააარსა.

სანამ განცალკევებულ ადგილს ამოარჩევს სასაუბროდ სათნო დიასახლისი, ანუ აქაური პასუხისმგებლობით არტმენეჯერი ლელა შუბითიძე ინტერიერს დამათვალიერებინებს. თვალის ერთი შევლებით მიხვდებით აღმოსავლური ყაიდაა და გემოვნება რომ მეტობს. ამასთან ერთად, საგანგებოდ მიუნიჭებიათ სიძველის ხიბლი ავეჯისა თუ სხვადასხვა ნივთისათვის: შავი ფერის მეტალის ჰაეროვანი მაგიდები, გარშემო მოხერხებული სავარძლებით – დიდ დარბაზშია. კედლის გასწვრივ ჭრელ-ჭრელი ბალიშებით მოურთავთ ტახტები. აგურის კედლებისათვის პირვანდელი იერი რომ დაებრუნებინათ, ბათქაში ერთიანად შემოუცლიათ. ხასხასა ხალიჩები აქაურობას მეტ სინათლესა და სითბოს სძენს. დარბაზის ერთ-ერთი კუთხე წიგნებს დაეთმობა. ჯერ ისევ იატაკზეა მუყაოს ყუთებში ჩაწყობილი ძველი და უახლესი გამოცემები.

„ქარავანს“ საკუთარი ბიბლიოთეკაც ექნება და მაღაზიაც, რაც შეაძლებინებს წიგნის მოყვარულთ ნებისმიერი გამოცემის მოძიებას, თუნდაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან. ეს წარმატებულ მიგნებადაა მიჩნეული, და, როგორც ჩვენში უყვართ თავმომწონედ თქმა, თბილისში არსებულ მსგავს კაფეებს შორის, „ქარავნელები“ პირველები იქნებიან ასეთი მომსახურების გამო.

ასე რომ, „ქარავანის“ ზღურბლს გადააბიჯებთ თუ არა, მოულოდნელ ეგზოტიკურ ადგილს აღმოაჩენთ. იდუმალი სიმშვიდე შინაურულობას კი არ მოგანიჭებთ, პირიქით, განგტვირთავთ მოძალებული ერთფეროვნებისაგან. და მაინც, ეს ზოგადი შთაბეჭდილებაა გარედან მისულისა. კაფეს კონკრეტულ საქმიანობასა და გეგმებზე სჯობს თავად მოუსმინოთ არტმენეჯერს ლელა შუბითიძეს, მომხიბლავ ახალგაზრდა ქალს, უცხოეთში, კერძოდ ნიუ-იორკსა და მადრიდში განათლებამიღებულს, მოხდენილად რომ იმშვენებს ტრადიციულ კრძალულებას და ევროპულ შარმს – საქმიან იმიჯს – დაბეჯითებული სიტყვა-პასუხით:

– მოგეხსენებათ, „ქარავანი“ შინაარსში მოგზაურობას, ქმედებას, თავგადასავლებს გულისხმობს. ამიტომაც ავირჩიეთ ჩვენი კაფეს სახელწოდებად, სურვილი გვაქვს აქაურობა კულტურის ნამდვილ კერად გადავაქციოთ. შევეცდებით აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ამ ორი განსხვავებული არეალის ფასეულობათა წარმოჩენას. ცნობილია, თუ როგორ არის ევროპა გატაცებული აღმოსავლური მეცნიერებისა და ხელოვნების წვდომით. ჩვენც ამ კურსს ავირჩევთ. როგორ გამოვხატავთ? უპირველესად მოვიწვევთ საინტერესო ადამიანებს, მეცნიერებს, მწერლებს, ხელოვნების მოღვაწეებს. გაიმართება ლექცია-საუბრები, ლიტერატურული საღამოები. სულ მალე გიორგი ლობჟანიძის პოეზიის საღამო მოეწყობა. მოვიწვევთ აგრეთვე დავით წერედიანს, ლია სტურუას, ზაზა შათირიშვილს, ვახუშტი კოტეტიშვილს და თანდათანობით არეალიც გაფართოვდება. ვგეგმავთ დავაწესოთ „ყურანის“ კითხვის დღეც. მთარგმნელს, გიორგი ლობჟანიძეს გვინდა ვთხოვოთ ხელი შეგვიწყოს ამ პროექტის განხორციელებაში.

დადგა დრო რომ ვაღიაროთ, არ შეიძლება მეორე კულტურას, როგორც საკუთარ მტერს ისე განვიხილავდეთ. ბოლოსდაბოლოს XXI საუკუნეა და პოსტქრისტიანულ სივრცეში ვცხოვრობთ...

– უკვე დამკვიდრდა ჩვენში ასეთი ტერმინი – პოსტქრისტიანული? მართალი გითხრათ, მე არ მსმენია...

– რა თქმა უნდა, არსებობს. თუ არ ვცდები, ბატონი ზურაბ კიკნაძე ან ბატონი ზაზა შათირიშვილი უნდა წერდნენ ამის შესახებ.

– ალბათ, „ყურანის“ ანუ მეორე კულტურის მასობრივი კითხვა რომ გამართო, უნდა გჯეროდეს, შენი საზოგადოება რომ არის განმტკიცებული საკუთარ რწმენაში. ამ

აღმოსავლურ კაფეში „ქარავანი“

სამშაბათს, 12 დეკემბერს
გაიმართება
ლია სტურუას
პოეზიის საღამო

ოთხშაბათს, 20 დეკემბერს
ზაზა შათირიშვილის
ლიტერატურული საუბარი
„დროით და სივრცით სავსე ოდისევსი...“

დასაწყისი 18 საათზე
ფურცელაძის 10

მხრივ არცთუ რიგზეა ყველაფერი, რადგან პოსტსაბჭოთა საქართველოში ნამდვილად ვცხოვრობთ.

– იცით, მე ვარ ქართველი, დავრჩები ქართველად. შიშის გამო არ უნდა მოხდეს სიახლის უარყოფა. არა მჯერა სიტყვებისა „შიში შეიქმს სიყვარულსაო“. შიშით სიძულვილი ითესება და არა სიყვარული ინერგება. ადამიანებს უნდა მიენიჭოთ თავისუფლება, თვითონ აირჩიონ და ირწმუნონ, რაც სურთ. ოღონდ ნუ იქნება ომი, სისხლისღვრა, გაუგებრობანი. მხოლოდ კულტურას ძალუძს წაშალოს საზღვრები და სიკეთეს, მშვიდობას ემსახუროს.

ამიტომაც გვაქვს გადაწყვეტილი აღმოსავლური და დასავლური კულტურის მკვლევარ მეცნიერთა ლექციასაღამოების გამართვა.

სტუმართაგან არავინ იქნება შემოფარგლული სასაუბრო თემატიკით. აქვე დავძენ – თითოეული მათგანი მიიღებს ჰონორარს. უნდა მივეჩვიოთ, ადამიანი, როდესაც ხარჯავს ჩვენთვის დროს, თავისი განსწავლულობით თვალსაწიერს გვიფართოვებს, სიხარულსა და სიამოვნებას გვანიჭებს, სიმბოლურად მაინც უნდა უზრუნველვყოთ. ცხადია, დიდ თანხას ვერავის შევპირდებით, ჩვენსას კი ვეცდებით.

– ქ-ნო ლელა, „ქარავანი“ პირველ რიგში მაინც კაფეა და თანაც ხელოვნების მოყვარულთა თავშეყრის ადგილი, განსხვავებული გექნებათ ალბათ მენიუც...

– დიახ, გვინდა მასპინძლობაც ეგზოტიკური გავწიოთ. საგანგებოდ გამოვიწერეთ ნიუ-იორკიდან კულინარიის წიგნი, სადაც დაბეჭდილია მსოფლიოში ცნობილ ადამიანთა საყვარელი კერძებისა და სასმელების რეცეპტები.

– და მათი დაგემოვნება ალბათ, არ დაჯდება ცეცხლის ფასი...

– ვარაუდს არ გაგიმტყუნებთ. თანაც, დღის განმავლობაში შედარებით დაბალფასიან მენიუს შევთავაზებთ კაფეს სტუმრებს. სტუდენტები, მოსწავლეები და მათი პედაგოგები მოკრძალებულ ფასად შეძლებენ დანაყრებას.

მოგეხსენებათ, წიგნები რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. შეუძლიათ განმარტოვდნენ ფინჯან ყავასთან ან ჩაისთან, თანაც საყვარელი პოეტების ლექსები გადაიკითხონ.

„ქარავანი“ მზადაა ხელოვნების მოყვარულთა სამასპინძლოდ.

ესაუბრა
ნინო დეკანოიძე

მაია დე გრაფი ნადარეიშვილი

პოლიტიკური „ფრანკენშტეინები“

„პრესა წისქვილივითაა და ყველაფერს ფქვავს, რასაც ჩაყრი. მოწამლულ მარცვლებსაც იოლად დაფქვავს, მაგრამ იქიდან გამომცხვარ პურში სიკვდილი იქნება ჩასაფრებული“ – თვლიდა XIX საუკუნის ამერიკელი მწერალი და პუბლიცისტი უილიამ ბრაიანტი. პოლიტიკური ღირებულებები მედიის გამოყენებით საკმაოდ ხშირად პერსონიფიცირდება აშშ-ში.

დემოკრატიული სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, როგორ მოიპოვებს პოლიტიკოსი ამა თუ იმ იდეისა და მასის განწყობის პერსონიფიცირების უფლებას. როგორ ახერხებს იგი ხალხის პატივისცემისა და სიყვარულის მოპოვებას. საინტერესოა, რომ სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერი ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი საშუალებებისა და ხერხების წყალობით აღწევს ერთსადაიმავე მიზანს. ამ მოვლენის ახსნა სტერეოტიპების არსებობითაა შესაძლებელი: რაც ორგანულია ერთი ფიგურის საზოგადოებრივი ხატისთვის, მიუღებელია მეორისთვის მისი იმიჯიდან გამომდინარე.

თანამედროვე მედია უზარმაზარ როლს ასრულებს სტერეოტიპების შექმნისა და შენარჩუნების საქმეში. იგი წინასწარ შეიმუშავებს გარკვეულ თვალსაზრისს კონკრეტული ლიდერის შესახებ, რომლის შენარჩუნებასაც ყველანაირად ცდილობს დასაშვებისა და დაუშვებლის ფარგლებშიც კი. განსხვავებული აზრი ხშირად აღიქმება, როგორც დეზინფორმაცია, ცილისწამება ან რაიმე ყოვლად დაუშვებელი მოვლენა.

ზოგჯერ აბსურდამდე მისული მცდელობა სტერეოტიპის ტყვეობაში აქცევს არამხოლოდ პოლიტიკურ ლიდერს, არამედ მედიას, რომელმაც ჩამოაყალიბა მასისთვის სასურველი სახე, ხატი პიროვნებისა. ამიტომაც, ხშირად, მოწოდებული ინფორმაცია სულაც არ ასახავს რეალობას. ლოგიკის კანონების მიხედვით, საზოგადოების ბუნებრივი რეაქცია ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს აღშფოთება და ჭეშმარიტების ცოდნის სურვილი. თუმცა რეალობა გვიჩვენებს, რომ მასა სწორედ სტერეოტიპის ფარგლებში მოთავსებულ სიმართლეს ელოდება და ყველაფერი, რაც სტანდარტს მიღმა აღმოჩნდება ან არ აინტერესებს, ანდა აღიზიანებს. ასე იყო, დღესაც ამგვარად ხდება.

აბრაამ ლინკოლნმა აჩვენა, როგორ შეიძლება ლიდერის ავტორიტეტის დაკავშირება დემოკრატიულ იდეალებთან. მან დაამტკიცა, რომ ერის პოლიტიკური აღზრდა საჭიროებს ლიდერისა და ხალხის ერთობლივ მონდომებას მათი საერთო ცხოვრებისეული, უმნიშვნელოვანესი პრობლემების მოგვარებისას.

წერო ლინკოლნზე, ნიშნავს იყო ძალზე თამამი; ხოლო არ წერო მასზე, როცა პოლიტიკურ ლიდერთა ამერიკულ სტერეოტიპებს შეისწავლი, შეუძლებელია. უკიდურესად დემოკრატიული ლიდერის სტერეოტიპისათვის ძნელად მოიძებნება (და ამერიკელების აზრით, საერთოდ შეუძლებელია) ისეთი სრულყოფილი კანდიდატურა, როგორიც აბრაამ ლინკოლნია. ამას გარდა, მას ეკუთვნის პირველობა დემოკრატიული ლიდერის სტე-

რეოტიპის შექმნისა. ეს იყო სრულიად ახალი, რევოლუციური იმიჯი. ლინკოლნმა გადააყირავა მანამდე არსებული არაერთი ამერიკული ტრადიციული გაგება, შეცვალა დემოკრატიული ლიდერობის შესახებ არსებული წარმოდგენა. მაკიაველი თვლიდა, წარმატებული პოლიტიკოსი ერთდროულად ლომიც უნდა იყოს და მელაცო. ლინკოლნი, წინამორბედებისგან განსხვავებით, ტრადიციულ და ნოვატორულ თვისებებს აერთიანებდა, რაც ჰარმონიულად ერწყმოდა მის პიროვნებას და ქმნიდა ახალ სტერეოტიპს.

ლინკოლნის სტერეოტიპში უმნიშვნელოვანესია მისი მეტყველების მანერა. ხალხისა თუ კონგრესისადმი მიმართვებში მისი საუბრის სტილი სერიოზული, საზეიმო და უკიდურესად მეტაფორული იყო. თუ მისი ორი ყველაზე ცნობილი გამოსვლის ტექსტებს გადავხედავთ (გეტისბერგის მიმართვა და მეორე საინაუგურაციო სიტყვა), ეფექტს ახდენს არა იმდენად შინაარსი, რამდენადაც ემოციური რეზონანსი.



ბლექ-ჰილზის რეგიონში (სამხრეთ დაკოტა) ტურისტების მიზიდვის მიზნით მთა მონტ-რაშმორის კალთაზე აშშ-ის პრეზიდენტთა მემორიალის შექმნა ამერიკის კონგრესის და მაშინდელი პრეზიდენტის კელვინ კულიჯის ერთობლივი ნებართვით გადაწყდა. მოქანდაკე გუცონ დე ლა მოტ ბორგლამმა კლდეში გამოკვეთა ამერიკის შეერთებული შტატების ოთხი ყოფილი პრეზიდენტის (ჯორჯ ვაშინგტონი, თომას ჯეფერსონი, თეოდორ რუზველტი და აბრაამ ლინკოლნი) სახე. მონუმენტზე მუშაობა მიმდინარეობდა 1927-41 წლებში. იგი ზღვის დონიდან 1745 მეტრზე მდებარეობს და მის სანახავად წელიწადში 2 მილიონამდე ადამიანი სტუმრობს მონტ-რაშმორის ეროვნულ მემორიალს.

„იმისთვის, რომ საგანი წარმოდგენად იქცეს, კი არ უნდა გავაშუქოთ იგი, არამედ, პირიქით, უნდა ჩავაბნელოთ მისი ზოგიერთი მხარე. და მისივე უმეტესი ნაწილისგან განვძარცვოთ, რათა ნაშთი, ნაცვლად იმისა, რომ გარემომცველ სინამდვილეში ექცეოდეს, როგორც საგანი, პირიქით, გამოიყოს მისგან, როგორც სურათი“. თეოდორ რუზველტმა საკუთარ თავს ახალი საუკუნის უპირველესი ამერიკელი გმირის იმიჯი შეუქმნა. ეს იყო მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა საუკუნე და ამ კაცმა ყველაფერი იღონა, რათა მაქსიმალურად გამოეყენებინა ახალი შესაძლებლობა საკუთარ თაყვანისმცემელთა მთელი თაობების შესაქმნელად. მას დაავიწყდა, თუკი ოდესმე იცოდა, რომ ძველი ათენის ეპოქის დემოკრატებიდან მოყოლებული, თეოდორ რუზველტის მსგავსი გმირები პრობლემურ ფიგურებად იყვნენ ცნობილნი, რომლებიც ხალხის ძალაუფლებასა და ღირსებას პოტენციურ საფრთხეს უქმნიდნენ. რუზველტის ეროვნულ გმირად ქცევას მარკ ტვენი ადამიანთა მოდგმის არანორმალურობის შესახებ თავისი თეზისის მტკიცებულებად მიიჩნევდა: „მისტერ რუზველტი XX საუკუნის ტომ სოიერია“.

ჯონ ფ. კენედიმ უფრო თანამედროვე გზა იპოვა პოლიტიკური ზეაღსვლისთვის – ტელევიზია. ლინკოლნისგან განსხვავებით მას არც საზოგადოების სამსახურისთვის გადაუდია თავი წინასწარ და არც დემოკრატიის რომელიმე იდეალის გაიგივება უცდია საკუთარ პერსონასთან. მისი სტერეოტიპი საკმაოდ მარტივმა სტრატეგიამ შექმნა: კენედი პოპულარული გახდა და, მისთვის დამახასიათებელი მომხიბვლელობის წყალობით, ერი მიიმხრო. მისი იმიჯი მთლიანად ეყრდნობოდა მამაკაცური ღირსებების იდეალურობას, რაც ძალიან ბევრს ჰოლივუდის კინოვარსკვლავთა მარტივ, საკმაოდ ბანალურად შეთითხნილ იმიჯს აგონებდა. მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა რეალობის მიახლოება სასურველ იმიჯთან. კენედი საუკეთესოა მათ შორის, ვინც „პოლიტიკოსი-მსახიობის“ ყალიბი მოირგო. მან იცოდა საკუთარი თავის ეფექტურად წარმოჩენა. კრიტიკის ქარცეცხლშიც კი ახერხებდა საკუთარი პიროვნებისადმი სიმპათიის გამოწვევას.

კენედი პირველი პრეზიდენტი იყო, ვინც პრესასთან თავისი შეხვედრების პირდაპირ ეთერში ჩვენებას დათანხმდა. ყოველი ასეთი გამოსვლის წინ ეწყობოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი ბრიფინგები, რაც მას საშუალებას აძლევდა პასუხების სპონტანურად გაცემის ილუზია შეექმნა. იგი მედიასა და აუდიტორიას ხიბლავდა ფაქტებით ოპერირების ოსტატობით, გონიერებითა და იუმორის საუცხოო უნარით. პრესკონფერენციის დროს კენედის სრულყოფილი ქცევა რეპორტიორებს აჯადოებდა, თუმცა ეს ყველაფერი ბუტაფორულ რეკვიზიტს წარმოადგენდა იმ სპექტაკლში, რომელიც კარგად დაგეგმილ და დადგმულ სატელევიზიო შოუს უფრო წარმოადგენდა, ფართო აუდიტორიაზე ზემოქმედებისთვის რომ იყო გამიზნული. ჟურნალისტები პრეზიდენტს ნაკლებად უსვამდნენ ჩამჭრელ კითხვებს, საშუალებას აძლევდნენ თავი აერიდებინა მისთვის არასასურველი პასუხის გაცემისგან. შედეგად კი მაყურებელი აღფრთოვანებული, თუმცა არასაკმარისად ინფორმირებული რჩებოდა. კენედის სტერეოტიპს გამოკვეთილად ეტყობოდა მასის რჩეულის, ფავორიტის ნიშნები.

კენედის პრესკონფერენციებს ახასიათებდა მასასთან დემოკრატიული სიახლოვისა და არისტოკრატიული დისტანციურობის ერთგვარი ნაზავი. სწორედ სატელევიზიო საშუალებათა ოსტატურად, მომგებიანად გამოყენება უმყარებდა საფუძველს ჯონ კენედის სტერეოტიპს, რაც მდგომარეობდა პირადულის პოლიტიკურ ასპექტში გადაყვანაში და პირიქით.

კენედის კაშკაშა სტერეოტიპის ფონზე ძალიან გაუჭირდათ მის მემკვიდრეებს. უფერული სახეების წყებას მხოლოდ ოთხმოციან წლებში გამოეყო ნათელი ფიგურა. კენედის შემდეგ „პოლიტიკოსი-მსახიობის“ სტერეოტიპს არავინ მორგებია ისე საუცხოოდ, როგორც რონალდ რეიგანი. თუმცა ჰოლივუდიდან მოსული ვარსკვლავი პრეზიდენტობის სიმბოლო-ბუფერს ნამდვილად არ წარმოადგენდა, როგორც ეს შესაძლოა მოეჩვენოს ახალგამომცხვარ გუბერნატორს კალიფორნიის შტატიდან, რომელსაც ამბიციები პრეზიდენტობაზე ოცნებას აბედინებს. პოლიტიკურ ბუფერებს არ ესვრიან და ისინი არ უყვართ. რეიგანის სტერეოტიპს ბევრად მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მისი პოლიტიკური ზრახვები თანაბარი ძალით მოიცავდა როგორც საშინაო, ისე საგარეო მოღვაწეობას. საკმარისია თუნდაც ირან-კონტრას გახსენება. ამასთან, რეიგანი პოლიტიკოსობისას არანაკლებად იყო ხალხის ფავორიტი, ვიდრე მსახიობობისას. მისი იმიჯის სიძლიერეზე მეტყველებს თუნდაც ის ბულვარული ფაქტი, რომ დღემდე ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც თეთრ სახლში მეორე მეუღლესთან ერთად შევიდა და ამერიკელი ერის მხრივ კრიტიკა არ გამოუწვევია. როდესაც ხალხი საკუთარ პრინციპზე თვალს ხუჭავს, ეს იმის მანიშნებელია, რომ მას რაღაც ამაზე მნიშვნელოვანს სთავაზობ.

ვ.აგრანოვსკი წერს: „Нельзя отрываться от действительности на такое расстояние, которое ведет к усредственности образа, к стереотипу, вредит правде“. სრულიად სამართლიანი შენიშვნაა. ჭეშმარიტების, სამართლიანობის, ლოგიკის მიხედვით ასეც უნდა იყოს. თუმცა რეალობას გვერდს ვერ ავუვლით: სტერეოტიპი მასას ეხმარება პოლიტიკური ლიდერის რთული სახე გამარტივებული ვარიანტით აღიქვას. იგი ასეთი უფრო გასაგები და ახლობელია აუდიტორიისთვის, შესაბამისად, უფრო მისაღებიც. ძნელია თვალყური ვადევნოთ, თუ სადაა ამ დროს საღი აზრი. რიტორიკულ კითხვად რჩება: აინტერესებს კი სიმართლე ხალხს, როცა სთავაზობენ სასურველი მოდელის ილუზორულ ლიდერს?

მედიამ გამოააშკარავა კენედის პოლიტიკის არაერთი ხარვეზი, პირადი ცხოვრების ბნელი მხარეები. პოლიტოლოგები დასაბუთებულად აკრიტიკებენ მის შეცდომებს. ყველაფრის მიუხედავად, დღესაც გაუნელებელია აუდიტორიის ინტერესი და აღფრთოვანება მარადისობაში გადასული ახალგაზრდა ლიდერის პიროვნებით. მისი იმიჯი იოტისოდენადაც არ დაზარალებულა.

კომპოზიცია „კენედი – მერილინ მონრო“ ადამ ფინკელსტეინისა და სენდი ფარიერის ფოტოა. ეს გამოსახულება აგებულია მერილინ მონროს სურათის პატარა ნაკუწებისგან მესერის პრინციპით. ნაფლეთების განლაგება ეფუძნება ალგორითმს, რომლის მიზანი იყო ოპტიმალურად განელაგებინა ნაკუწები კენედის დიდი გამოსახულების მისაღებად. ალგორითმი ავტორებმა ორჯერ გამოიყენეს ორი განსხვავებული ზომის ნაკუწების ერთმანეთზე მოსარგებად. მიღებული ფოტოკოლაჟი ავტორებმა გამოფინეს 1994 წელს გამართულ ქსეროქს-პარკის ალგორითმული მხატვრობის გამოფენაზე.

ამაში ტრაგიკულად დაღუპვის ფაქტიც ასრულებს დიდ როლს. ბევრი ამერიკელის თვალში 1963 წლის 22 ნოემბრის მისტიკური საიდუმლო კენედის პიროვნებისადმი დაუშრეტელი ინტერესის წყაროდაა მიჩნეული. თუმცა ესეც მისი სტერეოტიპის შემადგენელი ნაწილია. საინტერესოა, დაეცემოდა თუ არა კენედის რეიტინგი, თუკი ოდესმე მის სიკვდილთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი გამოაშკარავდებოდა? პოლიტიკური გამოცდილებისა და ისტორიული ანალოგების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს დაანგრევდა ფართო მასებში მყარად დამკვიდრებულ სტერეოტიპს, რაც კარგს არაფერს ნიშნავს ვინმესთვის, თუნდაც კენედისათვის. თანაც ამას დაემატებოდა ახალი თაობის ფაქტორი, რომელიც წარსულის გმირებს დიდ პატივს სულაც არ სცემს და, თუ კენედის პიროვნება იმ მცირე მისტიკურობასაც დაკარგავდა, რაც მას დღემდე შემორჩა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯასტინ თიმბერლეიკის თაობას ან მის შემდგომს დიდი ინტერესი გამოეხატა გასული საუკუნის პოლიტიკური ვარსკვლავისადმი.

ამგვარ სიტუაციას რობერტ შმალი ნოტრ-დამის უნივერსიტეტიდან „პარადოქსს მთავრული ასო „პ“-თი უწოდებს. იგი სტერეოტიპთა არსებობას შემდეგნაირად ხსნის: „პოლიტიკური ფიგურები საზოგადოების გონებაში მკვიდრდებიან გარკვეული საშუალებებით. ჩვენთან ასეთი ტრადიციაა, დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ ისეთ ინფორმაციას, რომელიც წინააღმდეგობაშია კონკრეტული პიროვნების იმიჯთან“.

სტერეოტიპებს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. განსაკუთრებით, თვითონ პოლიტიკური ლიდერები აპროტესტებენ, თუკი მათი მიზნები გათვალისწინებულ ჩარჩოებს სცილდება. ტრადიციად იქცა, ასეთ შემთხვევაში პრესის გამოყენება განტევების ვაცის როლში. მედიას გაუჭირდა იპოვოს შემდეგი რგოლი, რომ ბრალდება „გადააბაროს“. თუმცა, რაც დათესა, ის მოიმკო. ყველა საკუთარ „ფრანკენშტეინზე“ აგებს პასუხს. წინასწარ შექმნილი აზრი საკმაოდ მყარია იმისათვის, რომ მათი შეცვლა მოხერხდეს. ამერიკული სტერეოტიპები კი უკვდავია, რადგან ხშირად ისინი რეალობის ხარისხს გამოსახავენ.

დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. წლების მანძილზე ვმუშაობდი პოლიტიკურ კორესპონდენტად. 1998 წლიდან წავედი ემიგრაციაში ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩემი პირველი მოთხრობა ჟურნალ „პიონერში“ გამოქვეყნდა, როდესაც 6 წლის ვიყავი, შემდეგ წიგნშიც მოხვდა, მაგრამ რადგან სკოლაში ბავშვებმა სახელად „მწერალი“ შემარქვეს, მრცხვენოდა და შემდეგ აღარ გამომიქვეყნებია არაფერი.

ემიგრაციაში ყოფნისას კვლავ დავუბრუნდი პროზას. 2001-2005 წლებში დავწერე მოთხრობათა ციკლი, რომელიც ძირითადად ნიუ-იორკში მცხოვრებ ემიგრანტებს ეხება. დავინტერესდი სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა დამახასიათებელი თვისებებით, ამიტომ მოთხრობათა პერსონაჟებად რეალური გმირები ავირჩიე. ამ თემაზე დაწერილი მოთხრობა „თუთიყუში“ ჟურნალ „არილში“ გამოქვეყნდა და შემდეგ დაიბეჭდა ბაკურ სულაკაურის მიერ გამოცემულ წიგნში – 2004 წლის 15 საუკეთესო ქართული მოთხრობა.

ქეთი ორჯონიკიძე

ორი ნოველა

განსაკუთრებული „შიშ-ქაბაბი“

– ისევ იგვიანებს ის საძაგელი გოგო, როგორც წესი, თხუთმეტი წუთით, შემდეგ კი ოცი წუთი გამოცვლას უნდება, თითქოს არ ეკადრებოდეს მეტროში მიმტანის ფორმით ჩასვლა! – გამოსცრა კბილებში მუჰამედმა, თან გაალმასებული კარისაკენ იყურებდა. მინებიანი ვიტრინებიდან მოჩანდა ატლანტიკ-ავენიუს მიმდებარე ქუჩა, სადაც ძველისძველი, მოჟამული სახლების ფონზე ორი შავი ბიჭი აქეთ-იქით უაზროდ დაეხეტებოდა.

– მეგობარო, მეგობარო! – დაიძახა კბილებჩამტვრეულმა ბებერმა კლიენტმა, რომელიც იმ ნიუ-იორკელთა რიგს მიეკუთვნებოდა, ყველა ქვეყნის სუფრის ჭაშნიკი რომ იციან, – ერთი თქვენი თაფლივით ტკბილი ფაქლავა მომიტანე, რომ დღევანდელმა დღემ ტკბილად ჩაიაროს, ჩაიც არ დაგავიწყდეს, რომ კარგად გადავყლაპო...

მუჰამედმა ბებერს საუზმე უხალისოდ დაუხეთქა მაგიდაზე.

– მართლა, სად არის ის ლამაზი მიმტანი, ყველაფერი დიდი რომ აქვს?

იმის ხელით მოტანილი ფაქლავა სულ სხვა არის, ხომ იცი, არა, ხომ იცი?! ხა, ხა, ხა...

მუჰამედი ამ კაცთან ლაზღანდარობის გუნებაზე ნამდვილად არ იყო. ამიტომ შეკითხვაზე უშნოდ დაიღრიჯა და ისევ ვიტრინებს მიაჩერდა, – უკვე თორმეტის თხუთხმეტი წუთია, მაგრამ მაინც არ ჩანს. აი, თავხედობაც ამას ჰქვია! რამდენჯერ გავაფრთხილე, არ დაიგვიანო-მეთქი და ისევ იგვიანებს! – ბრდღვინავდა გულში.

– შუადღე მშვიდობისა! შუადღე მშვიდობისა! – დაიწყეს შემოსვლა კლიენტებმა...

– შუადღე მშვიდობისა! – ცალყბად პასუხობდა მუჰამედი.

– სად არის თქვენი მშვენიერი მიმტანი? – კითხულობდნენ ისინი.

– იგვიანებს, ისევ იგვიანებს... – დაიღრიჯა მუჰამედი.

– წარმომიდგენია, რა ხასიათზე უნდა იყო, როდესაც ცხვირწინ იმავე ბიზნესს გიხსნიან. მეც ასე დამემართა, სამრეცხაო რომ მქონდა „ფლატბუშ ავენიუზე.“ ადგნენ და ქუჩის მეორე მხარეს არ წამომიჭიმეს? მაგრამ ჩავძირე, დედას გეფიცებით ჩავძირე, ხა, ხა, ხა... – ყველას გასაგონად წამოიძახა ფაქლავიანმა, რომელიც ტკბილ ნამცხვარს ნება-ნება ციცქნიდა, რათა სიამოვნება დიდხანს გაეგრძელებინა.

მუჰამედმა ლამის ცხვირში მიაფარა ფაქლავიანი თეფში ამ ენაჭარტალა მოხუცს. არადა, სწორედ მაზოლზე არ დაადგა ფეხი? თვითონაც ხომ კარგად იცოდა, რისთვის ჰქონდა ნერვები მოშლილი?! აბა, როგორია, აწყობილი საქმე და რეგულარული შემოსავალი დაგეშალოს?! ალბათ ასეც იქნება... მერედა, ვინ გეკიდება მტრად? ისევ შენიანი. ამ ქუჩაზე განა საკმარისი არ არის ერთი არაბული რესტორანი, მის ცხვირწინ მეორე რომ არ წამოეჭიმათ? მართალია, მუჰამედს იმედი აქვს, რომ ძველი კლიენტურა კვლავაც მისი ერთგული დარჩება, მაგრამ რა მოხდება ხვალ, როცა ისინი პირველად გააღებენ რესტორანს, კაცმა არ იცის. შემოსავლის 50% თუ არა, 30% - იც რომ მოაკლდეს, მაინც გვარიანი დარტყმა იქნება მისი ოჯახისთვის. მიმტანიც აღარ გაუჩერდება. – დილის თერთმეტიდან ღამის თერთმეტამდე ასი დოლარის ტიპი ძლივს გროვდება, 60 ან 70 დოლარად 12 -13 საათი ვინღა იმუშავებს? გამოდის ფული ჩემი ჯიბიდან უნდა დავუმატო. რაც ძალზე ცუდია... – ეს გაიფიქრა თუ არა კვლავ მაია გაახსენდა და კბილები გააღრჭიალა.

– რამდენი ხანია, რაც ამ რესტორანს ფლობ ძმაო? – თანაგრძნობით ჰკითხა ერთმა კლიენტმა, რადგან ყველას ახსოვდა მუდამ მოღიმარი მუჰამედი, რომელსაც სიცილის დროს ულვაშები კბილებზე გადმოეფარებოდა ხოლმე.

– ცხრა წელია... – ჩაფიქრებით უპასუხა მან და ჯერ სიტყვა არ დემთავრებინა, რომ კარში წითელ შარვალში გამოწკეპილი მაია გამოჩნდა, რომელმაც ვითომც აქ არაფერიაო, განაცხადა – დილა მშვიდობისა!

– ეს იყოს უკანასკნელი დაგვიანება, კიდევ დაიგვიანებ და გაბრძანდები აქედან! – დაიღრიალა მუჰამედმა, თან ხელები აექავა, ისევე მოუნდა ეს გოგო მიეთეთქვა, როგორც წინა ღამეს მითეთქვა თავისი ცოლი.

მაიამ დიდი თვალები დააფახულა, უხერხული სცენის შემსწრე განაბულ კლიენტებს გადახედა, რომელთაც მუჰამედის ყვირილზე ლუკმა ყელში გასჩხერვოდათ და მშვიდად განაცხადა.

– ჩემი ბრალი არ არის, მატარებელი გვირაბში გაიჭედა. საოცრებაა, ნიუ-იორკში ექსპრესით თუ იმგზავრე, უფრო დაიგვიანებ, ვიდრე ლოკალური მატარებლით, რადგან ექსპრესი ყოველთვის გვირაბში იჭედება – განუმარტა მაიამ კლიენტებს.

– ჰოდა, ამიტომ ნახევარი საათით ადრე უნდა გამოხვიდე სახლიდან, ჩემს ხარჯზე კი არ უნდა იჯდე გვირაბში!

– ცამეტი საათი აქ ვარ, ერთი საათი გზაში და ნახევარი საათიც რომ დავუმატო, სახლში როდისღა ვიყო? – ისე სხაპასხუპით მიაყარა, იმ წუთის გამოთვლის ნამდვილად არ ჰგავდა.

– აბა, ბინის ქირას რიღასთვის იხდის? – ახორხოცდნენ კლიენტები.

– აბა, აბა! ქალი კაცს ასე არ უნდა უტლიკინებდეს ენას და ისიც უფროსს! – დაიღრიალა მუჰამედმა.

– მე რომ მაგისი ბოსი ვიყო, სულ არ ვამუშავებდი, ხა, ხა, ხა!... – წამოიძახა ბებერმა და გადაიხარხარა. მას სხვებიც აჰყვნენ და მაიას ხარბი თვალი მიაპყრეს, რომელიც ჩაფიქრებული ტუალეტისკენ მიგოგმანობდა ტანსაცმლის გამოსაცვლელად, თან გულში მუჰამედის სიტყვებს ბურტყუნებდა – ქალი კაცს ასე არ უნდა ელაპარაკებოდეს!... მაგას მე თავისი ცოლი ხომ არ ვგონივარ?!... მაგას მე არაბეთიდან ხომ არ ვგონივარ?!... ჩემს ქვეყანაში ქალი და კაცი თანაბარია, ჰმ!... – თუმცა ტანსაცმლის გამოცვლა დააჩქარა და სულ რაღაც ათ წუთში გამოცხადდა შავ, შემოტკეცილ შარვალსა და თეთრ, საკმაოდ გულამოჭრილ ბლუზაში, რომელში ჩაჭყეტვაც ყველა კლიენტს უყვარდა.

– რა არის ეს, ეს არის მიმტანის ფორმა?! რამდენჯერ უნდა გითხრა ნორმალურად ჩაიცვი-მეთქი. ხვალ თეთრი პერანგითა და შავი ქვედატანით მოხვალ!

– კაბით? – თვალები ერთი იმდენად გაუფართოვდა მაიას, – კი, მაგრამ კაბა რომ არ მაქვს! ...

– იყიდი! და საერთოდ, ჩემი საქმე არ არის, რა გაქვს და რა არ გაქვს. მოხვალ მიმტანის ფორმით! ეს რესტორანია, სცენა კი არ არის!...

მაიამ თავი გულდახურულ პერანგსა და გრძელ ქვედატანში რომ წარმოიდგინა, ლამის გული შეუღონდა, კლიენტები კი უფრო მეტად შეწუხდნენ.

– ადრე არასოდეს გითქვამს, რომ სხვა ფორმა ჩამეცვა...

– მითქვამს, მითქვამს, მაგრამ შენი გონება მუდამ სხვაგან დაფრინავს, აქ სამუშაოდ კი არა, ფულის გულისათვის მოდიხარ!

დამწუხრებულმა მაიამ მაგიდებს მიაშურა, რათა გული გადაეყოლებინა ხალხთან ბაასით.

– საით! საით?! – ისევ უხეშად დაუძახა მუჰამედმა, – ბანკში წადი და ფული გადაახურდავე, პატარა ბიჭივით მე ვირბინო? ვიცი, რომ ჩემი ბიზნესი ფეხებზე გკიდია. იქნებ ხუთიანების ნაცვლად ოცდოლარიანებს აბრუნებ ხოლმე ხურდაში?!

მაიამ ოცდოლარიანების შეკვრა აიღო და დაფიქრებული ქუჩაში გავიდა.

– რა ბზიკმა უკბინა ამ კაცს დღეს? არ არის ღირსი, ყველაფერი სახეში მივაყარო და წავიდე? არა, მაინც რამდენი მოვუთმინე, ამდენი მამაჩემისთვისაც არ მომითმენია...

ქუჩა გადაჭრა და ახლადწამოჭიმულ რესტორანს ჩაუარა, სადაც უკვე დიდი აბრაც იყო გამოკრული, – ,,ხვალიდან ფართოდ გაიღება კარი ყველასათვის, მობრძანდით და ჩვენი განსაკუთრებული შიშ - ქაბაბი მიირთვითო“ – წაეწერათ ზედ.

– ააა, ვიცი, რაზედაც არის გაწიწმატებული, ამ ახალი რესტორნის გამო შეიძლება ბიზნესი ჩაუვარდეს – გაიფიქრა და თან შიგნით შეიჭყიტა.

– არა უშავს, კარგად გაუკეთებიათ. ყველაფერი ახალი და წკრიალაა. ალბათ სასიამოვნო იქნება აქ მუშაობა, მაგრამ ამათი აქ დამკვიდრება ჩემთვისაც ცუდია, კლიენტები თუ მოგვაკლდება, ტიპები შემიმცირდება, 12 -13 საათი კაპიკებისთვის ვიდგე ფეხზე? ეს ვაჟბატონი კი, მოფერების ნაცვლად, მიყვირის და მამცირებს, თანაც ხალხის თვალწინ – მაია ბრაზისაგან წამოენთო. ამ ფიქრებით და იმის იმედით, იქნებ მუჰამედი ჩაწყნარდაო, უკან დაბრუნდა.

– რა უყურადღებო ხარ, რატომ არ მკითხე, რამდენი შეკვრა ოცდახუთცენტიანი მინდოდა? – შეუღრინა ისევ მუჰამედმა.

მაიას თვალები თავისი კლიენტებისაკენ გაექცა. უკვე გვიანი საუზმის დრო იყო და რესტორანი ხალხით ივსებოდა. ისინიც მოუთმანლად ელოდებოდნენ თავიანთ სათაყვანო მიმტანს.

– დღესაც იმავეს ინებებთ!? – დაუძახა ერთ-ერთს და ის იყო სამზარეულოსაკენ უნდა გაქცრიალებულიყო შეკვეთის მისაცემად, რომ მუჰამედმა ცხვირწინ დიდი „ვინდექსი“ დაუხეთქა.

– შეხედე, რას ჰგავს კარი. ამას ყოველდღე უნდა წმენდდე. შეხედე ნათითურებს. დღეიდან ყოველ დილას რომ მობრძანდები, გაწმენდ, გაიგე?!

– ხალხს, ხალხს რა ვუყო?... – ჩაიბურტყუნა მაიამ.

– ხალხს მე მივხედავ, მაგაზე ნუ წუხართ, ქალბატონო!... – ღვარძლიანად უპასუხა მუჰამედმა.

– კი, მაგრამ ტიპები, ტიპები ვის დარჩება? – უნდოდა ეკითხა მაიას, მაგრამ ამის ნაცვლად, ერთი ღრმად ამოიოხრა და დაბოღმილი შეუდგა ნათითურების წმენდას.

– ოჰო, კარგი საქმე მომიმატა. წმენდა რომ მინდოდეს, დამლაგებლად ვიმუშავებდი. თან ამის გაწმენდას ხომ აზრიც არ აქვს, ორ წუთში ისევ დასვრიან თავიანთი ქონიანი თითებით, თითქოს უზარმაზარი სახელური არ ჰქონდეს კარს. – ფიქრობდა გულში. ხოლო როცა ერთმა კლიენტმა თანაგრძნობის გამოსახატავად წამოიძახა, – მაგის ხელებმა ასეთი სამუშაო არ უნდა შეასრულოსო,– მაიას შეურაცხყოფისა თუ ბოღმისაგან ცრემლები გადმოსცვივდა და საკუთარი თავი ძალიან შეეცოდა.

– შუადღე მშვიდობისა, ლამაზო, ასე ბევრს რატომ მუშაობ?

აი, სწორედ ის შემოვიდა, ვისზეც ლოცულობდა, არ მომისწროსო.

მისი ფავორიტი კლიენტი, რომელსაც სამწუხაროდ მუჰამედი ერქვა, მაგრამ ძალიან განსხვავდებოდა ბოსი მუჰამედისა და სხვებისგანაც. მუდამ გაწიკწიკებული პიჯაკით და „ლაფტაფით“ ხელში შემოირბენდა ხოლმე. მაიას განსაკუთრებით მოსწონდა მისი ჩაცმის სტილი, ბრინჯაოსფერ კანსა და მწვანედ მოლივლივე თვალებს, პერანგებს რომ უფარდებდა. სხვებივით მხოლოდ „ბოიფ-

რენდებზე“ კი არ ეკითხებოდა, არამედ მის გეგმებზე, – რას აპირებს, რომელ კოლეჯში უნდა შესვლა, რა ხდება მის ქვეყანაში. მაიას გასაკვირად, კარგადაც ერკვეოდა აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებში. ასეთი მეგობრული მოკითხვების შემდეგ, ჩაიც რომ დაელია, მაინც 10 დოლარის ტიპს დაუტოვებდა და გულთბილად გამოემშვიდობებოდა. მაიას გული მხოლოდ იმაზე წყდებოდა, რომ ამ კაცს მარცხენა ხელზე ოქროს მსხვილი ნიშნობის ბეჭედი ჰქონდა წამოცმული. თუმცა იმაშიც ღრმად იყო

დარწმუნებული, რომ მისი ცოლი, ბოსი მუჰამედის ცოლივით ჩადრით არ დადიოდა და 24 საათი სახლში არ იყო გამომწყვდეული.

ერჩივნა, მიწა გამსკდარიყო და შიგ ჩავარდნილიყო, როცა მან კარის გაცხარებული წმენდის დროს მოუსწრო. მოკითხვაზე პასუხად რაღაც წაიბურტყუნა, ცუდ მუჰამედს გადახედა და ასეთმა აზრმა გაუელვა – აი, ამ წუთში შეასხამს სახეში „ვინდექსს,“ შეაყრის ხელსახოცებს და გაიქცევა... მაგრამ რა ქნას, თვის ბოლოა და ბინის ქირა, შუქის, გაზის, ტელეფონის გადასახადები აქვს გასასტუმრებელი. თითქოს პირი შეკრესო, გუშინ ყველა ერთად მოვიდა. იქით ცდუნებას ვერ გაუძლო და საშემოდგომოდ მოდის ჟურნალებიდან იმდენი ტანსაცმელი გამოიწერა, რომ საკრედიტო ბარათის ვალიც კარგა ბლომად დაუგროვდა. ეჰ, ამოიოხრა მაიამ და დაძმარებულმა ნათითურების წმენდა განაგრძო. ამ დროს მოესმა, როგორ უთხრა მისმა მეგობარმა მუჰამედმა მის მტერ მუჰამედს – მაიას დაველოდები, შენ ნუ შეწუხდები შეკვეთის აღებაზეო. ამას კი გესლიანი პასუხი მოჰყვა – მაია თქვენთვის კარგა ხანს ვერ მოიცლისო.

– ჰმ, ეს მახინჯი ახალ საქმეს მიმზადებს, ნეტავ რა ჯანდაბა უნდა გამოიგონოს? იმედია, ცხრა წლის გატიტყნილ კედლებს არ გამაწმენდინებს.

თანაც, ყველა უბედურებასთან ერთად, დღეს როგორც ვატყობ, უფულოდ მომიწევს სახლში წასვლა. ერთი უყურეთ, როგორ იჯიბავს ჩემს საცოდავ კაპიკებს?!

– ხედავ, რა წუმპეა კარადაში? რაც მოხვედი, იმის შემდეგ ხელი აღარ დაგიკარებია. ეს წვენები გამოიღე და ყველაფერი კარგად დაასუფთავე. გინდა ქალაქის სანიტარულმა სამსახურმა რესტორანი დამიხუროს?

კარადის პირველი უჯრა, სადაც წვენებს ინახავდნენ, იატაკთან იმდენად ახლოს იყო, რომ იქამდე მაიას შემოტკეცილი შარვალი არასოდეს უშვებდა. ახლაც გაჭირვებით ჩაიკუზა და ხვნეშა-ხვნეშით დაიწყო ქილების გადმოლაგება. სისხლი თავში მოაწვა, მოეჩვენა, რომ საგანგებოდ დავარცხნილი თმა დაეშალა და გაეწეწა. ამასობაში კეთილმა მუჰამედმა საუზმე დაამთავრა, მოულოდნელად მასთან მიიჭრა, დაიხარა, ხელზე ხელი თანაგრძნობით მოუჭირა, ათდოლარიანი ჩაუკუჭა და სასწრაფოდ დატოვა რესტორანი.

ამ სცენამ მაიას საოცრად აუჩუყა გული. ეს კაცი გმირად წარმოიდგინა, თავისი თავი კი პრინცესად, რომელიც ურჩხულს ჰყავს დატყვევებული. – მაგიდაზე დატოვების ნაცვლად მე მომიტანა და ხელში ჩამიდო, ის რომ არ დაპატრონებოდა. დროდადრო კეთილი ადამიანები რომ არ გხვდებოდნენ, ნიუ-იორკში ცხოვრება მართლა გაუსაძლისი იქნებოდა, – გაიფიქრა და მორჩა კიდეც საქმეს. წელში გასწორდა იმ იმედით, იქნებ მეშველაო, მაგრამ ამ დროს ცოცხით ხელში მისკენ მომავალი მუჰამედი დაინახა.

ცოცხს ისე მოათრევდა, აშკარად ეტყობოდა, კვლავ ახალი საქმე გამოუჩინა. მაიამ ინატრა თუ რატომ აღარ ჰქონდა ხელთ „ვინდექსი“ რომ მუჰამედის დაჭყეტილი თვალები ქიმიური საშუალებით დაებრმავებინა. ირგვლივ თვალი მოავლო და სწორედ იმ დროს, როდესაც მუჰამედმა პირი დააღო საყვირლად, ჯერ ტილო მიაგდო სახეში, შემდეგ ხელსახოცების დიდი გროვა მიაყარა, რასაც იქვე დახლზე გადააწყდა – შე მახინჯო, შენი მონა კი არ ვარ, ასე რომ მეპყრობი! ამერიკაში მონობა დიდი ხანია გადავარდა! ახლა გავხდი ცუდი? ის კარგია ყველას რომ უხარია ჩემი დანახვა და მეკითხებიან საიდან ხარ და რა გქვიაო?... – წამოიძახა დაულაგებელი ფრაზები, ყოველ შემთხვევაში თვითონ ასე მოეჩვენა, და მიხვდა, ჯობდა შეეხსენებინა მუჰამედისათვის, როგორ ქედმოხრილად ემსახურებოდა მარტოდ მარტო 20 მაგიდას, მაგრამ უკვე გვიანი იყო... ის თავისი ჩანთით კარისკენ გარბოდა, რათა რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა ამ დაწყევლილ რესტორანს...

უეცრად გახურებულ სხეულზე სასიამოვნო სიგრილე იგრძნო. ვერც კი გაიგო როდის დაუშვა კოკისპირულად წვიმამ. ატირებულმა გზა გადაირბინა, ქუჩის მეორე მხარეს ვიტრინას ოთახში გამომწყვდეული ჩიტივით მიაწყდა და თვალებზე ხელები აიფარა... მისი ცხარე ცრემლების ნაკადული ატლანტიკ- ავენიუსაკენ მიმავალ ნიაღვარს შეუერთდა. იმ წუთში მიხვდა, რომ მუჰამედზე კი აღარ იყო გულმოსული, არამედ საკუთარ თავზე, – რატომ ვერ მოითმინა და დაკარგა სამსახური?!...

– რატომ ტირით ლამაზო?... – ვიღაცამ ძალიან ახლოს, ყურთან ჩასჩურჩულა, მაიამ აიხედა და ელდა ეცა. უცნობი ძალიან ჰგავდა მუჰამედს, ოღონდ მისგან განსხვავებით კეთილად იღიმებოდა.

– ვინ შეიძლება აწყენინოს თქვენისთანა ანგელოზს? – კვლავ ჩაეკითხა ის.

მაიამ კაცს უნდოდ შეავლო თვალი, მაგრამ თანაგრძნობით აღსავსე შავად მოელვარე თვალები რომ დაინახა, მიხვდა, იმ წუთში რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ვინმესთვის გული გადაეშალა...

– ჩემს ბოსს ვეჩხუბე, ხელსახოცები მივაყარე და სამსახური დავკარგე... – ამოისლუკუნა და უფრო მწარედ ატირდა.

– კარგია, რომ ხელსახოცები ესროლე და მეტი არაფერი – ღიმილით უთხრა კაცმა – თუ დამპირდებით, რომ გაბრაზებისას მეც მხოლოდ ქაღალდის ხელსახოცებს მომაყრით, მე გავხდები თქვენი ბოსი... გავიცნოთ ერთმანეთი, მუჰამედი მქვია – უთხრა მან, ხელი ჩამოართვა და გაოცებულ მაიას ახალ რესტორანში შეუძღვა...

* * *

– მეგობარო, მეგობარო, ერთი ეს მითხარი, რატომ აქვს თქვენს მიმტანს ყველაფერი დიდი? ხა, ხა, ხა... – გადაიხარხარა ბებერმა კლიენტმა და ფაქლავიანი თეფში თავისკენ მიიცურა, რომელიც მოწიწებით მიართვა მუჰამედმა ჩაისთან ერთად.

– ეს ჩაი ნამდვილად უკოფეინოა? არ შეგეშალოს და კოფეინიანი არ მომიტანო, თორემ მაშინ ნახეთ ჩემი აღელვება, როცა თქვენს მიმტანს დავინახავ, ხა, ხა, ხა... – არ ცხრებოდა ბებერი.

– ვფიქრობ საერთოდ უნდა აკრძალოს მუჰამედმა კოფეინიანი ჩაისა და ყავის გაყიდვა თავის რესტორანში. განსაკუთრებული „შიშ-ქაბაბის“ გარდა, აქ ისედაც იმდენი რამაა ასაღელვებელი... – მხარი აუბა ბებერ კლიენტს ერთმა შუახნის კაცმა. ამ დროს მუჰამედი კეთილად იღიმებოდა და მაგიდებს შორის დაქროდა. გვიანი საუზმისთვის რესტორანი ელვის სისწრაფით ივსებოდა ხალხით, მათ მოუთმენლად გადაჰქონდათ მზერა კარიდან კედლის საათისაკენ, რომელიც თერთმეტ საათსა და ოც წუთს უჩვენებდა.

– სადაც არის მოვა, სადაც არის გამოჩნდება... ალბათ მატარებელი შეფერხდა, ხომ იცით ნიუ-იორკის მეტრო?... – აშოშმინებდა მუჰამედი უნებისყოფო კლიენტებს, რომელთაც ერთი სული ჰქონდათ, როდის გამოჩნდებოდა მაია.

– არ არის სასწაული?! – წამოიძახა უცბად ბებერმა. – ეს ფაქლავა ზუსტად ერთი ინჩით დიდია იმ მუჰამედის ფაქლავაზე... – და დატკბილული ორი თითი მოპირდაპირე მხარეს გაიშვირა, საითაც ყველამ უნებური მზერა მიაპყრო...

გზის იქით მოჩანდა გამოცარიელებული რესტორანი. მუჰამედი ახლადშეძენილი დიდი წითელი ბუზის სახოცით დასდევდა განწირულ ბუზს, რომელიც ის-ის იყო შეფრინდა ატლანტიკ ავენიუდან. აგვისტოს ნიუ-იორკის საშინელ ხვატში თუ რატომ გააღო ფანჯარა, ამის მიხვედრას ხომ დიდი ფილოსოფია არ სჭირდება. უბრალოდ, ბიზნესის დაცემის გამო, მეორე დღე იყო, რაც კონდიციონერი გამორთო, რათა ეკონომია გაეკეთებინა.

აგვისტო, 2001 წელი
ნიუ -იორკი

საზიზღარი „მეგაბოლი“

პირველ რიგში, რა თქმა უნდა ცოლს გაეყრება. ისიც იცის, რომელ ვექილს უნდა მიმართოს. თუმცა შეიძლება უკეთესი დაიქირაოს, აი, ისეთი, საათში სამას დოლარს რომ უხდიან. ოთხასს გადაუხდის, ოღონდ სასწრაფოდ მოაშოროს თავიდან ის ქალი და მისი მარწუხებიდან გაათავისუფლოს. როგორც ცოლს, ალბათ ქონების ნაწილი იმასაც შეხვდება, მაგრამ კარგი იურისტის დახმარებით იმ თანხას უსათუოდ მინიმუმამდე დაიყვანს. რა თქმა უნდა, შვილებსაც დაუტოვებს სამყოფს და შემდეგ მათი თვალით დანახვაც აღარ უნდა. ან კი რა დასანახები არიან? ერთმა მთელი ტანი სულ მოიხატა, ჭიპზე და ენაზე საყურეები გაიყარა, მეორემ კი... ეჰ, ლაპარაკიც არ ღირს მასზე. თუ გგონიათ, თავად იდარდებენ მამაზე, ძალიან ცდებით! მათ მხოლოდ ფული მიეცი და მამა ფეხზე კიდიათ.

თავიდან მოიშორებს თუ არა ოჯახის წევრებს, შემდეგი ნაბიჯი ნიუ იორკიდან გაქცევა იქნება. დიახ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. სასწრაფოდ დატოვებს ამ ჭუჭყიან და ხმაურიან ქალაქს და კალიფორნიას მიაშურებს, ისე, რომ უკან აღარ მოიხედავს. მართალია, კალიფორნიაში არასდროს ყოფილა, მაგრამ გადმოცემით იცის, რომ იქ სივრცე და სისუფთავეა, ლაღი ცხოვრებაა. ნეტავ რა დარჩენია ამ ნიუ იორკში? აქვს კი რაიმე კარგი მოსაგონარი? არაფერი... მხოლოდ დილის ოთხ საათზე ადგომა და აუარებელი საათი მუშაობა, რათა როგორმე ამოუქოლოს დაღებული ხახა ბინის მფლობელსა და თავის ოჯახს. ეს ქვის ცათამბჯენები კარგა ხანია, სულს უხუთავს და მაჯლაჯუნასავით აწვება გულზე. დიდი ხნის წინ მოშორდებოდა ამ ჭაობს, თავისი ოჯახის წევრები რომ არა, რომელთაც რომ ჰკითხო, ერთი დღე ვერ წარმოუდგენიათ სიცოცხლე ნიუ იორკის გარეშე. ის კი აქეთ საერთოდ აღარ გამოიხედავს და ქვას წაღმა გადააგდებს. ღმერთმა მოახმაროთ თავისი ნიუ იორკი.

კალიფორნიაში ერთ ძვირადღირებულ სახლს იყიდის, აუცილებლად აუზით და პირველად რასაც მოიმოქმედებს, კარგად გამოიძინებს. ალბათ ორი კვირა მაინც უნდა იძინოს გადაბმულად, რომ წლების მანძილზე დაგროვილი სტრესი და დაღლილობა მოიხსნას. ბოლო ოცი წელია, ნორმალური დასვენება არ ღირსებია. აბა, ის რა შვებულება იყო, შვიდი წლის წინ 5 დღით „აფსტეიტში“ რომ ავიდა.

გამოძინების შემდეგ რა მოხდება, უკვე აღარ იცის. მისი წარმოსახვის ჰორიზონტი ამას ვეღარ სწვდება და თავსაც არ ატანს ძალას. რა თქმა უნდა, იცხოვრებს ისე, როგორც ყველა მილიონერი...

პირველ რიგში კი ეს მილიონი უნდა იშოვოს. როგორ? ამას ხომ დიდი ფილოსოფია არ სჭირდება.

ზოგიერთებივით არც ჰოლივუდის ვარსკვლავობაზე ოცნებობს, არც პრეზიდენტად წარმოუდგენია საკუთარი თავი და ნიუ იორკის მერობაზეც სასტიკ უარს ამბობს.

უბრალოდ, ლოტო უნდა რომ მოიგოს. ალბათ უკვე დიდი ხნის მოგებული ექნებოდა, ორი რამ რომ არ უშლიდეს ხელს – ცოლი და „მეგაბოლი.“ დიახ, რომ არა მისი ცოლი, დღეში 5 დოლარის ნაცვლად, 20 დოლარისას ითამაშებდა და იქნებ დამთხვეოდა კიდეც ის საზიზღარი „მეგაბოლი.“

– ყოველდღე შენს ნაშრომ 5 დოლარს ნაგავში ყრი. აბა გამოთვალე, წელიწადში რამდენ ფულს ხარჯავ. მოთამაშე ხარ, ნამდვილი მოთამაშე! – ეწუწუნება ცოლი ყოველ საღამოს.

– კი, გეთანხმები, მაგრამ ხომ შეიძლება, გაგვიმართლოს?! – თავს იმართლებს ტონი. – აბა, წარმოიდგინე, როგორ შეიცვლება ჩვენი ცხოვრება. მანჰეტენზე, „ცენტრალ პარკთან“ ვიყიდით სახლს. ლიმუზინი მოგვემსახურება. თმას, მანიკურსა და პედიკურს სალონში გაიკეთებ. საკუთარი მასაჟისტი გეყოლება. ბოლოს და ბოლოს ამ ჩინურების ჭამა მაინც არ მოგბეზრდა? ფრანგულ რესტორანში ივლი. „კანვოის“ ნაცვლად ,,საკს ფიფს ავენიუში“ ივაჭრებ.

– იცი, რას გეტყვი? თამაშს თუ თავს არ დაანებებ, ამაზე უარეს დღეში ჩავვარდებით, – არ ცხრება ცოლი.

ტონი, რა თქმა უნდა, თავისას არ იშლის და ყოველ დილას, რვა საათზე, გაიღება თუ არა თავისი სამსახუ-

რის მოპირდაპირე ქუჩაზე მდებარე მაღაზია, თავქუდმოგლეჯილი გარბის ლოტოს საყიდლად. ამ ერთი ციდა ადგილზე, სადაც გაზეთები და ჟურნალები იყიდება, ლოტოს მანქანაც დგას და იმდენი ხალხი იყრის თავს, ხშირად რიგშიც უწევს ჩადგომა. ამ დროს ათასგვარ ჭორებს ისმენს. ვინ მოიგო, ვინ არა. ზოგი პესიმისტი ხვდება, ზოგი ოპტიმისტი. ზოგიერთებს სასაცილოდაც არ ჰყოფნით ლოტოზე იმედის დამყარება. – იცინონ და იყონ, – ფიქრობს ტონი, – ეს 5 დოლარი მე არც გამამდიდრებს, არც გამაღარიბებს, მაგრამ ამავე დროს შანსი მაქვს, რომ მილიონი მოვიგო. თუმცა დღეში 20 დოლარისას რომ ვთამაშობდე, შეიძლება დამთხვეოდა კიდეც ის საზიზღარი „მეგაბოლი.“

ამ დროს სამსახურში ტონის ბიჭები სულმოუთქმელად ელოდებიან, რომ ამგვარი დიალოგი გაუმართონ.

– ტონი, გაიგე? სამშაბათის ლოტოს ვერავინ გაარტყა, ამიტომ თანხა 120 მილიონამდე ავიდა.

– ოოჰ, კარგით ერთი, – წამოიყვირებს ტონი აგრესიულად, – 120 მილიონი! რად მინდა 120 მილიონი? მომეცით ერთი მილიონი და სრულიად საკმარისი იქნება ჩემთვის. დამიჯერეთ, ველარასოდეს მნახავთ თქვენს სიცოცხლეში, შეიძლება ერთი შეტყობინება გამოგიგზავნოთ... არა, არა, – ხელებს ასავსავებს ტონი, – იმასაც არ გამოგიგზავნით, იმ წუთში დაგივიწყებთ, ვითომც არც მცნობიხართ.

მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

– ტონი, თუ ნატვრაა, ნატვრა იყოს. ერთი მილიონი ვერაფერს გიზამს, ძველი დრო კი არ არის. ახლა თურმე ისე ჩქარა იხარჯება, უცბათ გიქრება ხელიდან. მერე არ დაგავიწყდეს, სახელმწიფო ბეგარაც ხომ უნდა გადაიხადო და რაღა დაგრჩება? არაფერი, – ეუბნება ერთ-ერთი თანამშრომელი.

– თქვენ დაწყნარდით! დაწყნარდით! რატომ ნერვიულობთ ჩემს მაგივრად? ისე კარგად ვიმყოფინებ, როგორც დაგიბარებიათ.

– ტონი, იცი რაზე მწყდება გული? – ეუბნება ახალგაზრდა თანამშრომელი, – კარგი, მე გუშინ მოვედი ამ კოლექტივში, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, როგორ დაივიწყებ შენს მეგობრებს, რომლებთანაც 15 წელია, მუშაობ?

– ეჰ, „ბულ შიტია“, „ბულ შიტი,“ – არ ცხრება ტონი, – მე სიმართლეს ვლაპარაკობ. შენ რომ მოიგო, რას იზამ, რა 20% მოგვცემ?

– ყველას 10 ათას დოლარს დაგირიგებთ. მეტს ვერ დაგპირდებით.

– ააა, „ბულ შიტია“. 10 ათას დოლარს კი არა, ათ ცენტსაც არ მოგვცემ. ისე გაქრები, რომ ცვლის დამთავრებასაც არ დაელოდები.

– მართლა, ტონი, ვთქვათ, მოხდა სასწაული და მართლაც გაარტყი, ოღონდ აქ, მუშაობის დროს რომ შეიტყო შენი მოგების შესახებ, დაელოდები ცვლის დამთავრებას? – ეკითხება მეორე გასართობად.

– გიჟი ხომ არ ხარ. რას ჰქვია დაველოდები? რომ მოიხედავთ და ვეღარ დამინახავთ, ტუალეტში გეგონებით, რომ არ გამოვჩნდები და მეორე დღესაც არ დავბრუნდები, აი, შემდეგ მიხვდებით, რაშიც არის საქმე.

ტონის გულახდილობა კაცებს სიცილს ჰგვრით და მისი აგრესიული კილო სულ არ აღიზიანებთ. იციან, რომ ტონი ცხოვრებამ ნერვიულ ადამიანად აქცია.

– ეჰ, ტონი! – ეუბნება ერთ-ერთი თანამშრომელი, – შენ იმით ხარ ჩემზე ბედნიერი, რომ იმედი მაინც შემოგრჩა. მე ეგ იმედი დიდი ხანია, დავკარგე. მომკალით და, იცი, რა მგონია? რა ციფრიც უნდა აღვნიშნო, იმას აღარ გაითამაშებენ. ახლა ძველი დრო ხომ არ არის? კომპიუტერი ყველაფერს ხვდება, ხალხო, ყვე-ლა-ფერს.

– ძალიან მიჰქარავ, რომ ასე ფიქრობ. აბა, გაიხსენე!? რამდენმა საწყალმა და ბებერმა ადამიანმა მოიგო ამ ბოლო დროს? – პასუხობს აღშფოთებული ტონი.

– ამიტომაც არავინ მომაგებინებს. მოაგებინებენ ვინმე ბეხრეკს, 100 წლისას, ერთ წელიწადში რომ მოკვდეს და ფული უკან წაიღონ. ვიცი, ჩემო ძმაო, მაგათი ოინები, ვიცი...

– ყველაზე ძალიან, იცით, რა მეჯავრება? სამრეცხაოში სარეცხის დარეცხვა და სუპერმარკეტში საჭმლის ყიდვა. მერე რამხელა რიგებია კვირაობით, რამ გადარია ეს ხალხი, არ ვიცი. ხანდახან ორი საათი მიწევს ლოდინი. ლოტო რომ მოვიგო, ყოფითი პრობლემები აღარ შემაწუხებს, ჩემს გემოზე წამოვწვები, ვიკითხავ და ვიკითხავ, – ამბობს მეოცნებე თანამშრომელი, რომელიც შემთხვევით

არის იქ მოხვედრილი. კაცებს მისი ნატვრა სასაცილოდ არ ჰყოფნით.

– ოჰ, ეს საზიზღარი „მეგაბოლი“ არ მიშლიდეს ხელს? აქამდე ალბათ ცხრაჯერ მოვიგებდი, – ჩაილაპარაკებს ტონი და აგრძელებს მუშაობას.

* * *

საღამოთი სამსახურიდან სახლში უფრო გაღიზიანებული და საჩხუბრად მომართული ბრუნდება. განსაკუთრებით მაშინ ფიცხდება, როცა კარის შეღებისთანავე ნაცნობი სუნი ეცემა ხოლმე ცხვირში.

– ისევ ჩინური შეუკვეთე? ნუთუ არ მოგბეზრდა ყოველდღე ერთი და იგივე? – გამოსცრის ხოლმე კბილებიდან.

– მეც ვმუშაობ, ვაჟბატონო, შენზე ნახევარი საათით ადრე შემოვდივარ სახლში. როდის გავაკეთო საჭმელი? – პასუხი მზად აქვს ცოლს.

– უბრალოდ, ზარმაცი ხარ, ზარმაცი, – ჩაიბურტყუნებს ტონი და შხაპის მისაღებად გარბის, რათა სასწრაფოდ ჩამოიბანოს მთელი დღის ჭუჭყი და დაღლილობა, მაგრამ არც ამას მოჰყავს გუნებაზე. ცოტა ხანში მაცივარს ათვალიერებს და პირიდან სულ ლამაზ-ლამაზი სიტყვები ამოსდის. მაგრამ მეტი გზა არ აქვს და იძულებულია, კვლავ ჩინურ, იაფფასიან სასადილოში შეკვეთილ ბრინჯიან ქათამს მიაძღეს. დრო რომ არ დაკარგოს, სათვალეს იკეთებს და უშველებელი პურის დანით ფხრეწს მაგიდის ბოლოში დაგროვილ ბარათებს, რომლებშიც ტონის გასავალი, სულ კაპიკ-კაპიკ არის აღრიცხული. დაკვირვებით აშტერდება თითოეულ ფურცელს და თან ხელში დანას ისე ატრიალებს, თითქოს გადასახადების შეშინება სურსო, მაგრამ ამაოდ.

– ვინ დახარჯა „დუან რეიდში“ 42 დოლარი? – კითხულობს აღშფოთებით ტონი?

– ტრამპი მოვიდა და იმან ივაჭრა შენი საკრედიტო ბარათით. ალბათ შენმა ქალიშვილმა, სხვა ვინ დახარჯავდა?

– რატომ აძლევ თინეიჯერს საკრედიტო ბარათს? – ხმას უწევს ტონი.

– ახალგაზრდა გოგოა, იქნებ უნდა რამე იყიდოს?

– კი მაგრამ, ქალო, რა უნდა იყიდოს „დუან რეიდში“ 42 დოლარის?

– მაგალითად, შამპუნი, კონდიციონერი, ქალის ტამპონები, ლოსიონი და ა. შ. გამოთვალე, კარგად გამოთვალე, რამდენი ჯდება?

– ვაი, ტამპონებით გაქვთ სავსე თავი... – ბურტყუნებს ტონი და შემდეგ სხვა ქვითარს აშტერდება.

– რას ნიშნავს ეს? „ამერიკან ონლაინმა“ ისევ მოხსნა 24 დოლარი? კი, მაგრამ წინა თვეში ხომ გადავიხადე?

– რამდენჯერ აგიხსენი, რომ ეს თვიური გადასახადია. ბავშვები ყოველთვე სარგებლობენ ინტერნეტით. – ნერვები აღარ ჰყოფნის ცოლს.

– მოიცა, მოიცა, მოიცა, ეს რაღა ჯანდაბაა!? 106 დოლარი ბროდვეის შოუს ბილეთში? – მოთმინებიდან გამოდის ტონი და დანამომარჯვებული ფეხზე წამოხტება. მაგრამ ოჯახში მისი არავის არ ეშინია. ცოლი სოიოს საწებელას ასხამს ბრინჯს და ქათმის ძვალს ღრღნის.

– შენს ვაჟს უყვარს ხელოვნება, თეატრი. ეს ხომ ძალიან ცნობილი შოუა, „პროდუსერები,“ „პროდუსერები, – ყურში ჩაჰყვირის ცოლი.

– იმათ ისიც ეყოფათ, რომ პროდუსერები არიან, მე 106 დოლარი რომ არ ვაჩუქო. იცი, რამდენი ფული აქვთ, ქალო, მაგათ, იცი? – ყვირის ტონი და სულ რომ არ გაგიჟდეს, ლოტოს ბილეთის მოსაძებნად გარბის, რათა გული დაიმშვიდოს იმ იმედით, რომ შეიძლება ასეთი საღამო აღარასოდეს განმეორდეს მის ცხოვრებაში.

– ბავშვებისთვის არაფერი გემეტება, თვითონ კი კარგად თამაშობ, მოთამაშევ! – წამოხტება ცოლი და უკვე გამოცარიელებულ პლასტმასის ყუთს სანაგვეში ისვრის.

– ეს არ არის თამაში, – ხმას დაბლა უწევს ტონი, რადგან უკვე მის მიერ ამორჩეულ ლოტოს ციფრებს ჩასჩერებია და ცდილობს, ფილოსოფიურად განჭვრიტოს, რომელი ციფრი შეიძლება იყოს მომგებიანი. მას უკვე აღარ ესმის ცოლის წივილ-კივილი, მისაღები ოთახისკენ მიისწრაფის, რათა ტელევიზორს მიუჯდეს, რომ ლოტოს გათამაშება არ გამორჩეს. შესასვლელში თავისი გოგოს ძვირადღირებულ ბოტასს თუ წამოჰკრავს ფეხს, აუცილებლად ხელს დაავლებს, სამზარეულოს მიმართულებით გაქანებს და დაიყვირებს, – აი, რაში იყრება ჩემი შრომა! ცოლი ცოტა ხანი კიდევ აგრძელებს წივილ-კივილს, შემდეგ კი დემონსტრაციულად გადაჭრის მისაღებ ოთახს და საძინებელში იკეტება.

სახლში სიწყნარე და სიმშვიდე ისადგურებს. მხოლოდ მე - 5 არხის წამყვანის მონოტონური ხმა გაისმის, რომელიც გამუდმებით გადმოსცემს, ვინ მოკლეს ნიუ იორკის ამა თუ იმ უბანში.

ამ დროს ლოტოს ბურთები ტონის ტვინში ერთად იყრიან თავს. თითქოს ქარი ამოვარდაო, ტრიალს იწყებენ, ფარფატებენ, მოძრაობენ, შემდეგ ერთ მწკრივად ეწყობიან და ზუსტად ისეთი განლაგებით, როგორც ტონიმ მონიშნა ფურცელზე, მოაბიჯებენ. აი, ბოლოში „მეგაბოლი“ მობრძანდება. ის გაბღინძული მოდის და პატარა ხელით მუცელზე ძნელად გასარჩევად ამოჭრილ ციფრზე მიანიშნებს ტონის. ამით თითქოს ეუბნება, – აი, ეს მე ვარ, მე! და თუ გამომიცნობ დღეიდან მორჩა შენი წამება ნიუ იორკშიო.

* * *

– ფუი ეშმაკს! ისევ ამ საზიზღარ კაცთან უნდა გავათიო ღამე?! – ნერვიულად ჩაილაპარაკებს ტონის ცოლი და საძინებელში მდგარ პატარა ტელევიზორს ხმას აწყვეტინებს. შემდეგ სასწრაფოდ ანადგურებს იმ დღით შეძენილ ოცი დოლარის ღირებულების ლოტოს ბილეთებს. თმას სარკის წინ ჩქარ-ჩქარა ისწორებს, ხალათს რაც შეიძლება უკან მიასრიალებს, რომ ფეხები კარგად გამოაჩინოს და მომაჯადოებელი ღიმილით ფართოდ აღებს საძინებლის კარს.

– არაფერია, ძვირფასო? – ეკითხება ქმარს.

– ხომ იცი, ეს საზიზღარი „მეგობოლი“ რომ არა... – ბურტყუნებს ტონი მოთვინიერებული ვეფხვივით და იწყებს თავის მართლებას.

– ჩქარა, ჩქარა, მოდი, საყვარელო, ხომ იცი, დიდი დრო არ გვაქვს, ხვალ უთენია ხარ ასადგომი, – სიტყვას აწყვეტინებს ცოლი.

2004 წელი
ნიუ იორკი

ნაილი ნეკერიშვილის პოეზია ისე ჰგავს თავის ავტორს, როგორც ალბათ არცერთი პოეტის ლექსები მის დამწერს. მისი არსებობა, მისი ყოველი ჟესტი სამადლობელია ღვთისა, რომელმაც სიცოცხლე უბოძა და სამყაროს უთვალავი ფერით ტკბობის საშუალება მიანიჭა.

ეს მადლიერება ძალდაუტანებლად ჟონავს ნაილი ნეკერიშვილის თითოეული ბწკარიდან, რომელთაც შიგნიდან ანათებთ მოყვასის უდიდესი სიყვარული და უფლის სასოება. ასე უბრალოდ, უპრეტენზიოდ ყვავიან ქართლის მინდვრებზე, ფლევის ტყესთან მიმობნეული ღიღილოები... მაგრამ რა ცარიელი იქნებოდა ეს მინდვრები ამ ღიღილოთა გარეშე...

ნაილი ნეკერიშვილი

* * *

უფალო! თუ გსურს, ჩაიხედე
სარკეში,
რომელშიც ჩიტები ბინადრობენ
და შენს დიდებას მღერიან
ჰაერის სიმსუბუქეში,
რომ ამ ქვეყნიდან სიყვარულმა
შენამდე ამოაღწიოს.

* * *

რა უზარმაზარი თავდადებაა
საჭირო,
რომ ეს მტკავლისოდენა
მიწა აყვავილდეს,
ნატვრის ხის კენწერო ცამდე
აიწიოს
და ოქროს ეჟვნებმა წკარუნით
ამცნონ ქვეყანას
საკვირველი ფრინველის –
სიყვარულის დაბრუნება.

* * *

ეს საწყალი პატარა ანგელოზები,
რომელთაც სიყვარულზე ზრუნვა
დაევალათ,
მინდორ და ტყე-ტყე დადიან,
ჩიტებისა და პეპლების ანაბარად,
რადგანაც ჩვენ გულის კარები
დავხურეთ.

* * *

მშვიდობა ყველას! – აი, ჩემი
პირველი ლოცვა,
როცა ყვირილი შემზარავი
გააპობს ჰაერს
და მეყვსეულად მიაშურებს
მშველელს და პატრონს,
თან წაჰყვება მას ეს მცირე
თხოვნა და ცრემლი.

* * *

უფალო! შეიწყალე ისინი, ვინც
ჩვენგან წავიდნენ,
ნათელსა და სიხარულში ამყოფე
და თუ უკვე ნათელსა და
სიხარულში არიან,
კვლავ გაიხსენე მათი კეთილი
საქმეები
და სიხარული მიუმატე.

* * *

ფუტკარო! გაფრინდი სიტყვის
მინდორზე
და არაჩვეულებრივი ყვავილების
ნექტარი მოიტანე,
რომ პაწაწინა ბუდეებში
სიყვარული ჩაასხა და დაარიგო.

* * *

გულის მდინარეში, სევდის
ყინულოვან ნამტვრევებს ვყრი,
რომ ლოტოსის ყვავილები
გავშალო
და გულგრილობით მოყენებული
ტკივილი
დავიწყების უფსკრულს მივაბარო.

* * *

ამეკვიატა სიხარული,
მიბმული ვარ სიზმრის ბადეზე,
ცოტათი ვღელავ,
რაღაც კარგის მოლოდინი მაქვს,
თუ ეს იმედიც გამიცუდდა,
ძილმა მომკვეთა,
გაღვიძების დაფდაფები რაღად
დაჰკარით.

* * *

ჭირვეულია ჩემი ბავშვი –
სიყვარული,
მკლავები დამიმძიმა და
ცრემლი დამიშრო,
რომ ქალის რძეში ნაბანავებს,
ერთგულების სიხარული მიეღო.

* * *

ეს, გულმა გაშალა ცისფერი ქოლგა,
სისხლის წვიმების დროს,
რომ დედამიწის პატარა ნაგლეჯი
აეყვავებინა
და მოცეკვავე ჩიტუნები ანგელოზებად
ექცია.

* * *

დავსევდიანდი, ამეწეწა ისევ
ფიქრები,
ლაბირინთში ვარ, გაქრა იმედი –
ძაფის გორგალი,
ცრუ რომ ვიყო აქ ყვავილებს
შემოვიტანდი
და მინოტავრის სავარძელთან
ზვინებს დავდგამდი.

* * *

უფალო ჩემო! ნუ ჩამოსხი
შენი კალთიდან,
ამ ძვირფას თვალებში
მცირე კენჭსაც მომეცი სითბო,
რომ ფერშეცვლილი,
თვალისმომჭრელ შუქში
შევიდე.

* * *

გულსავსეა გაზაფხული
პირმოცინარი –
დედამიწის მწვანე დედოფალი,
ბალახის ფარდაგით იარების
მომშუშებელი,
ჩიტებისა და პეპლების საბუდარი.

* * *

იცოცხლე ჩემო სიხარულო! –
ცრემლების ნაკადულო,
უჩინმაჩინის ქუდით თავდახურულო.

* * *

იმედი ჩემი რამ შეჭამა
იების ველზე,
საიდან მოდის ჭიანჭველების
ეს შავი ჯარი,
რომ ყვავილების თვალები
და გული გამოხრან.

* * *

ეს არის ქვის ქალაქი, –
უსიყვარულოდ დარჩენილი,
სადაც შეშლილივით დადის
გაზაფხული,
რომ გაყინული გული და
თვალი ააყვავილოს.

* * *

მამულო! გესმის დაფდაფების
ხმა?
რომელთაც შენი შვილები
უკრავენ,
რომ მსოფლიოს სიხარულში
შეხვიდე
და სისხლით ნახატი ყვავილები
უჩვენო.

* * *

ისე დამღალა უმწეობამ,
ჭრილობებმა, მრისხანების
დროშის ფრიალმა,
რომ სიხარული დამავიწყდა,
ფრთები დასველდა
და გუგებზე ვარსკვლავების
ცეკვა დასრულდა.

* * *

ოჰ! ეს უმძაფრესი დაღლა
და საზარელი ტკივილი ჯვარზე
გაკრულისა,
გულის წასვლათა შორის თვალის
გახელა,
რომ სისხლისფერ ბურუსში
სიყვარულის ცრემლი დაინახოს.

* * *

უფალო! შემიწყალე მაშინ,
როცა სიკვდილი მკერდს შემიკრავს,

გაბრწყინებულ სიმაღლეს ააცურებს,
რომ უფსკრულის წყვდიადში ჩაკეცოს
და სიყვარულით აძგერებული გული
გააჩეროს.

* * *

სამშობლო არის გულის ფიცარზე
დახატული მზეთუნახავი,
დღისით და ღამით სუნთქვით
გამთბარი,
დღისით და ღამით სისხლით ნაბანი,
სიცოცხლის ფასად შესყიდული
მიწის ზღაპარი.

* * *

იმედის გაზაფხული მოგვიტანე
სიხარულო,
რომ შენ მშვენიერ სინორჩეში
ბედნიერება მღეროდეს,
შადრევნები იცინოდეს
და ხელიხელ ჩაკიდებული ადამიანები
ერთმანეთით ხარობდნენ.

* * *

უფალო! სინანულში შევედი
და ვიტანჯები,
რადგან ყურის ძირში წივის
სიკვდილი –
საშინელება დამამხობელი
და მიწისათვის ლუკმის მშოვნელი.

* * *

ბობოქარი სიცოცხლე
შენობას გარედანაც ეტყობა,
აი! თუნდაც ეს, – როგორ ჩაქრა,
აქ თაფლის სანთლები იწვოდა,
რომ სული იყინებოდა
და სიტყვები კვდებოდა.

* * *

გული მომეწურა,
როცა ტაძრის კუთხეში მივედი
და პატარა მათხოვარს თვალებში
ჩავხედე,
რომ ყინულის ტბებზე,
ლურჯ სიცარიელეში,
სანთლები ამენთო.

* * *

პაწაწინა ორმოები,
ჩვენ მარადიულ სახლებად
ვაქციეთ
და მიწას შევუერთეთ,
ბალახო! იმღერე იმ იდუმალ
სიზმრებზე
რომელსაც წარსული დაატარებს.

* * *

მოდი ვანანაოთ ის სიხარული,
რომელმაც თვალები ყვავილებით აგვივსო,
სიცილით გაგვათბო,
სიმღერით დაგვატკბო
და ფრინველებად გვაქცია.

* * *

გმადლობთ, უფალო, ხელში
რომ ამიყვანე,
როცა უიმედოდ ვეგდე ზღვის
ნაპირზე
და ქარაშოტი დამკიოდა.

* * *

უმძიმესია სიყვარული,
როცა სიტყვის დაძვრაც
არ გინდა,
რადგანაც გვერდზე ჩაგიარა
და მიგატოვა,
სისხლი და ცრემლი გამოგწურა
ჩრდილად გაქცია,
გულის გულში მოიკეცა და
მიიძინა.

* * *

სინათლეო! ჩემო სინათლეო!
საიდან მოდიხარ გაყინული
გულის ასაძგერებლად,
უფსკრულების ამოსავსებად
ჩინართა შესარხევად,
აყვავებული მინდვრის
ასამღერებლად.

* * *

სიყვარულო! როგორ გავძლო
უშენოდ ცივ საკანში,
ცრემლისაგან დაშრეტილმა,
გველთაგან დაგესლილმა,
სასოწარკვეთილებაში ჩამდგარმა,
უსიტყვოდ, უპასუხოდ, უდღეოდ.

* * *

უსასრულობის უკაცრიელ მინდორს
მივყვები,
არსად შუქი, არსად იმედი,
დაცლილი ვარ სიმხნევისაგან,
დამსისინებს მაღლიდან შიში,
არვის და ნურვის ქარაშოტთა მესმის
გრიალი
და მხოლოდ ცრემლით მიმაქვს სახე
სიყვარულისა.

* * *

ძვირფასო! მინდა შემოგეგებო
და ასე გითხრა:
– ყავლი გავიდა გაზაფხულის,
აშრა მინდორი,
მზემ ბატონობა მიიღო დიდი,
სუნთქვა შეიკრა,
მიწა სწვავს შიშველ ფეხისგულებს
და ბატების ყიყინი მესმის წყაროსთან
ახლოს
ორღობეში გადაკარგულ ბავშვობას
ვეძებ.

* * *

ისევ ავამზიურე საკვირველის
ფრთები,
ათასწლოვან ხალიჩას მოვაცილე
მტვერი,
უღრანიდან გამოდის ფეხშიშველი
ზღაპარი,
ნაცრისფერი ჩიტის აუხსნელი
ოცნება.

* * *

უეცრად ჩაქრა, კიბე ვეღარ ამოიარა,
ცოლის კივილზე მხოლოდ ოდნავ
ასწია წარბი,
ხეივნიდან აშუქებდა ალექსანდრული,
წელს ნამეტნავად მსხმოიარე და
დატკვერილი
სუფრის თავში მიძინებულ თამადას
ჰგავდა.

* * *

უფსკრულის პირას დავიარები,
ცრემლი ჩამომდის გულის
ტკივილის,
არსად საშველი, არსად თბილი
ხელისგულები,
სად არის კიბე იაკობის – ბედის გამოხსნის.

* * *

უფალო! მომართე ჩემსკენ
სიხარული,
რომ სიყვარულის შუქმა
თავზარდამცემი უფსკრულებიდან
სიცოცხლე აღმოაცენოს.

* * *

სად უნდა წავიდნენ ჩვენი გულის
თეთრი პეპლები –
სიკეთე და სიყვარული,
სიძულვილისა და ბოროტების
ხანძრების დროს,
სად უნდა მოძებნონ მშვიდობის ველი?
სულის მოსათქმელად და უკან
დასაბრუნებლად.

* * *

გადავიღალე, გული გაჩერდა,
რაღაცამ ისე შემაშინა და
გამაქვავა,
რომ აღარ მესმის,
თოვლის წყლების სიხარული –
თავისუფლება
და მიწის პირზე მოწოლილი
ჯეჯილის სუნთქვა.

* * *

ჩვილი ჩემი – სიყვარული
დაიღალა ტირილისაგან,
ნესტსა და სიცივეში თვალებაკრული,
უმზეობით გაყვითლებული,
ურძეოდ და უსიხარულოდ
დარჩენილი.

სიმონ ლეისი

მწერლები და ფული

I
წერო, რათა იშოვო ფული თუ იშოვო ფული, რათა წერო?

არ არის მზისქვეშეთში საკითხი, რომელიც სემუელ ჯონსონის სიბრძნეს არ გაუბრწყინებია თავისი უჩვეულო პარადოქსებით. იმ თემასთან დაკავშირებით, რომელზეც დღეს მინდა ვისაუბროთ, იგი ამბობდა: „არცერთი ადამიანი, თუ ის სრული იდიოტი არ არის, არასოდეს მოისურვებს, რაიმე დაწეროს, თუ ამისათვის არ გადაუხდიან.“ ერთგულმა ბოსუელმა კეთილსინდისიერად ჩაინიშნა ეს სიტყვები, მაგრამ გაოგნება ვერ დაფარა: ალბათ მეტრმა ხუმრობა ინება! განა მწერლობის სამსახურში გატარებული მთელი ცხოვრების კეთილშობილური და დაუღალავი მოღვაწეობა არ აბათილებს ამ ესოდენ ცინიკურ განაცხადს?

ჰოცა და არაც. ერთი მხრივ, კარგად გვახსოვს, თუ როგორ შეთხზა ჯონსონმა რამდენიმე კვირაში თავისი მშვენიერი ღასსელას, მხოლოდ იმისათვის, რომ დედის დაკრძალვის ხარჯი გაესტუმრებინა. სიღარიბით შევიწროებულს შეეძლო ამ უზარმაზარი მიგნებისათვის ასპარეზიც დიდი მიეცა, მაგრამ მისი ბუნებრივი მიდრეკილება აპათიისადმი არანაკლებ კოლოსალური აღმოჩნდა. სიბერეში, როდესაც უკვე შეეძლო მოკრძალებული კეთილდღეობით დამტკბარიყო, მისი ლიტერატურული პროდუქცია საგრძნობლად შემცირდა. ბოსუელს, რომელმაც მოწიწებით იკითხა ამ შედარებითი უსაქმობის მიზეზი, მწერალმა მიეთმოეთის გარეშე უპასუხა: „არა, ჩემო ძვირფასო, მე სულაც არა ვარ ვალდებული, მეტი გავაკეთო. რა საჭიროა, საკუთარ შესაძლებლობებს მიღმა წახვიდე. ადამიანმა ცხოვრების ნაწილი მაინც თავის თავს უნდა შემოუნახოს.“

ამ შეხედულებებს ჯონსონის ეპოქის ყველა დიდი მწერალი როდი იზიარებდა. ვოლტერი, მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ ფულისათვის ეწერა, ფულს შოულობდა, რათა წერა შეძლებოდა. გონივრული ინვესტიციებისა და მოხერხებული ფინანსური სპეკულაციების მეოხებით მნიშვნელოვანი ქონება დააგროვა, რამაც თავისუფლად წერის საშუალება მისცა: საფრანგეთისა და ჟენევის საზღვართან, ფერნეის სამფლობელოში ისე შეიყუჟა, როგორც კატა მესერზე, და როცა ცენზურა ერთი მხრიდან შეუტევდა, თავს მეორე მხარეს შეაფარებდა ხოლმე. რაც შეეხება რუსოს, ადამიანურ სისუსტეთა მიუხედავად, სულის ჭეშმარიტი კეთილშობილება ახასიათებდა; ვოლტერზე ნაკლებ როდი სწყუროდა თავისუფლება, მაგრამ ფულისადმი გულგრილი იყო. მთელი განათლებული ევროპა ერთმანეთს ხელიდან სტაცებდა რუსოს წიგნებს, მაგრამ იმ ხანაში, რომელმაც არ იცოდა კოპირაითი, წარმატებას ავტორისათვის დიდება კი მოჰქონდა, მაგრამ მისი დაპურება არ შეეძლო. სიცოცხლის მიწურულს უარი თქვა გულუხვ მეცენატთა შეთავაზებებზე და თავს ნოტების გადაწერით ირჩენდა: ზუსტად გამოიანგარიშა, რამდენი გვერდის გადაწერა სჭირდებოდა ყოველდღიურად, რათა თავის უბრალო მეურნეობას გაძღოლოდა; ამ „კვოტას“ რომ მოაგროვებდა, დარჩენილი დღე თავისუფლად შეეძლო განეკარგა. აი, ასე ჰქონდა მორიგებული ნივთიერი დაცულობა და შინაგანი მშვიდობა: „ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მწერლის მდგომარეობა გამოჩენილი და პატივსაცემი მაშინ იქნებოდა, თუკი მწერლობას ხელობად არ აქცევდა. ძალზე ძნელია კეთილშობილურად იფიქრო, როცა მხოლოდ არსებობაზე ფიქრობ.“

მწერლები, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე სამეფო კარის ან არისტოკრატიის მფარველობით სარგებლობდნენ, გრძნობდნენ, როგორი პროგრესიით იზღვეოდა მათი არსებობა გამომცემლობებისა და წიგნის მაღაზიების კომერციული აქტივობის განვითარების კვალდაკვალ. მაგრამ თანამედროვე საგამომცემლო საქმე მხოლოდ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა თავის პიროვნულ ურთიერთობებთან ერთად ავტორსა და გამომცემელს შორის, ურთიერთობებთან, რომლებიც ინტიმურიც იყო და ხშირად რთულიც. ჩვენი დროის მწერალთა გარკვეული რიცხვის შეხედულებებს კარგად შეაჯამებდა ედმუნდ უილსონი: „ყველა გამომცემელი ქოფაკია“. მაგრამ ხანდახან გამომცემლებიც არ გამოირჩევიან მაამებლობით. გასტონ გალიმარი, მაგალითად, ამბობდა: „ავტორი, მწერალი ხშირ შემთხვევაში ადამიანი არ არის. იგი მდედრია, რომელსაც უნდა გადაუხადო, თუმცა კარგად იცი, რომ ყოველთვის მზადაა, თავი სხვას შესთავაზოს. იგი ნამდვილი კახპაა.“

როდესაც ავტორები მოთქვამენ გამომცემელთა გამო, იერემიას გოდებას, შესაძლოა, განსხვავებული კილოები კი ჰქონდეს, მაგრამ, როგორც წესი, თემა ერთი და იგივეა: ფული. ზოგჯერ ისინი საბრალობლად კვნესიან, როგორც, ვთქვათ, ჰენრი ჯეიმზი გამომცემლისადმი გაგზავნილ ერთ წერილში: „ჩვენს ურთიერთობებში ეკიუთა დამატკბობელი წკარუნი განსაკუთრებით მაშინაა შესანიშნავი, როცა ის არ ისმის“; ზოგჯერ კი ლანძღვაგინების დუჟს აფრქვევენ სელინივით (მიმართავს რა დენოელს): „შესაძლოა, თქვენ არ მძარცვავთ, მაგრამ ჩემს შეხედულებებს ადამიანთა და საგანთა შესახებ მაინც არ შეესატყვისებით!“ ისევ სელინი (ამჯერად გალიმარს პასუხობს, რომელმაც სთხოვა, ცოტა მოეთმინა ავანსის მიღებამდე): „მოთმინება სახედართა და რქიანთა თვისებაა! საძაგელო ბაყალო!... ოჰ, ნეტავ კისერს მოიგრეხდეთ ჩემს კონტრაქტებთან ერთად და დამასვენებდეთ თქვენი ბინძური სიფათის ყურებისაგან!“

მაგრამ ამგვარი ღრიალი მხოლოდ უძლურების პათეტიკური აღიარებაა. როდესაც ერთხელ სიმენონმა მოინდომა გამომცემლის იძულება და იმ კონტრაქტის

შესრულება, რასაც მწერლისათვის სარგებელი აღარ მოჰქონდა, მიზნის მისაღწევად გულცივად გამოიყენა ადამიანური ბუნების შესანიშნავი ცოდნა. დაიანგარიშა, რა დაუჯდებოდა კონტრაქტის გამოსყიდვა და ეს თანხა საბანკო ბილეთებად აქცია. მერე ამ ბილეთებით გამოტენილი პორტფელი გამომცემელს საწერ მაგიდაზე დაუპირქვავა და ერთი ხელის მოსმით მოაგვარა საქმე.

II
სპლინი დღეში
ორ ფრანკად

სიმენონს შეეძლო ასეთი მაგისტრალური აპლომბით მოქცეოდა თავის გამომცემელს, ვინაიდან თვითონვე ფლობდა სერიოზულ ფინანსურ რესურსებს, მაგრამ ბევრ მწერალს როდი ექნება ამგვარი ქმედების მატერიალური გასაქანი. მართალია, არაერთ სახელგანთქმულ მწერალს – ბალზაკს, ჰიუგოს, დიუმას, უოლტერ სკოტს, დიკენსს, მოპასანს – ბევრჯერ მთელი ქონება უშოვიათ (და ზოგჯერ დაუკარგავთ კიდეც), მაგრამ უფრო ხშირად ლიტერატურული გენია ფატალურად მეზობლობს დაუცველობასა და სიდუხჭირესთან. სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორია სავსეა სევდიანი ამბებით. უცხოეთში უკაპიკოდ დარჩენილმა დოსტოევსკიმ „მარადი ქმარი“ დაწერა იმ იმედით, რომ გამომცემლისაგან სასწრაფო დახმარებას მიიღებდა; მაგრამ, როცა ხელნაწერი, ეს მართლაც უკანასკნელი იმედი, ფოსტაში მიიტანა, აღმოაჩინა, რომ გზავნილის საფასურს ვერ გადაიხდიდა. კიდევ უფრო მრუმე ფერებში გვესახება სასოწარკვეთა და გაოგნება, რაც ბოდლერს დაატყდა თავს: ერთ საღამოს ცხოვრების დაისს მიახლოებულმა პოეტმა დაითვალა მთელი შემოსავალი, რაც ოდესმე მის კალამს მოეტანა. ჯამმა 15 892 ფრანკი შეადგინა. მეგობარმა, რომელიც შეესწრო ამ პირქუშ ბუღალტერიას, აღნიშნა: „ამგვარად, ეს დიდი პოეტი, ეს საშინელი და სათუთი მოაზროვნე, ეს სრულქმნილი ხელოვანი ოცდაექვსი წლის შრომის საზღაურად დღეში დაახლოებით ერთ ფრანკსა და სამოცდაათ სანტიმს ღებულობდა“.

ბოდლერს თავად სიღარიბე კი არ თრგუნავდა (ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პოეტის ნაზად მოყვარული დედა არ მიიყვანდა საქმეს უკიდურესობამდე), არამედ ის, რაც ამ სიღარიბის უკან იდგა: წიგნიერი საზოგადოების უხეში გულგრილობა. თუ გვერდით გადავდებთ იმ გულუბრყვილო ავტორთა კერძო პრობლემას, რომლებიც უსინდისო გამომცემელთა ყალთაბანდობის კლანჭებში ექცევიან ხოლმე, გამომცემლის მისამართით გამოთქმული ჩივილი თუ მძვინვარება ფულთან დაკავშირებით არც შიმშილითაა ნაკარნახევი და არც მწერალთა სიხარბით. ის, რის შიმშილსაც უდავოდ განიცდიან მწერლები, პატივისცემა და ყურადღებაა. ფული ხომ, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ სიმბოლოა; და თუ მწერალს ბედი გაუღიმებდა და ლატარიაში რამდენიმე მილიონს მოიგებდა, ნაძლევს ჩამოვალ, ეს უეცარი ოქროს ზოდები მის ფუნდამენტურ საწუხარს დიდად ვერ უწამლებდა.

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გავიხსენებთ ერთ წინადადებას, რომელიც სირილ კონოლის წამოუყენებია კარგა ხნის წინათ: „მკითხველები, რომელთაც განსაკუთრებით მოეწონებათ ესა თუ ის წიგნი, თავიანთი შეფასების დასამოწმებლად ავტორს უნდა უხდიდნენ მცირედ ფულად ხარკს – სულერთია, რა ოდენობით, ვთქვათ, არანაკლებ ნახევარი კრონისა და არაუმეტეს ასი გირვანქა სტერლინგისა. ავტორები უწინდებურად ისარგებლებდნენ საგამომცემლო უფლებებით, რასაც დაემატებოდა მკითხველთა წვრილმანი გასამრჯელო, ისევე როგორც ოფიციანტები იღებენ ხელფასთან ერთად ლამბაქზე დატოვებულ ხურდას. არა უმეტეს ასი გირვანქისა (ხასიათი რომ არ შემერყვნეს), მაგრამ არანაკლებ ნახევარი კრონისა (რაც არად ეღირებოდა თქვენი ხასიათისათვის).“

სტაინბეკის დაკვირვებით: „პროფესიადქცეულ ლიტერატურასთან შედარებით დოღზე ფსონების ჩამოსვლა სოლიდურ და სტაბილურ საქმიანობად მოჩანს“. მაგრამ განა შეიძლება ლიტერატურა პროფესია იყოს? ეს უფრო ავადმყოფობაა, თერაპიაა, სიხარულია, მონომანია, კურთხევაა, აკვიატებაა, წყევლაა, სიგიჟეა, მადლია, ვნებაა და კიდევ ბევრი რამ (ჯერ ერთი, „თუ თქვენ შეგიძლიათ წერის გარეშე იცხოვროთ, – ამბობდა რილკე, – ნუ დაწერთ“). რაც შეეხება გამომცემლობას, იგი გარდუვალად ემორჩილება ყოველი კომერციული დაწესებულებისათვის დამახასიათებელ შეზღუდვებს და ამითაცაა განპირობებული ის სისასტიკე, რითაც გამომცემლები ექცევიან ხოლმე უდანაშაულო ავტორებს. როდესაც 1840 წელს 25 წლის რიჩარდ ჰენრი დანა თავის უკვდავ ქმნილებას წერდა (იგულისხმება „ორი წელი გემის წინაერდოზე“, სათაური თარგმნილია ფრანგული ვარიანტიდან) საგამომცემლო საქმისა არაფერი გაეგებოდა, ფული კი სასწრაფოდ ესაჭიროებოდა. ძალზე ბედნიერადაც იგრძნო თავი, როცა ერთმა ნიუ-იორკელმა გამომცემელმა 250 დოლარი შესთავაზა და ყველა უფლება ამ წიგნზე ოცდაათი წლის ვადით შეისყიდა. ამ გარიგებამ, საბოლოოდ, გამომცემელს 50 000 დოლარი, იმ დროისათვის კოლოსალური თანხა, მოუტანა, მაგრამ აქედან ავტორს ერთი ცენტიც არა რგებია. როდესაც წიგნი ინგლისში გამოქვეყნდა, ლონდონელმა გამომცემელმა, საკუთარი ინიციატივით, 500 დოლარი გადასცა დანას. ეს, ალბათ, ერთადერთი შემთხვევაა ისტორიაში, როდესაც გამომცემელი ავტორს იმ თანხას უხდის, რაც არ ევალება. საპირისპირო მაგალითებიცა გვაქვს, არანაკლებ გასაოცარნი და აღტაცების მომგვრელნი, სადაც მწერლები ამბობენ უარს – მათი აზრით – გადაჭარბებულ ანაზღაურებაზე. ჟურნალ შცრიბნერ-ის მესვეურებმა შეიტყვეს, რომ რობერტ ლუის სტივენსონმა წყნარი ოკეანის გადაკვეთა მოინდომა და ამ მიზნით შხუნა იქირავა. მათ მწერალს 3 500 დოლარი შესთავაზეს საზღვაო მოგზაურობის ამსახველი თორმეტი სტატიის საფასურად. სტივენსონის პასუხი ასე ჟღერდა: „დარწმუნებული ვარ, აქ, ამერიკაში მეტისმეტს იხდით; გემუდარებით, ნუღარ გამათამამებთ – ვინაიდან თქვენ მათამამებთ. სიმდიდრე მე არ მიზიდავს, მეტიც, უშველებელი თანხები მორალურ საყრდენს მაცლის“.

III
წარმატება გაუთვალისწინებელი ჭირვეულობაა

მოდით, ისევ დავუბრუნდეთ რიჩარდ ჰენრი დანას მარცხს. არ შეიძლება ნიუ-იორკელ გამომცემელს ბრალი დავდოთ ავტორის გამოუცდელობის ბოროტად გამოყენებაში; ამ კომერსანტმა სიძუნწე კი გამოიჩინა, მაგრამ უპატიოსნო არა ყოფილა, მან ხომ ახალგაზრდა უცნობის ხელნაწერის გამოქვეყნებით სერიოზული რისკი გასწია. არავის ძალუძდა წინასწარ განეჭვრიტა ამ უჩვეულო წიგნის უზარმაზარი და ხანგრძლივი წარმატება.

გამომცემელმა პ.ვ.სტოკმა თავის პროფესიას ორიგინალური ფილოსოფიური სარჩული გამოუძებნა: „გამომცემელი მუდამ კარგავს ფულს წიგნის გამოცემისას – ჩვენი საქმის მთელი საიდუმლო ის გახლავთ, რომ გამოსცე ცოტა, ან სულაც არაფერი.“ მისმა თანამშრომელმა შარდონმა ასე აღწერა გამომცემლობის ოქროს ხანა: „ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იმ დროისათვის, ათასხუთას ეგზემპლარად გამოიცა. ამ რაოდენობის გასაყიდად ზოგჯერ თვრამეტი წელია საჭირო. ავტორები, რომლებსაც დღესაც აფასებენ, პატარა გამომცემლობებში იბეჭდებოდნენ (ერთი ოთახი და ორი თანამშრომელი). მწერალი და გამომცემელი ერთნაირად ღარიბები იყვნენ“. სტოკის მეთოდი მარტივი გახლდათ: „წელიწადში ორმოც უცხოურ რომანს ვაქვეყნებდით. აქედან ორი თუ სამი გაიყიდებოდა ორასსამასი ცალი. ამით ვცხოვრობდით, ამით ვფარავდით ხარჯებს. სხვებს არაფერი შემოჰქონდა. რატომ მხოლოდ ორი-სამი? რატომ ან რა მანქანებით მოდიოდა წარმატება? ვერც ვერასოდეს გავიგეთ“.

ამ აღსარების გულწრფელობა აღტაცებას იწვევს. გამომცემელმა, თუნდაც ძალზე ნიჭიერი და გამოცდილი იყოს, იშვიათად უწყის, რასა იქმს. მათაც გამოადგებოდათ ცნობილი ფორმულა (კოკტოსი?): რაკიღა ვერ ვწვდებით ამ იდუმალებებს, განვაცხადოთ, რომ ჩვენა ვართ მათი შემოქმედნი.

ერთგან ვახსენებდი ამერიკელი გამომცემლის გულუბრყვილობას, რომელმაც ორუელის შედევრი „ცხოველთა ფერმა“ იმ საბაბით დაიწუნა, რომ „ცხოველთა თავგადასავლები აღარ იყიდება“. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ქმნილება ჯერ ინგლისში უკუაგდო დახვეწილმა საგამომცემლო სახლმა, რომელსაც გენიალური პოეტი და კრიტიკოსი ტ.ს.ელიოტი მესვეურობდა. გასტონ გალიმარმაც თავდაპირველად პრუსტი უარით რომ გაისტუმრა, იმ დროის საუკეთესო მსაჯულთა – ჟიდისა და შლუმბერგერის – აზრი გაითვალისწინა, რომელიც პრუსტის წაკითხვას შეუძლებელ საქმედ რაცხდა. ასეთი მსხვილი იაღლიში გამომცემლებს ხშირად მოსდით და თავს მორცხვად იცავენ, საქმოსნები ვართ, მეცენატები ხომ არაო. არადა, ლიტერატურული სიბეცე სწორედ მათ ბიზნესს უჯდება ყველაზე ძვირად.

საგამომცემლო საქმე ხელოსნობიდან დიდ ინდუსტრიად იქცა.

ამ მეტამორფოზის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ბესტსელერზე ნადირობაა. მაგრამ ბესტსელერი გაუთვალისწინებელი მოვლენაა, მას ვერ დააპროგრამებ. მწერლებმა ეს კარგად იციან. „არავის ძალუძს, ცივი გონებით დაგეგმილი ბესტსელერი შეთხზას“, ამბობდა სომერსეტ მოემი, ვისი კარიერაც მოფენილია საარაკო წარმატებებით. მოემი გვიამბობს, თუ როგორ სცადა ერთხელ მეგობართან ერთად „დაემზადებინა“ ბესტსელერი. ეგზერსისმა გვარიანად გაართო მეგობრები და ამავე მიზეზით კრახიც იწვნია. „ყველამ, ვისაც ხელნაწერი ვუჩვენეთ, ერთი და იგივე რამ გვითხრა: იგრძნობა, რომ ხუმრობააო“. გაკვეთილი ნათელია: „ვერაფერ დამაჯერებელს ვერ დაწერთ, თუ თვითონ არა ხართ დარწმუნებული. ბესტსელერის ავტორი სულსა და გულს არ იშურებს და მკითხველს იმას აწვდის, რაც მკითხველს სურს, ვინაიდან თვითონაც იგივე სურს.“ როდესაც წიგნი წარმატებას აღწევს, შეხედულება, რომ იგი არ შეიძლება მართლაც კარგი იყოს, ისეთივე წინასწარ აკვიატებული სისულელეა, როგორც საწინააღმდეგოს ხელაღებით მტკიცება. გამოცდილება გამუდმებით გვიდასტურებს, რომ ამა თუ იმ წიგნის კომერციული ტრიუმფი ანდა სრული მარცხი არასოდეს იძლევა საფუძველს, მისი ლიტერატურული ღირებულება განვსაზღვროთ. დასკვნა, რომელიც გააკეთა ამ საგანთან დაკავშირებით ჰ. ბელოკმა (The Cruise of the „Nona“) 1925 წელს, შეუკვეცავად მოგვყავს ჩვენი წერილის დასასრულს: „მათთვის, ვინც ლიტერატურულ ხელობას მისდევს (და ასეთი გახლავთ ჩემი ულმობელი ხვედრიც ოცდახუთი წლის ასაკიდან), ეს უეჭველად ყველაზე მძიმე, ყველაზე ჭირვეული და ყველაზე საძაგელია ამ ქვეყნად არსებულ ხელობათაგან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს არ შეიძლება ხელობა იყოს. ადამიანი ვერ იცხოვრებს თავისი კალმით იმაზე მეტად, ვიდრე იცხოვრებდა თავისი საუბრით ანდა ჩაცმის, სეირნობისა თუ მოგზაურობის მანერით. მწერლობის ფუნქციასა და მის ეკონომიკურ ეფექტს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. არანაირი კავშირი არ არსებობს, ერთი მხრივ, ლიტერატურული ნაშრომის ავ-კარგსა და, მეორე მხრივ, იმ თანხას შორის, რასაც ამ ნაშრომში იხდიან. ამგვარი მიმართება ბუნებრივი ვერ იქნებოდა და იგი არც არსებობს. როცა ადამიანები ამბობენ, რომ კარგი ლიტერატურა არ იყიდება, ისინი საკითხის მიღმა რჩებიან. ზოგჯერ კარგი ლიტერატურა კარგად იყიდება და ზოგჯერ ძალზე ცუდი ლიტერატურაც კარგად იყიდება. კარგად იყიდება ღირსეული წიგნებიც და აბსურდული, სასაცილო და ყალბი წიგნებიც მშვენივრად საღდება. ლიტერატურული ქმნილების ბრწყინვალებისა თუ თანადროულობის დამოკიდებულება ამა თუ იმ მომენტში მკითხველთა რაოდენობასთან მიზეზ-შედეგობრივ ხასიათს არ ატარებს: იგი გაუთვალისწინებელი ჭირვეულობაა“.

ფრანგულიდან თარგმნა
ნინო ციმაკურიძემ

ელგუჯა თავბერიძე

აირევი ივერია

თავი III
ძმანი სოლომონისანი

გადაივლის ეს ქარ-სუსხი

აშორდიელთა ერთი სასამართლო სხდომა 1904 წლის 7 დეკემბერს ჩატარდა. ქარიან-თოვლიანი დღე იყო, ყინავდა, თოვდა, მოსარქალებული თოვლი სარკესავით ბრწყინავდა. ძვალ-რბილში ატანდა სიცივე. მიდიოდნენ საოლქო სასამართლოში აბუზული მოსამართლეები, შედიოდნენ, უფრო შერბოდნენ გაღუღუნებულ დარბაზში. დარაჯს ბუხარი ადრე დაენთო, დაეჭირა თადარიგი მომავალი სხდომისათვის, გაეთბო, გაებუბუნებინა იქაურობა. გარეთ ყინავდა, შიგნით ცხელოდა. რაღაც უსიამოვნო განწყობა იპყრობდა ქარ-თოშიდან სიცხეში მოხვედრილთ, შეჩვევას ცდილობდნენ, რომ უნდოდათ, ისე სწრაფად ვერ ეჩვეოდნენ და იშმუშნებოდნენ სახეაწითლებულნი.

გარეთ ციოდა, შიგნით თბილოდა, ეს სითბო არაბუნებრივად, ის სიცივე, გადაკრიალებული თოვლი, გამყინავი, თვალმზერის დამხშობი ქარბორია ბუნებრივად ეჩვენებოდათ აქ მოსულებს. პირველმა სასამართლოს თავმჯდომარემ, ბოგოროდსკი რომ იყო გვარად, ქართულად, ალბათ, ღვთისიაშვილი, შეაღო კარი, მიმოიხედა, ვერავინ დაინახა, არავინ იყო, რას დაინახავდა, მაინც ეძებდა, აქეთ-იქით აცეცებდა ყინვისაგან აცრემლებულ თვალებს. ეძებდა სხვებს, ეძებდა გულმოდგინედ, ვერ ხედავდა და უკვირდა, ვერც სხვა რამეს ამჩნევდა, ეს უფრო აცვიფრებდა, სიცივეს ისე დაენისლ-დაებურა სახილველი, გაშტერებული მზერა რამდენჯერმე მიმოატარა ირგვლივ.

მერე ჟანოც მოვიდა, გვარია ამ კაცის და არა სახელი, რუსეთის სამსახურში ჩამდგარი იტალიური ან ფრანგული წარმომავლობის ვინმე ჟანო. საოლქო სასამართლომდე ეტლით მობრძანდა წევრი სასამართლოსი. გზაში თვალს ვერ ახელდა, გუგებს ჭუტავდა, რომ დაენახა და შეეგრძნო, რაც ხდებოდა. ცხენები მდორედ, თითოეულ ნაბიჯს სინჯავდნენ, ამოწმებდნენ, ისე მიაგორებდნენ ეტლს. მეეტლეც არ აჩქარებდა, ფრთხილად, სადავეების აუქნევლად მიჰყავდა შეჩვეულ-შეთვისებული ტრანსპორტი. იჯდა ჟანო კოფოზე, მეეტლის გვერდით, უსმენდა ცხენთა გახშირებულ სუნთქვასა და ფრუტუნს, თვალმოკუმული მიჩერებოდა ქარში ავარდნილ ორთქლს. მდორე ღრჭიალი გოგრებისა სიამოვნებდა, იჯდა გატრუნული, ჯიშიანი ცხენების იმედად გზასადევნებული მსაჯული. ჯიშსა და გვარზე ფიქრობდა ახლაც, საკუთარი წარსული დავიწყნოდა და ვერაფრით ხვდებოდა, რატომ იკლავდნენ ქართველები თავს კეთილშობილურ წარმომავლობაზე. ცხენებმა კიდევ უფრო აუფორიაქა ეს ფიქრი – დღენიადაგ ამ გზაზე მოსიარულესავით მიდიოდნენ ბედაურები. ჯიშისა და გვარისა უნდა იყო, ფიქრობდა ყოფილი იტალიელი, ფრანგი ან ესპანელი, მიტმასნილ-მიწებებული რა ჯანდაბად გინდა, ა, ეს ულაყები, შეხედვისთანავე შეამჩნევ, ჯიშიანია, ასეთივე ძუ-ხვადის შვილნი და მკვიდრნი. რაც გინდა, ის დაიბრალე, თუ არა ხარ, თუ წინაპრის გენი არ მოგდევს, თუ სისხლხორცში არ გაქვს გამჯდარი იმგვარობა, რასაც ესწრაფვ-ეპოტინები, ამაოა ყოველივე. უნდა იყო, უნდა იყო... ფიქრობდა ჟანო და უცებ მოსახვევში ისე სწრაფად შეუხვიეს ცხენებმა, შეჩქვიფდა, შეშინდა, ძლივს დაიმაგრა თავი კოფოზე. მეეტლემ კი, ვითომც არაფერი, რაღაც შეუძახა და მშვიდი, აუღელვებელი სახით გააშტერდა გზას.

– Породисты ли эти лошади?! – იკითხა ჟანომ.

მეეტლემ თავი დაუქნია და ისევ გზას მიაჩერდა. ჟანო მიხვდა, სულაც ვერ გაიგო ამ შეკითხვის აზრი ცხენების პატრონმა, უბრალოდ, ზრდილობის გულისათვის დაუქნია თავი.

– Породисты ли эти лошади?! – გაუმეორა.

მეეტლემ უფრო მაგრად დაუქნია თავი და ისევ აჩემებულ წერტილს მიაშტერდა.

იჯდა ვინმე ჟანო, ჯიშსა და გვარზე მოფიქრალი. მიდიოდა სასამართლო სხდომაზე, სადაც კვლავ გვარსა და წარმომავლობაზე უნდა ყოფილიყო სჯა-ბაასი. იჯდა, ფიქრობდა და ეს ფიქრი შეჰყვა იმ სხდომაზეც, სადაც თავმჯდომარე ბოგოროდსკი მოხელეებს, მოწმეებსა და ბრალდებულებს ეძებდა, მაგრამ ჯერჯერობით არავინ ჩანდა.

ბესარიონ დადიანის მაგიერ სხდომაზე სენაკის მაზრის ექიმისაგან გაცემული მისი ავადმყოფობის ცნობა წარმოადგინეს. ასეთივე ფურცელი ააფრიალეს სიმონ როსტომის ძე ბარკალაიას ცუდად ყოფნის შესახებაც, ალექსი ადამიას მოწვევა კი ჩააბარეს თავის დროზე, მაგრამ ყური არ გაუპარტყუნებია, არ მოსულა სასამართლო სხდომაზე. აქვეა ჩამოთვლილი ის ოცი კაცი, რომლებმაც მოწვევა კი მიიღეს (ესენი იყვნენ ჩვენთვის ნაცნობი – ფილიპე ლეჟავა, ანდრო ნადარეიშვილი, მიხეილ დარასელია და სხვები), მაგრამ არ მოსულან, ხოლო პავლე ნადარეიშვილი, დიმიტრი თუთბერიძე, ნიკოლოზ ბარკალაია, ფარნაოზ ზაქარაია, სპირიდონ ნორაკიძე ვერ მოძებნეს და, ბუნებრივია, ე.წ. „პოვეზტკა“-ც ვერ გადასცეს. ბეჩუნა სიჭინავა, ირაკლი მიქაბერიძე, სიმონ მეუნარგია, კონსტანტინე დადიანი, ქაიხოსრო პაპასკირი, რევაზ სალაყაია, მიხეილ ესაკია, ილარიონ გუგუშვილი და ივლიანე ხორავა იმიერში გადასახლებულიყვნენ და არც მოწმეებად, აღარც მოწმის მოწმეებად გამოდგებოდნენ უკვე. მერაბ ზედანიას, ალექსი ყიფიანს, იაკობ თვალთვაძეს და ბენო გაბუნიას ავადმყოფობის ცნობა წარუდგენიათ. ერთი სიტყვით, სასამართლო სხდომის ოქმში 46 პიროვნებაა ჩამოთვლილი, რომელთა ერთი ნაწილი ვერ მოძებნეს, მეორე, როგორც დაადგინეს, გარდაცვლილიყო, მესამემ ცნობა წარადგინა ავადმყოფობისა და ა.შ. გაირკვა, ექსპერტი ნანეიშვილიც მომკვდარიყო, ბრალდებული დიო, იგივე დიონისე ჯინორიძეც მის კვალს გაჰყოლოდა. იდგა მზერაარეული ბოგოროდსკი სასამართლოს თბილ დარბაზში და ეძებდა ბრალდებულებს, მოწმეებს, რაც არ იყვნენ, რას ნახავდა ან დაინახავდა.

გარეთ ყინავდა, შიგნით თბილოდა. საოლქო სასამართლოს პირველ პირს სიცივე ბუნებრივად, სითბო – პირიქით ეჩვენებოდა. იდგა, ეძებდა იმათ, ვის გამოც მოიჩქაროდა აქეთკენ, არ ჩანდნენ. სასამართლოს წევრები, პროკურორი, მისი თანაშემწე და ამხანაგი მოვიდნენ, ისინი – არა. ელოდა. კარგა ხნის მერე ზოგი ადვოკატებთან ერთად გამოჩნდა, ზოგი სულაც არ გამოჩენილა.

პროკურორის ამხანაგმა სასამართლო სხდომის ჩატარება ბრალდებულების – ბესო დადიანის, სიმონ ბარკალაიასა და ალექსი ადამიას – არყოფნის გამო შეუძლებლად მიიჩნია. ამასვე დაეთანხმნენ სალაყაიას, წულეისკირისა და გვალიას ადვოკატები – ფაღავა და ჩიკვაიძე, რომელთაც მოითხოვეს, ორ ექსპერტს – ლორთქიფანიძესა და პეტრიაშვილს – კიდევ სამი დავუმატოთ, სულ ხუთნი იყვნენ, რადგან დოკუმენტები ბევრია და ორი რას აუვაო.

ესენი საუბრობდნენ. ჟანო იჯდა და დილით ნანახი ჯიშიანი ცხენები ახსენდებოდა. გარეთ თოვდა, თოვდა და ყინავდა. არ უყვარდა ზამთარი. ფიქრობდა, როდის გადაშენდება ეს თოვლ-ყინვა, როდის მოვა გაზაფხული...

ფაღავამ, ორი ექსპერტი ვერას გახდება, კიდევ სამი დავუსართოთო – სასამართლომ მისი თხოვნა არ გაიზიარა, ლორთქიფანიძესა და პეტრიაშვილს ყველანი იცნობთ, პროფესიონალებიც არიან, დაუზარელნიცო.

ორს ხუთი რომ სჯობს, ამის ახსნა ჩემგან არ გესწავლებათ – ჯიუტად გაიმეორა ფაღავამ და გაჩუმდა.

რატომ სჯობს ორს ხუთი – გაიფიქრა ჟანომ და ისევ ის ეტლში შებმული ცხენები წამოუტივტივდა გონებაში. კი სჯობს, რატომაც არა, ორი ორია, ერთზე ერთის მიმატებით მიღებული, ხუთი კიდევ ორჯერ და მეტჯერ მეტი, მაგრამ ზოგჯერ ორი სჯობს ხუთს და არა პირიქით, მოუნდა, შეკამათებოდა ადვოკატს, სხვა სიბრტყეზე გადაეტანა საუბარი, დაემტკიცებინა, ეთქვა, რომ ხანდახან ცოტა სჯობს ბევრს და არა სხვაგვარად, მაგრამ დარბაზში ჩაბუდებული სითბო უფრო ფიქრის განწყობას ჰქმნიდა, ვიდრე კამათისას. ამიტომ საუბარს დუმილი ამჯობინა.

მერე გარეთ მობობოქრე ქარ-თოში გაახსენდა ისევ და გუნება გაუფუჭდა. როდის გადაივლის ეს ზამთარი?!. – ნატვრა შეურია ფიქრში.

ბესო დადიანის ავადმყოფობის ცნობა მოსამართლეებმა სარწმუნოდ მიიჩნიეს, სიმონ ბარკალაიასი – საეჭვოდ, რადგან მასში ავადმყოფობის სიმპტომები ისე არეულ-დარეულად იყო ჩამოთვლილი, ვერ გაარკვევდი, რა სჭირდა ამ კაცს, რით იყო ავად, რის გამო ვერ ცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე. ამიტომ ქალაქის ექიმს დაავალეს ამ ამბის გარკვევა. ალექსი ადამიას კი არ ეპატიება მოუსვლელობაო – აღნიშნეს, მოწვევა მიიღო, ჩაიბარა, თვითონაც არ გვეახლა და არც რამე შეგვატყობინაო. ამიტომ 1000 მანეთით დავაჯარიმოთ, თუ არ გადაიხდის, დავაპატიმროთ და მერე ვნახოთ, თუ აიგდებს აბუჩად სასამართლოსო.

მოწმეებიც დააჯარიმეს – ყველაზე დიდი თანხა – 25 მანეთი – ფილიპე ლეჟავას დაუდგინეს, დანარჩენს სამ-სამი; მხედველობაში მიიღეს და საპატიოდ ჩათვალეს იმათი მოუსვლელობა, რომელთაც მოწვევა არ მიუღიათ. დაადგინეს: დიონისე ჯინორიძის გარდაცვალების გამო მისი საქმე შეწყდეს. მოსულ მოწმეებს მიეცეთ კანონით დადგენილი გზისა და საჭმლის ფული. ექსპერტები ლორთქიფანიძე და პეტრიაშვილი ხუთ-ხუთი მანეთით დაჯილდოვდნენ თითოეული და ა.შ.

მომავალი სხდომა სასამართლოსი გაიმართოს 1905 წლის 3 მარტს.

გარეთ ყინავდა, შიგნით ცხელოდა. ჟანო რომ გამოერკვა, სასამართლოს დარბაზი იცლებოდა, ახლა იგი ეძებდა ბოგოროდსკივით კოლეგებს, ბრალდებულებს, მოწმეებს. რა სწრაფად აშლილან, ალბათ დიდხანს ვიყავი ჩათვლემილიო – გაიფიქრა. არადა, სულაც არ ყოფილა ასე, წუთში მოთავდა და მიილია სხდომა სასამართლოსი.

ჩათვლემილი ჟანო იმ ლამაზ ბედაურებს ხედავდა და ვიღაცას დაჟინებით უხსნიდა – ორი სჯობს ხუთსო. იმ ვიღაცას არა სჯეროდა, ეს ცდილობდა დაერწმუნებინა, ვერაფერს აგებინებდა, ჭმუნვა იპყრობდა.

სასამართლოდან გამოსულს აღარც ის მეეტლე უნახავს, აღარც ის ჭკვიანი და ჯიშიანი ბედაურები.

ძალიან უნდოდა, ენახა, ენახა და მეეტლეს კიდევ ერთხელ, უკვე მესამედ შეკითხვოდა:

– Породисты ли эти лошади?! –

ციხეში გვიან თენდება

ერთ-ერთი აშორდიელი, სილოვან (იგივე ლეონ-ლევან) ჟორდანია, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თანამშრომელი, თბილისიდან ამარაგებდა სოლომონსა და მის რაზმს საჭირო დოკუმენტებით. ყალბისმქმნელობა პროფესიად გაეხადა, ნამდვილს ყურადღებას არ აქცევდა, სასურველს წერდა და არიგებდა. შეამჩნიეს, გაკოჭეს. 1902 წლის 5 დეკემბერს დაიწყო თბილისის სასამართლო პალატამ მისი საქმის განხილვა და 1903 წლის 26 მარტს წელიწადნახევრით გაამწესა ციხეში. იჯდა იმაზე მოფიქრალი, კიდევ კარგი, სხვა ნაყალბევ-ნათაღლითარი ვერ აღმოაჩინეს, თორემ სასჯელის ზომა-სიდიდე მაშინ გენახათო. ერთი-ორი რაღაც უპოვნეს ბევრის მქნელსა და ჩამდენს. ამიტომ იყო კმაყოფილი, თუმცა ქუთაისში თავადაზნაურობის საბუთებზე დატრიალებულ ამბებში მასაც ედებოდა ბრალი. იცოდა ესეც, ეგონა, აქაც იგივე განმეორდებოდა, უმნიშვნელოს აღმოუჩენდნენ, მნიშვნელოვანს – ვერა, და ერთი-ორი წელი ციხეში ყოფნა რა ბედენა იყო, როცა ათჯერ მეტს ელოდა, ამაზე როგორ არ იქნებოდა ყაბულს. იჯდა, ითვლიდა დღეებს და ამ თვლაში 1904 წლის 11 აგვისტოს მანიფესტმაც მოუსწრო. ერთი მესამედით უნდა შემცირებოდა სასჯელი, სილოვანს კი უკვე ამაზე მეტი ჰქონდა მოხეული. ამიტომ ხელახლა განიხილეს საქმე, გაათავისუფლეს, ოღონდ ისიც დაუდგინეს, ეს გადაწყვეტილება გავლენას არ მოახდენდა ქუთაისის საოლქო სასამართლოში მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეზე, პრივილეგიებისა და წოდებების ჩამორთმევაც ძალაში დატოვეს და გაუშვეს.

ამ დროს გაასამართლეს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მეორე თანამშრომელი, ნადვორნი სოვეტნიკის შვილი გიორგი ალექსანდრეს ძე პრიგოვორსკი და 4 თვით ციხეში ყოფნა აკმარეს. ჟორდანიას, აშორდიას აქტიურ დამხმარესა და ერთგულ თანამზრახველს – მეტი, ამას ნაკლები მიუსაჯეს, დანაშაული დაახლოებით ერთნაირი ჩაედინათ, სასჯელი განსხვავებული არგუნეს.

თბილისის სასამართლო პალატას, ავად იყო თუ კარგად, მართალია, არა უციხოდ, მაგრამ მაინც დაუძვრა სილოვანი. მაგრამ მეტეხის ციხეში გამოკეტილმა კარგად იცოდა, რომ ქუთაისის ამბებზეც უნდა ეგო პასუხი, არ იქნებოდა იოლი აქედან მშრალად გამოძრომა, იყო ხალხი, ვინც ამბობდა, მისი შემწეობით გავაზნაურდი, ფული მივეცი, საბუთები შემიდგინა და გავაშორდიელაზნაურდი, ის რომ არა, მე რისი მომგვარებელ-მომწესრიგებელი ვიყავიო და მისთანანი. საფუძვლიანად აბრალებდნენ იმას, რაც სინამდვილეში ხდებოდა, მაგრამ ლეონს საფუძვლიანი, ყოველმხრივ დასაბუთებული ბრალდება უსაფუძვლოდ უნდა მიეჩნია, მიიჩნევდა კიდეც – წერდა თხოვნებს საოლქო სასამართლოს სახელზე, ითხოვდა დამატებითი მოწმეების, მისთვის სასურველი ადამიანების დაკითხვას, ერთი სიტყვით, ყვებოდა არაკს, სასურველი ფინალ-დასასრული რომ უნდა მოჰყოლოდა.

სილოვან ჟორდანიას თხოვნებს რომ წაიკითხავ, გაიფიქრებ, თვითონ უსვამდა თავის თავს შეკითხვებს და თვითონვე პასუხობდა. ციხეში მეტი რა უნდა ეკეთებინა, ფიქრის დრო ბლომად ჰქონდა, ფიქრობდა. აიღებდა სასამართლოდან მის სახელზე მოსულ საბრალდებო დასკვნას, იმდენჯერ იხსენებდა, თვითონვე ასხვაფერებდა დეტალებს უკვე, იურისტების დაწერილს და რამდენჯერმე წაკითხულს გადასხვაფერებულად ყვებოდა. აი, სილოვანისეული ინტერპრეტაცია სასამართლოდან მოსული ბრალდების ერთი მონაკვეთისა:

ყარამან გუგუშვილი რომ გااზნაურე და სამაგიეროდ 100 მანეთი გამოართვი, ყველამ იცის. ისიც უწყიან, ეს კაცი რამდენ ხანს დადიოდა შენთან, როგორ გეღრიჭებოდა და გეხვეწებოდა. სანამ საკმაოდ დიდი ფული არ ჩაგიჯიბა, მანამდე არ დააყენე საშველი. დუტუ გეგეჭკორის საბუთებსაც ბარე ოთხი წელი დაატარებდი აქეთ-იქით, ბოლოს, რავარც იქნა, გაუხერხე აზნაურობა, მაგრამ კაცი ლოდინით დაილია, იმ დროს ეღირსა სანუკვარი წოდება, როცა აღარც უნდოდა, უფრო სწორად, თქვენი ამბები გამჟღავნდა და ერჩია, ამ საქმეებში არ ყოფილიყო ჩართული და ჩათრეული.

ძნელი იყო ამ ბრალდებებზე პასუხის გაცემა, მაგრამ სილოვანმა კარგად იცოდა, რომ როგორმე უნდა დაეძლია ეს სიძნელე, რაღაც მოეფიქრებინა, უპირველესად საკუთარი თავი დაერწმუნებინა, მერე – სხვები.

ბევრს მოგზაურობდა, იქით-აქეთ წასვლა-წამოსვლის დროს ბევრსაც ფიქრობდა. ციხის საკანი რაღაცნაირად მატარებლის ოთახს ჩამოჰგავდა, უფრო ვიწრო იყო, მოუხერხებელი, ბნელი, სარკმელდახშული. იქ – მატარებელში კარგად სუნთქავდა, აქ – ჩამოღამებულ საკანში – გახშირებულად და მდორედ. იქ – ხალისიანი, საქმეებზე მიიჩქარ-მოიჩქაროდა, გეგმებს აწყობდა, გამორჩენას ელოდა, იშვიათად უმტყუნია მატარებელში დაწყობილ-დალაგებულ აზრებს. აქ ერთი და ძნელად მოსაშორებელი სადარდელიღა შერჩენოდა მხოლოდ. იქ მრავალფეროვანი და საამური იყო ცხოვრება, აქ – გუნებამომშხამველი და სადავიდარაბო.

საკანში ყოფნასაც აიტანდა, ვინმეს რაღაცაზე რომ გამოება და ჯურღმულივით ოთახს მატარებლის ვაგონივით ემოძრავა, უძრაობას ვერ ეგუებოდა, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და პირიქით მიმოსვლისათვის დაბადებული საკანში დაკუტდა, დაგლახავდა, ყველამ უღალატა, ფიქრი დაიმეგობრა, თუმცა იმასაც ხშირად შეუწყრებოდა და შეუკურთხებდა ხოლმე.

მატარებელში ფიქრი ხალისიანი იყო-მეთქი, თან მიდიოდა, თან ფიქრობდა, აქ, კუდის მოქნევა ადგილზე, სიარულსაც ვერ ახერხებდა, ერჩივნა, ევლო და მოძრაობაში დაემწყობრებინა აზრები.

იდგა და პასუხს ცემდა საბრალდებო დასკვნაში მოყვანილ ამბებს:

სიცრუეა, თითქოს ყარამან გუგუშვილის გااზნაურების საქმე მე მომეგვარებინოს და ამისათვის მას ჩემთვის 100 მანეთი გადაეხადოს. ენას ძვალი არა აქვსო – ასეთ შემთხვევაში იტყვიან. ყარამანი რა ფულის გადამხდელიცაა, ყველამ იცის, 100 მანეთს კი არა, 100 კაპიკს ვერ დატყუებს კაცი. მისი წოდებრივი ამაღლება, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, მიხეილ წულეისკირმა და მიხეილ კონსტანტინეს ძე დადიანმა აიღეს თავიანთ თავზე და, მგონი, ბოლომდეც მიიყვანეს. მიჭირს ამის თქმა, მაგრამ როცა ტყუილუბრალოდ მადებენ ხელს, იძულებული ვარ, გავამხილო სიმართლე. და კიდევ, თუ გულით ნათქვამ ამ სიწრფელეშიც შეგეპარებათ ეჭვი, ჰკითხეთ მღვდელ ანტონ რევიას, მულინ კონსტანტინეს ძე დადიანს და მიხეილ დადიანს, თუ, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელს შუბლის ძარღვი არ გაწყვეტია, სამართლიანობის გრძნობა ოდნავ მაინც შერჩენია. გეტყვით იმას, რაც სინამდვილეში მოხდა, რაშიც ცამდე მართალი და უდანაშაულო გახლავართ. ისე, ამ კაცს, ანუ მიხეილ დადიანს, ბოლომდე ნუ ენდობით, მაინც დაინტერესებული პიროვნებაა, შეიძლება ითვალთმაქცოს, არ გითხრათ ის, რაც მის დანაშაულს დაამტკიცებს. სხვები კი, დარწმუნებული ვარ, არ მიღალატებენ, განაცხადებენ იმას, რაც მოგახსენეთ. ისე, ის მაინც რამ ათქმევინა, 100 მანეთი გადავუხადეო, რისი გადამხდელ-გამღებიცაა, ქვეყანამ იცის, თქვენც გეცოდინებათ, თუ არა და ახლა ხომ გაიგეთ. ღმერთია მოწამე, მის ქვემოთ სამღვდელოების ჭეშმარიტი მსახური ანტონ რევია და მთელ დუნიაზე მართალ კაცად ცნობილი მულინ დადიანი, რომელიც, არ ვიცი, ცოცხალია თუ არა, ადრე ჯანზეც იყო, მეხსიერებაც ჩინებული ჰქონდა, თუ არადა, მისი შვილები მაინც იქნებიან ამ ქვეყანაზე, ისეთი კაცი იყო, დაუბარებდა შთამომავლობას სიმართლეს, ისინი იტყვიან, რომ ყარამან გუგუშვილთან არასდროს არაფერი მესაქმებოდა. ეს კიდევ – 100 მანეთი მივეციო...

– ჩაფიქრდებოდა ციხეში გამოკეტილი და ისევ ციხის მომლოდინე პატიმარი. ბრალდებებში მოკლედ, ლაკონურად იყო ნათქვამი ყველაფერი, ეს კიდევ გაჭიანურებულ და მომაბეზრებელ პასუხებს ცემდა. უნდოდა, არაფერი გამორჩენოდა, გრძლად ნათქვამ-დაწერილით გაემართლებინა თავი, ცდილობდა, არ გამოსდიოდა, თვითონაც გრძნობდა ამას და საკუთარ თავზე ბრაზდებოდა. ხშირად ფიქრშიც ჩაძინებია, ჩაუყვინთავს, მაგრამ სიზმარშიც იგივე მოუმოქმედებია, რაც ცხადში. ციხეში გვიან თენდებოდა, სილოვანისათვის კიდევ დღესა და ღამეს აზრი დაკარგვოდა, სიფხიზლე და ძილი ერთმანეთს დამსგავსებოდა, იქაც ფიქრობდა, აქაც, გვიან თენდებოდა...

ფიქრობდა:

გადაირევი კაცი, ვისაც რა უნდა, იმას ამბობს, ღმერთი, ეკლესია, მღვდელი აღარ სწამთ მამაცხონებულებს, – გაივსო ქვეყანა ურწმუნო კაცებით. 100 მანეთი მივეციო – ისემც უცხონდეს პატრონი... კიდევ ვიმეორებ – მიხეილ კონსტანტინეს ძე დადიანის ბოლომდე ნდობა არ შეიძლება, დანარჩენები, მჯერა, საჩემოს იტყვიან.

ამას გაიფიქრებდა და ამოწმებდა წინათ ნაფიქრალს, ძილში დასიზმრებულს ღვიძილში აკონკრეტებდა და პირიქით.

იმოდენა სასჯელს ელოდა, ეგონა, იქნებ ფიქრში მაინც გამოვიხსნა თავიო: უნდოდა ზოგიერთი მოწმე მკვდარი ყოფილიყო, მკვდარი კიდევ ცოცხალი, ერთზე რამ მოკლა საწყალიო, მეორეზე – ამას რა მოკლავსო – ფიქრობდა:

მიხეილ და სოლომონ აშორდიები
(ფოტო ჯული აშორდიას არქივიდან)

დუტუ გეგეჭკორსაც არევია რაღაც-რაღაცები. ურცხვად ირწმუნება, თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში 1900 წელს შეტანილი საბუთები ჯერ კიდევ 1896 წელს გადავეცი ლეონ ჟორდანიას, ხოლო ბრძანება, სინოდალური კანტორიდან ამონაწერი და ბილეთი 1899 წელს მივეცი სანდრო თოთიას და ლევან მასხულიასო. არაფერი ასეთი სინამდვილეში არ მომხდარა, არც საბუთებისთვის მომიკიდნია ხელი და არც არაფრისთვის – მღვდელი მელიტონ გეგეჭკორი, მიხეილ ჟორდანია და ბარდღუ ბიგვავა დამერწმუნებიან, რომ გეგეჭკორმა სინოდალური კანტორის ამონაწერი 1899 წელს გადმომცა ცაიშში. ჯერ ერთი, ოთხი წელიწადი ამ კაცის დოკუმენტები რატომ უნდა შემენახა, ან სად შემენახა, არქივი მქონდა გახსნილი თუ კანცელარია?! რომ გადმოეცა, მივიტანდი იქ, სადაც უნდა მიმეტანა. არ მოუცია და მე საიდან შევქმნიდი ან შევადგენდი საბუთებს?! რას იზამ, ასეთია სინამდვილე – ერთი, კაპიკს რომ ხელიდან ვერ გააგდებინებ, გაიძახის – 100 მანეთი მივეციო, ცოტას მაინც ამბობდეს მამაცხონებული. მეორე კიდევ, საბუთები ჩავაბარეო. დუტუ გეგეჭკორისგან ამას არ ველოდი, განათლებული კაცია, უნდა იცოდეს, რა რას ნიშნავს. რას მერჩის, რატომ იმას არ ამბობს, რაც სინამდვილეში მოხდა. მე ჩემი გითხარით, მისი პოზიცია და ამგვარი საქციელის მიზეზი იქნებ თქვენ გაარკვიოთ.

წერდა ან ფიქრობდა ამნაირად, მერე სხვათა დასარწმუნებლად სხვანაირად აგრძელებდა. იცოდა, ძნელად დააჯერებდა ვინმეს, მაგრამ მაინც იკლავდა ფიქრის წადილს:

– რამდენნაირ ხერხს არ მიმართავს ადამიანი, მართლმსაჯულებას რომ დაუსხლტეს, რას არ მოჩმახავს და მოიგონებს, ოღონდ თავი დაიზღვიოს, გადაირჩინოს და სხვა თუნდაც სამიდღემჩიოდ გამოუკეტავთ ციხეში. ერთი მე აღმოვჩნდი – ყველასაგან განსხვავებული და სხვანაირი, დღენიადაგ იმაზე ვფიქრობ, სხვა არ დავაზარალო, არ დავაბეზღო, როგორმე ამის გარეშე დავამტკიცო ჩემი სიმართლე და გულწრფელობა.

ამის გაფიქრებისთანავე ჩაიცინებდა, ღიმილი გაუკრთებოდა გონებაში, უხაროდა, კარგად მოვიფიქრეო, მაგრამ მერე სხვა ბრალდებანიც გაახსენდებოდა და მოეშხამებოდა გუნება:

მურზა და ნიკოლოზ გაგუებზე რაღას იტყვი – რამდენ ხანს ელოდნენ შენგან სინოდალური კანტორის ამონაწერს. არ იქნა და არ აღირსე, ფული არ მოგცეს და უფულოდ ვისთვის გაგიკეთებია რამე. საბუთი ხელთ გეჭირა, აქეთ-იქით აფრიალებდი და გაიძახოდი – მომცენ ფული და მივცემო. რამ გაგაღორა და დაგახარბა ასე. მერაბ გრიგოლია ხომ კუდის რიკამდე გაატყავე, ჯერ იყო და ფარატინა ქაღალდში, ანუ სინოდალური კანტორიდან ამონაწერში ერთი სახლის ფული დატყუე, მერე ესეც არ იკმარე და ცხენები დააწერე. აზიური მაღაზიის მეპატრონე ივანე თოდუა რომ მოვიდეს სასამართლოზე, როგორ შეხედავ თვალებში, მთელმა ქვეყანამ იცის, რომ გაფცქვენი და გააღატაკე. სოლომონ აშორდიასთანაც ნახეს შენგან გამოგზავნილი დეპეშები, ამას რანაირად უარყოფ და წაყრი მტვერს. ან კიდევ, სინოდალური კანტორის პროკურორთან რომ იყავი შეკრული და მისი მეშვეობით წევდი და წევდი თამასას ზევით, ადამია რომ გეჩხუბა და გცემა, პროკურორის აგენტი რომ გიძახა, ხომ მთელ ქუთაისს ესმოდა. არა, ამ ბრალდებებს ასე იოლად ვერ დაუძვრები, ზღაპრებს ვის დააჯერებ, სიმართლე უნდა თქვა, სიმართლე, იქნებ ამით მაინც შეგიცოდონ და შეგიმსუბუქონ მოსალოდნელი მსჯავრი.

გადაულახავ ბარიერს ჰგავდა მოსამართლეთა მოძიებული ამბებიდან თავის დაძვრენა. ამიტომ ხშირად ყოვნდებოდა, გაუშტერდებოდა სახე, გაუქვავდებოდა მზერა... იდგა ერთხანს ასე, ყველაფერს ერჩია ამგვარი ყოფა, უდარდელი, არაფერზე მოფიქრალი, მაგრამ დიდხანს არ გრძელდებოდა ეს ნეტარება, ისევ ძველებურად განაგრძობდა:

მურზა და ნიკოლოზ გაგუები აშორდიამ, წულეისკირმა და მიხეილ დადიანმა გააზნაურეს. ისინი დაპირდნენ, შეხვდნენ, მოელაპარაკნენ ძმებ გაგუებს, გამოართვეს ფული და მოუგვარეს საქმე. მე მხოლოდ სინოდალური კანტორიდან ამონაწერი გავუკეთე. სხვათაშორის, ამ ცნობაში ეს ძმები წოდების გარეშე იყვნენ ნახსენები. მაგრამ ახლა რომ ლაყბობენ და, მათი აზრით, სიმართლეს, სინამდვილეში ტყუილს ლაპარაკობენ, ამ ცნობისათვის ფული ხომ უნდა გადაეხადათ?! არ გადაიხადეს, დამატყუეს და დამაღალატეს მართალი კაცი – მითხრეს, ამონაწერი გაამზადე, ფულს მერე მოგცემთო, ჩემი ჯიბის თანხა მივეცი ამ საბუთში. გაიგეს, გაკეთებული მქონდა, უფულოდ მოინდომეს წაღება. არ მივეცი, გაბრაზდნენ, დამეჩემნენ და გადამეკიდნენ. ასეთ ადამიანს როგორ შეიძლება ენდო?! შეიძლება საბუთისათვის საჭირო თანხაზე თქვას უარი წესრიგიანმა და სიმართლის მოყვარულმა კაცმა. და კიდევ: ფული არ მომცა და მტრად გამიხდა, მაგრამ მე უფრო ის მგონია მართალი, აშორდიასთვის, წულეისკირისა და დადიანისათვის იმოდენა თანხა ჰქონდათ მიცემული, სხვა რამის გაღება აღარც სურდათ, აღარც შეეძლოთ. მობეზრებოდათ ყველაფერი, დაჟინებით ითხოვდნენ გააზნაურებას, დიდი ფულის გაცემას ჯავრობდნენ, იმუქრებოდნენ, ილანძღებოდნენ. ამბობენ – თითქოს ამონაწერთან ერთად დავით დადიანის ბრძანებაც მივეცი – ტყუილი, ტყუილი. საბრალდებო დასკვნაში წერია, დადიანის ბრძანება სოლომონ აშორდიას დაწერილიაო – იმან თუ დაწერა და შექმნა, მე საიდან მივცემდი და მივუტანდი. მისი ხელით დაწერილ საბუთთან რა საქმე და ხელი მქონდა, ერთი სიტყვით, ამ ამბებშიც არ ვურევივარ, აშორდიას, წულეისკირისა და დადიანის ნამოქმედარს კი მე რატომ მაბრალებენ, გაუგებარია. ეჰ, ყველა თავის თავზე ფიქრობს, სხვა ფეხებზე ჰკიდია. მე კიდევ, არავის დასახელება არ მინდა, მათ დაუსახელებლად, დაუბეზღებლად მსურს დავამტკიცო სიმართლე.

გაგუები არ იყვნენ სააზნაურო ხალხი, გაუნათლებელი, უტუ ადამიანები არ უნდა ეპოტინებოდნენ იმას, რაც ვერასდროს იქნებიან. ესენი წაეპოტინნენ სოლომონისა და ჩემს მიერ დასახელებულთა წყალობით და გახდნენ კიდეც, მაგრამ კაცს, როცა ისიც არ ახსოვს, ვისთან და რატომ ჰქონდა საქმე, არ უნდა ენდო. ჩემს ნათქვამს დაგიდასტურებენ მიხეილ კაციას ძე დადიანი და ნიკოლოზ ჟორდანია. შეკითხვაც არ გინდათ, უბრალოდ რომ ჩამოუგდოთ ამ ამბებზე საუბარი, წამსვე აჭიკჭიკდებიან.

ეს გაიფიქრა და მიხვდა, მთლად სათავისო რომ არ იყო, გული მოეწურა, დარდმა შემსჭვალა. გათენებული ეგონა, შუაღამე იყო. საკანში გვიან თენდებოდა. თავდახსნის ინსტინქტი ისევ მოეძალა, სცადა, ბრალდებები გაექარწყლებინა, ქარს გაეტანებინა:

მერაბ გრიგოლიასაც არევია რაღაც-რაღაცები – ირწმუნება, თითქოს მე მისთვის სინოდალური კანტორის ამონაწერი მიმეყიდოს, რატომ უნდა მიმეყიდა, ვაჭარი ვიყავი თუ ხელის დამცლელი ვაჭრისა?!

მე რას გასწავლით, სინოდალურ კანტორაში განცხადება უნდა დაწეროს კაცმა და მთავრობისაგან დაწესებული ბაჟის გადახდის მერე მიიღებს იმ საბუთს, რომელიც სურს. გრიგოლიას კიდევ ორმაგი ხარჯი რატომ უნდა გაეღო – ჩემთვის თანხა რისთვის უნდა გადაეხადა, როცა უამისოდაც ადვილად მოგვარდებოდა ყველაფერი. ერთი სიტყვით, მე არც საბუთების მყიდველი ვარ, არც გადამყიდველი, კიდევაც რომ მოვისურვო, ვინ მაყიდინებს და გამაყიდინებს რაიმეს. ეს რომ ასე იყო, ნამდვილობას დაგიდასტურებთ სინოდალური კანტორის პროკურორი ლევ პავლეს ძე რუშინსკი, ამავე კანტორის მდივანი სოფრომ მგალობელოვი და თარჯიმანი დიმიტრი მღებროვი. იმასაც გეტყვიან, მერაბ გრიგოლიას რამდენჯერმე ავუხსენით, რომ ცნობაში წოდებრივი კუთვნილების ანუ გლეხის აზნაურით შეცვლა შეუძლებელია, თუ ამის დამამოწმებელი სხვა დოკუმენტი არ არსებობს. ვუთხარით, არ დაიჯერა, თავისი გაიტანა და ახლა ზღაპრებს ყვება, მოყვეს, ვის სჯერა და სწამს მისი მონათხრობი. დაუჟინია, ჟორდანიას 100 მანეთის ცხენები მივეციო, ისემც რა ვუთხარი, ეს ცხენები იმისათვის მივიღე, რომ მისი უფროსი ქალიშვილი ჩემს ნათესავ ვასილ ჟორდანიაზე დავაქორწინე და ქორწილიც გადავუხადე. ამ ამბების სისწორეს დამიდასტურებს ამ ჩინებული და დიდებული ლხინის ნებისმიერი მონაწილე. თამადა არ მახსოვს, ვინ იყო. უჰ, გამოვჩერჩეტდი, ამდენმა ცრუ ბრალდებამ მეხსიერება დამიქვეითა, როგორ არ მახსოვს, მე ვიყავი, ამიტომ საკუთარ თავს მოწმედ არ გამოვადგები, მოადგილეების ანუ თანათამადების არჩევა და მათი დახმარებით სუფრის გაძღოლა, არ მიყვარს, რამდენადაც დემოკრატი ვარ ცხოვრებაში, სუფრაზე დიქტატორად ვიქცევი ხოლმე. ამდენად, ამათაც ვერ დაკითხავთ, ისევ მონაწილეებზე უნდა შეაჩეროთ არჩევანი, ხალხი არც ბევრი ყოფილა, არც ცოტა, უფრო საშუალო ან კიდევ საშუალოზე მცირე სიდიდის ლხინი გახლდათ, დედოფალი და სიძე რომ ესწრებოდნენ, ნაღდია, მაგრამ მათ, გრიგოლიას ჩაგონებით, იქნებ არ თქვან სიმართლე, სჯობს სხვებს დაეკითხოთ, ისინი გეტყვიან ყველაფერს. ნათესავებიდან ამ ლხინზე ვინ იყო მოწვეული, ვერ ვიხსენებ, მიხეილ გიორგის ძე ჟორდანია რომ დასტურ იქ იყო, ნაღდია, მერიქიფეობდა, ხალისობდა. კარგი კაცია, ყველაფერს დაწვრილებით ჩაგიკაკლავთ.

ეს აზრი გაუკრთებოდა გონებაში და ისევ მოეძალებოდა დარდი, მოწმეებიც შემომელია, იმხელა ქორწილიდან რავა არავინ მახსოვსო – ამუნათებდა საკუთარ თავს, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ ახლა ამაზე კი არა, იმაზე უნდა ეზრუნა, რა ეთქვა საფუძვლიანად, თორემ გამტყუნებით სხვებიც მშვენივრად გაამტყუნებდნენ. ამიტომ მარტო კი არ ფიქრობდა, უკვე ქაღალდზე გადაჰქონდა ნაფიქრი:

– როგორ არ რცხვენია მერაბ გრიგოლიას, როცა ამბობს, ცხენები მივეცი საბუთშიო?! ორი წელი რომ დამდევდა და მეხვეწებოდა, დამიჭკნა და დამიბიისფერდა გოგო ოჯახში, გარეთ არ იხედება, დამრჩა გაუთხოვარი, თუ ცოტა ხანში ვერ დავაქორწინე, მერე გადაბერდება და ვინ შეირთავსო. მე კიდევ ვიარე და ვიარე, ვარწმუნე და ვარწმუნე ჩემი ნათესავი ვასილი, რა არ ვუთხარი, რა არ მოვიგონე, რა არ მოვჩმახე, როგორ მზეთუნახავად არ წარმოვუდგინე გრიგოლიას გამყივანხმიანი ქალიშვილი. როგორც იქნა, დავითანხმე, გავჩარხე საქმე, გა-

სამრჯელო მეკუთვნოდა და მივიღე. ის კიდევ, საბუთში გამომართვა ცხენებიო – როგორ არ რცხვენია ცრუპენტელას.

კაცს პატივი ვეცი, თავი არ დავზოგე, მგონი ერთ ბედაურს იქით-აქეთ სიარულშიც ამოვხადე სული და როგორ უკან შემომიტრიალეს ყველაფერი – მაჭანკლობასა და თამადობაში აღებული გასამრჯელო საბუთში გადახდილ თანხად მიიჩნიეს. რას არ მოიფიქრებს კაცი, ოღონდ ციხეს გადაურჩეს, თვითონ გარეთ იყოს და თუნდ მთელი ქვეყანა იქ ლპებოდეს და გმინავდეს.

ენას ძვალი არ აქვსო – მართლაც ამაზეა ნათქვამი. ძნელია, ვინმეს დაუსახელებლად შენი უდანაშაულობა დაამტკიცო. მე ვცდილობ, მგონი, ვახერხებ კიდეც.

რასაც ვახერხებ, სასამართლოზე გამოჩნდება, ვთვალთმაქცობო-გაიფიქრებდა მისდა უნებურად, მაგრამ გადარჩენის შიში სხვა მხარისკენ მიაქანებდა მის გონებას ისევ:

– ძალიან გამიკვირდა, თითქოს აზიური მაღაზიის პატრონს ივანე თოდუას ეთქვას, რომ ლევან დადიანის წყალობის სიგელი მივყიდე. არ დაიჯეროთ, რისი მიმყიდველი ვარ, ან სად მქონდა, რომ მიმეყიდა. სინამდვილეში კი თავისივე დუქანში ამ კაცმა, ივანე ბორითაშვილისა და მელიქ დგებუაძის თანდასწრებით, მითხრა, რომ კაცია შელიას ქუთაისის გუბერნიის არქივარიუსისაგან აუღია ცნობა, მისი (ივანე თოდუას) აზნაურობის დამამტკიცებელი. მთხოვა, მივსულიყავი ამ კაცთან და გამომერთმია ეს საბუთი. თუ უფულოდ არ მომცემდა, მეყიდა და მერე მედუქნე თოდუა გამისტუმრებდა. არ დავზარებულვარ, მივედი რესტორნის პატრონ შელიასთან, ვეხვეწე, ვეღრიჭე, ვერაფრით უფულოდ ვერ დავტყუე, ბოლოს 100 მანეთის ვექსილი დავუტოვე და გამოვართვი. მოდი და ამის შემდეგ კაცს სიკეთე გაუკეთე, ყველა არაა ამის ღირსი, უგვანომ და გაუგებარმა არც დახმარების ფასი იცის, არც სიკეთისა. კიდევ კარგი, ამ ამბის მოწმეები რომ არსებობენ. ჰკითხეთ ბორითაშვილს, დგებუაძეს, მარკოზიას და მღვდელ სერაპიონ კვარაცხელიას. ჰკითხეთ, გეტყვიან, დაგიდასტურებენ, შეიტყობთ ჩემს სიმართლესა და უდანაშაულობას.

რა ვუთხარი ამ ყოფას, აუტანელსა და გაუსაძლისს, რა მართალი ყოფილან ძველი რომაელები, ადამიანი ადამიანისათვის მგელიაო. გაუჭირდათ და მართლაც მგლებივით დაერივნენ ერთმანეთს, ერთმა მეორე, მეორემ მესამე, მესამემ მეოთხე და წინა ორი ერთად დააბეზღა და ასე დაუსრულებლად გაგრძელდა ჯაჭვი, აიკინძა ერთ ძაფზე, ერთ ჯარჯზე ადამიანთა ბედი, ყველა თავის თავზე ფიქრობს, ჰგონიათ სხვას დაასახელებენ და გადარჩებიან, ის კი არ უწყიან, რომ ამით მათი მდგომარეობაც მძიმდება, უფრო და უფრო საციხო ხდება. მე აღმოვჩნდი მათგან განსხვავებული, ვერ ნახავ, ვინმეზე რაიმე მეთქვას, საკუთარი თავის გადარჩენისათვის სხვა გამეწიროს.

ისემც რა გითხარიო – გაივლებდა გონებაში და ეს გაელვებული აზრი იყო ნამდვილი, დანარჩენი – მოგონილი.

რა ექნა, ციხეში გვიან თენდებოდა:

– აშორდიასთან აღმოჩენილ დეპეშებს ვინმეს გააზნაურებასთან არაფერი აქვთ საერთო. 1899 წელი იყო, შემოდგომისპირი, არეულ-დარეული ამინდი, წვიმდა, უფრო ჟინჟღლავდა. ზაფხულის ხვატსა და სიცხეს შეჩვეული სიცივეს რომ ძნელად ეგუები, გეხამუშება და გაკრთობს, ისეთი ტაროსი იდგა. სადგურ რიონიდან თბილისის მატარებელს უნდა გავყოლოდი. ხალხი ყაფანში შეყუჟულიყო, მეც იქით გავწიე, ვიღაცის ხმა დამედევნა – ლეონ, ლეონ, – მეგონა, ყაფნიდან მეძახდნენ, იქითკენ გავიხედე, ვერავინ შევნიშნე ჩემი ნაცნობი და ახლობელი. ისევ განმეორდა ძახილი, უკან მოვიხედე და დიდი ხის ქვეშ სოლომონ აშორდიას, გრიგოლ ლოლუასა და დიაკვან კირილე ჩაკვეტაძეს მოვკარი თვალი, მიხმეს, მივედი. ძალიან ახლო ნაცნობები არ ვიყავით, არც შორებელი, ვიცნობდით ერთმანეთს, არ ვძმაკაცობდით. სოლომონმა შეიტყო, რომ თბილისში მივდიოდი და მთხოვა, გამეგო სინოდალურ კანტორაში სოფრომ მგალობელოვს მზად ჰქონდა თუ არა მისთვის საჭირო საბუთები. თუ უკვე გაკეთებული იყო, დეპეშით ეცნობებინა, იქვე დამიწერა დეპეშის ტექსტიც, მომცა ერთი მანეთი და შემეხვეწა, კაცურად გამერკვია მისთვის ეს ამბავი. მეც, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. როგორ შეიძლება ადამიანს ასეთ რამეზე უთხრა უარი, მითუმეტეს, დეპეშის ტექსტსაც თუ გატანს და მისი გამოგზავნისათვის საჭირო თანხასაც იღებს ჯიბიდან. ვიღაცებს ყური გამოუბამთ ამ დეპეშებზე, მამაცხონებულებმა ჯერ გაარკვიონ, გაიგონ, რა მოხდა სინამდვილეში და მერე ილაპარაკონ, თუნდაც იყბედონ და ილაქლაქონ.

მერე ადამია გაახსენდებოდა, ხან მოეწკურებოდა გონება, ხან გახალისდებოდა:

– ადამიანმა შურით, ბოროტებით არაფერი უნდა თქვა, თორემ სხვისკენ ნასროლი ისარი უკან დაგიბრუნდება. ასე მოსვლია ალექსი ადამიასაც, მის ჩვენებას, საერთოდ არ უნდა აქცევდეთ ყურადღებას – ჩვენ დიდი ხანია სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვართ ერთმანეთს გადაკიდებულნი. ერთხელ, სასტუმროში, ჩემს ნომერში, ჩემს საწოლზე მოისურვა დაწოლა, ვთხოვე, იქვე, მეორეზე მოკალათებულიყო, არ დამიჯერა, საცინლად ამიგდო, გაიჭიმა ლოგინზე და მედიდურად დამიწყო ყურება. გავბრაზდი, ვეცი, წამოვწიე, დამარტყა, დავარტყი, გვარიანად დავასისხლიან-დავალურჯეთ ერთმანეთი. მე მგონია, უფრო მაგრად ვცემე, იმას რომ ჰკითხოთ, მე ვურტყი და დავუნაყე თავ-პირიო – იტყვის. ასეთია, საერთოდ, ჩხუბი, ყველას საკუთარი თავი ჰგონია გამარჯვებული. ისე ვიყავი დამტვრეულ-დანაყული, რამდენიმე დღე გარეთ ვერ გამოვდიოდი, რას გამოვიდოდი, ლოგინზე გაუნძრევლად ვიწექ, გადაბრუნ-გადმობრუნება მიჭირდა. ისე, გვარიანად ჩავცხე და ჩავცხე. ერთი სიტყვით, მას შემდეგ ერთმანეთს ვერ ვიტანთ, მე იმის დანახვა არ მინდა, იმას – ჩემი. ვეგდე საწოლზე უსულგულოდ რამდენიმე დღე, ადამია კი, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, წამოდგა და წავიდა. გული არ მწყდება, მაგრად დავუნაყე თავ-პირი. ასეთი კაცი ამბობს ჩემზე, სინოდალური კანტორის პროკურორის აგენტი იყოო. იტყვის, აბა, რას იზამს, თუ მოუსმენთ, მეტსაც იკადრებს, ზნეობა არ გააჩნია, ფიზიკური ძალითაც არ გამოირჩევა განსაკუთრებულად, ჰო, რა ჩავცხე და ჩავცხე, ბედად ვიღაცები მოვიდნენ და გაგვაშველეს, თორემ მოვკლავდი მაგ საცოდავს და რა ჩვენებასაც მოგცემდათ, იმასაც ვნახავდი. იმას ვჯავრობ, ლოგინზე რომ ვეგდე კარგა ხანს გაუნძრევლად, თორემ გალახვით რომ

გავლახე, ნაღდია. არც ამ ჩხუბის შემსწრეა ვინმე და არც იმისა, როგორ ცუდად ვიყავი რამდენიმე დღე, ის, ვითომც არაფერი, ხელი ხელზე გაუსვა და ფართო ნაბიჯებით გაალაჯა სასტუმროდან. მე არ დამინახავს, თვალები ჩალურჯებული მქონდა, სხვათა მონათხრობით ვიცი. თუმცა ჩვენ რომ ერთმანეთს ვერ ვიტანდით, ამას მთელი ქუთაისი დაგიდასტურებთ, განსაკუთრებით ეს ამბები დათიკო ალექსანდრეს ძე დადიანმა, მეორე გილდიის ვაჭარმა ერმილე ხვიტიამ და პოლიციელმა ფარნა ხვიტიამ იციან, ჰკითხეთ, გეტყვიან, იქნებ ჩემი მონათხრობისგან ცოტა განსხვავებულად მოგიყვნენ ყველაფერს, მათ ხომ ის არ უნახავთ, როგორ ვცემდი ქვემოდან და ვუჭერდი კისერში ხელს. ასეთ დროს თვალმოსეირენი მხოლოდ იმას ხედავენ და იმახსოვრებენ, რაც ზემოთ ხდება. თუმცა ამას, ვფიქრობ, არც აქვს მნიშვნელობა, ისინი, უბრალოდ, ჩვენი მტრობის დასამტკიცებლად დაგჭირდებათ.

– მეტი რაღა ვიფიქრო და დავწეროო – უბრაზდებოდა საკუთარ თავს – თუ გაითვალისწინებთ, უდანაშაულო ვარ, თუ არადა... დამნაშავე შეიძლება დაუსჯელი დარჩეს, მაგრამ ათჯერ უფრო დიდი დანაშაული უდანაშაულოს დასჯაა – ეს აზრი მოსწონდა, ხშირად იმეორებდა, აკვიატებია კიდეც ციხის ძნელად გასათენებელ ღამეებში.

1907 წლის 24 ნოემბერს, გიორგობის მეორე დღეს, ქუთაისის საოლქო სასამართლომ აშორდიელთა ერთი ნაწილისა და აზნაურობის მაძიებელთა საქმე განიხილა და სიმონ ბარკალაიას, გრიგოლ ბოკუჩავას, სიმონ და კონსტანტინე შელიებს, ფილიპე ქავთარაძეს, ასლან წირქვავას, თევდორე გუგუნავას, ალექსანდრე ხვიჩიას, სტეფანე გეგეჭკორს, ვასილ ხორავას, ალექსანდრე წულეისკირს, ნესტორ გეგეჭკორს, და ჩვენთვის ნაცნობ სილოვანს – რვა, სურგულაძეს და ჩახავას კი 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ყველას ჩამოართვა განსაკუთრებული უფლებები და წოდებანი, ჟორდანიას გარდა, რომელსაც ეს პრივილეგიები თბილისის სასამართლომ ჩამოართვა ადრე.

თბილისის ციხეში გატარებულ დროს სამი წლის შემდეგ ქუთაისის ციხეში გასაჯახირებელი წუთისოფლის ნაწილიც მიემატა.

აქაც გვიან თენდებოდა.

* * *

ჩივილზე სილოვანისა ასე ვრცლად რატომ შევჩერდით?!

ტიპურია ასეთი თხოვნანი სასამართლოს სახელზე – ჩემი თუ არ გჯერათ, იმას ჰკითხეთ, დამატებით ის დაკითხეთ, იგივეს გეტყვით, რასაც მე ვამბობ და ვღაღადებო.

ჩემი თუ არ გჯერათ, ჯიჯის ჰკითხეთ, ალფაიძეს – დაახლოებით ამგვარია ამ ფრაზათა სემანტიკა.

იყო ოდნავ განსხვავებულნიც.

აშორდიას საქმეებში ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულოს ერთი თანამშრომელი, მირიან (იგივე მინა) ფოფხაძეც არის გარეული. თბილისის სასამართლო პალატამ სილოვანისნაირი თაღლითობისათვის ადრე ისიც გაასამართლა და 19 თვით ჩააყუდა ციხეში, მაშინ თავდებად კოლეჟსკი რეგისტრატორი ბ. კანდელაკი დაუდგა, მაგრამ ვერ უშველა, ბუგეულის მამულიც შესთავაზა მღვდელმა ლუკა ფოფხაძემ შვილის დასახსნელად, მაგრამ უშედეგოდ....

მირიან-მინას აშორდიას ამბებზეც უნდა ეგო პასუხი, ახლაც გამოიძებნა სათავდებო კაცი თავადი ე. ლორთქიფანიძე, მაგრამ იმდენად აშკარა იყო მისი მონაწილეობა ამ საქმეებში, მართლმსაჯულების აღმსრულებლები ასე იოლად აღარ თანხმდებოდნენ თანხასა და თავდებობაზე.

რჩებოდა ერთი, პასუხი უნდა გაეცა წამოყენებულ ბრალდებაზე, როგორმე ემართლებინა თავი.

ცდილობდა...

მირიან ფოფხაძის ახსნა-განმარტებანი ოდნავ განსხვავდება დანარჩენთაგან, უფრო სოლომონ აშორდიას ნამუდარევს ჩამოჰგავს.

მოკლედ, ჩემი ბრალდებანი უფალი გამომძიებლის კლევენსკისა და პროკურორ კარჩევსკის მოგონილიაო – წერს. ისინი ეუბნებოდნენ მოწმეებს, დავესახელებინე, ვინც დათანხმდა, გაუშვეს, ვინც არა – ციხეში გამოამწყვდიეს. თავადაზნაურთა საკრებულოს მთარგმნელი მაჭავარიანი ამ ხერხით გადარჩა – თქვა ტყუილი, თქვა ის, რაც მართლმსაჯულებას აძლევდა ხელს და ამით დაიძვრინა თავი, დარჩა ხელუხლებელი. არც კახიანთან, არც მამარდაშვილთან, ყიფიანსა, ბაქრაძესა, კვერნაძესა და ჩარკვიანთან საქმე არასდროს მქონია. არანაირი საბუთები არ მიმიცია, მაგრამ მათ ეს თქვეს არა იმიტომ, რომ სიმართლე განეცხადებინათ, საკუთარი თავი რომ გადაერჩინათ და დაეძვრინათ.

უფრო მტკიცე საბუთსაც მოგიყვანთო – სწერდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავკაცებს – ფარნაოზ კახიანმა ნიკიფორე კვიმსაძისა და ათანასე მებურიშვილის თანდასწრებით ისიც მითხრა, რომ იძულებული ვიყავი მეთქვა ტყუილი, თუმცა გამომძიებელმა ისე არ ჩაწერა ჩემი ჩვენება, როგორც ვთქვი, უფრო დაამძიმაო...

სხვა მხრივ მირიან ფოფხაძის ახსნა-განმარტებანი არაფრით განსხვავდება დანარჩენთაგან, უფრო სწორად, დანაშაულისაგან თავის დაძვრენის ახალი ხერხი და ხრიკი არ მოუფიქრებია.

სოლომონის ძმებშიც იყვნენ გაქნილნი და ნაკლებ გაქნილნი, ნიჭიერნი და ნაკლებნიჭიერნი. ზოგი ასეთი, ზოგი ისეთი, ერთნი ლოგიკურად ასაბუთებდნენ, მიმზიდველი თხრობით გადმოსცემდნენ სასურველს, მეორენი – მშრალად და ძუნწად.

დასასრული შემდეგ ნომერში

სამშაბათს, 12 დეკემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
რუსუდან დაუშვილის
საჯარო ლექცია

„ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები ემიგრაციაში (20-30-იანი წლები)“

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის №41

როსტომ ჩხეიძე

როგორ იძიეს შური ნოველით

*

ჯეკ ლონდონი და მართლმსაჯულება

ქარტერ უოტსონს, სოციოლოგსა და ზნეობის დამცველს, 27 მშვენიერი წიგნის ავტორსა და თავისებურ რეფორმატორს, იღლიაში ჟურნალი ამოუჩრია და დინჯად მიაბიჯებს იმ ქვაფენილზე, სადაც ოცი წელიც იქნება აღარ გაუვლია და ახლა გულდასმით აკვირდება აქ მომხდარ საოცარ ცვლილებებს.

ეს ჟურნალია, მალე დიდ დავიდარაბას რომ გადაჰყრის, მაგრამ უოტსონი ჯერ თავის ფიქრებში გახვეულა („არც მოკლე გზა არსებობს და არც მოულოდნელი გარდატეხის იმედი – კაცობრიობამ თავისი უკეთესი მომავალი ტანჯვითა და წვალებით უნდა გამოსჭედოს. ასე იყო წინათ, ასე იქნება მომავალშიც“), ახალ თემებს ეძებს და ერთი სამიკიტნოს ჭყეტელა აბრა თვალს რომ მოსტაცებს და შიგნით შევა, აზრი გაუელვებს, ერთხელ კიდევ მოვალ და ამ სამიკიტნოს მუშტრებს შევისწავლიო.

ასე იწყება ჯეკ ლონდონის ნოველა „გამართლება“, ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში მის შემოქმედებაში და ქართველი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი ანდუყაფარ ჭეიშვილის მეოხებით და თუნდ ამერიკელი მწერლის ხუთტომეულის მესამე ტომში გადაიკითხავდა კაცი ხელახლა.

ერთხელ უკვე დამჭირდებოდა ეს ნოველა „შურისგების“ მეორე თავში, როდესაც იმის საილუსტრაციოდ მოვიხმობდი, თუ როგორ უხდიან ადამიანს სამაგიეროს ზუსტად ისევე, რა დანაშაულიც მან ჩაიდინა. შურისმაძიებლისათვის მთავარი ის კი არ არის, მაინცდამაინც აზღვევინოს შემცოდეს დანაშაული, არამედ ზუსტად ისევე მიაგოს – ამიტომაც უნდა განმეორდეს თვითეული რეალია და ფრაზაც. მხოლოდ ასეთნაირი შურისგება დაუშიშმინებს სულს, მხოლოდ ეს დაუოკებს აბობოქრებულ სისხლს.

ამჯერად სხვა კუთხიდანაც დავუკვირდეთ – სინამდვილისა და მხატვრული გარდასახვა-განზოგადების შეპირისპირებიდან, ოღონდ თვალსაჩინოებისათვის სიუჟეტური ქარგაც და ცალკეული პასაჟებიც უსათუოდ უნდა აღვიდგინოთ მეხსიერებაში.

ქარტერ უოტსონი სად მივატოვეთ?

აქ ერთხელ კიდევ მოვალო, თავის თავს რომ შეპირდება. და სამზარეულოს ჩაუვლის, სადაც სამიკიტნოს მეპატრონე პეტსი ჰორანი ფაცხაფუცხით სადილობს, რათა მუშტრების მოზღვავებამდე მოასწროს დანაყრება. დილიდანვე ცუდ ფეხზეა ამდგარი, მთელს ქვეყანაზე გაბრაზებული და, რაკიღა არც უოტსონს იცნობს და ვერც იმას მიხვდება, რა ჟურნალი ამოუდია იღლიაში, მოეჩვენება, ეს კაცი ერთი იმ აბეზართაგანია, ჩემი დარბაზის კედლებს რომ ამახინჯებენ ათასგვარი განცხადებითა და რეკლამითო. ჟურნალის ფერადი ყდა ეგონება რეკლამა. და დანა-ჩანგალსაც არ გააგდებს ხელიდან, ისე მივარდება უოტსონს და აუყვირდება: გაეთრიე აქედან! ვიცი, რა მაიმუნებიცა ხართ! კედლები უნდა გამიფუჭოო.

უოტსონი არ აჰყვება თავდამსხმელს, მოუბოდიშებს კიდეც: თუ რამე დავაშავე, ალბათ უნებლიეთო, – და გასასვლელისაკენ შემობრუნდება. რა გგონიათ – მშვიდობიანი გაცლა კიდევ უფრო გაამძვინვარებს პეტსი ჰორანს და უოტსონს ეცემა. პეტსის ჩხუბი დუქნებსა და სამიკიტნოებში აქვს ნასწავლი და მხოლოდ უხეშობითა და შეუპოვრობით სჯაბნის მოწინააღმდეგეებს, უოტსონი კი მოკრივეა, მაგრამ ამ უპირატესობას არასოდეს არავისთან არ იყენებს: კრივს, ჯურღმულებისა და გეტოების კვლევას იგი თავდაჭერილი გაუხდია.

ამიტომაც არ ურტყამს და მხოლოდ პეტსის შეჩერებამოგერიებას ცდილობს, და მაშინაც, როდესაც ორივე იატაკზე დაეცემა, მკლავებს შემოაჭდობს და გასაქანს არ აძლევს, თანაც იმედოვნებს, გამშველებელი როგორ არ გამოჩნდებაო.

მართლაც შემოვარდება დარბაზიდან ექვსი კაცი და იატაკზე დაცემულთ ნახევარწრედ შემოერტყმიან.

– ბიჭებო, მომაშორეთ! – ითხოვს უოტსონი, – მე არ გამირტყამს და არც მინდა ვეჩხუბო.

ნახევარწრე საშიშრად დუმს.

პეტსი ვერაფრისდიდებით ვერ მოუხერხებს მუშტის დარტყმას და თითქოს მორიგებას ამჯობინებს: გამიშვი და ხელს არ გახლებო.

უოტსონი მაშინვე შეუშვებს ხელს, მაგრამ პეტსი ფეხზე წამოვარდება თუ არა, მუშტს მოუღერებს იატაკზე გაშოტილ მოწინააღმდეგეს და დაუღრიალებს, ადექიო.

უკან დაიწიე და ავდგებიო, – სთხოვს უოტსონი, რომელიც მიხვედრილია, რომ შეწყალების იმედი არ უნდა ჰქონდეს, პეტსის კი სახე რისხვითა და ულმობელობით უელავს და ამფსონების შემომატებით დიდგულზეა:

– შენ თუ პატიოსანი კაცი ხარ, რატომ არ დგები!

და მოუნდომებს წიხლის ჩარტყმას სახეში. უოტსონი მოასწრებს წამოხტეს და სამიკიტნოს მეპატრონე კვლავ ჩაბღუჯოს, თან მაყურებლებს შეევედრება: მომაშორეთ, ხომ ხედავთ, თითსაც არ ვაკარებ, ჩხუბს არ ვაპირებ, აქედან წასვლა მინდა მხოლოდო.

პეტსი კვლავ შეეცდება მის წაქცევას, მაგრამ უოტსონი პირაღმა დასცემს, ფეხზე წამოხტება და კარისაკენ გაეშურება, მაგრამ წრე კედელივით აღიმართება მის წინ. უოტსონი შეამჩნევდა, რომ მათ ისეთი სახეები ჰქონდათ – ფერმკრთალი და შეშუპებული – ეტყობა, მზის სინათლეს ემალებოდნენ, და მიხვდებოდა, ქალაქის ჯუნგლის ღამის მტაცებლებს გადავყრივარო.

მეტად უთანასწორო შეჯახება გამოდიოდა – ერთი შვიდის წინააღმდეგ, და ის-ისაა, უოტსონის გულში ჩათვლემილმა მხეცმა უნდა გაიღვიძოს, რომ ჯერ ცოლ-შვილი გაახსენდება, მერე დაუმთავრებელი წიგნი, მერე თავისი საყ-

წაკითხულია მოხსენებად ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკათმცოდნეობის მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე.

ვარელი ათი ათასი აკრი მთაგორიანი მამული, გაახსენდება, რომ სიცოცხლე ძალიან, ძალიან კარგია, და თუ მისი შენარჩუნება სურს, არც თავდამსხმელს არ უნდა დააკაროს ხელი და არც მის დოსტებს.

რამდენჯერაც დაუსხლტება სამიკიტნოს მეპატრონეს და კარს მივარდება, ღამის მტაცებლები იმდენჯერ შემოაბრუნებენ უკანვე, და გაცოფებისაგან ჭკუაზე გადასული პეტსი გამწარებით დაარტყამს სახეს თავზე, ისე, რომ მთლად ჩაილურჯებს და დაისისხლიანებს თვალს, ცხვირსა და ღაწვებს. ეს სულ გადარევს და რაც მეტად სტკივა, უფრო მეტად ურტყამს სახეს უოტსონს.

როგორც იქნა დაუსხლტება სოციოლოგი ბანდას და გარეთ გამოღწევას მოახერხებს, კიდეც ზედ სამიკიტნოს კართან შეეფეთება პოლისმენს და შველას შეევედრება, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უოტსონი კარგადაა გარკვეული ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისხითმისხამდე შეუსწავლია მისი დაფარული მხარეებიც, თურმე წინ დიდი გაოგნება ელოდა – ჯერ პოლისმენისაგან და მერე მოსამართლისგანაც.

პოლისმენი აშკარად კეთილგანწყობილია სამიკიტნოს მეპატრონის მიმართ და მეგობრულად გაესაუბრება, ის კი თავის მტაცებლებს მოწმეებად დაასახელებს: სამზარეულოში ვიჯექი და წვენს ვხვრეპდი, ეს საფრთხობელა კი, ალბათ მთვრალი, შემოვიდა და აქაურობა თავდაყირა დააყენა. მე ტიმ მაკ-გრეტი ვარ, – მეუბნება, – და შემიძლია, რაც მინდა, ის გიქნა. აბა, ხელები მაღლაო. მე გავიცინე. მან კი ლაწ, ლუწ – ორჯერ მთხლიშა და წვენი დამაქცევინა. ნახე, თვალი როგორა მაქვსო.

და პოლისმენი... ქარტერ უოტსონს დააპატიმრებს, რატომ დაესხი თავს, კაცი თავისთვის იჯდა და წვენს ხვრეპდაო.

უოტსონი გაშმაგდება და რას გაშმაგდება – არამარტო უმიზეზოდ დაესხნენ თავს, სცემეს და მერე დააპატიმრეს, ყველა დილის გაზეთი გამოაქვეყნებდა მთვრალი სოციოლოგისა და ყბადაღებული „ვენდომის“ მეპატრონის ჩხუბის სენსაციურ ცნობას ერთიერთმანეთზე სკანდალური სათაურებით.

სასამართლოზე კი უოტსონი მოჰყვება თუ არა მტკიცებას, პეტსიმ თვითონ დაისისხლიანა თავ-პირი, რადგანაც გაბრაზებული მირტყამდა სახეს თავზეო, მოსამართლე უიტბერგი სასაცილოდ აიგდებს: შეგნებული გაქვთ თუ არა ფიცის სიწმინდე? აბა, რა ზღაპრებს გვიყვებით. განა შეიძლება კაცმა თავისით დაისახიჩროს თავი? განა შეიძლება სახის რბილი და მგრძნობიარე ნაწილები თავში ურტყას ვინმეს. განა ჭკუათამყოფელი ასე მოიქცევაო? – და როდესაც პასუხად სოციოლოგი შეახსენებს: გაშმაგებული ადამიანი აღარ არის ჭკუათამყოფელიო, – მოსამართლე ამ უწყინარ პასუხში სასამართლოს შეურაცხყოფას დაინახავს და აყვირდება.

ყველას კარგად მოეხსენება, ვინ არის პეტსი ჰორანი, და მოსამართლემაც ჩინებულად უწყის. გულში სჯერა კიდეც. რომ პეტსი ტყუილად იფიცებს: უოტსონი დამესხა და იძულებით ვიცავდი თავს სიცოცხლის გადასარჩენადო, – მაგრამ არჩევნებისას პეტსის გარკვეული გავლენა აქვს და ანგარიშს ამიტომაც უწევენ. ალალმართალი უოტსონიც როგორ დასაჯოს!.. ამიტომაც განაჩენს ისე მოაკვარახჭინებს, რომ ორივეს გაამართლებს და ხელის ჩამორთმევასა და შერიგებას ურჩევს.

გაზეთებში ეს ყოველივე ათასგვარად გადაკეთებულ-გადმოკეთებული დაიბეჭდება, უხვად შეზავებული ჭორებით. ერთი გაზეთი იმასაც ირწმუნება, მოსამართლე უიტბერგმა ორივე მოჩხუბარს ხელის ჩამორთმევა რომ ურჩია, მათ მაშინვე შეასრულეს რჩევაო.

– მოდი ცოტა გადავკრათ ამის აღსანიშნავად, – უთხრა პეტსი ჰორანმა.

– გადავკრათ, – უპასუხა ქარტერ უოტსონმა და ისინი ხელიხელგადახვეულნი გაეშურნენ უახლოესი სასაუზმისაკენ.

ასე გადააქცია სოციოლოგის ცხოვრების ეს მწარე ეპიზოდი გაზეთმა ფარსად, საერთოდ კი წვეთივით აირეკლა მოშლილი საზოგადოებრივი და ზნეობრივი ყოფა, როდესაც სიმართლე იოლად ჩაიხშობა და გაცამტვერდება სათამაშოდ გადაქცეული მართლმსაჯულების ხელში.

საერთოდ ამ თავგადასავალმა მაინცდამაინც მძიმე მოგონებები არ დაუტოვა ქარტერ უოტსონს, ამ თავისებურმა სოციალურმა ცდამ ახალი წიგნი დააწერინაო, – ასე გვაცნობს მწერალი გმირის სულიერ მდგომარეობას, თუმც მისი პროტოტიპისათვის მთლად ასე იოლად და უკვალოდ არ ჩაუვლია ამ თავგადასავალს.

პროტოტიპისათვის...

ეს ნოველა პირად თავგადასავალს შთაეგონებინა, ქარტერ უოტსონის პროტოტიპი თვითონ ჯეკ ლონდონია, და ეს დაბეჯითებით ვიცით მისი მეუღლის, ჩარმიან ლონდონის, მოგონებების წყალობით.

თურმე მხოლოდ მარტინ იდენის პროტოტიპი კი არ ყოფილა მწერალი ამავე სახელწოდების რომანში, არამედ აგერ, „გამართლების“ პერსონაჟისაც.

ჩარმიანი კი ქმრის ბიოგრაფიას რომ შეადგენდა, იმასაც გაიხსენებდა, თუ როგორ შეეცვალა მათი თანაცხოვრების ერთი უდიდესი სიხარული უმძიმეს მწუხარებას. სანუკვარი ოცნება აღუსრულდებოდა ცოლ-ქმარს, ჩარმიანს ბავშვი ეყოლებოდა. მართალია მწერალი ბიჭზე ოცნებობდა და გოგონა კი გაჩნდებოდა, მაგრამ თურმე ბედნიერებისაგან ბრწყინავდა და აღტაცებას გამოთქვამდა ახალშობილის სათუთი კანისა და ჭროღა თვალების გამო.

მშობიარობა მძიმე იყო და გოგონა ორ დღე-ღამესაც ვერ იცოცხლებდა. ცოლ-ქმარი სასოწარკვეთას მიეცემოდა.

თავსდატეხილი უბედურებით მოცული ჯეკი ქალაქში დახეტიალობდა და უნებურად ამოჰყოფდა თავს მიყრუებულ კვარტალში, ჩინური სათამაშო სახლებით რომ გადავსებულიყო. ამერიკულ აბრას მოჰკრავდა თვალს და პატარა კარში შევიდოდა, ეგონა, საპირფარეშოში მიმიყვანსო, ღამის ბუნაგში კი აღმოჩნდებოდა.

ყოველივე, რაც შემდეგ მოხდა, საკმაო სიზუსტით აღიწერა ნოველაში. შემომსვლელის ხელში ჟურნალი რომ დაინახა, მეპატრონემ იფიქრა, კედლებზე რეკლამის გაკვრას აპირებსო, და გაცოფებული ეცა. მის დასახმარებლად ვიღაც ბნელ-ბნელი ტიპებიც დაიძრნენ და თავპირდალეწილი ჯეკი ქუჩაში ისროლეს.

რაღა დოკუმენტური ჩანაწერი და რაღა ნოველის ეს ნაწილი!..

ლონდონს აღიარებული მწერლის მთელი გავლენის გამოყენება დასჭირდა, საქმე სასამართლოში რომ მოხვედრილიყო, თუმცა – ზუსტად ისევე, როგორც ნოველაშია –

მოსამართლემ საქმე „საეჭვოდ“ მიიჩნია. ხოლო რადგანაც – არსებული კანონის თანახმად – განსასჯელის სასარგებლოდ წყვეტს საქმის მსვლელობას, ხულიგანმა მეპატრონემ სასჯელს თავი უვნებლად დააღწია.

შემდგომ გამოირკვა, რომ ამ ბუნაგის ნამდვილი მესაკუთრე... თვითონ მოსამართლე ყოფილა. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი ნოველაში არსად ამოიკითხება.

მწერლის მეუღლე ამის თაობაზე დარწმუნებით ვერაფერს ამბობს და ვარაუდობს, რომ ეს ჯეკ ლონდონის სურვილით არ მოხდებოდა: მოვლენათა – ამჯერად უკვე სიუჟეტის განვითარების – ასეთ სენსაციურსა და თავზარდამცემ შემობრუნებაზე ჯეკი უარს არ იტყოდაო.

ჯეკ ლონდონი

რედაქტორები და გამომცემლები მოერიდნენ სასამართლოსთან ურთიერთობის გამწვავებას და მწერალს სთხოვეს, ეს უსიამოვნება აერიდებინა მათთვის?

მაგრამ იქნებ სწორედაც სიუჟეტის შინაგანმა ლოგიკამ უკარნახა მწერალს, მაინცდამაინც ისე წარმართულიყო თხრობა, რომ მოსამართლის პირადი დაინტერესება საქმის ჩაფარცხვით და თავისი ხელქვეითის გამოხსნით კანონის ბრჭყალთაგან ნაკლებმნიშვნელოვანი გამოჩნდა სხვა მოტივთა ფონზე?

ისევე, როგორც ნოველაში არ შესულა ის მთავარი მიზეზი, თუ რატომ აღმოჩნდა ჯეკ ლონდონი ღამის ბუნაგში.

განა არ შეიძლებოდა, რომ ქარტერ უოტსონიც ახალშობილი გოგონას გარდაცვალებით ყოფილიყო შეძრული და ფიქრის გასაქარვებლად მოსდებოდა ქალაქის ქუჩებს?

ნოველის შინაგანი ლოგიკისა და ფონის მიხედვით სწორედაც არ შეიძლებოდა – საეჭვო ღირებულების სენტიმენტალურობა გაჩნდებოდა თხრობისას და მწერალი ამიტომაც შეელეოდა თავისთავად გულისშემძვრელ რეალიას.

ისეთი რამ არის გამოტოვებული შეგნებულად ამერიკელი ბელეტრისტის ნოველაში, რაც მანამდე ქართველი პოეტის ერთ ლექსშიც ქარგის მიღმა დარჩებოდა.

გრიგოლ ორბელიანის შედევრი იგულისხმება – „ჩემს დას ეფემიას“.

პატიმრობის დღეების მოგონებებზე ამოზრდილა ლექსის ლირიკული სარჩული, გაუნელებელი სიმძაფრით ტრიალებს ის განწყობილებანი და ცალკეული რეალიები, მაგრამ გაკრთომითაც არ გაკრთება ის თავისთავად გულისშემძვრელი ეპიზოდი, სწორედ იმხანად დედა რომ გარდაეცვლებოდა „სადღეგრძელოს“ შემოქმედს და ტუსაღს დაკრძალვაზე დასწრების უფლებასაც არ მისცემდნენ. პროცესიას საპატიმროს ჭუჭრუტანიდან ვუყურებდიო, – მწარედ დაიკვნესდა ერთ კერძო ბარათში, ლექსში კი...

რაოდენ საგულისხმოა დავით წერედიანის ის დაკვირვება, პოეტური ქსოვილის სიფაქიზეს რომ წარმოაჩენს და გვიბიძგებს, ამ თვალით ჩავუკვირდეთ – როგორც კი საამისო შემთხვევა მოგვეცემა – სხვა თხზულებებსაც, თუ რა და როგორ იცვლება რეალობის გარდათქმისას მხატვრულ წარმოსახვებად:

„ეს მაცდუნებელი დეტალი ლექსში არ შეუტანია, რაც მის პოეტურ ტაქტზე მეტყველებს, – ნაწარმოების ტრაგიზმით აღსავსე პათოსში საეჭვო ღირებულების სენტიმენტალურობა შემოიჭრებოდა“.

რა უცნაურად შეიძლება დაუკავშირდეს ერთმანეთს სრულიად სხვადასხვა მხატვრული ქმნილებანი.

სად გრიგოლ ორბელიანის „ჩემს დას ეფემიას“ და სად ჯეკ ლონდონის „გამართლება“.

და მაინც, ერთი საგულისხმო რეალიაა, როგორ აახლოებთ – მხატვრული ტაქტი.

მოსამართლის პირადი დაინტერესება ნაკლებმნიშვნელოვანი გამოჩნდაო...

ასეა თუ ისე, მას შემდეგ, რაც სასამართლო დაუსჯელს დატოვებდა ბნელი ადამიანების მუშტი-კრივს გამოჩენილ მწერალთან, ჯეკ ლონდონს მოსამართლისა და სანფრანცისკოს ყველა გაზეთისათვის ამ შინაარსის წერილი გაუგზავნია:

„ოდესმე, სადმე და როგორმე, მაგრამ გამოგიჭერთ კანონიერ საფუძველზე. სულაც არ ვაპირებ თავს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საფრთხე შევუქმნა. თქვენს წარსულს არ ვიცნობ. მაგრამ ამიერიდან თქვენი წარსულით დაინტერესებასა და მომავალი საქმიანობისათვის თვალყურის დევნებას ვიწყებ და გამოგიჭერთ კანონითა და კანონიერი ძიებით აღჭურვილი...“

განზრახული შურისძიება ვერ აღსრულდებოდა.

ვერ გამოიჭერდა ან მაინცდამაინც აღარ მოინდომებდა მსაჯულის ბნელ საქმეებში ქექვას.

„ოდესმე“, „სადმე“, „როგორმე“ ჰაერში გამოეკიდებოდა.

კი მაგრამ, ჯეკ ლონდონის დაუშრეტელი ენერგია? ის შეუპოვარი ჟინი, რითაც ამ ბრძოლაში ჩაება? ბოლოსდაბოლოს, ის დიდება, რაც მის სახელს ახლდა?

ეს ყოველივე ფუჭი აღმოჩნდაო, – აღნიშნავენ ბიოგრაფოსები და სინანულით დასძენენ, რომ ჯეკი სამაგიეროს მიუზღველად გარდაიცვალა.

შურისგების დაუოკებელი წყურვილი ნოველის ორ უკანასკნელ თავშიც ვერ დაიოკა?

რეალურ სურათს მხატვრული წარმოსახვა გააგრძელებს და ქარტერ უოტსონი, ვისაც თითქოს მაინცდამაინც მძიმე მოგონებები არ დაუტოვა ამ თავგადასავალმა, თავის მიწაზე შემთხვევით გადააწყდება მოსამართლე უიტბერგს, ვინც ქალაქიდან სასეირნოდ წამოსულა და უნებურად მოხვედრილა სოციოლოგის მამულში. მოსამართლე ხელს გაუწვდის ჩამოსართმევად, მაგრამ უოტსონი თვალს აარიდებს და ეტყვის: გაზეთებმა დამაბრა-

ლეს, თითქოს ხელი ჩამომერთვას პეტსი ჰორანისათვის, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ ათასჯერ მეტი სიხარულით ჩამოვართმევდი ხელს მასაც და მის ბილწ ამფსონებსაც, ვიდრე თქვენო.

არაფრით არ ველოდი, რომ თქვენ, ასეთ განათლებულსა და გამოცდილ ადამიანს, მტრობა ჩაგრჩებოდათ გულშიო, – ძლივს ამოღერღავს მსაჯული, მაგრამ უოტსონს უეცრად აზრად გაუელვებს, მხიარული, მაგრამ ბოროტი ოინი მოუწყოს მოსამართლეს.

შურისძიებისათვის აუცილებელია, რომ უიტბერგმა ზუსტად ის იწვნიოს საკუთარ თავზე, რაც უოტსონმა მაშინ გამოსცადა – კიდეც მას დაესხან თავს, კიდეც იგი ჟეჟონ და სასამართლოს წინაშე კი მას გადაბრალდეს ცემა-ტყეპის ატეხვა.

ქარტერ უოტსონი ჯერ ერთ ქვას დაირტყამს სახეში, მერე მეორეს და გაოგნებულ მოსამართლეს მიმართავს: ჩემი სახის დალილავება თქვენი მარჯვენის ბრალია, ორჯერ გამარტყით: ბაც, ბაც! ეს უხეში და უმიზეზო თავდასხმაა, ჩემი სიცოცხლე საფრთხეშია, იძულებული ვარ თავი დავიცვაო, – და ისეთს შემოჰკრავს სახეში, ოფიციალური პირი გულაღმა გაიშხლართება მდელოზე.

– ადექი, – უბრძანებს უოტსონი, – თუ წესიერი ადამიანი ხარ, ადექი, ადექი! აი, ამას მეუბნებოდა პეტსი...

წამოაგდებს ფეხზე და ისეთ ცემა- ტყეპას გაუმართავს, წითელკანიან ინდიელებსაც შეშურდებოდათო. ხან სახეში ურტყამს, ხან ყურისძირში, ხან მიწაზე ათრევს და თან წამდაუწუმ უხსენებს პეტსი ჰორანს.

ნაცემ-ნაბეგვი მოსამართლე კოჭლობით რომ მიაღწევს თავის სასტუმრომდე, სოფლის კონსტებლი დააპატიმრებს: უოტსონმა გიჩივლა, თავდასხმასა და ცემაში გდებს ბრალსო.

განმეორდა ერთი სცენა.

ახლა მეორე სცენაც უნდა განმეორდეს – ეს უკვე სასამართლო დარბაზში, და უოტსონი ასე მოჰყვეს იმ უსიამოვნო ეპიზოდს:

– ჩემს საკუთარ მიწაზე ვკრეფდი ყვავილებს და არავითარ საფრთხეს არ მოველოდი. უცებ ეს კაცი, რომელიც თურმე ხეებს ამოფარებოდა, ზურგიდან მეძგერა. – მე დოდო ვარ, – მითხრა მან, – და შემიძლია ნიორივით დაგნაყო. ხელები მაღლა! – მე გამეღიმა, მაგრამ მან დაუნდობლად გამარტყა ორჯერ... თანაც ბინძურად იგინებოდა. ეს ყოვლად უმიზეზო და მხეცური თავდასხმა იყო. აი, სახე რას მიგავს, აი, ცხვირი. სანამ გონს მოვიდოდი, მომდგა და ცემა დამიწყო. ჩემი სიცოცხლე საფრთხეში იყო და იძულებული გავხდი, თავი დამეცვა.

უიტბერგს ხშირად მოუსმენია ცრუ ჩვენებანი თავის მაღალ სავარძელში მჯდარსა და პოლიციელთა ხელკეტებითა და ციხის საკნებით ზურგგამაგრებულს, მაგრამ ახლა ყალბი ჩვენების მახვილი თვითონ მის წინააღმდეგ შეტრიალებულიყო და ამაოდ იფიცებს და ივედრება, ხელიც არ გამინძრევიაო.

გახსოვს, უიტბერგ, რას გარწმუნებდა უოტსონი და ყურიც არ ათხოვე?

ისე თუკი ხელი არ გაგინძრევია, რატომ ჩალურჯებია ასე სახე სოციოლოგს?

უიტბერგი მსაჯულს უმტკიცებს, თვითონ დაირტყა ორი ქვაო.

და დავაში უოტსონი უნდა ჩაერიოს:

– შეიძლება, რომ ადამიანმა, თუკი ის ჭკუათმყოფელია, ასე დაისახიჩროს თავი? შეიძლება საკუთარი სახის ნაზსა და მგრძნობიარე ნაწილებზე ქვა დაირტყას?

მოგაგონდა, უიტბერგ, შენივე საკუთარი სიტყვები?

აბა, ახლა აღიარე, შეიძლება თუ არა ადამიანმა, გაშმაგების წუთებში, საკუთარი სახეც გაიმეტოს დასალილავებლად?

მოწმე არავინაა, ორივე დაზარალებული საპირისპიროს ამტკიცებს და მოსამართლე იძულებულია, ქარტერ უოტსონიც გაათავისუფლოს და სოლ უიტბერგიც.

ამბავი აქ მოთავდება.

შურისგება აღსრულებულია.

მაგრამ სოციოლოგს ერთი დეტალიც ძალიან აწუხებს, მაშინდელი კოშმარიდან მწარედ ჩარჩენილი, და მოინდომებს ის მძიმე მოგონებაც გააქარწყლოს და ყოფაშიც შექმნას ის ნოველური ფინალი, რამაც „გამართლების“ კომპოზიციური ქარგა სრულყოფილად უნდა შეკრას:

– მოდი ცოტა გადავკრათ ამ ამბის აღსანიშნავად, – ეტყვის სასამართლოდან გამოსული უოტსონი უიტბერგს, მაგრამ იგი მკლავს გამოაცლის და არაფრისდიდებით არ გაჰყვება სასაუზმეში.

რა გამოდის:

რაც ვერ შეძლო ჯეკ ლონდონმა რეალობაში, ნოველის სიუჟეტში შეასხა ხორცი.

სამაგიეროს გადახდის სურათები, წარმოსახვაში რომ უტრიალებდა, ამ სახით გადმოიღვარა ფურცლებზე.

გადმოიღვარა და... დაოკდებოდა თუ ვერ დაოკდებოდა შურისძიების წყურვილი, ასე რომ მოსდებოდა მწერლის არსებას?

ვერაო, – ზოგი მკვლევარი თუ მკითხველი ამ აზრისაა, – ეს ყოველივე მხოლოდ სუსტი საზღაურია რეალურ ცხოვრებაში უკეთურ მოსამართლეზე შურისძიების შეუძლებლობისაო.

ეს ყოველივე: პირადი წერილიც და ნოველაც.

მწერლის მეუღლე ცოტა სხვა მოსაზრებისა გახლდათ, ოღონდ უპირატესობას უფრო იმ კერძო ბარათს მიანიჭებდა:

„... შიში, რითაც გალია ცხოვრება მოსამართლემ მას შემდეგ, რაც ჯეკის მრისხანე წერილი მიიღო, თავისთავად უკვე შურისძიება იყო“.

მაინც რომელი მოსაზრებაა უფრო სარწმუნო?

მოსამართლეს როგორც უნდა ეკანკალა დაუნდობელი თავდასხმის მოლოდინში, მაინც რას ნიშნავს ნოველის ამგვარი ფინალი, ისევე რომ სცემს ქარტერ უოტსონი კანონის შემბღალავ მსაჯულს, როგორი ცემა-ტყეპაც გაამართლა პოლიციელთა ხელკეტებზე ამაღლებულმა?

ეს ჯეკ ლონდონი ურტყამს და ათრევს წარმოსახვაში იმ მსაჯულს, ასე ცინიკურად რომ შეურაცხყო მისი პიროვნული ღირსება და კიდევ უფრო გაუმაგრა ფესვები უსამართლობასა და ძალმომრეობას.

უმწეობისაა ამ ნოველის შექმნაც და მის ფურცლებზე გადაღვრილი პირადი ბრაზი და მრისხანებაც?

ოცნება დააშოშმინებს აბორგებულ გულს?

ნეტა რა ეგონა ჯეკ ლონდონს ნოველის შექმნამდე და გაუცრუვდა თუ არა იმედი, უკვე დასრულებული რომ გადაიკითხა?

იქნებ მის დაწერას ერჩივნა მართლა ეთრია მოსამართლე მიწაზე და თან წამდაუწუმ ეხსენებინა იმ სამიკიტნოს მეპატრონის სახელი?

მაგრამ მწერლის პროფესიას იგი თავდაჭერილი გაეხადა.

ამიტომაც დაემუქრა მხოლოდ ასე უსამართლო დამცველს კანონიერებისა:

კანონის საფუძველზე გამოგიჭერთო.

და მაინც – უმწეობისაა თუ არ არის უმწეობისა?

რასაც ვერ შეიძლებ რეალობაში, ოცნებასა და ნოველის ფურცლებს მიანდობ?

პირველბიძგი იქნებ ესეც ყოფილიყო, შეურაცხყოფილი სულის დასამშვიდებლად მოინახა წარმოსახვაში ამგვარი სიუჟეტი და რეალობა და ოცნება ერთმანეთს გადაეჯაჭვა, მაგრამ ყველაზე დიდი შურისგება მაინც ის გახლდათ, რომ ეს ნოველა შეიქმნა – ამერიკული და მსოფლიო ნოველისტიკის თვალსაჩინო ნიმუში. მხატვრული შთამბეჭდაობა იძიებდა შურს ყველაზე უკეთ და იქნებ მისი დასრულებისთანავე ჯეკ ლონდონს სურვილიც გაუჩნდა, მოეძებნა ის მოსამართლე და მახლობელ სასაუზმეში დაეპატიჟა:

– მოდი ცოტა გადავკრათ ამ ამბის აღსანიშნავად.

გიიომ აპოლინერი

მატროსი ამსტერდამიდან

სანელებლებითა და სხვა ძვირფასი პროდუქტებით დატვირთული ჰოლანდიური ხომალდი „ალკამაარი“ იავას კუნძულიდან ბრუნდებოდა.

გზად შეჩერდა საუთჰემპტონის ნავსაყუდელში და მატროსებს ნაპირზე გადასვლის ნება დართეს.

ხომალდიდან გადმოსულთა შორის იყო ჰენდრიკ ვერსტეიგი. მას მარჯვენა მხარზე ესვა პატარა მაიმუნი და მარცხენაზე – თუთიყუში, ზურგზე კი მოეგდო მომცრო ფუთა, სავსე ინდური ქსოვილებით, რომელთა გაყიდვა ეწადა მაიმუნსა და თუთიყუშთან ერთად.

უკვე გაზაფხული დამდგარიყო, მაგრამ ჯერ ისევ ძალზე ადრე ბინდდებოდა. ჰენრიკ ვერსტეიგი საკმაოდ სწრაფად მიაბიჯებდა ქალაქის ქუჩებში. ქალაქი ნისლში იყო გახვეული და გაზის ფარნები მქრქალად ანათებდნენ ქუჩებს. მატროსი ფიქრობდა, ამსტერდამში მალე ვიქნები, დედა უკვე სამი წელია არ მინახავსო. საცოლე კი მანინკენდამში ელოდებოდა. გონებაში უკვე ანგარიშობდა, რამდენი ამონაგები ექნებოდა ნავაჭრიდან და გაფაციცებით ეძებდა დუქანს, სადაც მოახერხებდა თავისი ეგზოტიკური საქონლის გაყიდვას.

აბოვ-ბარის ქუჩაზე ჩინებულად გამოწყობილმა მამაკაცმა შეაჩერა და ჰკითხა, თუთიყუშის გაყიდვა ხომ არა გნებავთო.

– ძალიან მომწონს თქვენი თუთიყუში. მარტოხელა კაცი ვარ და სულ ვეძებ ვინმეს, ვინც ხმას გამცემდა ისე, რომ არ დაელოდებოდა ჩემს შეკითხვებსა თუ პასუხებს.

ჰენდრიკ ვერსტეიგმა, ისევე როგორც ყველა ჰოლანდიელმა მატროსმა, იცოდა ინგლისური. მაშინვე აუწყა ფასი უცნობს, რომელიც არ შევაჭრებია.

– წამომყევით, – თქვა მან. – მართალია აქედან საკმაოდ შორს ვცხოვრობ, მაგრამ მინდა, რომ თქვენ თვითონ ჩასვათ თუთიყუში ახალ გალიაში. ბარემ სხვა საქონელსაც მაჩვენებთ და ეგებ რამე ამოვარჩიო საჩემო.

ამ იღბლიანი შეხვედრით კმაყოფილი ვერსტეიგი გაჰყვა ჯენტლმენს და გზაში მაიმუნსაც უქებდა, ვინძლო ესეც გავასაღოო. ეუბნებოდა, ძალზე იშვიათ ჯიშს ეკუთვნის, ერთ-ერთ იმათგანს, რომელიც სხვებზე უკეთესად იტანს ინგლისურ კლიმატს და თავის პატრონს ყველაზე იოლად ეთვისებაო.

მაგრამ მატროსი მალე-ვე დადუმდა. იფიქრა, ტყუილად ვლაქლაქებო. მისი თანამგზავრი კრინტს არა სძრავდა და, ეტყობა, არც კი უსმენდა.

გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ და მდუმარედ აგრძელებდნენ გზას. მაგრამ მაიმუნი, მშობლიური ტროპიკული ტყეები რომ ენატრებოდა, ნისლს დაეშინებინა და ხანდახან წამოიყვირებდა, თითქოს ახლად დაბადებული ღნავისო, თუთიყუში კი დროდადრო ფრთებს ატლაშუნებდა.

ერთი საათი იარეს და უცებ უცნობმა თქვა:

– სახლს ვუახლოვდებით.

ქალაქის გარეუბანში შესულიყვნენ. გზის ორივე მხარეს ცხაურით შემოლობილი ხეხილის ბაღები იყო გაშლილი. ხეებს მიღმა იშვიათად გამოჩნდებოდა კოტეჯების განათებული ფანჯრები, ზღვიდან კი შორეული სირენის საგანგაშო ბღავილი აღწევდა.

უცნობი შეჩერდა ერთ ჭიშკართან, ჯიბიდან ამოიღო გასაღებთა ასხმულა, გააღო ჭიშკარი და როგორც კი ჰენდრიკი შევიდა შიგნით, მყისვე ჩაკეტა.

მატროსი გაოცებული იყო. ბაღის სიღრმეში ძლივ-ძლივობით გაარჩია პატარა და ლამაზი ვილა. დაგმანული დარაბები სინათლის ერთ სხივსაც კი არ უშვებდნენ სახლში.

სიტყვაძვირი უცნობი და ყრუ, მიუსაფარი სახლი! ყოველივე ეს საკმაოდ შეაძრწუნებდა კაცს. მაგრამ ჰენ-

დრიკს მოაგონდა, რომ უცნობი მარტოდმარტო ცხოვრობდა.

„ახირებული ვინმეა!“ – გაიფიქრა მან. და რადგანაც ჰოლანდიელი მატროსები იმდენად მდიდრები როდი არიან, რომ გაძარცვის მიზნით შეიტყუონ სადმე, ჰენდრიკს კიდეც შერცხვა თავისი წუთიერი შიში.

– გეთაყვა, ასანთს გაჰკარით, – თქვა ჯენტლმენმა და გასაღები მოარგო კოტეჯის გარეთა კარის კლიტეს.

მატროსმა გაჰკრა ასანთს.

როგორც კი სახლში შევიდნენ, უცნობმა მოიტანა ანთებული ლამპა, რომელმაც გაანათა მშვენიერი და გემოვნებით გაწყობილი ჰოლი.

ჰენდრიკ ვერსტეიგი დამშვიდდა. იმედიც კი გაუღვივდა, ეს უცნაური უცნობი ჩემი საქონლის დიდ ნაწილს იყიდისო.

უცნობი გავიდა ოთახიდან და იმავ წუთში მობრუნდა. გალია ეჭირა ხელში.

– თუთიყუში ამ გალიაში ჩასვით, – უთხრა ჰენდრიკს. – გალიიდან მაშინ გამოვუშვებ, როდესაც შემეჩვევა და ლაპარაკს ისწავლის.

ჩაკეტა გალია, რომელშიც ელდანაცემი თუთიყუში აქეთ-იქით აწყდებოდა, და მატროსს სთხოვა, აეღო ლამპა და გასულიყო მეზობელ ოთახში, სადაც, მისი სიტყვით, მოხერხებული სკამი იდგა, რომელზედაც საქონელს დაალაგებდა.

მხატვარი ნინო ზაალიშვილი

ჰენდრიკ ვერსტეიგი მორჩილად გავიდა მეზობელ ოთახში. კარი მყისვე მიუხურეს. მოესმა, როგორ გადატრიალდა გასაღები და გაჩხარუნდა კლიტე. მახეში გავებიო, გაუელვა თავში.

გაოგნებულმა მაგიდაზე დადო ლამპა და კარისკენ უნდა გაქანებულიყო გამოსამტვრევად, მაგრამ უცნობის შეძახილმა შეაჩერა.

– ერთი ნაბიჯიც რომ გადმოდგათ, სიკვდილი გელით.

ჰენდრიკმა თავი ასწია და დაინახა სამერცხული, რომელიც მანამდე არ შეენიშნა, და მასზე დამიზნებული რევოლვერის ლულა. თავზარდაცემული ადგილზე გაშეშდა.

შებრძოლება შეუძლებელი იყო. მატროსის დანა ამ შემთხვევაში, ცხადია, ვერ დაეხმარებოდა. რევოლვერითაც კი ძნელად გააწყობდა რამეს. უცნობს ჰენდრიკი მიზანში ჰყავდა ამოღებული, თვითონ კი კედელი ჰფარავდა და სამერცხულიდან თვალს ადევნებდა მატროსის ყოველ მოძრაობას. ხოლო მატროსი ხედავდა მხოლოდ ხელს და მასზე დამიზნებულ რევოლვერს.

– მისმინეთ და შეასრულეთ, რასაც გიბრძანებთ, – თქვა უცნობმა. – იძულებითი სამსახური, რომელიც უნდა გამიწიოთ, გულუხვად აგინაზღაურდებათ. თქვენ არჩევანი არ გაგაჩნიათ. დაუყოვნებლივ უნდა დამემორჩილოთ ანდა ჩაგაძაღლებთ. გააღეთ მაგიდის უჯრა. თქვენ იქ ნახავთ ექვსვაზნიან რევოლვერს ხუთი ტყვიით. გამოიღეთ!

მატროსმა ზუსტად შეასრულა ყველაფერი – თითქმის გაუცნობიერებლად. მის მხარზე წამოსკუპებული მაიმუნი შიშით ცახცახებდა და საცოდავად წრიპინებდა. უცნობმა განაგრძო:

– ხედავთ შირმას ოთახის სიღრმეში? იქით მიბრძანდით!

ბრძანება რომ შეასრულა, ჰენდრიკმა დაინახა ნიში, სადაც საწოლზე იწვა ხელფეხშეკრული და პირში ჩვარჩაჩრილი ქალი, რომელიც სასოწარკვეთილი თვალებით შეჰყურებდა ჰენდრიკს.

– ხელფეხი შეუხსენით, – თქვა უცნობმა, – და პირიდან ჩვარი ამოუღეთ.

როდესაც ეს ბრძანებაც შესრულდა, უჩვეულო მშვენების ქალი გაიჭრა სამერცხულისკენ, მუხლებზე დაეცა და ყვირილი მორთო:

– ჰარი, ეს მზაკვრული მახეა! თქვენ ამ ვილაზე შემომიტყუეთ წასაბილწად და მოსაკლავად. თქვენ მეუბნებოდით, რომ ეს ვილა დაიქირავეთ იმისათვის, რომ აქ გაგვეტარებინა ჩვენი შერიგების პირველი დღეები. მეგონა, რომ თქვენ, ბოლოს და ბოლოს, დამიჯერეთ და დარწმუნდით ჩემს უდანაშაულობაში. ჰარი! ჰარი! თქვენს წინაშე არაფერში არა ვარ დამნაშავე.

– არა მჯერა თქვენი, – ცივად წარმოთქვა უცნობმა.

– ჰარი, მე უდანაშაულო ვარ, – იმეორებდა ქალი ჩახშული ხმით.

– ეს თქვენი უკანასკნელი სიტყვებია, არასოდეს დამავიწყდება. და მთელი სიცოცხლე გამიმეორებენ.

უცნობს ოდნავ აუკანკალდა ხმა, მაგრამ მყისვე დასძინა გადაჭრით და მტკიცედ:

– ... რადგანაც ისევ მიყვარხართ. ნაკლებად რომ მყვარებოდით, მე თვითონ მოგკლავდით. მაგრამ არ ძალმიძს, რადგანაც მიყვარხართ... ახლა კი, მატროსო, თუკი თქვენ, ვიდრე ათამდე დავითვლი, ამ ქალს თავს არ გაუხვრეტთ, თავად თქვენ მის ფერხთით გაფშეკთ ფეხებს. ერთი, ორი, სამი...

უცნობმა ოთხამდე მოასწრო დათვლა და შიშისგან ლამის ჭკუიდან შერყეულმა ჰენდრიკმა ესროლა ქალს, რომელიც დაჩოქილი იყო და მას მიშტერებოდა. ქალი პირქვე დაემხო. ტყვია შუბლში მოხვედროდა. სამერცხულიდან მაშინვე გაისმა მეორე გასროლა და ტყვიამ მარჯვენა საფეთქელი გაუხვრიტა მატროსს. იგი მაგიდასთან გაიშოტა. დამფრთხალი მაიმუნი გამყინავად აკივლდა და შიშით აცახცახდა, მერე კი სწრაფად ჩაიმალა მატროსის კურტაკქვეშ.

მეორე დღეს საუთჰემპტონის გარეუბნის მცხოვრებლებმა, კოტეჯს რომ ჩაუარეს, რაღაც უცნაური ბგერები გაიგონეს; ეს შეატყობინეს პოლიციას, რომელიც დაუყოვნებლივ გამოცხადდა. კარი შეამტვრიეს და იქ იპოვეს ორი გვამი – ახალგაზრდა ქალის და მატროსისა. მაიმუნი მოულოდნელად გამოხტა თავისი პატრონის კურტაკს ქვემოდან და უნდა დაძგერებოდა ერთ-ერთ პოლიციელს. შეშინებული პოლიციელნი უკუიქცნენ და მაიმუნი რომ მოკლეს, მაშინღა გაბედეს ხელახლა შესდგომოდნენ დათვალიერებას.

ჩატარდა გამოძიება. დადგენილ იქნა, რომ ქალი მოკლა მატროსმა, რომელმაც მერე თავი მოიკლა. მაგრამ მომხდარი დრამის დეტალები გაურკვეველი და იდუმალი რჩებოდა. მოკლულთა ვინაობა იოლად ამოიცნეს, ოღონდ ვერავის ვერ გაეგო, თუ როგორ მოხდა, რომ ლედი ფინგელი, ცოლი წარჩინებული ინგლისელი ლორდისა, ღვთის ანაბარად მიგდებულ, განცალკევებულ სააგარაკო სახლში იმყოფებოდა მარტოდმარტო ვიღაც მატროსთან, რომელიც წინადღით ჩამოსულიყო საუთჰემპტონში.

კოტეჯის პატრონის მიერ მიწოდებულმა ცნობებმა ვერაფერი უშველეს გამოძიებას. ამ შემთხვევამდე რვა დღით ადრე ვილა დაექირავებინა ვინმე კოლინზს მანჩესტერიდან. მისი პოვნა ვერ მოხერხდა. ეს კოლინზი თურმე ატარებდა სათვალეს და ჰქონდა გრძელი, მწითური წვერი, რომელიც ეგებ ხელოვნური იყო.

ლორდი სასწრაფოდ ჩამოვიდა ლონდონიდან. იგი აღმერთებდა თავის ცოლს და ენით აუწერელ მწუხარებას შეეპყრო. ისევე როგორც სხვებს, მასაც ვერაფერი გაერკვია ამ უცნაური შემთხვევის არსში.

იმ დროიდან მოყოლებული ლორდმა მიატოვა მაღალი საზოგადოება და განმარტოებით ცხოვრობს თავის სახლში, კენიგსტონს, მუნჯ მსახურსა და თუთიყუშთან ერთად, რომელიც განუწყვეტლივ იმეორებს ერთსა და იმავეს:

– ჰარი, მე უდანაშაულო ვარ...

თარგმნა
ზურაბ ცერცვაძემ

მთარგმნელისაგან

გამოჩენილი ფრანგი პოეტი გიიომ აპოლინერი (ვილჰელმ კოსტროვიცკი) ერთ-ერთი რეფორმატორია ფრანგული ლექსთწყობისა. დაიბადა 1880 წელს რომში. თანამშრომლობდა პარიზის სიმბოლისტურ ჟურნალებში, დაამკვიდრა ტერმინი „სიურრეალიზმი“, ავტორია სიურრეალისტური რომანისა „მჯდომარე ქალი“, მასვე მიიჩნევენ „დადაიზმის“ ერთ-ერთ ფუძემდებლად. 1911 წელს ციხეში ჩასვეს შეთითხნილი ბრალდებით: ლუვრიდან „ჯოკონდა“ მოიპარაო. 1915 წელს მოხალისედ წავიდა ფრონტზე. თავდაპირველად ხოტბას ასხამდა ომს; საზარბაზნე ხორცად განწირული ჯარისკაცის ცხოვრებას კარგად რომ გაეცნო, პირუთვნელად აღწერა ყველაფერი. 1916 წელს გაზაფხულზე მტრის ჭურვი აფეთქდა იმ სანგართან, სადაც აპოლინერი იმყოფებოდა, ნამსხვრევმა მუზარადში გაატანა და პოეტი მძიმედ დაიჭრა თავში. კარგა ხანს აწუხებდა ძლიერი თავის ტკივილი, სხეულის მარცხენა მხარე პარალიზებული ჰქონდა. აუცილებელი შეიქნა თავის ქალის ტრეპანაცია. ჯანმრთელობა საფუძვლიანად შეერყა და 1918 წლის 9 ნოემბერს, ორი დღით ადრე პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე, „ისპანკით“ გარდაიცვალა.

გიიომ აპოლინერი, როგორც ჩანს, თავისებური მაგნეტიზმით ყოფილა დაჯილდოებული. ილია ერენბურგი იგონებს, რომ საშინლად იყო გატაცებული აპოლინერის ლექსებით და როდესაც პოეტი გააცნეს, აღელვებისგან ენა ჩაუვარდა მუცელში, აღარც სხვისი ლაპარაკი ესმოდა და აღტაცებით შეჰყურებდა აპოლინერს, რომელსაც გასცინებია და უთქვამს ერენბურგისათვის: „მე ლამაზი გოგო კი არა ვარ, შუახნის მამაკაცი ვარ“.

აპოლინერს კარგად იცნობდა პაოლო იაშვილიც. თავის მოთხრობაში „ფერადი ბუშტები“ იგი გადმოგვცემს (მოქმედება მიმდინარეობს პარიზში): „ერთ ღამეს მე, ილია ერენბურგი და გიიომ აპოლინერი ვეწვიეთ მათხოვრების ბანაკს ალექსანდრე მესამის ხიდის ქვეშ. მაშინ ომი დაწყებული იყო და ბანაკი ნამდვილ პარლამენტს ჰგავდა. იყო კამათი და თავმჯდომარეც იყო... ღამის ორი საათი იყო, კამათი არ თავდებოდა. ყველას შიოდა. ათი მათხოვარი მე, აპოლინერმა და ერენბურგმა წამოვიყვანეთ კაფე „როტონდაში“ სავახშმოდ. „როტონდა“ ჩვენი მეგობრებით იყო სავსე და მათხოვრების დანახვამ აღტაცება გამოიწვია“.

1924 წელს ჟურნალ „კავკასიონში“ (№1-2), პავლე ინგოროყვას რედაქტორობით რომ გამოდიოდა, რუბრიკით „გიიომ აპოლინერის ჯგუფი“ გამოქვეყნდა აპოლინერის, ჟან კოკტოს და ბლეზ სანდრარის ლექსები. წინათქმაში აღნიშნული იყო, რომ ეს ჯგუფი წარმოადგენს უკიდურეს მემარცხენე ფრთას თანამედროვე ფრანგულ პოეზიაში. საგანგებოდ გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ აპოლინერი მნიშვნელოვანი ფიგურაა ახალ ხელოვნებაში და მან შეიტანა ექსტრემისტული ხაზი არა მარტო პოეზიაში, არამედ გავლენა იქონია ხელოვნების სხვა დარგებზე – პლასტიკაზე, თეატრზე.

რედაქცია მკითხველს ჰპირდებოდა ცალკე წერილს აპოლინერზე, მაგრამ აღარ დასცალდათ.

სანიმუშოდ დავიმოწმოთ ფრაგმენტი გიიომ აპოლინერის სამსტროფიანი ლექსიდან „კროკუსები“:

შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება შხამი.
ნელი ლასლასით იქ დადიან ზანტი ძროხები
და ისუნთქავენ დამძიმებულ, დახაშმულ ჰაერს.
კროკუსის ბუჩქებს ლილისფერი სცვივათ ფოთლები.
ლილისფერია შენი ცქერაც ამ ყვავილივით.
შენი თვალები იღვრება ჩემში
ასევე ნელი და მძიმე შხამით.

გიიომ აპოლინერი დეტექტიური ლიტერატურის მგზნებარე პროპაგანდისტი ყოფილა. ამ ჟანრში ხედავდა ჯანსაღსა და გამამხნევებელ საწყისს. თავადაც დაუწერია რამდენიმე დეტექტიური მოთხრობა. ერთი მათგანი, სახელდობრ აქ გამოქვეყნებული „მატროსი ამსტერდამიდან“ ამჟამად აღიარებულია კლასიკურ დეტექტივად.

ქეთევან ტომარაძე

პირველი თურქი ნობელიანტი

*

ორჰან ფამუქი

2001 წელს, თურქი ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში გამოჩენილი ყირგიზი მწერალი ჩინგიზ აითმათოვი აღნიშნავდა: „აქტუალობა უკვე დაკარგა მსოფლიოს დაყოფამ აღმოსავლეთად და დასავლეთად“...

ამ მრავალმხრივ საყურადღებო და, იმავდროულად, საკამათო ფრაზამ ცნობილი თურქი მწერალი ორჰან ფამუქი და მისი რომანები გამახსენა. ვიფიქრე, ნაადრევი ხომ არ არის ყირგიზი ბელეტრისტის ამგვარი განცხადება, ჯერ ხომ მხოლოდ ორი კულტურული პლასტის შეპირისპირება – დაკვირვება, თვალის მიდევნება ხდება იმ პროცესებზე, თუ სად იზიდავს და განიზიდავს ერთმანეთს ადამიანური ვნებებით ესოდენ დამუხტულ უზარმაზარ ველში მოქცეული ეს ორი სამყარო, რომლის გეოგრაფიული დეფინიცია, უბრალოდ, ევროპა და აზიაა-მეთქი.

გონებაში რედიარდ კიპლინგის ყბადაღებულმა ფრაზამაც გაიელვა: „აღმოსავლეთი აღმოსავლეთია, დასავლეთი კი – დასავლეთი და ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს“.

რა დრო გასულა, გლობალიზაციის რა ფერხულში ჩავბმულვართ, რომ ვეღარ შეგვიმჩნევია, ჩვენს თვალწინ როგორ ერთბაშად წაიშალა დემარკაციის ხაზი, დაპირისპირება ორ კონტინენტს შორის, როგორ დაკარგა აქტუალობა ევროპად და აზიად დაყოფის ტენდენციამ. შემდეგ ამერიკელი პოლიტოლოგის, ჰანთინგტონის ცივილიზაციათა შეჯახების შიშისმომგვრელი თეორიაც გამახსენდა, უფრო ავღელდი, დავიბენი, ეს რაღა ღვთისწყრომაა მეთქი-გავიფიქრე – საზოგადოების ტოტალური დეჰუმანიზაცია, აპოკალიპსი, თუ ცივილიზაციათა შორის დიალოგის დაწყებისკენ მოწოდება, ბიძგი, რამაც ადამიანებს საკუთარი თავი უკეთ უნდა დაანახოს. აღიარებული მწერლის გამონათქვამის სანდოობას თითქოს საფუძველი ეცლებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, რა იგულისხმებოდა ამ ფრაზაში, მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკური, თუ კულტურული ერთობა, ან იქნებ ყველაფერი ერთად. აი, ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, საინტერესო და მნიშვნელოვანი. თუმცა, თეორიულად, კულტურათა დაახლოების აქცენტირება იყო საყურადღებო.

მაშინ უკვე ვიცოდი, რომ დიდი ხანია ორჰან ფამუქი უტრიალებდა ცივილიზაციათა დაახლოების თემას, მონდომებით ასახავდა რომანებში საკუთარ დაკვირვებებს, ოსტატურად აქანდაკებდა სამყაროს, რომელიც ორი კონტინენტის, ორი კულტურის, ორი ცივილიზაციის შეხვედრის, ხან შერწყმის, ხანაც დაპირისპირების ასპარეზს წარმოადგენდა. ამასთან, იგრძნობოდა თვითონ მწერალი, მისი შინაგანი ხმა, მის რომანებში გაცხადებული „ალტერ ეგო“ მთელი არსებით რომ ევროპისკენ მიისწრაფოდა.

ქართველმა თურქოლოგებმა, ცოტა არ იყოს, დავაგვიანეთ ორჰან ფამუქის რომანების გაცნობა საზოგადოებისათვის. ფეხდაფეხ ვერ მივდიეთ მის შემოქმედებით აღმასვლას. გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მწერალი უკვე ბეჯითად მიიწევდა ლიტერატურის მაღალი მწვერვალებისკენ. თავისი ნაწარმოებებითა და გამონათქვამებით ბევრს სულს უფორიაქებდა, პოლიტიკოსებს ხომ მოსვენებას უკარგავდა. ცენზურა გამადიდებელი შუშით კითხულობდა მის ყველა ნაწერს. თუმცა, გასაკვირი არაფერია, ასე იყო მუდამ და ასეა თურქეთში დღესაც.

1985 წელს არტურ მილერი და ჰაროლდ პინტერი სპეციალურად ჩასულან თურქეთში, დევნილი და ციხეში გამომწყვდეული მწერლების მხარდასაჭერად. მათთვის ორჰან ფამუქს უმასპინძლია. ამ ვიზიტს აღწერს თურქი რომანისტი სტატიაში „თავისუფლება მწერლობას,“ სადაც აღნიშნავს: „. . პირადად ვიცნობ მწერლებს, რომლებმაც აირჩიეს აკრძალული თემების აქცენტირება. ვფიქრობ, მე მათგან არ განვსხვავდები, რადგან როდესაც რომელიმე მწერალი, რომელიღაც ქვეყანაში თავისუფალი არ არის, არც ერთი მწერალი, არსად არ არის თავისუფალი. ეს, ჭეშმარიტად, ის სულია, რომელიც სოლიდარობის გრძნობას აღივებს „პენ“-ის წყალობით, მთელი მსოფლიოს მწერალთა წყალობით“.

პირველად 1930 წელს ნაზიმ ჰიქმეთმა, თითქმის 60 წლის შემდეგ კი ორჰან ფამუქმა თამამად აიმაღლა ხმა 1915 და 1921 წლებში სომეხთა ხოცვა-ჟლეტის თაობაზე და ამ მოვლენის გენოციდად აღიარება მოითხოვა. მწერალი შენიშნავდა: „გეოგრაფიულად ჩვენ ევროპის ნაწილი ვართ, მაგრამ პოლიტიკურად?...“ იგი ყოველმხრივ შეეცადა წარმოეჩინა თურქეთის „ორი სული“ და მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერამ იხსნა, რომ თანამოძმეთა და თანამოაზრეთა ბედი არ გაიზიარა, ციხეში არ ამოყო თავი.

1999 წელს ფამუქმა უარი თქვა „სახელმწიფო ოსტატის“ პრემიაზე. „წლების მანძილზე ვაკრიტიკებ სახელმწიფოს იმის გამო, რომ მწერლებს ციხეში ამწყვდევს, რომ ქურთების პრობლემის გადაწყვეტას მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით ცდილობს, აგრეთვე, გონებაშეზღუდული ნაციონალიზმის გამო... მე არ ვიცი, რატომ გადაწყვიტეს ჩემთვის პრემიის მონიჭება.“ – წერს ფამუქი.

ამ და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან თვისებათა, რაც მთავარია, მაღალი მწერლური ოსტატობისთვის თანამედროვე თურქულ ლიტერატურაში, რომელიც დასავლეთმა მიიღო და აღიარა, ორჰან ფამუქმა სულ მოკლე ხანში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა. მუდმივი და ხშირად აკრძალული თემებითა და პრობლემებით, ძველის ახლებური გააზრებით, ორიგინალური სტილითა და იდეებით, დამოკიდებულებით თავის ქვეყანასა და ხალხთან, სიტყვასა და ფრაზასთან, გარესამყაროს თავისებური ხედვით, ინტელექტუალიზმით მწერალმა მტკიცედ შეაბიჯა თურქულ ლიტერატურაში და მკითხველი საზოგადოება თუ ხელისუფლება – ყველა ერთიანად აა-

ფორიაქა, დააფიქრა, ბევრი საქმე და საკირკიმალო გაუჩინა.

„მე დავიბადე სახლში, სადაც ყველანი რომანებს კითხულობდნენ. მამაჩემს დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა და ჩემს ბავშვობაში ის უდიდესი რომანისტების – მანის, კაფკას, დოსტოევსკისა და ტოლსტოის შესახებ მსჯელობდა, მაშინ როდესაც სხვა მამები გენერლებსა და წმინდანებზე ლაპარაკობდნენ. ძალზე ადრეული ასაკიდან ყველა ეს რომანისტი – დიდი რომანისტი, გონებით ევროპასთან მაკავშირებდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მე სტამბოლის მხურვალე პროდასავლურ ოჯახში გავიზარდე, სადაც წუხდნენ თავიანთ უმწეობაზე, თვითონ ერწმუნათ და ქვეყანაც დაერწმუნებინათ, რომ ისინი გაცილებით უფრო ევროპელები არიან, ვიდრე ეს რეალურადაა. მჯერა, რომ რომანი საორკესტრო მუსიკისა და პოსტრენესანსული მხატვრობის მსგავსად, ევროპული ცივილიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია; ეს ის არის, რაც ევროპას აქცევს იმად, რაც დღეს არის, თვისება, რამაც ევროპა შექმნა და ხილული გახადა მისი ბუნება, თუ კი ასეთი რამ საერთოდ შეიძლება არსებობდეს. მე ვერ წარმომიდგენია ევროპა რომანის გარეშე... მე ერთი იმათგანი ვარ, ვინც არჩევანი რომანზე გააკეთა და ამით ევროპის საზღვრებში შეაღწია, ფეხი შედგა ახალ კონტინენტზე, ახალ კულტურაში, ახალ ცივილიზაციაში, რათა ესწავლა რომანების კვლევის გზით, გამოეხატა საკუთარი თავი ახლებური სურვილითა და შთაგონებით, ასევე რწმენით, როგორც შედეგით იმისა, რომ ის ევროპის ნაწილია – აი, ასეთი შეგრძნება მახსოვს. მოდი, ისიც გავიხსენოთ, რომ დიდი რუსული რომანი და ლათინოამერიკული რომანი ასევე ევროპული კულტურის განშტოებაა. ასე რომ, რომანის კითხვა ნიშნავს განიმტკიცო აზრი, რომ ევროპის საზღვრები, ისტორია და ერებს შორის სხვაობა მუდმივ მოძრაობაშია. მამაჩემის ბიბლიოთეკის ფრანგულ, რუსულ და გერმანულ რომანებში, ჩემი ბავშვობის ომისშემდგომდროინდელი და თანამედროვე ევროპაა აღწერილი, ადგილი, რომელიც მუდამ ცვალებადია. ასეა ჩვენი წარმოდგენაც იმაზე, თუ რას ნიშნავს ევროპა. და მაინც, მე მაქვს ევროპის ერთი ხედვა, რომელიც მუდმივია, და ეს არის ის, რაზეც შემიძლია, ვიმსჯელო“, წერს ორჰან ფამუქი და მის სულიერ სამყაროსთან მსგავსი ბიოგრაფიული ნარკვევები ძალზე გვაახლოვებს.

მაგრამ მხატვრული შემოქმედება მაინც სულ სხვაა. პირველ რომანს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, უჩვეულო სათაური, „შავი წიგნი“ ჰქონდა, ერთმა ნაცნობმა, რომელმაც თურქული იცოდა, მაჩვენა და მითხრა, რეკომენდაცია მომცეს, წაიკითხე, კარგი მწერალი ჩანს და იქნებ თქვენც გადახედოთ, მე რაღაც ძალზე თავისებურ რომანად აღვიქვიო. წიგნი, მართლაც, თავისებური აღმოჩნდა, საინტერესოდ თავისებური, ნიჭიერად დაწერილი, ორიგინალური, რაღაც სრულიად ახალი და უჩვეულო. იმხანად თურქეთში მომიხდა წასვლა და მწერლის სხვა რომანებიც ჩამოვიტანე. „თეთრი ციხე-სიმაგრე“, „მე წითელი მქვია,“ „ჯჯევდეთ ბეი და მისი ვაჟები, “ „უხმო სახლი“. მაგრამ განსაკუთრებული ინტერესი მაინც ფერებთან დაკავშირებულმა პირველმა სამმა რომანმა აღძრა. გასაგებია, რომ ყოველ ფერს სიმბოლური დატვირთვა ენიჭება, ასე ორგანული რომ არის აღმოსავლური მწერლობისა და არა მხოლოდ მისთვის, განსაკუთრებით შუა საუკუნეების ლიტერატურისთვის დამახასიათებელი, თეოსოფიური მსოფლგანცდით განპირობებული. ნეტა ორჰანს როგორღა აქვს გააზრებული და დანახული ეს სამი უმნიშვნელოვანესი ფერი-სიმბოლო მეთქი, ვიფიქრე და თავდაპირველად, „შავის“ ფამუქისეულ ინტერპრეტაციას ჩავუღრმავდი, მივდიე და თითქოს ძაფის ბოლოც მოვიხელთე. თურქი მწერლის მხატვრული სტილი და მანერა შუა საუკუნეების ლიტერატურაში ჩახედული მკითხველისთვის გამორჩეულად ახლობელი და გასაგებია. ფამუქი საინტერესოდ იყენებს ამ ეპოქას სამყაროსა და ადამიანთა ურთიერთობების, თანამედროვეობის მხატვრული მოდელის შესაქმნელად. მრავალი კრიტიკული ნაწერი და შენიშვნა გადავიკითხე. ვერსად მივაგენი სწორედ იმ ახსნას, რომანის სულისკვეთების ადეკვატური რომ არის და მწერლის ჩანაფიქრს ზუსტად მიესადაგება. ამ საკითხზე სტატია დავწერე და ორჰან ფამუქზე სხვა პუბლიკაციის მსგავსად, ისიც დაიბეჭდა.

2000 წლის დასაწყისში სტამბოლიდან იქაური ქართველი, ცნობილი ჟურნალისტი ჰაიათ ასილიაზიჯი ჩამოვიდა კულტურის მუშაკთა ჯგუფთან ერთად. ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდი. ვკითხე, ორჰან ფამუქის რომანები თუ მოგწონთ-მეთქი. გაუკვირდა, არ მეგონა თუ აქ ორჰანი გაუგონიათო. მისი კარგი ნაცნობი აღმოჩნდა, თითქმის მეგობარი. აუცილებლად გადავცემ, რომ საქართველოში მის ნაწერებს კითხულობენო. ისიც გადაეცით, რომ „შავი წიგნის“ თარგმნა დაწყებულია და, თუ ხელი არაფერმა შეგვიშალა, იქნებ მალე დაიბეჭდოს-მეთქი. გაიხარა ასილიაზიჯიმ, გაამაყდა, რომ თურქ მწერალს, რომელის შესახებაც, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ უკვე ოცდაათზე მეტ ენაზე იყო თარგმნილი, სრულიად რადიკალურ, ურთიერთგამომრიცხავ თვალსაზრისს მოისმენდით თურქეთში, საქართველოშიც უყურადღებოდ არ ტოვებდნენ, კითხულობდნენ, ესმოდათ და თარგმნიდნენ კიდეც. აუცილებლად ვეტყვიო, მითხრა. თან

ჩემი ტელეფონის ნომერი და მისამართი საგულდაგულოდ ჩაინიშნა. ორჰან ფამუქის ტელეფონი და ფაქსიც ჩამაწერინა. მირჩია – მისწერე, დიდად გაიხარებსო.

სასიამოვნო სტუმარი, თანამედროვე ქართულ თეატრზე მშვენიერი წიგნისა და მრავალი სტატიის ავტორი, სტამბოლში გაემგზავრა. მეორე დღესვე წერილი შევადგინე და ფაქსით გავგზავნე. ფამუქს მისი რომანებით გამოწვეულ ჩემს შთაბეჭდილებებზე ვუამბე, ბოლოს თბილისშიც დავპატიჟე. ძალიან მინდა შემოდგომით ჩამოხვიდეთ, რადგან ამ დროს ჩვენი ქვეყანა ზედმიწევნით ლამაზი და ბარაქიანია-მეთქი, დავუმატე.

დიდი დრო არ გასულა, რომ იანვრის ერთ კვირა დღეს ბინაში ტელეფონის ზარი გაისმა, ჩვეულებრივი ზუმერი, საერთაშორისოს არ ჰგავდა. ყურმილი ავიღე. თურქულად მოსაუბრე უცნობი მომესალმა და – მე ორჰან ფამუქი ვარო, მითხრა. მოულოდნელობისაგან, ცოტა არ იყოს, დავიბენი, გავჩუმდი. სტამბოლიდან ვრეკავ, ორჰანი ვარო, გაიმეორა. ახლა კი დავრწმუნდი, რომ მართლაც ის იყო. გონება მოვიკრიბე და ჩემი სიხარული და გაოცება გამოვხატე. თქვენი ძალიან კარგი წერილი მივიღე, ყველაფრისთვის მადლობელი ვარ, მაინტერესებს, „შავი წიგნი“ ქართულად რამდენ ხანში გამოვა. საქართველოში ჩამოსვლა ძალიან მინდა, აუცილებლად გეწვევითო, მითხრა. მცირე ხანს კიდევ ვისაუბრეთ, ასილიაზიჯისგან მოკითხვა გადმომცა, შემდეგ ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ჩვენი საუბარი დამთავრდა. ყურმილი როგორც კი დავკიდე, ერთმა აზრმა გამიელვა: ნეტავ, ორჰანის წინაპრები კავკასიიდან ხომ არ არიან. რაღაც ძალიან მოისწრაფის საქართველოსკენ.

მოგვიანებით, ერთ-ერთ ინტერვიუში თვითონვე აღნიშნა, რომ მას კავკასიელი წინაპრები ჰყავს. ბიოგრაფიულ ოპუსში კი, ბებია ჩერქეზი მყავდაო, ხაზი გაუსვა. ისეთი წიგნის ტრფიალია, ქართველთა და ჩერქეზთა ნათესაობის ჰიპოთეზის შესახებაც, შესაძლოა , რაიმე აქვს წაკითხული-მეთქი, ჩემთვის გავიფიქრე.

ეს ისე, სხვათაშორის. მთავარი კი მაინც ის არის, რომ რამდენიმე გამომცემლობას მივმართე, „შავი წიგნის“ დასტამბვა შევთავაზე. ეს ორჰან ფამუქი ვინ არის, არც კი გაგვიგიაო. რომ არ გაიყიდოს, მერე რა ვქნათ, წიგნი ჩაგვივარდებაო. ჩემი არგუმენტები არასაკმარისი აღმოჩნდა, ვერანაირად ვერ გავტეხე გამომცემელთა შეუვალობა. ამასობაში, წიგნის ბაზარზე ფამუქის რუსული თარგმანი გამოჩნდა. სუსტი და, თანაც, კუპიურებით, მაგრამ მაინც ხომ გამოჩნდა. სწრაფად გაიყიდა. გული დამწყდა, რა იქნებოდა, ერწმუნათ, მოესმინათ. რატომ არ გვენდნენ, არ დაგვიჯერეს, რომ წიგნის გამოცემით კარგი საქმე გამოვიდოდა. ამასობაში სხვებიც ავიყოლიე. მოვუწოდე, რომ მათაც ეთარგმნათ. დაიბეჭდა კიდეც ნაწყვეტი რომანიდან „ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟები“, ცნობილმა თურქოლოგმა ნოდარ ჯანაშიამ დაიწყო თარგმნა და ერთი თავი დაბეჭდა. ახლა მუშაობას მისი ქალიშვილი ნანა ჯანაშია აგრძელებს. ლია ჩლაიძემ, ჩვენებურები „დეიდა ლიას“ რომ ეძახიან და ჩინებული მთარგმნელია, ხელი მოკიდა რომანის „მე წითელი მქვია“ქართულად ამეტყველებას.

მუშაობა გაგრძელდა და კიდევ უფრო გაფართოვდა. ერთი სტუდენტი მყავდა, თამუნა ალფენიძე. შევატყე, თანამედროვე თურქული ლიტერატურა ხიბლავდა. შევთავაზე, იქნება ფამუქით დაინტერესდე, ძალზე პერსპექტიული თემაა-მეთქი. თავდაპირველად „ფარული სახე“ თარგმნა. მართალია, კინოსცენარია, მაგრამ მონრეალში, საერთაშორისო კინოფესტივალზე პრიზი აქვს მიღებული, როგორც ფილმის საუკეთესო ლიტერატურულ საფუძველს. სცენარის თარგმანი ჟურნალ „კლდეკარში“ (2000, №2) დაიბეჭდა. ახლა „შავი წიგნი“ შევურჩიე საკონფერენციო თემად, დიპლომიც იმავე რომანზე დაიცვა. დისერტაციის დაწერასაც წინ, თითქოს, აღარაფერი ედგა. ამასობაში თამუნა ალფენიძე თურქეთში გაემგზავრა სტუდენტურ სტაჟირებაზე. ორჰანი მოინახულე-მეთქი, ვუთხარი და ყველაფერი გავატანე, რაც კი იმ ხნის მანძილზე მწერლის შესახებ დაიბეჭდა. ფამუქმა ახალგაზრდა მკვლევარი ძნელად, მაგრამ მაინც მიიღო. მწერლის უზარმაზარი კაბინეტის გარშემო მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე თარგმნილი მისი წიგნები ჩამწკრივებულიყო. საყვედური არ აგვცდა ქართველ თურქოლოგებს, აქამდე რატომ არაფერი თარგმნეთო. გაზეთში „ჩვენი მწერლობა“ (2000, №22) დაბეჭდილმა სტატიამ ცოტა გული მოულბო. მართლაც კარგად არის წარმოდგენილი, მშვენიერი ფერადი ფოტოთი და მისივე ჩანახატით. „ორხან ფამუქის სევდა და ნუგეში“ – ასეთია სტატიის სათაური. შევეცადე, მკითხველისთვის გამეცნო ჩვენი მეზობელი ქვეყნის მწერალი, რომელმაც დიდ წარმატებებს მიაღწია, ისეთი მსოფლიო აღიარება მოიპოვა, როგორიც დღემდე არც ერთ თურქ მწერალს არ რგებია.

თამარ ალფენიძის დისერტაცია, ცოტა არ იყოს, გაჭინაურდა, მაგრამ წელს მაინც მოხერხდა მისი დაცვა. „შავი წიგნის“ იდეურ-ესთეტიკური საფუძვლები“ შევარჩიეთ თემის სათაურად. ერთი სიტყვით, საქართველოში ინტენსიურად დაიწყო ფამუქის კვლევა. ამ მხრივ, სასაყვედურო, ნამდვილად, არაფერი აქვთ მწერალსა და ჩვენს თურქ კოლეგებს. აქა-იქ ინგლისურიდან თარგმნილი სტატიები და ნაწყვეტებიც გამოჩნდა სხვადასხვა რომანებიდან.

„მწერალ ორჰან ფამუქის სამუშაო ოთახი ბოსფორს გადაჰყურებს, წყლის იმ ლეგენდარულ ზოლს, რომელიც იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განიხილავთ საგნებს – ცალ-ცალკე, თუ ერთიანად – ანდა, შესაძლოა, განცალკევებით თუ მთლიანად სამყაროებს – ევროპასა და აზიას. რომანისტისთვის, რომელიც ბევრს მუშაობს ამ საკითხზე, ძნელია უფრო შესაფერი ადგილი წარმოიდგინოთ“ – წერს სალმან რუშდი, სამშობლოდან დევნილი ირანელი პოეტი, ორჰან ფამუქის დიდი მეგობარი.

ნობელის პრემიის კომიტეტის მშრალი დასკვნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თურქმა მწერალმა ორჰან ფამუქმა ცივილიზაციათა შეხვედრის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გადაკვეთის, ამ საკითხის ორიგინალური მხატვრული ინტერპრეტაციისთვის დაიმსახურა ნობელის პრემია და არა პოლიტიკური ანგაჟირების გამო, როგორც ხშირად შენიშნავენ მწარე ენები. ორჰან ფამუქი ხომ მსოფლიოს უამრავი პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის ლაურეატია. მისი შემოქმედების დამფასებლებისათვის ნობელი ჯილდოების ვრცელ ნუსხაში მხოლოდ მწერლური მოღვაწეობის შეფასების ლოგიკური გაგრძელებაა და სხვა არაფერი.

პოეზია – ღია ჭრილობა

*

ელა გოჩიაშვილის ერთი ლექსის გამო

„ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“, – სთქვა ერთმა ბრძენმა“ (ილია). მე კი მგონია, პოეზია სწორედაც იმის დასტურია, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენაა – მარადიული ტკივილის გულიდან გარეთ გამოტანა; სასოწარკვეთისა და იმედის თანადროული განცდა, „საკუთარი თავი„“ ძიებისაკენ რომ გიბიძგებს.

ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა ელა გოჩიაშვილის ლექსმა „აჰა, სარკე!“, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მე-12 ნომერში რომ დაიბეჭდა.

ამ ლექსს ემოციის გარეშე ვერ წაიკითხავ. ეს რამდენიმე სტროფი ერთ მჯიღ ტკივილადაა შეკრული და ლამისაა განცდისაგან მართლა გაგისკდეს გული.

„აჰა, სარკე!“ – და სათაური თავისთავად გვახსენებს მკითხველისადმი მიმართულ დიდი ილიას სიტყვებს: „სარკე მოგიტანე, ამაზე როგორ უნდა გამიწყრე?!“ და თუ „კაცია-ადამიანი?!“ მოთხრობა-სარკეა, ელა გოჩიაშვილმა ლექსი-სარკე შემოგვთავაზა და მასში ყოველი ჩვენგანი ჩაახედა და ჩააფიქრა.

მძაფრი განცდით დატვირთული პოეტური სტრიქონები ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის წამიერი გაელვებაა, ოთხად ოთხ სიტყვაში რომ ჩატეულა...

„აჰა, ხმალი!“ – გამუდმებული ბრძოლა გადარჩენისთვის, ჯავარდენთა კრიალი, მგლისა და შავარდნის მუხლი, ქორებული მზერა, ხის აბჯარში მბორგავი რკინის გული, ყალყზე შემდგარი ლურჯა, მტრის მახვილზე გადალეწილი ქართველები...

„აჰა, სიტყვა!“ – წმინდანთა ღვაწლის ამსახველი ფოლიანტები, რუდუნებით ნაწერი პალიმფსესტები, ულამაზესი ასომთავრულის ელვარება, ქართული სიტყვით ნაქანდაკარი ადამიანური ვნებები...

„ლოცვანი და საჭრეთელი!“ – ქვასა და გალობაში ჩაკირული წარსული... ცისკენ მსწრაფი ტაძრები „გრძნეულ ჩუქურთმებით“ და უფლისთვის შეწირულთა ტკბილი ფსალმუნება, ლურჯი გუმბათის უცხო შარავანდი და ხატის წინ მოციმციმე მირიადი სანთელი...

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. შორეულ, ჯერჯერობით დაუბრუნებელ წარსულში.

„გახსოვს?! გახსოვს?!“ – დედოზარივით ხმიანობს ეს ერთი სიტყვა და ფეთქავს ალისფერი ტკივილი...

ახსოვს, როგორ არ ახსოვს ეს ყველაფერი საქართველოს, საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ პოეტს კიდევ ერთხელ რომ დაუყენებია სარკის წინ და ცდილობს დღევანდელი სახე დაანახოს, ძველისაგან აგრერიგად განსხვავებული.

ბეჩაო და თავმოჭრილო,
ყველას წიხლით გასათელო,
საქართველო, შე მშიშარა!
შე მძინარა საქართველო!

აქ ისევ ილიას ხატი იელვებს, მისი მარადიული მამულიშვილური ოხვრა:

ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!

რომელსაც XXI ს-ში პოეტი ქალი ეხმიანება იმგვარივე განცდით:

... რა გაძინებს!
გაიღვიძე, საქართველო!

სურს, ამ შეძახილით გამოაფხიზლოს მთვლემარე მამული, საკუთარი უბედურების ვერშემცნობი, ალერსით მთვრალი ვეღარც მოწამლულ ისარს რომ ხედავს და ჭინჭარიც იავარდი ჰგონია.

ერთი შეხედვით, შეიძლება ზედმეტად მკაცრიც მოგვეჩვენოს პოეტის ზოგიერთი შეფასება –

დალპი მხართეძოზე გდებით,
წყლულებიდან ჩირქი გდისა.

ან

უწურთნელო! ეს შენა ხარ?!
ყველა გიჟის საგუნდაო,

მაგრამ გრძნობ, რომ ამ სიმკაცრეს დიდი სიყვარული უდევს საფუძვლად, ახალი აღთქმის სიტყვებიდან – „ვინც მიყვარს, მას ვამხილებ და ვწვრთნი“ და ერთი „გონიერი“ ქართული ანდაზიდან რომ იღებს სათავეს. ეს სწორედ ის სიყვარულია, მოყვრის თვალის ასახელად მის ცუდს რომ დაგაწუნებინებს და სააშკარაოზე გამოგატანინებს. ამის დასტურია პოეტის გულმტკივნეული სიტყვები:

შენი სიყვარულის პატრონს
რა სინდისით მეღუპები!

სწორედ ამგვარი სიყვარული, არა ერთის, არამედ ათასის და კიდევ უფრო მეტის გააღვიძებს მძინარე საქართველოს და აპოვნინებს გზას, ჯერჯერობით თუნდაც „ბილიკს საკუთარი თავისაკენ“. ისევ აიღებს ხელში ხმალს, კალამს, ლოცვანსა და საჭრეთელს. სიფხიზლისათვის სარკეც მუდამ თან ექნება, უკეთესად რომ დაინახოს, როგორ ემსგავსება თანდათან იმ ძველ, ყველასათვის ნაცნობ და სანატრელ სამშობლოს.

ელა გოჩიაშვილის ამ ლექსმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა ჯემალ ქარჩხაძის სიტყვების ჭეშმარიტებაში: „პატარა ქვეყანა დიდი სატკივარია. ჩვენი ქვეყანა კი იმდენად პატარაა, ხელები რომ გაშალო, თავ-ბოლოს მისწვდები. ასეთ ქვეყანას სხეულივით უნდა გრძნობდე და როცა შენს მიწაზე უცხო მოძალადე დადის, ისე უნდა გტკიოდეს, თითქოს შენს სხეულზე დადიოდეს და შენს სხეულს თელავდეს“.

პოეტი სწორედ ასე გრძნობს სამშობლოს და ჩვენც გვაგრძნობინებს, ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოების დანიშნულება კი სწორედ ესაა – მწერლისა და მკითხველის თანაგანცდა.

P.S. ლექსი მიძღვნაა „საჩუქრად თამარ ბარბაქაძეს“. მიუხედავად ამისა, ეს არ არის „ორი კაცის საზოგადოების“ ტკივილი, ეს მთელი საზოგადოების ტკივილია.

ეთერ ბერიაშვილი

ვანო ჩხიკვაძე

მცირე პროზა

რევოლუციის რომანტიკა

რევოლუციის მომხიბვლელობიდან რაღა დარჩება, ვასილ ივანიჩ ჩაპაევს „მაქსიმკა“ რომ წაართვა და ბუდიონს კიდევ ულვაში გაპარსო!

ტრა-ტა-ტა-ტა-ტა!.. – მიჰქრის გორაკებზე საზიდარი, დაჰკივის თვალებანთებული, ლეგენდარული წითელი მეთაური, ლობიოს ჩენჩოსავით ყრია ჰილზები და აყალყული ცხენებიდან პანტამსხალივით ცვივიან განგმირული თეთრები.

ანდა უულვაშო ბუდიონი!

განა ცხენოსანი არმიის მთელი მადლი და ლაზათი ეს შავი და დაფანჩვული ულვაში არ იყო? – გაპარსავდი და რაღა შეგრჩებოდა რევოლუციის მარად ცოცხალი ლეგენდიდან? – აღარც არაფერი!

ტანში ჟრუანტელად რაღა დაგვივლიდა, ულვაშის ყინვით გაფიჩხული ღერებში, ცარიცინის მისადგომებთან, სივაშის ყურეში ან უკიდეგანო ტრამალის სუსხიან ქარში, ნამქერივით თუ არ გამოსცრიდა:

– Ээс-кадрон!!!

ბუ

ორი ვილისით, თოფ-იარაღით, უკან, საბარგულში ჩაკუნტული, აცმუკებული მეძებრებით, ჭაჭუნის ნაკრძალისკენ მივდივართ.

შუაღამეა, კურდღლებზე ნადირობის დრო. მივალთ, მივგნიასობთ და, ვინ იცის, რამდენი ყურცქვიტას დედა ატირდება.

მოასფალტებულიდან საურმეზე გადავინაცვლეთ, საურმედან, ოღროჩოღრო ნაწვერალზე დავეშვით. ხელნაკრავივით ხან სად გადაიჩეხება ფარების სინათლე, ხან – სად.

აგვედღვიბა ჯაყჯაყით გულ-მუცელი, მაინც გაფაციცებული მივჩერებივართ წინგაქცეულ სინათლის ზოლს. ფანჯრებიდან გადაყოფილი თოფის ლულები, წკიპზე შემდგარი ჩახმახით, ელოდებიან როდის შეთამაშდება ბულულებთან ბუქნა-ბუქნით გაქცეული კურდღლის ყურები.

ძაღლებმაც სუნი იკრეს თუ რაღაც იგრძნეს, აბორგდნენ, საზურგეს ამოებღოტნენ, თეთრ ზოლებად ჩამოუგრძელდათ დორბლი და, ჩამოგვსვითო, კისრებში ჩასწკმუტუნებენ პატრონებს.

ხევს მიმდგარმა ვილისმა ხელმარცხნივ დაუხვია, ნანგრევებს მიანათა და ლოდზე რაღაც დავლანდე, დიდთავა, მხარბეჭიანი, თითქოს მკლავები ჩამოსხვიპეს ანდა უკან გაუკრესო, ეგეთი.

ტანში გამცრა, თანაც ცნობისმოყვარეობას ვერ დავძლიე, ხომ არ მომეჩვენა-მეთქი. მძღოლს უკან დავახევინე მანქანა, ისევ მივანათეთ ფარები იმ ლოდს და-არა, არაფერი არ მომჩვენებია, ზის თუ დგას, ვერ გაიგებ, გაუნძრევლად, სამარხიდან ამოღებული ქანდაკების ნამსხვრევივით და, გაყინული თვალები მწვანედ კვესავს.

შევდექით, ვუყურებთ, ჩვენ – იმას, ის – ჩვენ, არც შეტოკდა მანქანის ხმაურზე, გაიგიჟეს ენაგადმოგდებულებმა ძაღლებმა თავი, გააფთრებულები, აკაწკანებული კბილებით, ლამის ქეჩოში წასწვდნენ პატრონებს.

– გავადინო ლაწანი? – იკითხა მძღოლმა და მკლავზე გადაკიდული კარაბინის საკეტი გააჩხაკუნა.

– მოეშვი, მართლა ის ბუდ ქცეული გერი არ იყოს, დედინაცვალმა სახლიდან, საქონლის მოსაძებნად რომ გამოაგდო.. რას ერჩი, თავისთვის ზის და ფიქრობს, – თოფი ჩამოაღებინა გოდერძიმ.

მანქანამ კი არ დაიხია, თითქოს ლოდი გაქანდა უკან, ღამის ჩარჩოში ჩასმული დაგვშორდა, თვალების კუსვა-კუსვით ბუც დაპატარავდა..

ისევ მინდორ-მინდორ, ყამირზე ავჯაჯაყდით. მალე ნაბულულარზე წავადექით კურდღლებს, მივუქსიეთ მწევრები, დავაწიოკეთ თვალისმომჭრელი სინათლით დაბნეულები და ბუს არსებობაც გადაგვავიწყდა.

მხოლოდ დღეს, წლების შემდეგ, პროვინციულ, სინათლე გამორთულ ქალაქში, მეორე სართულის აივნიდან, შუაღამეს მიჩერებულს, ის ბუ მგონია ჩემი თავი.

იქნებ ვიღაც, შორიახლო, თოფის საკეტსაც აჩხაკუნებს და ჩახმახზე თითგამოდებული ყოყმანობს, მესროლოს თუ არა.

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №23, 24

„კოლიზეუმი“ მიტოვებულ პარკში

მტკვარს გამოღმა, ღობემონგრეულ პარკის ბოლოში, ცეცხლის ალითა და თოვლ-წვიმებით გალოკილი, გამუდმებული ქარების საბუდარი – შენობის ჩონჩხი დგას.

გავერანებულა, იავარქმნილა ირგვლივ ყველაფერი. წაშლილა აგურის ნაფხვენით მოკირწყლული ბილიკები, გადამხმარა დეკორატიული, ლამაზად გადაკრეჭილი ბუჩქნარები, კედლებს, მოჭრას გადარჩენილი, გამხმარი ხეები დასჭრიალებენ და ტოტებზე ჭირისუფლებივით შემომსხდარი ჭილყვავები დასჩხავიან.

შენობა, გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების პირმშო, თავიდანვე ცირკად ჩაიფიქრეს – ვეებერთელა, წრეხაზის ფორმის საძირკველი რკინა–ბეტონით რომ ამოავსეს, კედლები უცებ ამოაშენეს, გუმბათოვანი თავსახური დაადგეს, თუნუქით გადახურეს და ქალაქის “პარტიულმა აქტივმა”, ახლა მემონტაჟეები, კალატოზები, დურგლები, მღებავები შეუსია.

მოპირკეთდა დერეფნები, ნახერხმოყრილ არენას შემოვლებულ ჯებირს ხასხასა, წითელი ხავერდი გადააკრეს, აბრჭყვიალდა უამრავი დიდი და მცირე ზომის, სხვადასხვა ფერის ნათურა, განათდა მაღალ ჭერქვეშ შეყუჟული კოხტა, წრიული დარბაზი, ლოჟებით, იარუსებით, მძიმე ფარდებდაკიდული შემოსასვლელებით, სექციებს შო-

რის ჩარიგებულ, დამრეც კიბეებზე დაკიდული სკამების რიგებით (ახლა იმ სკამების ჭრიალი და სახიფათო „ტრიუკის“ შესრულების წინ გასუსულ დარბაზში, შოკოლადის ფილას ვერცხლისფერი ქაღალდის ჭრაჭუნიც მესმის, ვიღაც სულწასულმა რომ გახსნა).

მახსოვს, საახალწლოდ ჩამოსული ცირკი, ოლეგ პოპოვის სახელგანთქმული ცხვირი და გვერდულად დაკიდებული ქუდი, არენას ჯებირზე ამობობღებული ზანტი, გამოლენჩებული დათვები, გაწუწკებული მაიმუნები, ორფეხზე შემდგარი ფინიები, ყელზე ჭრელ შარფებად შემოხვეული პითონები, მათი ძალად გაღიმებული მომთვინიერებლები და ქანდარაზე, ორკესტრის წინ, ფრთაგაშლილი ყვავივით დაფრენილი, ფრაკიანი, დიდულვაშა დირიჟორი, რომლის ჯოხის დაქნევაზეც, დროდადრო გულიგამახეთქად დაიბრაგუნებდა ხოლმე ვეებერთელა დოლი - ბუმ... ბა-ბა-ბა... ბუმ!..

სმენის წამღები მუსიკის თანხლებით, ჭერიდან დაშვებულ თოკებზე მოცურავდნენ აკრობატები. ბურთზე ბზრიალებდა ღამაზფეხება, ქერათმიანი ეკვილიბრისტი გოგო...

წავიდა საცირკო დასი, ცივმა ქარებმა აახიეს კედლებს მათი წარმოდგენების მაუწყებელი აფიშები, დაცარიელდა ცირკის საჯინიბოები, ვოლიერები, რბილი, გაუკვალავი თოვლი დაეფინა სალაროებთან და ცირკის მისადგომებთან. წავიდნენ, მაგრამ არ დამვიწყნია ბურთზე მოცეკვავე გოგო. სიზმარში ხშირად ვნახულობდი მის მოხდენილ რევერანსს, სევდიან თვალებს, ჰაეროვან, მსუბუქ კოცნას, რომელსაც დარბაზს კი არა, თითქოს მე მიგზავნიდა, პირველ რიგში მჯდომს და, როგორც მაშინ, ცირკში, სიზმარშიც ყურებამდე ვწითლდებოდი ხოლმე.

იქნებ მაშინ, დიდთოვლიან ზამთარში გაიშალა სიყვარულის პირველი კვირტი, რომელსაც ასაკის გამო, სახელს ჯერ კიდევ ვერ ვუძებნიდი, მაგრამ მისი შორეული გამოძახილი, ხანდახან დღესაც მახედებს უკან, რომ გამარინდოს და ნაღველის სიმს თითი ჩამოჰკრას.

დარბაზს დიდხანს ვინ მოაცდენდა, საცირკო ჯგუფების გამოსვლებს, სპორტული შეჯიბრებები, კონცერტები, სასკოლო ოლიმპიადები ენაცვლებოდნენ.

მახსოვს, ჩვენი სკოლის დირექტორი, ქალბატონი ვერიკო, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის აკაკი ხორავას მოადგილედ რომ აირჩიეს, აქ, ამ მანეჟზე კონცერტი ჩატარდა.

მე სკოლის მომღერალთა გუნდში ვიდექი (სასკოლო გუნდები, თითო-ოროლა ისეთებსაც იტანდნენ, ვისაც ხმა თუ არა, სიმღერის სიყვარული მაინც გააჩნდათ) და დაბლიდან ვუყურებდი, სავსე დარბაზი, ტაშისცემით რომ შეეგება, აღმოსავლეთ ლოჟაში შემობრძანებულ საპატიო სტუმრებს, რომლებსაც აკაკი ხორავა შემოუძღვათ.

მსახიობი ლოჟის მოაჯირს დაეყრდნო, ოდნავ წინ გადმოიხარა, მარჯვნივ თუ მარცხნივ, თავის დაკვრით მიესალმა ლოჟისკენ ერთი კაცივით შებრუნებულ მაყურებელს.

ტაში კიდევ უფრო გაძლიერდა, ვიღაცები ფეხზე ადგნენ და დანარჩენებიც აიყოლიეს.

შევყურებდი ფილმებით ნაცნობ, კლდის ნატეხივით დაკუთხულ, შთამბეჭდავ სახეს, გამოკვეთილ ნაკვთებს, ლაპლაპა თავს, საოცრად თბილ, მეტყველ თვალებს და, როცა ხელი ასწია, გეგონებოდათ აბობოქრებული მაყურებლის დასამშვიდებლად კოლიზეუმში მისულმა კეისარმა შემართა მარჯვენა.

ეს მარჯვენა ხომ მამაცი და უიღბლო მავრის მარჯვენაც იყო: – „აი, ამ ხმალზედ უკეთესი ჯერ არ რტყმია ჯარისკაცს გვერდზედ, ყოფილა ჟამი, როდესაც ეს ერთგული ხმალი ამ მსუბუქ ხელში მჭერია და გზა გამიკაფავს“...

დაცხრა დარბაზი, მაგრამ ბოლომდე, ყველას მზერა და გულისყური, უფრო ლოჟისკენ იყო მიპყრობილი, ვიდრე კონცერტის მონაწილეებისაკენ...

კიდევ, 1964 წლის დედამიწის “ერთი მეექვსედის“ ჩემპიონის, თბილისის „დინამოს“ სტუმრობა მახსოვს, ელეგანტური შოთა იამანიძე რომ შემოუძღვა იმპერიის გლადიატორებს, ჩვენი ფეხბურთის დიდ თაობას.

შეხვედრაზე დასწრების მსურველები ბევრად აღემატებოდნენ დარბაზის „შესაძლებლობას“, ამიტომ მობილიზებული მილიციის მიერ ისე იყო შემოსასვლელ-გასასვლელი დაცული, რომ ბუზი ვერ შემოფრინდებოდა. ჰოდა, როდესაც ავტობუსიდან ჩამოსული „დინამოელები“ წესრიგის დამცველთა „დერეფანში“, ცირკისაკენ მოდიოდნენ, ყველაზე ბოლოს ვლადიმერ ბარქაია მოჰყვებოდათ – მხრებში მოხრილი, ოხუნჯობით, ეშმაკური ღიმილით. ერთ რიგით მილიციელს ჰგონებია, ფეხბურთელებს ვიღაც აედევნა და შეპარვას აპირებსო, ჩაავლო “სიომას” საყელოში ხელი, შენ სადღა მიძვრებიო და გემრიელი პანღური უთავაზა...

ატყდა აურზაური, რომ არა თავად ბარქაია – ვიცნობთ ერთმანეთს და გამეხუმრაო, „ჩინისა და ტემლაკების” მომლოდინე რიგითს, უფროსების რისხვა და სამსახურის დატოვება არ ასცდებოდა...

შინ ძველი რადიომიმღები „ურალი“ გვქონდა. ხმას მაშინ იღებდა, თუ გვერდით მივუჯდებოდი, ხელს მოვხვევდი და დინამიკზე თითებს დავადებდი.

მეოთხე კლასიდან გადაკლული გულშემატკივარი ვიყავი, ფეხბურთის რადიო რეპორტაჟს როგორ გავაცდენდი – ვინ მოთვლის, რამდენი ორმოცდახუთი წუთი გამიტარებია „ურალთან“ ჩახვეულს.

ეროსი მანჯგალაძის რეპორტაჟებით გაცნობილი ფეხბურთელები აგერ არ არიან? შემოდიან დაწყობილები, მოჰყვებიან მწვრთნელები, სათადარიგოები, ექიმები, მასაჟისტები. წინ, როგორც ვთქვი, კაპიტანი შოთა იამანიძე მოუძღვით და ქუხს და ინგრევა ოვაციით დარბაზი.

დღესაც, თუ მათ იმდროინდელ სურათებს დახედავთ, ასაკთან შედარებით, უფრო დაბრძენებულ კაცებად მოგეჩვენებათ... ასეც იყო! – მაშინ სპორტში ალალი ნიჭიერება წარმოაჩენდა პიროვნებას, ყველაფერი არ იყიდებოდა და ღირსება და პატიოსნება ჯერ კიდევ გულწრფელ აღტაცებას იწვევდა ადამიანებში.

როდესაც, წლების შემდეგ, მიხეილ მესხმა, დიღომში, თავის კარ-მიდამოში, მრავალ ბრძოლაგადანახადი, დასერილ-დასახიჩრებული, ძარღვებამოყრილი წვივები მაჩვენა, ერთი ავყია გულშემატკივარი გამახსენდა, ტრიბუნიდან რომ ბღაოდა, ითამაშეთ, „ვოლგები“ რომ დაგირიგეს, ის ხომ კარგი იყოო.

მიხეილ მესხს, დიდი მხატვრის ორიგინალივით მხოლოდ ერთი რომ შექმნა გამჩენმა, „ვოლგას“ აყვედრიდნენ... და რამდენი განუმეორებული „ვარსკვლავი“ გახდა უმადურობის მსხვერპლი, მსხვერპლი იმათი (რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს), ვინც მათ აღმერთებდა, ხელში აყვანილს დაატარებდა... ხშირად ჩავფიქრებულვარ, ნეტავი რას არ ჰპატიობდნენ, ნუთუ ნიჭიერებას და თავის არაჩვეულებრიობას–მეთქი...

მრავალი სიხარულის მომტანმა „კოლიზეუმმაც“ მათი ხვედრი გაიზიარა, რამდენიმე წლის წინ დაიწვა თუ დაწვეს და, ახლა, ქალაქში, ერთდროს გამორჩეული შენობის ნანგრევებში, მანეჟში დახვავებულ ქვებზე ვზივარ.

მახსოვს, შევესწარი როგორ მოედო ცეცხლი გახურებულ სახურავს, ხის საყრდენებს, სკამებს, ფარდებს, კარფანჯარას და უცებ ჩაიფერფლა, ჩაიფშვნა გუმბათი.

არც სახანძრო, არც მშველელი, არც დამნაშავე, და არც გამომძიებელი, მოკლედ, როგორც ხდება ჩვენთან, ისე... ამ დარბაზსაც ჩაეყარა ცეცხლში ამაგი, მის ადგილზე დარჩა დადუღებული კონსტრუქციები და ფარღალალა, გამურული კედლები...

მერე შეესივნენ, გაზიდეს, თუ კი რაიმე გადაურჩა ცეცხლს ღირებული, რკინა, ქვა, ბლოკი...

აწოწილ კედლებს წვიმა, ყინვა და ქარი შლის, მოდებული სარეველა ბალახი ხეთქავს ნაბზარს. მანეჟში, შემოდგომის ჭკნობაშეპარულ ბუჩქნარსაც ამოუყრია და აჰყურებს „მცირე კოლიზეუმის“ თავზე მოგუმბათებულ ცას. ირგვლივ, კედლებში ჩატანებულ–შემორიგებული ფანჯრები, სილურჯის ფონზე, ბავშვის ხელით ოკრობოკროდ ამოჭრილებს ჰგვანან.

სად გაქრა ის ტაში, ოვაცია, მღელვარება? – თვალებს ვხუჭავ და სადაფისფერ სკამებზე გადარბის ფერადი სინათლე.

– რომ როცა ერთხელ ალეპოში, ოსმალი ვინმე, თავს რიდე-დგმული, სიამაყით გულზედ მოსული, ვენეციელსა სცემდა ერთსა და მის ქვეყანას უშვერის სიტყვით აგინებდა, – მივწვდი მე ყელში, იმ ქოფაკ ძაღლსა წინ-დაცვეთილს და დავკალ ასე...

თვალს ვახელ – ჩამონგრეული ლოჟა უკიდეგანო, გულისმომწყვლელ უსასრულობაში გატყორცნილა, სიცარიელეში გადაყუდებულა – აღარც მარჯვენა შემართული მავრი-ოტელო, აღარც... დატრიალებულმა დროის ქარბორბალამ ყველა წამოკრიფა და ღია კოსმოსში უგზო-უკვლოდ გადაკარგა...

კაკუნის ხმამ გამომარკვია. ამ ხმას მივყევი და ძალაყინიან ბიჭს წავადექი, ერთ-ერთ კარზემოთ ჩატანებული რკინის ნაჭერის გამოღებას რომ ცდილობდა – ძალაყინი ყრუ ბათქუნით ფშვნიდა დუღაბს.

– გასაყიდად კი არ მინდა, შინ მჭირდება, – არ ვეკითხები ისე მეუბნება და მაჯით გაოფლილ, შეღინღლულ საულვაშეს იწმენდს, ისვენებს, რომ მძიმე, გაჭირვებულ წლებში უთვალავჯერ გაძარცული, „უპატრონო ეკლესია“, გამოხრული ძვალივით კიდევ ერთხელ გამოღრღნას, გააცალოს თუ კიდევ შერჩენია რაიმე.

„კოლიზეუმი–მეთქი – შემინდე ეს ირონია! შენ დროის კუდზე გამობმული, აჟღარუნებული კონსერვის დაჭეჭყილი ქილა უფრო ხარ... იჟღარუნე, რა! ემანდ ვინმეს გასქელებული ყურის ბარაბნები არ დაუხეთქო!..

ნუთუ ამ დასაქცევ თუ უკვე დაქცეულ ცისქვეშეთში, საბოლოოდ მოირღვა სამართლიანობის ნაპირები და ძაბრის ყელივით დაბზრიალებული მორევი ჩასაყლაპად გვითრევს?

ძალიან მინდა, ამ ფურცლებმა, ერთხანს მაინც შემოგინახოს.“

სამწუხაროა, ცხოვრებას რომ ნგრევით იწყებს, – ვფიქრობ ბიჭზე და ახლა უკვე შორიდან ვაყურადებ ძალაყინის ბათქუნის ხმას, რომელიც, თითქოს, კედელს კი არა, ჩემს ხსოვნას ანგრევს.

მშობლიური სიზმრები

ხეობის სიღრმეში, დამრეც სათიბებს, დევების ნატერფალივით რომ დასტყობიათ პატარ-პატარა, საკართოფილე ნაკვეთები, ტანმაღალი ხეების ჩრდილში, კოტეჯის სამკუთხედი შედგა - წითელწყაროს როცა მოვიწყენ, აქეთ გამოვვარდები სულის მოსათქმელადო.

მოწყენით ხშირად მოიწყენდა – თავისი სახლის აივნიდან სულ მთებისაკენ გაიყურებოდა. დაწმენდილ ამინდში კავკასიონი ხელის გაწვდენაზე მოჩანდა. გუმანით იმ ქავციხეებს და სოფლებს მოინიშნავდა ხოლმე, მთების უბეს რომ შეჰფარებოდნენ, უკვდავ ლეგენდებს ჯერ კიდევ ცოცხლად რომ ინახავდნენ და ნერვების ამწეწ, საგმირო-სატრფიალო შაირსაც, ნაწვიმარზე სოკოსავით, მხოლოდ აქ რომ ამოეყარა.

ეძახდნენ, ეძახდნენ პირქუში ზვავები თუ მზიანი ცხად-სიზმრები და, როგორც იქნა, აისრულა წადილი.

ბინდდებოდა, როცა ამოვედით, ბეტონის უზანგებზე შემდგარ, ჯერ კიდევ მოუმთავრებელ კოტეჯის წინ, ცეცხლი დავანთეთ, სავახშმოდ დავსხედით და, ხეობის თავზე მთვარე ზარივით რომ დაეკიდა, ღამის ყველა საგმირო, სამიჯნურო ლექსი უკვე ნათქვამი ჰქონდა.

არ ვიცი, ენამთის ყურძნის წვენის ბრალი იყო თუ ახალ-ახლები ემატებოდნენ, თანდათან გადაჭედილი ვარსკვლავიანი ცა, დაადგა გაბრწყინებული გუმბათის ყელივით გარშემო ამოსულ მთებს და დაბლა, ჩვენს ქვემოთ, მკრთალ შუქზე ალაპლაპდა ნაპირთან მომწყვდეული, პრესტორიული ნადირის მბზინავი ბეწვივით ათახთახებული მდინარის შეგუბებული წყლები.

გვარიანად რომ შევთვერით, ხან ვიცინეთ, ხანაც გული ავიჩუყეთ, თან ყბედობით ყბებიც მოვიღალეთ, შევედით კოტეჯში, საძილე ტომრებში ტანსაცმლიანად ჩავეყარეთ და, ბანგივით მოდებულმა ხის სუნმა უცებ მიგვაჩუმა – ერთხანს კიდევ მესმოდა წყლის ჩხრიალი, საჭმლის სუნით გაღიზიანებული ტურების მოთქმა-კივილი, დავიწროებული თვალის ქუთუთოებიდან ვხედავდი გადახრილი მთვარის შუქით თხლად წაფერფლილი ხეობის შეყოლებას, მესმოდა ზაფხულის სიცხით გაფიცხებული, ლურსმნებით გაბოჭილი კოტეჯის დაძაგრული ბოძების, ფიცრების ტკაცუნი და... ჩამეძინა.

ძილშიც ხეობას ვხედავ – იმ პატარ-პატარა ნაკვეთებზე დათვი მოგლაჯუნობს, მოდის და მოაქვს ყველაფერი, მოაგორებს ქვებს, ცვივა ჩამოხლეწილი ტოტები...

გამეღვიძა, გამოვძვერი ტომრიდან, გადავყავი ფანჯარაში გაბურძგნული თავი - ჩემი მეგობარი უფრო ადრე ამდგარა, მეზღვაურის მოკლე სახელოებანი მაისური აცვია, ხველებით დააბოტებს, ამტვრევს დაფენილ ჩინჩხვარს და ახრჩოლებს სიგარეტს, წამლავს დილის კამკამა ჰაერს.

დავუძახე, შენ ხომ არა ხარ ის დათვი, მე რომ სიზმარში შემაშინა-მეთქი.

მე ვარ, მაშ ვინ იქნება, ჩემს უნებურად აქ სხვა როგორ გაჭაჭანდებაო, მიყურებს სიგარეტის კვამლით თვალმოკუჟული.

ისე, სიზმარი მეც ვნახე და მერე მოგიყვებიო.

შემპირდა, მაგრამ ორივეს გადაგვავიწყდა, რა ნახა, აღარ უთქვამს.

ვიდრე მძღოლთან ერთად შეშას ჩეხავდა, საუზმეს ამზადებდა, მდინარეს შევუყევი.

ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე, სიპი ქვით ნაშენ კოხტა სახლსა და სხვადასხვა ხილით გადაბურულ ეზოს მივადექი.

მოფარებულიდან ქალების ხმა გავიგონე:

– რამდენჯერ უნდა დაგიძახოთ, ბიჭო, ეგ თივა სად გაიქცევა, დროზე მოდი, ყავა გაცივდება!

მეგონა, მომესმა.

სახლს შემოვუარე და ღობიდან გადავიჭყიტე.

ჯერ თმა-წვერ გაჭაღარავებული „ბიჭი“ დავინახე, თივის ასაგროვებელი ორთითა რომ მიაგდო და ჩამოშლილი სახელოების ფერთხვით წამოვიდა, მერე - პატარა კიბის წინ გამოდგმული, დაფხავებული, სამდინარე კაპარჭივით ახრჩოლებული ღუმელი, რომელსაც დედაბრები შემორიგებოდნენ და ყავის ჭიქებს ბებრული ტუჩების ცმაცუნით წრუპავდნენ, იზოგავდნენ, იხანგრძლივებდნენ სიამოვნებას.

კაცი მივიდა, მერამდენეს სვამთ, ეგ მაინც მითხარითო, თავის კუთვნილ ჭიქას ორი თითი ჩაავლო და შორიახლო კუნძზე ჩამოჯდა..

მივესალმე. იმათ კიდევ ჩემი გაუკვირდათ, ეს საიდანღა გამოგვეცხადაო, მიმიპატიჟეს, ნაკვერჩხლები გაქექეს, ყავადანი შედგეს, მოადუღეს, მომართვეს და, როცა დავყნოსე, მაშინღა დავიჯერე, რომ მიყრუებულ ხეობაში, ხანდაზმული აბორიგენების გარემოცვაში, ნამდვილად ყავას ვსვამდი.

თავისი ჭიქები ლამბაქებზე როცა გადააბრუნეს, დავინტერესდი, ვინ მკითხაობს-მეთქი.

ვინა და, შვილიშვილი ჩამოგვივა ამ ორ დღეში... იმანაც ბევრი კი არაფერი იცის, მაგრამ თავს ვირთობთ, გაგვყავს მოწყენილი წუთისოფელიო, ჩახითხითდნენ ბებრული თავშეკავებით.

მადლობა გადავუხადე, გამოვიხურე ჭრიალა კუტიკარი, ჩამოვედი მეგობართან და ვუთხარი, აქ თუ ყავას დავლევდი, ეგეც არ მეგონა-მეთქი.

მაგაზე მეტი საოცრება მე ვნახე სიზმარშიო, ისევ დაიპირა მოყოლა, მაგრამ დუშეთიდან ნათესავმა ამოაკითხა პურმარილით და სიზმრისათვის ვიღას ეცალა...

ჩემი მეგობარი ახლა აღარც წითელწყაროშია და აღარც მთაში – კარგა ხანია ევროპაში, კერძოდ პოლონეთში გადაისროლა ბედისწერამ.

ხშირად გამახსენდება და ვფიქრობ, ნეტავ უცხო ქვეყანაში, როგორ სიზმრებს ხედავს-მეთქი.

ის აქეთ აღარ გამოჩენილა და მე – იქით, რომ ვკითხო...

თუმცა, რა ვიცი, ხედავს კი რაიმეს, საერთოდ? – მშობლიურმა სიზმრებმა ხომ გაბუტვა და გაგარეულება იციან!..

შვილები

პირველი სართულის ჭერდაბალი ოთახიდან რიგრიგობით გამოვიდნენ, გამოჰყვათ ხრაკიანი არაყისა და ქინძმოყრილი, კირკაჟი ლობიოს სუნი.

მიიღეს სამძიმარი. თავჩაქინდრულები ჩამწკრივდნენ კედელთან, რა ვქნათ, აბა, კარგი იყო არ დაგვმართოდა, ეს სამწუხარო ამბავი, შვილიშვილების გასახარად მაინც ეცოცხლა, მაგრამ ბედისმწერალმა ასე არ ინება... თქვენ კარგად იყავით, დიდი მადლობა რომ მობრძანდითო...

მეორე სართულზე მიდგმულ კიბეს რკინის დაჟანგული მოაჯირი მიუყვება. მოაჯირს სახურავიდან ჩამონაჟონი, დამდნარი თოვლის წვეთები ეცემა და უთვალავ ბრჭყვიალა ნამცეცად იმსხვრევა.

– ყველაფერი მე გავაკეთე! – ხელკავით განზე გამიყვანა აბემ და ამრეზით გადახედა არაყით შეხალისებულ, აწეულ საყელოებში თავჩარგულ ძმებს, გახუნებული ნივრის ფოჩებივით რომ ამოსჩეჩვოდათ დაუბანელ–დაუვარცხნელი თმები, – ხო იცი, ასეთ დროს, რამდენი რამეა მისახედი... ესენი კიდევ, დგანან და შემომყურებენ...

კედლის გასწვრივ, გარუებულში, წყალი მიწანწკარებს და პატარა ბაღჩაში იკარგება. ნაზამთრალი, გამეჩხერებული წითელი ჭარხლის ჭიებისაგან ფოთოლდაჭმული მწკრივები არ ეპუებიან ძალაგამოლეულ ყინვებს.

– თვითონ უვლიდა, ბოსტანში ყველაფერი მოჰყავდა... ძალიან ყოჩაღად იყო და, რა ვიცი, უცებ გამოგვეცალა, არც ჩვენ გვაწვალა, არც – თავისთავი, – შუათანა ძმა პალტოს შიგნით ჩაფენილ ჰალსტუხს ისწორებს, – ყველა თავისკენ იწევს... ეს ქალი გვამაგრებდა, არ გვაკარგვინებდა ერთმანეთს და, ამის შემდეგ, როგორ იქნება, აღარ ვიცი... ამათი ცოლები უკვე იმას ცდილობენ, რას გაჰკრან ხელი და გაიტანონ...

მაღლა, ზალაში, გულგაწყალებული რძლებით გარშემორტყმულ ქალს, ხუთი ბიჭის დედას, ვინ იცის, თავის დროზე რამდენი შენატროდა, ახლა დაპატარავებული და დალეული რომ ელოდება, როდის დაძრავენ, ააძუგძუგებენ სოფლის მიტოვებულ, იავარქმნილ სასაფლაოზე.

ჭარხლის კვალში ჩაკუნტული კნუტი საწყალობლად კნავის და გარდაცვლილის შვილებზე მეტად ბაღჩა მეცოდება, მწვანილის სათესლე პარკებს რიგრიგობით ხელისგულზე რომ აღარავინ წამოჰყრის, აღარ შეურევს გაფხვიერებულ მიწას და, მწვანე ხახვის ამობიბინებულ კვალს მოფერებით ხელს რომ აღარ გადაუსვამს.

დაიბადა 1987 წელს, ქალაქ რუსთავში. 2004 წელს დაამთავრა დაბა ზაჰესის საშუალო სკოლა. ამჟამად სწავლობს ილია ჭავჭავაძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსზე.

2002 წელს ჟურნალ „ალტერნატივაში“ უკვე გამოქვეყნდა მისი სამი მოთხრობა („სპაიკა-პოკალიფსი“, „სარკე“, „სახლი“).

მკითხველი ადვილად შეიგრძნობს ამ ლირიკულ ნიმუშებში კაეშანს, სულიერ ტკივილს, სევდას... ეს ყოველივე ზოგი შემოქმედისათვის სულის თვისებაა, ზოგისთვისაც – ახალგაზრდული ფიქრების ნაირსახეობა, როდესაც მიგაჩნია, რომ სულიერი ტკივილი მაინცდამაინც ღირსებაა და არა თვისება, და ეს აუცილებლად უნდა ემჩნეოდეს შენს მხატვრულ ხილვებს. ამ ლექსებში უპირველესად მოჩანს მაძიებელი, წრფელი და აფორიაქებული ყმაწვილი კაცი, ვისი შემოქმედებითი გზაც ჯერ წინაა და, ღმერთმა ინებოს, ის პოეტური მარცვლები, რომელიც საცნაურია ამ თავისებურ ლირიკულ დღიურში, ბუნებრივად და სასიკეთოდ გაღვივდეს.

კონსტანტინე ლადარია

* * *

მუზის მოლოდინში არ მძინავს მე უკვე დიდი ხანი.
ვკითხულობ სხვის ლექსებს, ვიპარავ ფრაზებს
და თავი ჩემი სნეული
გრძნობს, რომ ეს გრძნობები არ აჟღერდება,
სიტყვებით ეული.
მაგრამ მე მაინც ველოდები მუზას –
სიფრიფანა კაბით და ლირით ხელში.
იგი ჩამისვამს უბეში: მოვუსმენ, დავწერ.
იგი მიკარნახებს ორ სტროფს, ან ერთს.
ეს ღამე არ იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე გრძელი,
ეს ღამე არ იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბნელი,
ეს – ღამე არ იყო.

* * *

ჩემი მხედველობის ხარვეზები
ღამის განათებული ქალაქის ციმციმა შუქებს
ლაქებად აღმაქმევინებს.
მე ვკარგავ სიღრმის შეგრძნებას.
მე ვცხოვრობ ილუზიებში.
და მხოლოდ მკვეთრი შუქი მაქვს მის წინააღმდეგ.
მთვარის თეთრი დისკო ახლოდან უფრო მრგვალია,
უკუნეთი თავიდან უფრო ბნელია.

* * *

მარტოობის დემონი თავს დამტრიალებს
და ვგრძნობ, რომ ეს სულაც არ არის ცუდი.
ციკლოპის ამბით შეშინებული განგება თვალს არ
მადევნებს.
როგორც სხვის სახლში შეპარული ახალბედა
გაუბედავი ქურდი
დავდივარ გემბანზე და ზღვის ღელვა, ვით მთვრალი,
მარწევს.

* * *

დეპრესიაში მყოფი ბედნიერების მომლოდინე ადამიანი
ისევ წავა თავის ფიქრებში
და უბედურება თითქოსდა არც ყოფილა.
ის ისევ თავისი პატარა სამყაროს სათავეშია.
მოსვენებული გონება, მოსვენებული სხეული
და მას ისევ ის დაესიზმრება, რაც დიდი ხანია უნდა.
დილის რვა საათზე მოღალატე მაღვიძარა დაარღვევს
სიმშვიდეს,
თავზარდამცემი გრუხუნით შეწუხებული პატრონი
ხელის მკვეთრი მოძრაობით გამორთავს მას
და კვლავ გააგრძელებს ძილს.
„დღეს არსად წავალ“, – გადაწყვეტს ის.
ეს გადაწყვეტილება მას ეიფორიაში აგდებს.
და ეს მისი ფანტაზიის საკვები იქნება დღეს.
მაგრამ სადღაც, სიღრმეში იგი გრძნობს, რომ
ვერაფერს ასწრებს,
რომ იგი არარაობაა,
როგორც საკუთარ ბინაში გამოკეტილი მოზარდი,
რომელიც MTV-ს ჩარტებს უსმენს
და მათი ცოდნა მას აღფრთოვანებითა და
საკუთარი თავის პატივისცემით ავსებს.

* * *

მე ვიცი, სად იწყება ჩემი გონება,
მაგრამ არ ვიცი, და არც მინდა ვიცოდე, სად მთავრდება
იგი.
ჩემი სული ჩანთქმულია ზღვაში,
ისევე როგორც გონება შთაინთქა
და დაილექა ზღვის ფსკერზე.
ჩემი ყვითელი წყალქვეშა ნავი ნებისმიერ წნევას
გაუძლებს,
წყლის ქვეშ ოციათასი ლიეც რომ იყოს თუნდაც.
ნავის კაპიტანი, მოხუცი პოეტი, ვერ იმორჩილებს
თავის გონებას.
მისი სინათლე წარსულში დარჩა, აგრეთვე ფრთაც.
მას აღარ ახსოვს, სიმშვიდის ზღვაში, თუ წყნარ
ოკეანეში მიცურავს იგი
და დადო თუ არა ჰიპოკრატეს მან ფიცი.

ახალგაზრდებო, ან კი თქვენ

* * *

პირველი მარცხი აზრთა და რითმათა სამყაროში...
რა სამარცხვინოა.
დაკუჭულ ფურცელზე რამდენიმე ნაცოდვილარი
სტროფი –
დაცემული თავდაჯერება.
პოეზიის ალგებრული ამოცანების ამოხსნა
ორგანზომილებიან ფურცელზე.
და ბოლოს ხვდები, რომ ეს ღრმად ვერ ჩაგითრევს.
მხოლოდ ვნებათა ზღვარზე მოსიარულე
გაგიჟებულ გონებას
სიკვდილამდე სძულს ეს ციფრები.
მხოლოდ სამართებლის თუ ეშინია ამ გონებას,
რადგანაც თავის თავზე სიგიჟემდე შეყვარებულმა
მისმა პატრონმა
ამ სამართებლით გადაისერა ვენები,
ხოლო ცისფერი სისხლით გაჯერებულ ნელთბილ წყალს
რაც შეეხება, –
მის თითო წვეთს ყოველ ათას წელში ერთხელ სვამს
სატანა.

* * *

თავისი ბინის ფანჯრიდან იგი დროდადრო თვალს
ადევნებს
ცხოვრების დინებას.
„წიგნში“ კითხულობს ბინძური ცხოვრების ამ წმინდა
წესებს
და გრძნობს აშკარა შეუსაბამობას,
მან იცის, რომ თავის თავში დიდი ხნის ჩხრეკვის შემდეგ
იპოვის იმას, რასაც უფორმო გონებიდან ქაღალდზე
გადაიტანს.
ამის არ სჯერა,
მაგრამ აღიარება ადრე თუ გვიან
მაინც ეწვევა მას.
იგი დადგება ნაპრალის პირას,
წაიკითხავს თავისი ცხოვრების ერთადერთ ლოცვას –
თავის პირველ ლექსს
და ჩაიდენს შეუნდობელ ცოდვას,
რადგან ამ ცოდვის ჩადენის შემდეგ
ვეღარავისთან მოინანიებს.

* * *

სად არის ის ფურცლები, რომლებზეც მე ოდესღაც
ვწერდი ლექსებს?
ცალხაზიანი, თუ უჯრიანი – ამას არა აქვს მნიშვნელობა.
ცარიელი ფურცელი – აი, რა არის მართლაც
ნერვების მომშლელი.
რამდენი რამ თქმულა იმის შესახებ, თუ რამდენი რამ
არის კიდევ სათქმელი.
ნუ წერთ ამდენს! –
თორემ მალე არაფერი დარჩება დასაწერი.
ნუ აძლევთ ლექსებს სახელებს! –
დაე, მათ იარონ თავიანთ გზაზე.
ზურგი აქციეთ გრძნობებს! –
და ნახავთ, რამდენი სიტყვაა ამქვეყნად.
დაწერეთ რაიმე სისულელე! –
მაგალითად:
„სადაა ფანქარი და ფურცელი, როცა მე ისინი ასე
მჭირდება“
ან
„სადაა მჭირდება როცა მე ის ასე ფანქარი და
ფურცელი“.
და თქვენ შეიგრძნობთ მთელი თქვენი არსებით,
რომ ერთმანეთს არასოდეს არ გადაკვეთს
პარალელური ხაზები.

ქრონიკა

2005 წლის 3-5 ნოემბერს ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ამერიკათმცოდნეობის III საერთაშორისო კონფერენცია „ამერიკული ლიტერატურა და ქართულ-ამერიკული ურთიერთობები“. პროექტი მომზადდა უნივერსიტეტთან არსებული ამერიკის შესწავლის ცენტრის, ჯონ დოს პასოსის საქართველოს ასოციაციისა და საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ, საქართველოში აშშ საელჩოს მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით.

კონფერენცია გახსნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა გიორგი ონიანმა. დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ საქართველოში აშშ საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი როვენა კროს ნაჯაფი, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი, თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორი ვასილ კაჭარავა, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიგა ჩოგოვაძე, აშშ კალიფორნიის სანტა-კრუზის უნივერსიტეტის კოუელ კოლეჯის პროვოსტი, ლიტერატურის დეპარტამენტის პროფესორი ტირუს მილერი, აწსუ დასავლეთ ევროპული და ამერიკული ლიტერატურის დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფესორი ირაკლი ცხვედიანი, აშშ მონტანას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქრისტიან ფონ რაიჰერტი.

აწსუ ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორმა, ჯონ დოს პასოსის საქართველოს ასოციაციის თავმჯდომარემ, აწსუ დასავლეთ ევროპული და ამერიკული დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა ვახტანგ ამაღლობელმა გააკეთა ჯონ დოს პასოსის ასოციაციის პრეზენტაცია. მანვე მადლობა გადაუხადა საქართველოში აშშ საელჩოს მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. ასევე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფსა და ყველა მონაწილეს.

ვახტანგ ამაღლობელმა წაიკითხა დოს პასოსის ქალიშვილის, ლუსი დოს პასოს-კოგელისა და მწერლის ცნობილი ბიოგრაფის, ჩრდილოეთ კაროლინას ჩეპელჰინის უნივერსიტეტის პროფესორ ემერიტუსის თაუნსენდ ლუდინგტონის მისალოცი წერილები.

კონფერენცია გაიხსნა პლენარული სხდომით, მუშაობდა ორი სექცია – ამერიკული ლიტერატურისა და ქართულ-ამერიკული ურთიერთობები: ენა, ლიტერატურა, თარგმანი, პოლიტიკა, ისტორია, განათლება, ხელოვნება, კულტურა.

ჟან-პოლ სარტრი

ინტიმურობა

I

ლულუ ტიტველი წვებოდა ხოლმე ლოგინში: იმიტომ, რომ მოსწონდა, ზეწარი შიშველ სხეულზე რომ ეხებოდა და იმიტომ, რომ საცვლები ძვირი იყო. ჰენრი თავიდან ამის წინააღმდეგი იყო: როგორ შეიძლება ლოგინში დედიშობილა წოლა! როგორ შეიძლება, ეს ხომ არაჰიგიენურია! მიუხედავად ამისა, ბოლოს მაინც დაჰყვა ცოლის ნებას, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა; იხტიბარი რომ არ გაეტეხა, ხალხის წინ ქვა და კერპი იყო (აღტაცებაში მოჰყავდათ შვეიცარიელებს, განსაკუთრებით კი – ჟენეველებს, მათ მედიდური იერი ჰქონდათ, რადგანაც გეგონებოდათ, ხისგან არიან გამოთლილნიო), მაგრამ წვრილმან რამე-რუმეებს ჰპატიობდა საკუთარ თავს. მაგალითად, თავს არ იკლავდა სისუფთავისთვის, ხშირ-ხშირად არ იცვლიდა საცვალს; როცა ლულუ საცვლებს გასარეცხად გადაუწყობდა, თავს ვერ იკავებდა, არ ეთქვა, იმის გამოა გამოყვითლებული, რომ ლაჯებს ეხახუნებაო. თვითონ ლულუს კი სულაც არ ეხამუშებოდა ჭუჭყი: პირიქით, ეს საყვარელ, ინტიმურ ელფერს აძლევდა, მაგალითად, იდაყვის კუთხეში. თვალში არ მოსდიოდნენ ინგლისელები, ეგ უსულო სხეულები, რომლებიც არაფერს გრძნობდნენ. მაგრამ სიკვდილივით უფრთხოდა ქმრის დაუდევრობას, რადგანაც ამით ჰენრი საკუთარ თავს მოფერების საბაბს უქმნიდა. ყოველ დილით, ლოგინიდან რომ წამოდგებოდა, გულს უჩვილებდა საკუთარი თავი, სიზმრებით რომ გამოვსებოდა და უხეშ უსამართლობად ეჩვენებოდა უსაშველოდ გრძელი დღე, ცივი წყალი და სავარცხელი.

ლულუ ზურგზე იწვა, მარცხენა ფეხის თითი ზეწრის ნახვრეტში შეეყო. ზეწარი გახეული კი არა, მხოლოდ გარღვეული იყო. ამაზე გული მოუვიდა. გაიფიქრა: „ხვალვე უნდა ამოვკერო“, მაგრამ მაინც დაატანა ძალა ძაფს, რათა გაფხრწეს ხმა გაეგონა. ჰენრის ჯერ არ ეძინა, მაგრამ ეს სულაც არ ადარდებდა. არაერთხელ უთქვამს მისთვის: თვალს რომ დავხუჭავ, მეჩვენება, თითქოს, ვიღაცამ მსუბუქი და გამძლე თოკით შემკრა და თითის განძრევაც კი არ შემიძლიაო. დიდი ბუზი ობობის ქსელში გაება. ლულუ სიამოვნებით უგდებდა ყურს, როგორ იბრძოდა ტყვეობიდან თავის დასაღწევად ეს დიდი სხეული. რომ შეიძლებოდეს და ასე დამბლადაცემულივით დარჩეს, მე ვიზრუნებდი მასზე. პატარა ბავშვივით გავწმენდდი, მუცელზე გადავაბრუნებდი, ტაკუნებზე მივტყეპდი და, ერთხელაც, როცა დედამისი მოვიდოდა მის სანახავად, რაღაცას მოვიმიზეზებდი და გავაშიშვლებდი, ზეწარს გადავაძრობდი და დედიშობილას დაინახავდა. ვფიქრობ, გაოცდება, რადგან უკვე თხუთმეტიოდე წელი იქნება, რაც ჰენრი ასეთი აღარ უნახავს. ლულუმ ნაზად შეახო ქმარს ფერდზე ხელი და ბარძაყზე ნაზად უპწკინა. ჰენრიმ რაღაც ჩაიბურდღუნა, მაგრამ არ განძრეულა. თითქმის ცვედანია უკვე. ლულუს გაეღიმა: სიტყვა „ცვედანი“ ყოველთვის ღიმილს ჰგვრიდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჰენრი უყვარდა და იგი ასე გაუნძრევლად, დადამბლავებული იწვა მის გვერდით, ქალს სიამოვნებდა იმის წარმოსახვა, პატარა კაცუნები როგორ შებოჭავდნენ მას თოკით, ისეთნაირადვე, როგორც მაშინ, როცა ლულუ პატარა იყო და გულივერის თავგადასავალს კითხულობდა. ქალი ჰენრის ხშირად ეძახდა გულივერს

და ეს ჰენრის ძალიან მოსწონდა, რადგან ინგლისური სახელი იყო და ლულუ განათლებულ ქალად ეჩვენებოდა, მაგრამ ამჯობინებდა, ლულუს აქცენტით წარმოეთქვა ეს სახელი. რა გული გამიწყალეს: თუ განათლებული ქალი უნდოდა, დაქორწინებულიყო ჟანა ბედერზე, რაღა! სანადირო საყვირისნაირი ძუძუები აქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, ხუთი ენა იცის. კვირაობით ჯერ კიდევ სოში [1] რომ დავდიოდით, ისე მიწვრილებდნენ გულს მის ოჯახში, იძულებული ვიყავი, რომელიღაც წიგნისთვის წამევლო ხელი და მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომლისთვის. შემთხვევა არ ყოფილა, ვინმეს არ გავეკონტროლებინე, რას ვკითხულობდი; მისი უმცროსი და კი ერთთავად მეკითხებოდა: გესმით, ლუსი?“. საქმე ისაა, რომ ეგენი გამორჩეულ ადამიანად არ მთვლიან. აი, შვეიცარიელები ხომ არიან გამორჩეული ადამიანები, და ეს იმიტომ, რომ მისი უფროსი და შვეიცარიელზე დაქორწინდა და ხუთი ბავშვი აჩუქა და, გარდა ამისა, თავიანთი მთებით აგიჟებენ. მე არ შემიძლია, ბავშვები გავაჩინო, ასე ვარ გაჩენილი, მაგრამ არასოდეს მომსვლია აზრად, იმით ვიყო გამორჩეული, რასაც ეგ აკეთებს. როცა სასეირნოდ მეპატიჟება, სულ ურინატორებში შედის და იძულებული ვარ, მის მოლოდინში ვიტრინები ვათვალიერო. რას ვგავარ ამ დროს? ის კი გამოდის, შარვალს ექაჩება ზემოთ და თან მოხუცივით ჩაჩხავს ფეხებს.

ლულუმ ფეხის თითი ზეწრის ნახვრეტიდან გამოყო და ფეხები აამოძრავა. სიამოვნებდა, რომ ამ მომჩვარული და შებოჭილი ხორცის გვერდით, თვითონ სიცოცხლით აღსავსე იყო. ბუყბუყი მოესმა: მუცელი მღერის. ვერ ვიტანამას: ვერასოდეს ვარჩევ, მისი მუცელია თუ – ჩემი. ქალმა თვალები დახუჭა: ეს სითხეა, დუნე მილების ქსელში რომ ბუყბუყებს. ასე ემართება ყველას: რირეტს [2], მე (ო, როგორ არ მიყვარს ამაზე ფიქრი, პირდაპირ გულმუცელს მიმღვრევს). მას ვუყვარვარ, მაგრამ არ უყვარს ჩემი ნაწლავები, ჩემი ბრმანაწლავი ჭიქაში ჩადებული რომ აჩვენო, ვერც კი იცნობს, სხეულის არც ერთ ნაწილს არ მიტოვებს გაუსინჯავს, მაგრამ ჭიქა რომ ჩაუდო ხელში, ვერაფერს მიხვდება, არც კი გაიფიქრებს: „ეს მისია“, კაცს უნდა შეგეძლოს, საყვარელი ადამიანის ყველაფერი გიყვარდეს: ხორხი, ღვიძლი, ნაწლავები [3]. შეიძლება, თვალი არა გვაქვს მიჩვეული და ამიტომ არ გვიყვარს, ისევე რომ ვხედავდეთ, როგორც ხელებსა და მკლავებს, შეიძლება

ისინიც შეგვყვარებოდა; მაშინ ზღვის ვარსკვლავებს ჩვენზე მეტად უნდა უყვარდეთ ერთმანეთი. პლაჟზე გამოეფინებიან, როდესაც მზე აცხუნებს, და გარეთ გამოიგდებენ მუცელს, რათა ჰაერით გაიბერონ, ყველას შეუძლია ამის დანახვა. საკუთარ თავს ვეკითხები, საიდან შეიძლებოდა ჩვენი შიგნეული გამოგვეგდო, ჭიპიდან? ქალს თვალები დაეხუჭა და ცისფერი დისკოები, როგორც გუშინ ფიერაზე, ისე ტრიალებდნენ. დისკოებს კაუჩუკის ისრებს ვესროდი და ასოები ყოველი მოხვედრისას სათითაოდ ინთებოდა და ქალაქის სახელს წერდა, მაგრამ, მისი მანიაკობის გამო, უკან მომწებებოდა და ვერ შევძელი, მთლიანად დიჟონის [4] სახელი შემედგინა, გული მერევა, როცა უკან მეწებებიან, მერჩია, საერთოდ არ მქონოდა ზურგი, არ მომწონს, როცა იმასმიშვრებიან, როცა ვერ ვხედავ, შეუძლიათ გემოზე ისიამოვნონ და მერეც, არც ხელები უჩანთ, მხოლოდ იმას გრძნობ, როგორ ადი-ჩადის და ვერ გაიგებ, სად მიდის, ისინი კარგად ხედავენ ყველაფერს თავიანთი თვალებით, შენ კი ვერ ხედავ, ის აღმერთებს ამას; ჰენრი ამაზე არასოდეს იოცნებებდა, მას კი მეტი არაფერი აქვს საფიქრალი, გარდა იმისა, თუ როგორ მომადგეს უკან და დარწმუნებული ვარ, საგანგებოდ მეხება უკანალზე, რადგანაც იცის, რომ სირცხვილით ვიწვი, ის რომ მაქვს. როცა მე მრცხვენია, მას გზნება ეკიდება, მაგრამ მე არ მინდა მასზე ვიფიქრო (ქალს აშინებდა ეს), მე მინდა რირეტზე ვიფიქრო. რირეტზე ყოველ საღამოს, ერთსა და იმავე საათზე ფიქრობდა, როცა ჰენრი ბუტბუტსა და კვნესას იწყებდა. მაგრამ რაღაცამ ერთბაშად შებოჭა, ვიღაცას მოუნდა, თავი ეჩვენებინა, ქალმა ერთ წამს დალანდა კიდეც შავი თმა და ქოჩორი და მოეჩვენა, აქ რომ იყო და ჟრუანტელმა დაუარა, რადგანაც არ იცოდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ მარტო სახეს ხედავდა, – არაფერი, ამას ჯერ კიდევ არა უშავდა, მაგრამ მრავალი ღამე გაეტეხინებინა თეთრად მისთვის იმ ბინძურ მოგონებებს, თავში რომ წამოუტივტივდებოდა ხოლმე, საშინელებაა, როცა კაცისას ყველაფერს იცნობ და განსაკუთრებით იმას. ჰენრი კი სულ არ არის ასეთი, შემიძლია თავიდან ფეხებამდე წარმოვიდგინო, სინაზით მავსებს, რადგანაც მოშვებულია, რუხი ხორცი აქვს, მხოლოდ მუცელს გადაჰკრავს ვარდისფერი, ამბობს, ტანად კაცს, როცა ზის, მუცელზე სამი ნაოჭი აჯდება, ძუძუებზე კი – ექვსიო. უბრალოდ, მათ ორ-ორად თვლის და არ უნდა სხვების დანახვა. გააღიზიანა რირეტის მოგონებამ: „ლულუ, თქვენ არ იცით, რა არის მამაკაცის ნამდვილი სხეული“. ეს სასაცილოა, რა თქმა უნდა, ვიცი, ვიცი, რაც არის, უნდა, მითხრას: ქვასავით მაგარი სხეული, დაკუნთული, მე არ მომწონს ასეთი სხეული. პატერსონს ჰქონდა ასეთი და თავი აბრეშუმის ჭიასავით რბილი მეგონა, როცა ტანზე მიხუტებდა; ჰენრის კი იმიტომ გავყევი ცოლად, რომ ჩაპუტკუნებული იყო, იმიტომ, რომ კურიეს ჰგავდა. ანაფორებიანი კურიეები ქალებივით რბილსხეულიანები არიან და, ეტყობა, წინდებს არ იცვამენ. თხუთმეტი წლისა რომ ვიყავი, მინდოდა, ნელა ამეწია მათთვის ანაფორის კალთა და მენახა მათი მამაკაცური მუხლები და ნიფხავი, სასაცილოდ მეჩვენებოდა, რომ ფეხებს შორის რაღაც ჰქონდათ; ერთი ხელით დავუჭერდი ანაფორის კალთას, მეორეს კი ფეხებზე ავუცურებდი, იქამდე ავუცურებდი, მე რომ ვიცი, ეს იმიტომ კი არა, თითქოს ძალიან მომწონდეს ქალები, მაგრამ კაცების ის, როცა ტანსაცმლის ქვეშაა, რბილია, თითქოს ერთი დიდი ყვავილი იყოს. მართლაც, სინამდვილეში ვერასოდეს ხელში დაიჭერ ისე, რომ მშვიდად იყოს, მაშინვე ცხოველივით იწყებს მოძრაობას და მკვრივდება, ეს კი მაშინებს, როდესაც მკვრივი და გაჯგიმულია, მხეცივითაა; სიყვარულზე უფრო ბინძური არის რამე?!. იმიტომ მიყვარდა ჰენრი, რომ მისი პაწაწინა რამე არასოდეს მკვრივდებოდა, არასოდეს წამოყოფდა თავს, მე ვიცინოდი, ხანდახან ვუკოცნიდი კიდეც, არ მეშინოდა ჩვილ ბავშვზე მეტად; საღამოობით ხელში მოვიქცევდი ხოლმე მის რბილ პაწაწინა რამეს, იგი წითლდებოდა, თავს გვერდით მიაბრუნებდა და ხვნეშოდა, პაწაწინა რამე კი არ ინძრეოდა, გაიტრუნებოდა ჩემს ხელში, მე ხელს არ ვუჭერდი, დიდხანს ვიყავით ასე და მერე მას ჩაეძინებოდა. მაშინ ზურგზე დავწვებოდი და ვფიქრობდი კურიეებზე, წმინდა რამეებზე, ქალებზე და ჯერ ვეფერებოდი ჩემს მუცელს, ჩემს ბრტყელ კარგ მუცელს, ხელს ქვემოთ ჩავაცურებდი, სულ ქვემოთ ჩავაცურებდი და ეს იყო სიამოვნება; ჩემს მეტს არავის შეუძლია მასიამოვნოს.

აქოჩრილი თმა, ზანგის თმა და ყელში ბურთივით გაჩრილი წუხილი. მაგრამ ქალმა მთელი ძალით დახუჭა ქუთუთოები და, როგორც იქნა, აი! რირეტის ყური იყო, თვალწინ რომ დაუდგა, პატარა, ჭარხალივით წითელი და ოქროსფერი ყური, ბამბის შაქრისას რომ მიაგავდა. მის დანახვას, როგორც ყოველთვის, ლულუსთვის სიამოვნება არ მიუნიჭებია, რადგანაც, იმავდროულად, მისი ხმაც გაიგონა. მწივანა და წვრილი ხმა ჰქონდა, ისეთი, ლულუს რომ არ უყვარდა. „უნდა გაემგზავროთ პიერთან ერთად, ჩემო პაწაწინა ლულუ. ეს არის ერთადერთი გონივრული რამ, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ“. ძალიან მიყვარს რირეტი, მაგრამ ცოტა მაღიზიანებს, როცა მედიდურობს და თვითონვე ტკბება იმით, რასაც ამბობს. გუშინ საღამოს კაფე „გუმბათში“ რირეტი ჩემკენ გადმოიხარა, საზრიანი და ცოტა აღელვებული სახე მიიღო და მითხრა: „თქვენ აღარ შეგიძლიათ ჰენრისთან დარჩენა, რადგანაც არ გიყვართ. მასთან დარჩენა დანაშაული იქნებოდა“. ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, როგორმე გაკილოს, ჩემი აზრით, სულაც არ იქცევა კარგად. ჰენრის არასოდეს არაფერი შეშლია მასთან ურთიერთობაში. მე შეიძლება აღარც მიყვარდეს ჰენრი, მაგრამ ეს რირეტმა არ უნდა მითხრას. მას რომ ყური უგდო, ამქვეყნად ყველაფერი მარტივად და იოლადაა: ან უნდა გიყვარდეს და ან – არა, მაგრამ მე სულაც არა ვარ მარტივი. ჯერ ერთი, ჩემი ზნე-ჩვეულებები მაქვს და, მეორეც, იგი ძალიან მიყვარს, ჩემი ქმარია. სიამოვნებით ვცემდი მას, ყოველთვის მექავება საამისოდ ხელები, მინდა, იმიტომ ვატკინო, რომ მსუქანია. „მასთან დარჩენა დანაშაული იქნებოდა“. რირეტმა მკლავი ასწია, იღლია გამოუჩნდა, განსაკუთრებით მომწონს, როცა ტიტველი მკლავები უჩანს. იღლია. გაიხსნა, კაცს დაღებული პირი ეგონებოდა და ლულუმ დაინახა ბალბისფერი ხორცი, დანაოჭებული კანი თმისმაგვარი, აბურდული ღინღლის ქვეშ. პიერი მას „ჩაპუტკუნებულ მინერვას“ ეძახდა და რირეტს სრულებითაც არ მოსწონდა ეს. ლულუს გაეცინა, რადგანაც გაახსენდა თავისი პატარა ძმა,

რობერი, რომელმაც პერანგის ამარა ლულუს ჰკითხა: „რატომ გაქვს მკლავებს ქვეშ თმები?“ და მანაც მიუგო, ეს ავადმყოფობაა [5]. სიამოვნებდა თავისი პატარა ძმის თვალწინ ჩაცმა იმიტომ, რომ ყოველთვის სასაცილო დაკვირვებებს გამოთქვამდა, გაოცდებოდით, საიდან მოჰქონდა ისინი. ხელით ეხებოდა ლულუს ყველა რამე-რუმეზე, ფაქიზად ეფერებოდა იმეებზე, ისეთი მარჯვე ხელი აქვს, რომ უთუოდ თერძი გამოვა. ეს მშვენიერი ხელობაა, მე მას ტანსაცმელს დავუხატავ. განა, გასაოცარი არ არის, რომ პატარა ბავშვი თერძობაზე ოცნებობს. ბიჭი რომ ვყოფილიყავი, ასე მგონია, მეცნიერობა ანდა მსახიობობა მომინდებოდა, თერძობა კი – არა და არა. ის კი მუდამ მეოცნებეა, ბევრს არასოდეს ლაპარაკობს, თავის აზრს მიჰყვება. მე კი მინდოდა კეთილი მონაზონი ვყოფილიყავი, რათა მდიდართა სახლებში მევლო სამათხოვროდ. ძილი მეკიდება, თვალები მელულება, სულ ერთთავად მიდუნდება, თითქოს, ხორცი იყოს. ჩემი კარგი, გაფითრებული სახე კორნეტის ქვეშ, გამორჩეული იერი მექნებოდა. ასობით ჩაბნელებულ მოსაცდელ ოთახს ვნახავდი. მაგრამ მოსამსახურე თითქმის უმალ აანთებდა შუქს და მაშინ დავინახავდი ოჯახის წევრთა პორტრეტებს, ბრინჯაოს ფიგურებს კედელზე დაკიდულ ფიცრის თაროებზე და საკიდებს. ქალბატონი მოდის, ხელში წიგნაკი და ორმოცდაათფრანკიანი ბანკნოტი უჭირავს:

– ინებეთ, დაო.

– გმადლობთ, ქალბატონო, ღმერთმა დაგლოცოთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

მაგრამ მე ვერასოდეს ვიქნებოდი ნამდვილი მონაზონი. ავტობუსში ხანდახან თვალს ჩავუკრავდი ვინმე ტიპს და ისიც ჯერ გამოთაყვანდებოდა, მერე კი უკან გამომყვებოდა და გამაბრუებდა ტყუილებით და მე აგენტს დავაჭერინებდი მის თავს. ნაწყალობებ ფულს კი ჩემთვის შევინახავდი. რას ვიყიდდი? ანტიდოტს[6]. რა იდიოტობაა. ქუთუთოები მიმძიმდება, გეგონება წყალი შემივიდაო. ეს მომწონს და მთელს სხეულში სიამოვნების ჟრუანტელი მივლის. ერთი მშვენიერი მწვანე ტიარა, ზურმუხტითა და ფირუზით მოჭედილი, ტიარა ტრიალებს, ტრიალებს და, აი, ხარის საშინელი თავი, მაგრამ ლულუს არ ეშინია და ამბობს:

– სეკურუ [7]. კანტალის ოაზისები. შესდექ!

გრძელი წითელი მდინარე გზას მიიკვლევდა გადაბუგულ ქვეყანაში. ლულუ თავის მექანიკურ ხორცის საკეპ მანქანაზე ფიქრობდა, მერე კი – თმის საცხზე.

„მასთან დარჩენა დანაშაული იქნებოდა“! შეხტა და სხეული შუა ღამეში ზამბარასავით გაუხდა, თვალები გაუქვავდა. მაწამებენ, ესე იგი, ისინი არასოდეს ჩანან? კარგად ვიცი, რირეტი რომ კეთილი განზრახვით აკეთებს, მაგრამ იგი, რომელიც სხვებზე ასე გონიერია, უნდა მიხვდეს, რომ საჭიროა, კარგად დავფიქრდე. მან მითხრა: „წამოხვალ!“ და თვალები წამოენთო. „ჩემთან წამოხვალ, შინ. მარტო ჩემთვის მინდიხარ“. მეშინია მისი თვალების, როცა ცდილობს, ჰიპნოზისტს დაემსგავსოს. ხელები მიქვავდება. როცა მის ასეთ თვალებს ვხედავ, ყოველთვის ვფიქრობ თმაზე, მუცელზე რომ აქვს მოდებული. „წამოხვალ. შენ მე მარტო ჩემთვის მინდიხარ“; როგორ შეიძლება ასეთი რამეების თქმა?! ძუკნა კი არა ვარ!

როცა დავჯექი, გავუღიმე, ეს მისი გულისათვის შევიცვალე პუდრი, იმიტომ შევიღებე თვალებიც, რომ მას მოსწონს. მან კი ვერაფერი შეამჩნია, არასოდეს მიყურებს სახეზე, ძუძუებზე მომჩერებოდა და, გული რომ მეტკინა მისთვის, ვნატრობდი, მკერდზე შემხმობოდნენ. იმიტომ, რომ ძალიან დიდი ძუძუები არა მაქვს, სულ პაწაწინებია. „წამოხვალ ნიცაში [7], ჩემს ვილაში“. მითხრა: „ქათქათა ვილა მაქვს, თეთრი მარმარილოს კიბით, ზღვას გადაჰყურებს და მთელ დღეს ტიტვლები გავატარებთ“. ძალიან სასაცილო უნდა იყოს კიბეზე ასვლა, როცა ტიტველი ხარ. ვაიძულებდი, ჩემ წინ ევლო კიბეზე, რათა ჩემთვის არ ეყურებინა. სხვანაირად ფეხის განძრევასაც ვერ შევძლებდი, გავქვავდებოდი და მთელი გულით ვისურვებდი, დაბრმავებულიყო, თუმცა ეს დიდად არ იმოქმედებდა ჩემზე: როცა ჩემთანაა, თავი ყოველთვის ტიტველი მგონია. მკლავებში მომიქცია, ავმა იერმა გადაჰკრა და მითხრა:

– ძალიან გიყვარვარ?

მე კი შემეშინდა და ვუთხარი:

– კი.

მინდა თავს ბედნიერად გრძნობდე. მანქანით ვისეირნებთ, გემით ვისეირნებთ, იტალიაში წავალთ და ყველაფერს შეგისრულებ, რასაც ინატრებ. მაგრამ ვილაში თითქმის არა აქვს ავეჯი და იატაკზე, მეტლახზე დავწვებით. უნდა, რომ მის მკლავებში მეძინოს. მისი სუნით ვისუნთქებ; მომეწონება მისი მკერდი, რადგანაც გარუჯული და ფართოა, ოღონდ ერთი კია – ზედ უამრავი თმა აქვს. ვისურვებდი, კაცებს საერთოდ არ ჰქონოდათ ბალანი, მათი მკერდი შავია და ქაფივით რბილი, ხანდახან ვეფერები, ხანდახან კი – მეშინია და, რაც შეიძლება, შორს ვიჭერ თავს. ის კი მაგრად მიხუტებს. უნდა, მის მკლავებში დავიძინო, მკლავებში მომიქცევს და მისი სუნით ვისუნთქებ; როცა მწუხრი ჩამოწვება, ზღვის ხმაურს გავიგონებთ და შეუძლია შუაღამეს გამაღვიძოს, როცა იმისქნა მოუნდება: ვერ შევძლებ, მშვიდად დავიძინო, თუ ჩემი ის არ მექნება, რადგან, ბოლოს და ბოლოს, მომასვენებს და კიდევ, ამბობენ, ზოგიერთი კაცი მაშინაც იმასუშვრება ქალს, როცა მას არ შეუძლია, და მერე კაცს მუცელი უსისხლიანდება სისხლით, რომელიც არ არის მისი და სულ თან უნდა გქონდეს ჩვრები ყველგან, და ეს გულისამრევია. რატომაა, რომ აუცილებელია, სხეული გქონდეს?

ლულუმ თვალები გაახილა. ფარდებს წითლად ღებავდა ქუჩიდან შემოღვრილი შუქი. სარკეში წითელი ათინათი ირეკლებოდა. ლულუს უყვარდა ეს წითელი შუქი და, აი, სავარძელი, რომელიც ფანჯრის წინ ჩინური [8] ჩრდილივით იკვეთებოდა. მის სახელურებზე ჰენრის შარვალი იყო გადაკიდებული, აჭიმები კი ჰაერში ჩამოკონწიალებული. აჭიმების რეზინი უნდა ვუყიდო. ოჰ! არ მინდა, არ მინდა წასვლა. მთელი დღე მკოცნის და მკოცნის, მისი ვიქნები, მას ვასიამოვნებ და მიყურებს, იფიქრებს: „ეს ჩემი სიამოვნებისთვისაა, აი, აქ და აქ მოვეფერე და როცა მომინდება, შეიძლება მაშინ წამოვიწყო“. გახსოვს პორტ-როიალში? ლულუმ ფეხი გაიქნია ზეწარქვეშ, ეზიზღება პიერი, როცა ახსენდება, რა მოხდა პორტ-როიალში. ლულუ მესრის უკან იყო, ეგონა, ის მანქანაში დარჩა და რუკას ჩაჰკირკიტებდა, ამ დროს კი თვალის-წამში დაინახა,

რომ ფეხაკრეფით მიჰპარვოდა ზურგს უკან და აკვირდებოდა. ლულუმ ფეხი გაჰკრა ჰენრის. ახლა ეგ გაიღვიძებს. ჰენრიმ კი ამოიფშვინა ისე, რომ არ გაღვიძებია. ვისურვებდი, ახალგაზრდა, ლამაზი კაცი გამეცნო, ქალიშვილივით უმანკო, ერთმანეთს არასოდეს შევეხებოდით, ზღვის ნაპირზე ვისეირნებდით და ხელი ხელს ჩავკიდებდით ერთმანეთს და ღამე ორ საწოლში, ერთმანეთის გვერდიგვერდ დავიძინებდით, და-ძმასავით ვიქნებოდით და დილამდე ვილაპარაკებდით. ანდა ვისურვებდი, რირეტთან ერთად მეცხოვრა, ქალები კარგად ეგუებიან ერთმანეთს. მას მსუქანი და სუფთა მხრები აქვს; რა უბედური ვიყავი, როცა ფრეზნელი უყვარდა, არ მასვენებდა ფიქრი, რომ ფრეზნელი მას ეფერებოდა, ხელებს ნელა-ნელა უსვამდა მხრებსა და გვერდებზე და რირეტი კვნესოდა. ჩემს თავს ვეკითხები, როგორი სახე ექნებოდა რირეტს, როცა კაცის ქვეშ დედიშობილა იყო გაშოტილი და სხეულს ხელებით უსრესდნენ. რირეტს არ მოვეფერებოდი, მთელი ქვეყნის ოქროც რომ მოეცათ, არც კი ვიცი, რა ვუყო, რომ მოუნდეს და მითხრას კიდეც: „ძალიან მინდა“, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ, აი, უჩინარი რომ ვიყო, ვისურვებდი, იქ ვყოფილიყავი მაშინ, როცა იმასუშვრებიან, მინდა სახეში ვუყურებდე (უთუოდ გამაოგნებს, რომ შევნიშნო, ისევ მინერვას იერი რომ ადევს), ნაზად ვეფერებოდე ხელით გაშლილ ფეხებზე, წითელ მუხლებზე და ჩამესმოდეს, როგორ კვნესის. ლულუს გამშრალ ყელში სიცილის მაგვარი რამ აღმოხდა: რა აზრები მოსდის ხანდახან თავში! ერთხელ ისიც კი წარმოიდგინა, პიერი როგორ იძალადებდა რირეტზე. და მე მას მივეშველე, მკლავებში მეჭირა რირეტი. გუშინ იყო. რირეტს ლოყები წამოჭარხლებოდა, მის დივანზე ვიჯექით, ერთმანეთის პირდაპირ, ფეხები შეეტყუპებინა, ერთი სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისათვის. ჩვენ, საერთოდ, არასოდეს არაფერს ვამბობთ. ჰენრიმ ხვრინვა ამოუშვა და ლულუმ დაუსტვინა. მე აქა ვარ, თვალზე რული არ მეკიდება, ცუდ გუნებაზე ვარ, ეს კი ხვრინავს. პირუტყვი. მკლავებში მიქცევდა, მემუდარებოდა, მელუღლუღებოდა: „ჩემი ხარ, მხოლოდ ჩემი, ლულუ, მიყვარხარ, ნუ გაემგზავრები!“ მსხვერპლს გავიღებ მისთვის, დავრჩები, ჰო, მასთან დავრჩები, მთელი სიცოცხლე რომ ვასიამოვნო.

II

რირეტი „ტაძრის“ ტერასაზე ჩამოჯდა და პორტო შეუკვეთა. თავს დაღლილად გრძნობდა, გაჯავრებული იყო ლულუზე.

„... ამათ პორტოს კი საცობის გემო დაჰკრავს. ლულუს სულაც ფეხებზე ჰკიდია ეს იმიტომ, რომ თვითონ ყავას მიირთმევს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, როგორ შეიძლება, ყავა დალიო აპერიტივისთვის განკუთვნილ დროს [9]; ესენი აქ ყავას დღის ნებისმიერ დროს მიირთმევენ, ყავას კი არა, უფრო სწორად, რძიან ყავას, რადგანაც ჯიბეში გროშიც არ უჭყავით. ეს კი ნერვებს უნდა უშლიდეთ. მე ამას ვერ ავიტანდი, ცხვირწინ გადმოვულაგებდი კლიენტებს მთელ მაღაზიას. ეს ისეთი ხალხია, რომ სულაც არ არის საჭირო, მათ თვალწინ თავი შეიკავო. ვერ გამიგია, რატომ მინიშნავს პაემანს მაინცდამაინც მონპარნასზე, ბოლოს და ბოლოს, თავის სახლთან უფრო ახლოს არ იქნება, თუ მშვიდობის კაფეში ან პამ-პამში შემხვდება და მეც სამსახურიდან ასე შორს აღარ მომიწევს წანწალი? ენით ვერ გამომითქვამს, როგორ მიკლავს ყოველგვარ ხალისს მუდამ ერთი და იგივე კინკრიხოების ყურება. როგორც კი ერთ წუთს მოვიხელთებ, აქ უნდა მოვიდე. ტერასაზე კიდევ არა უშავს, მაგრამ შიგნით? იქ ჭუჭყიანი ნიფხვების სუნი დგას, მე კი არ მიყვარს ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ადამიანები. ასევეა ტერასაზეც. აქაც თავს უცხოდ ვგრძნობ, რადგანაც ცოტა უფრო სუფთად მაცვია. ჩემი აზრით, ხალხი უნდა განაცვიფროს ჩემმა დანახვამ აქაურებთან, რომლებიც წვერსაც კი არ იპარსავენ, ხოლო ქალები, ღმერთმა უწყის, რას ჰგვანან. ალბათ, ერთმანეთს ეკითხებიან: „რას აკეთებს აქ?“ მე კარგად ვიცი, რომ ზაფხულში აქ ხანდახან ძალიან მდიდარი ამერიკელები მოდიოდნენ, მაგრამ, ეტყობა, ახლა, ჩვენი მთავრობის შემყურენი, ინგლისს არჩევენ, სწორედ ამიტომ ჩავარდა ფუფუნების საგნებით ვაჭრობა. წლეულს შარშანდელის მხოლოდ ნახევარი საქონელი გავყიდე და ჩემს თავს ვეკითხები, სხვები რას შვრებიან? იმიტომ, რომ მე ყველაზე საუკეთესო გამყიდველი ვარ. მადამ დუბეშმა მითხრა, მეცოდება პატარა იონელი, ვერაფერი გაუგია, როგორ ივაჭროს, ხარჯებთან შედარებით, ალბათ, გროშიც ვერ მოიგო ამ თვეში, და როცა მთელი დღე ფეხზე დგახარ, კაცს მოგინდება, ცოტა მოისვენო სასიამოვნო ადგილას, დრო გაატარო ცოტა ფუფუნებაში, ცოტა ხელოვნების შედევრების სიახლოვეს, დახვეწილ ხალხში, მოგინდება, თვალები დახუჭო და მოისვენო, და კიდევ მოგინდება, მოისმინო წყნარი მუსიკა, სულაც არ დაჯდება ძალიან ძვირი, ხანდახან ელჩების საცეკვაო კლუბში რომ წახვიდე; მაგრამ იქ ოფიციანტები ისეთი თავხედები არიან, აშკარაა, საქმე ნაყარ-ნუყარ ხალხთან აქვთ, გარდა იმ პატარა შავგვრემანისა, მე რომ მემსახურება. ის თავაზიანია, მგონი, ლულუს მოსწონს. როცა ეს ტიპები გარშემო უტრიალებენ, ეშინია, ცოტა უფრო მაღალი კლასის ადგილას წავიდეს. გულის სიღრმეში სულაც არაა დარწმუნებული თავის თავში, ეშინია, დახვეწილ მამაკაცს რომ შეხვდეს სადმე, ლუი გადაიყვაროს; ჰოდა, მგონია, რომ აქ შეუძლია, თავი თავისუფლად იგრძნოს. აქ მხოლოდ ჭუჭყიანსაყელოიანები არიან, საცოდავად გამოიყურებიან და პირში ჩიბუხები გაუჩრიათ, თვალებს გიბრიალებენ და სულაც არა ცდილობენ, თავი მოიკატუნონ. აშკარად ეტყობათ, რომ ფული არ გააჩნიათ ქალების დასაქირავებლად, რადგანაც ესენი ნამდვილად იშოვება ამ უბანში. გულისამრევია ესეც; გეგონება, შენი შეჭმა უნდოდეთ და იმასაც ვერ ახერხებენ, ცოტა თავაზიანად გითხრან, მსურხართო, ისე შეატრიალონ საქმე, რომ გასიამოვნონ“.

ოფიციანტი მიუახლოვდა:

– მადმუაზელ, როგორც ყოველთვის მშრალი პორტო?

– დიახ, გმადლობთ.

მერე თავაზიანად დაუმატა ოფიციანტმა:

– რა მშვენიერი ამინდია!

– ძალიან ადრეა, – მიუგო რირეტმა.

– მართალს ბრძანებთ, გეგონებათ, ზამთრის გასვლას საშველი აღარ დაადგებაო.

წავიდა და რირეტმა თვალებით გააცილა. „მომწონს ეს ოფიციანტი“, გაიფიქრა, „იცის თავისი ადგილი, ზედმე-

ტად შინაურული არ არის, მაგრამ ყოველთვის აქვს ჩემთვის ერთი სიტყვა, ყოველთვის იჩენს ერთ პაწაწინა ყურადღებას“.

ვიღაც გამხდარი ბიჭი მისკენ გადმოხრილიყო და დაჟინებით უყურებდა. რირეტმა მხრები აიჩეჩა და ზურგი შეაქცია. „როცა გინდა, ქალს თვალი ჩაუკრა, სუფთა ხალათი ხომ მაინც უნდა გეცვას? ამას ვეტყვი კიდეც, თუ დამელაპარაკება. ჩემს თავს ვეკითხები, რატომ არ მიემგზავრება? არ უნდა, ჰენრის გული ატკინოს, მე კი ზედმეტ თავაზიანობად მეჩვენება ეს: ქალს უფლება არა გაქვს, ცხოვრება ერთ ცვედანს შესწირო“. რირეტს გულს ურევდა ცვედანობაზე ფიქრი, ბიოლოგიური სიძულვილი ჰქონდა ცვედნების მიმართ. გადაწყვიტა: „უნდა გაემგზავროს. საქმე მის ბედნიერებას შეეხება. ვეტყვი, რომ უფლება არა აქვს, თავი მოიტყუოს, როცა საქმე მის ბედნიერებას შეეხება. ლულუ, უფლება არ გაგაჩნიათ, თავი მოიტყუოთ, როცა საქმე თქვენს ბედნიერებას შეეხება. არა, მორჩა, არაფერსაც არ ვეტყვი. ეს მას უკვე ასჯერ ვუთხარი, შეუძლებელია ბედნიერი გახადო ვინმე, როცა თვითონ არ ცდილობს, დაგეხმაროს ამაში“.

ისე გადაქანცულიყო, რომ თავში სრულ სიცარიელეს გრძნობდა. უყურებდა პორტოს, თხევადი კარამელივით ბლანტ სითხედ რომ ესხა ჭიქაში და იქიდან მოისმოდა ვიღაცის ხმა: „ბედნიერება, ბედნიერება“. რა ლამაზი სიტყვაა, გულის ამაჩუყებელი და მძიმე! და ფიქრობდა, რომ, თუ „საღამოს პარიზის“ კონკურსზე ჰკითხავდნენ რამეს, იტყოდა, რომ ფრანგულში ეს ყველაზე ლამაზი სიტყვაა. „ნეტავ, თუ მოისაზრა ვინმემ ეს? ასეთად უკვე დაასახელეს: „ენერგია“, „გულადობა“, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მხოლოდ მამაკაცებმა გამოთქვეს აზრი. აუცილებელი იყო, ქალებიც ყოფილიყვნენ იქ, ქალებიც მოახერხებდნენ ასეთი სიტყვის პოვნას, აუცილებელი იყო, ორი პრიზი დაეწესებინათ: ერთი მამაკაცებისთვის – მათთვის ყველაზე ლამაზი სიტყვა იქნებოდა „ღირსება“, და ერთიც – ქალებისთვის. მე ვიტყოდი, ბედნიერება-მეთქი, და გავიმარჯვებდი. ღირსება და ბედნიერება ერითმება კიდეც ერთმანეთს. რა სასაცილოა. ვეტყვი: „ლულუ, უფლება არა გაქვთ, უარი თქვათ თქვენს ბედნიერებაზე. თქვენს ბედნიერებაზე, ლულუ. თქვენს ბედნიერებაზე“. მე პირადად მომწონს პიერი. ჯერ ერთი, ნამდვილი მამაკაცია და, მერე, ჭკვიანი და, რაც არაფერს აშავებს, – ფულიანიც. მის მიმართ ცოტა ყურადღებიანიც იქნება. ასეთი კაცები არიან, ცხოვრების წვრილ-წვრილი სირთულეების გადალახვის უნარი რომ შესწევთ. ეს კი ქალებს სიამოვნებთ. მე ძალიან მომწონს, როცა იციან, როგორ იუფროსონ. ეს პატარა ნიუანსია, მაგრამ მან იცის, როგორ დაელაპარაკოს ოფიციანტებს, სასტუმროს შვეიცარებს და ისინიც ემორჩილებიან. ამას მე ფხიანობას დავარქმევდი. შეიძლება ყველაზე მეტად ეს აკლია ჰენრის. და ესეც არ იყოს, მე მაქვს ზოგიერთი მოსაზრება იმათ ჯანმრთელობაზე, ვისაც ლულუს მამისნაირი მამა ჰყავდა. კარგს იზამდა, უფრო ყურადღებით რომ ყოფილიყო. კი ბატონო, შესანიშნავია, რომ გამხდარი და სიფრიფანა იყო, არასოდეს გშიოდეს, არც გეძინებოდეს, ღამეში მხოლოდ ოთხი საათი გეძინოს და მთელი დღე დარბოდე პარიზში ქსოვილის გასასაღებლად, მაგრამ ეს ხომ უგუნურებაა. აუცილებელია, რაციონალურ რეჟიმს მისდიოს, დროდადრო ჭამოს, კი, ბატონო, ცოტ-ცოტა, მაგრამ – ხშირ-ხშირად და განსაზღვრულ საათებში. ბევრ რამესაც მოიგებს, როცა ათიოდე წლით სანატორიუმში [10] გააგზავნიან“.

შეცბუნებულმა შეხედა მონპარნასის კუთხეში საათს, რომლის ისრები თორმეტის ოც წუთს უჩვენებდნენ. „არ მესმის ლულუსი, ისეთი უცნაური ტემპერამენტი აქვს, ვერასოდეს გავუგე, კაცები მოსწონს თუ გულს ურევენ: თუმცა პიერით კმაყოფილი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, მის შარშანდელ ტიპთან: რაბუსთან, თუ რებუსთან, როგორც მე ვეძახდი, შედარებით განსხვავებულია“. ამ მოგონებამ გაახალისა, მაგრამ ღიმილი გაუქრა, როცა თავი მოატრიალა და შენიშნა, რომ ახალგაზრდა გამხდარი კაცი დაჟინებით უყურებდა. რაბუს სახე შავი წერტილებით ჰქონდა დაკენკილი. ლულუ თავს იმით ირთობდა, რომ ფრჩხილებს კანზე მოუჭერდა და მათ ისე აცლიდა: „გულისამრევია, მაგრამ მისი ბრალი არაა. ლულუმ არ იცის, რას ნიშნავს ნამდვილი მამაკაცი. მე კი მიყვარს მამალი მამაკაცები. ჯერ ერთი, ისეთი კარგია მამაკაცების ლამაზი რამეები, მათი ხალათები, მათი ფეხსაცმელები, მათი ლამაზი მბზინავი ჰალსტუხები. ყველაფერი ეს შეიძლება დახვეწილი არ იყოს, მაგრამ ისეთი ტკბილია, ისეთი მაგარი, ისეთი სასიამოვნოდ ძლიერი, როგორიც – ინგლისური თამბაქოსა და ოდეკოლონის სუნი, როგორც – მათი სუფთად გაპარსული კანი. ეს არაა... ეს არაა ქალის კანივით, იტყვი კაცი, კორდოვას [11] ტყავივითაა, ძლიერ მკლავებს შემოგაჭდობს, თავს მის მკერდზე მიასვენებ და ნესტოებს გივსებს მოვლილი მამაკაცის ტკბილი მძაფრი სუნი, თან ყურში საალერსო სიტყვებს ჩაგჩურჩულებს. მათ აქვთ ლამაზი რამე-რუმეები, ძროხის ტყავის გამძლე, ლამაზი ფეხსაცმელები და ჩაგჩურჩულებენ: „ჩემო ძვირფასო, ჩემო ტკბილო ძვირფასო“ და გრძნობას კარგავ“. რირეტს ლუი გაახსენდა, რომელმაც შარშან მიატოვა და გული შეეკუმშა: „ისეთი მამაკაცია, თავი რომ უყვარს და უამრავი ჭირვეულობა სჭირს. ნამდვილი რაინდია, სიგარეტის ოქროს კოლოფითა და პატარა მანიებით... მაგრამ ამათ ხანდახან შეუძლიათ, დიდი გაიძვერები იყვნენ, ქალებზე უფრო მეტად გაიძვერები. ყველაზე უკეთესი ორმოციოდე წლის კაცი იქნება, ის, ვინც მოუვლის დროისგან შევერცხლილ თმას და უკან გადაიყრის. ხმელ-ხმელი, მხარბეჭიანი, ძალიან სპორტული, მაგრამ ვინც იცნობს ცხოვრებას და ვინც კეთილი იქნება იმიტომ, რომ უკვე უგემია ცხოვრების სიმწარე. ლულუ მხოლოდ ერთი ონავარი ვინმეა, იღბალი სწყალობს, ჩემნაირი მეგობარი რომ ჰყავს, თორემ პიერს უკვე ნელ-ნელა ყელში ამოსდის და ამას ჩემს ადგილას ზოგიერთი ხელიდან არ გაუშვებდა. მე კი ვეუბნები, უნდა მოითმინო-მეთქი, და ზოგჯერ, როცა ცოტა ნაზად მექცევა, ისეთ იერს ვიღებ, თითქოს ვერაფერს ვამჩნევ, ლულუზე ვიწყებ ლაპარაკს და ყოველთვის ვპოულობ სიტყვებს, მას დადებითად რომ წარმოაჩენს, მაგრამ იგი ამ იღბლის ღირსი არაა. ვერც ხვდება ამას. ვუსურვებდი, ჩემსავით ეცხოვრა მარტოს, ისე, როგორც ვცხოვრობ მას შემდეგ, რაც ლუიმ მიმატოვა. მაშინ გაიგებდა, რას ნიშნავს, საღამოს მარტომ შეაღო საწოლი ოთახის კარები, როცა მთელი დღე იმუშავე, ცარიელი ოთახი დაგხვდება და საშინლად მოგინდება, თავი ვიღა-

ცის მხრებს მიაყრდნო. საკუთარ თავს ეკითხები კაცი, სად პოულობ ღონეს, რომ მეორე დილით საწოლიდან წამოდგე და სამუშაოზე წაეთრიო, იყო მაცთუნებელი, მხიარული და ყველას შთაბერო სიცოცხლის ხალისი მაშინ, როდესაც თვითონ შენ სიკვდილი გირჩევნია ასეთ ცხოვრებას“.

საათმა თორმეტის ნახევარი ჩამოჰკრა. რირეტი ფიქრობდა ბედნიერებაზე, ლურჯ ფრინველზე, ბედნიერების ფრინველზე, სიყვარულის მეამბოხე ფრინველზე. შეკრთა: „ლულუმ ნახევარი საათით დაიგვიანა, ამაში გასაკვირი არაფერია. არ მიატოვებს თავის ქმარს, ნებისყოფა არ ეყოფა. ბოლოს და ბოლოს, ჰენრისთან მხოლოდ სიბრალულის გამო რჩება: მას ღალატობს, მაგრამ, ვიდრე „მადამს“ ეძახიან, ფიქრობს, ეს ღალატად არ ეთვლება. რას არ ამბობს მასზე, მაგრამ, აბა, ერთი შენ გაუმეორე მეორე დღეს ის, რაც ერთი დღის წინათ თვითონ გითხრა?! ერთბაშად აელეწება სახე. მე ყველაფერი ვიღონე, რაც შემეძლო, და ყველაფერი ვუთხარი, რისი თქმაც შეიძლებოდა, მით უარესი მისთვის“.

ტაძრის წინ ტაქსი გაჩერდა და იქიდან ლულუ გადმოვიდა. თან დიდი ჩემოდანი მოჰქონდა, სახეზე საზეიმო განწყობილება გადაჰკრავდა.

– ჰენრი მივატოვე, – შორიდან დაუყვირა.

მიუახლოვდა, ჩემოდნის სიმძიმეს ოთხად მოეკეცა. იღიმებოდა.

– როგორ, ლულუ? – ჩაეკითხა გაოცებული რირეტი. – იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ?..

– ჰო, – მიუგო ლულუმ. – მორჩა, თავი დავანებე.

რირეტს ვერ დაეჯერებინა.

– მან იცის? უთხარით?

ლულუს სახე მოექუფრა.

– აბა, როგორ!

– ძალიან კარგი, ჩემო პაწაწინა ლულუ!

რირეტმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა. პირადად მასაც ერია ხელი ყოველივე ამაში. მოეჩვენა, რომ ლულუს მისი წაქეზება სჭირდებოდა:

– რა კარგია, – დაუმატა მერე. – რა გაბედულად მოქცეულხართ!

მერე უნდოდა, ეთქვა, ხომ ნახეთ, სულაც არ ყოფილა თურმე ძნელიო, მაგრამ თავი შეიკავა. ლულუ მოწონებას იმსახურებდა: ლოყებზე წითელი ფერ-უმარილი წასვა და თვალებში ცეცხლი უცეკვავდა. დაჯდა და ჩემოდანი ახლოს დაიდო. შალის რუხი ტყავისქამრიანი პალტო და ღია ყვითელი მაღალყელიანი ჯემპრი ეცვა. თავშიშველი იყო. რირეტს არ მოსწონდა, როცა ლულუ თავშიშველი დადიოდა: უცებ ეცნო საყვედურნარევი უდარდელობა, რომელიც ლულუს არსებას დაუფლებოდა; ყოველთვის ასეთი იერი ედო. „რაც ასე მომწონს მასში, ეს სიცოცხლისუნარიანობაა“, გაიფიქრა რირეტმა თავისთვის.

– არც ვაციე, არც ვაცხელე, პირდაპირ პირში მივახალე, რაც გულზე მაწვა, – თქვა ლულუმ. – ჭკუა ვასწავლე.

– ვერ გამიგია, – თქვა რირეტმა. – რა დაგემართათ, ჩემო პაწაწინა ლულუ? ასე რამ გაგალომგულათ? გუშინ საღამოს ხატზე დავიფიცებდი, რომ არასოდეს მიატოვებდით.

– ჩემი ძამიკოს გამო მოხდა. თანახმა ვარ, მე მეუფროსოს, მაგრამ ვერ ავიტანე, ჩემს ოჯახს რომ შეეხოს.

– კი მაგრამ, რა მოხდა?

– სად არის ოფიციანტი? – იკითხა ლულუმ და სკამზე აქანავდა. – „ტაძრის“ ოფიციანტებს ვერასოდეს დალანდავ, როცა მათი დაძახება მოგინდება. ის პატარა, შავგვრემანი გვემსახურება?

– ჰო, – თქვა რირეტმა. – იცით, რომ გავაბი?

– აჰ? ესე იგი, არ ენდობით ტუალეტის დამლაგებელ ქალს, ბიჭი წამდაუწუმ კუდში დასდევს მას. ეარშიყება, მაგრამ ეს, მგონი, მხოლოდ საბაბია, რომ სხვა ქალებს უცქიროს ტუალეტში. როცა იქიდან გამოდიან, თვალებში უყურებს, რომ გააწითლოს. ჰო, მართლა, სულ ერთი წუთით დაგტოვებთ, ქვემოთ უნდა ჩავიდე, პიერს უნდა დავურეკო, ვინ იცის, როგორ შეეცვლება სახე! თუ ოფიციანტს მოჰკრავთ თვალს, შეუკვეთეთ ჩემთვის რძიანი ყავა. სულ ერთი წუთით გავალ და ახლავე დავბრუნდები.

წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მაშინვე უკან მობრუნდა.

– რა ბედნიერი ვარ, ჩემო პაწაწინა რირეტ!

– ძვირფასო ლულუ, – მიუგო რირეტმა და ხელში აიღო მისი ხელი.

ლულუმ ხელი გაითავისუფლა და მსუბუქი ნაბიჯებით გადაჭრა ტერასა. რირეტი უყურებდა, როგორ შორდებოდა. „ვერასოდეს დავიჯერებდი, ამას თუ შეძლებდა. როგორი ხალისიანია“, ფიქრობდა ოდნავ აფორიაქებული, „მოახერხა, ქმარი მოეტეხა. ჩემთვის რომ დაეჯერებინა, ამას დიდი ხნის წინათ შეძლებდა. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი დამსახურებაა; უთუოდ დიდი გავლენა მაქვს მასზე“.

ლულუ მალე დაბრუნდა:

– პიერს ძალიან გაუკვირდა, – თქვა მან. – ყოველი წვრილმანის გაგება მოუნდა, მაგრამ მალე ჩავუკენჭავ ყველაფერს. ერთად ვისადილებთ. მითხრა, ალბათ ხვალ საღამოს წავალთო.

– როგორი ბედნიერი ვარ, ლულუ, – თქვა რირეტმა. – მომიყევით ერთი, ყველაფერი. წუხელ გადაწყვიტეთ?

– იცით, მე არაფერი გადამიწყვიტავს, – მორიდებით თქვა ლულუმ. – ყველაფერი თავისთავად გადაწყდა. – ნერვულად დაჰკრა ხელი მაგიდას. – ოფიციანტო! ოფიციანტო! წონასწორობიდან გამოვყავარ ამ ოფიციანტს: რძიანი ყავა მინდა.

რირეტი შეძრა ამ სცენამ: ლულუს ადგილას, მისნაირ მძიმე ვითარებაში, რაღაც რძიანი ყავისთვის მეცხელებოდა?! ლულუში არის რაღაც მომაჯადოებელი, მაგრამ გასაოცარია, როგორი თავცანცარაა ხანდახან, პეპელასავითაა.

ლულუმ გადაიხარხარა:

– ერთი გენახათ ჰენრი, როგორ მოეღრიცა სახე!

– ნეტავ, რას იტყვის დედათქვენი, – დაფიქრებით თქვა რირეტმა.

– დედაჩემი? დიდად ნა-სი-ა-მოვ-ნე-ბი დარჩება, – დარწმუნებული ტონით უპასუხა ლულუმ. – იცით, დედას ყოველთვის უზრდელად ექცეოდა და ქალს ყელში ჰქონდა ამოსული ყველაფერი ეს. მუდამ იმას საყვედურობდა, რომ ცუდად აღმზარდა, რომ ესა და ის ვიყავი, რომ აშკარად მეტყობოდა, დახლს უკან რომ აღვიზარდე. იცით, რაც გავაკეთე, ეს ცოტა დედას გამოც გავაკეთე.

– კი მაგრამ, რა მოხდა?

– რა და, სილა გააწნა რობერს.

– ესე იგი, რობერი თქვენთან იყო?

– ჰო, ამ დილით გამომიარა, რადგანაც დედიკოს უნდა, შეგირდად გომპესს დაუყენოს. მგონი, უკვე გითხარით ეს. ჰოდა, გამოგვიარა საუზმობისას და ჰენრიმ სილა გააწნა.

– მერე, რატომ? – ოდნავ გაღიზიანებულმა იკითხა რირეტმა. ვერასდროს ვერ იტანდა, როგორ ყვებოდა ლულუ ამბებს.

– წალაპარაკდნენ, – ერთი სიტყვით უპასუხა ლულუმ. – პატარამ არ დაუთმო. უკან არ დაიხია. შე ბებერო ტრაკოო, პირდაპირ პირში მიახალა, რადგანაც ჰენრიმ, ცხადია, გაუზრდელი უწოდა, რადგანაც მეტი არაფრის თქმა არ იცის. მე მუცელი ხელით მეჭირა სიცილისგან. მაშინ ჰენრი ფეხზე წამოხტა, ჩვენ ოთახში ვსაუზმობდით, და სილა გააწნა, რომ შემძლებოდა, მოვკლავდი!

– მაშინ წამოხვედით?

– წამოვედით? – გამოთაყვანებულივით იკითხა ლულუმ. – სად?

– მეგონა, რომ ეს ის წამი იყო, როცა მიატოვეთ. მომისმინეთ, ჩემო პაწაწინა ლულუ, დალაგებით მომიყევით, თორემ ვერაფერი გავიგე. მითხარით, – დაეჭვებით დაუმატა. – ხომ ნამდვილად მიატოვეთ, მართალია ხომ?

– აბა, რა. აი, უკვე ერთი საათია, ამას გიყვებით.

– კარგი. მაშინ ჰენრიმ სილა გააწნა რობერს. მერე?

– მერე, – თქვა ლულუმ. – მე იგი აივანზე გამოვკეტე, ოჰ, რა ხოხმა იყო! ტანზე ისევ პიჟამა ეცვა, მინას დაუწყო ბრახუნი, მაგრამ ვერ იმეტებდა გასატეხად, რადგანაც ტილიანი ძუნწია. მე მის ადგილას ყველაფერს დავლეწავდი, ხელები სისხლით რომც დამთხვროდა. მერე ტექსიერები მოცვივდნენ. მაშინ თვალთმაქცობა დაიწყო, ფანჯრიდან მიღიმოდა, აქაოდა, ვხუმრობთო.

ოფიციანტმა გაიარა. ლულუმ მკლავში ჩაავლო.

– აი, როგორც იქნა, გამოჩნდით, ოფიციანტო! ძალიან შეწუხდებით, რძიანი ყავა რომ მომიტანოთ?

რირეტმა თავი უხერხულად იგრძნო და ოფიციანტს თანამზრახველივით გაუღიმა. იგი მაინც მოღუშული დარჩა და, თუმცა პატივისცემით, მაგრამ აშკარად უკმაყოფილომ დაუკრა თავი. რირეტს ცოტა გული მოუვიდა ლულუზე: ვერასოდეს არჩევს სწორ ტონს მასზე დაბლა მდგომ ადამიანებთან, ხანდახან ზედმეტად უყადრებს თავს, ხანდახან კი ზედმეტად მომთხოვნია და უკმეხად ექცევა.

ლულუ ახარხარდა.

– მეცინება, როცა თვალწინ დამიდგება პიჟამიანი ჰენრი, აივანზე სიცივისგან რომ კანკალებს. იცით, როგორ მოვახერხე აივანზე მისი გამოკეტვა? ოთახის შუაგულში იდგა, რობერი ტიროდა, ის კი ქადაგებდა. მე მინის კარი გავაღე და ვუთხარი: „გაიხედე, ჰენრი, ტაქსი ყვავილების გამყიდველს დაეჯახა“. მოვიდა: მას უყვარს ყვავილების გამყიდველი ქალი, რადგანაც ერთხელ უთხრა, შვეიცარიელი ხართო, და ჰგონია, რომ იგი შეყვარებულია მასზე. „სად დაეჯახა? სად დაეჯახა?“ – მეკითხებოდა. მე შეუმჩნევლად გავიწიე განზე, ოთახში შემოვედი და კარი ჩავკეტე. მინის იქიდან დავუძახე: „ახლა ნახავ, როგორია ჩემს ძმაზე ძალადობა“. ერთ საათზე მეტი იყო აივანზე, გაფართოებული თვალებით გვიყურებდა და სიბრაზისაგან ლურჯი ფერი ედო. ენა გამოვუყავი, რობერს კი კანფეტები მივეცი. ამის მერე ჩემი ბარგი-ბარხანა ოთახში შევიტანე და რობერის წინ ჩავიცვი იმიტომ, რომ ვიცი, ჰენრი ამას ვერ იტანს: რობერი მკლავებზე და ყელზე მკოცნიდა, როგორც პატარა მამაკაცი. მომაჯადობელია. ისე ვიქცეოდი, თითქოს ჰენრი საერთოდ არ არსებულიყო. ამასთანავე, სულ დამავიწყდა, რომ დამებანა.

– ის კი კარს იქით იდგა? ეს ყველაფერი ძალიან კომიკურია, – სლოკინ-სლოკინიანი სიცილით თქვა რირეტმა.

ლულუმ სიცილი შეწყვიტა:

– მეშინია, გრიპი არ აეკიდოს, – თქვა სერიოზულად. – გაჯავრებული ყველაფერზე ვერ ფიქრობ. – მერე ხალისიანად განაგრძო. – მუშტებს გვიღერებდა და რაღაცას გვემუქრებოდა, მაგრამ ნახევარიც არ მესმოდა, რას ამბობდა. შემდეგ რობერი წავიდა და კარზე ტაქსიერებმა რომ დარეკეს, შინ შემოვუშვი. როცა ისინი დაინახა, ღიმილი აიფარა სახეზე, ტანვარჯიში დაიწყო აივანზე, მე კი მეზობლებს ვუთხარი: „შეხედეთ ჩემს ქმარს, ჩემს საყვარელ სულელ ქმარს, განა აკვარიუმის თევზს არა ჰგავს?“ ტაქსიერები მინის გამოღმიდან მიესალმნენ, ცოტა კი გაიკვირვეს, მაგრამ იციან თავის დაჭერა.

– წარმომიდგენია ეს ყველაფერი, – სიცილით თქვა რირეტმა. – ჰაჰაჰა! ქმარი აივანზე, ტექსიერები კი ოთახში! – რამდენჯერმე გაიმეორა: „ქმარი აივანზე, ტექსიერები კი ოთახში“. გულით უნდოდა, სასაცილო, საოხუნჯო სიტყვები მოენახა და ლულუსთვის აღეწერა სცენა, რადგანაც ფიქრობდა, რომ თვითონ ლულუს არ გააჩნდა კომიკურობის გრძნობა, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა.

– კარი გავაღე, – თქვა ლულუმ. – და ჰენრი შემოვიდა. ტექსიერების დასანახად მაკოცა, ეშმაკის ფეხი დამიძახა და თქვა: „აი, რა საყვარლად მეხუმრება ეს პაწაწინა ეშმაკუნა“. მე ვიღიმებოდი, ტექსიერებიც თავაზიანად იღიმებოდნენ, ყველანი ვიცინოდით, მაგრამ, როგორც კი წავიდნენ, მუშტით გამიმასპინძლდა ყვრიმალში. მე იატაკის ჯაგრისს დავავლე ხელი და პირის კუთხეში მოვარტყი, ორივე ტუჩი გავუხეთქე.

– ჩემო საბრალო ლულუ, – დაუყვავა რირეტმა.

მაგრამ ლულუმ ხელი გაიქნია თანაგრძნობის მოსაგერიებლად. ტანი სწორად ეჭირა, საბრძოლო იერით არხევდა შავგვრემან ხუჭუჭ თმას და თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა.

– აი, მაშინ ვუთხარით ერთმანეთს ყველაფერი: ტუჩები პირსახოცით მოვწმინდე და ვუთხარი, ყელში ამომივიდა-მეთქი ყველაფერი, აღარ მიყვარხარ და მიგატოვებმეთქი. ატირდა და მითხრა, თავს მოვიკლავო. მაგრამ ეს ჩემზე უკვე აღარ მოქმედებს. გახსოვთ, რირეტ, შარშან, რენანის ამბების დროს [12] ყოველდღე ტვინს მიხვრიტავდა: ლულუ, ომი დაიწყება, მე ომში წავალ და მომკლავენ, შენ კი ინანებ, სინდისი არ მოგასვენებს, ასე რომ გამიმწარე სიცოცხლეო. „კარგი ერთი, ვეუბნებოდი, შენ ცვედანი ხარ, უვარგისად ჩაგთვლიან“. მე დამშვიდება დავუწყე, რადგანაც მემუქრებოდა, ბინაში ჩაგკეტავო, და დავუფიცე, ერთ თვემდე არსადაც არ წავალ-მეთქი. მერე სამსახურში წავიდა, თვალები დაწითლებული ჰქონდა, ტუჩებზე კი ლეიკოპლასტირი ეკრა, სულაც არ იყო ლამაზი.

მე? სახლი დავალაგე, ოსპი ცეცხლზე შემოვდგი და ჩემოდანი ჩავალაგე. ბარათი დავუტოვე მაგიდაზე სამზარეულოში.

– რა დაუწერეთ?

– დავწერე, – ამაყად თქვა ლულუმ. – „ოსპი ცეცხლზეა შემომდგარი. შენ თვითონ გადმოიღე და გაზი გამორთე. მაცივარში შაშხი უნდა იყოს. მე ყელში ამომივიდა და სადაც წვრილია, ძაფი იქ გაწყდეს“.

ორივემ გაიცინა და გამვლელებმა შეხედეს. რირეტმა გაიფიქრა, ალბათ, გარეშე პირთათვის კარგ სანახაობას წარმოვადგენთო, და ინანა, ვეილის, ანდა კაფე „მშვიდობის“ ტერასაზე რატომ არ ვსხედვართო. სიცილს რომ მორჩნენ, სიჩუმე ჩამოვარდა და რირეტი მიხვდა, რომ სათქმელი აღარაფერი ჰქონდათ ერთმანეთისთვის. ამან ცოტათი გული ატკინა.

– უნდა გავიქცე, – თქვა ლულუმ და ფეხზე წამოდგა. – პიერს უნდა შევხვდე თორმეტ საათზე. რა უნდა ვუყო ჩემოდანს?

– მე დამიტოვეთ, – მიუგო რირეტმა. – ახლავე მივაბარებ დამლაგებელ ქალს. როდის შეგხვდეთ?

– ორ საათზე გამოგივლით და წაგიყვანთ. უამრავი რამ უნდა ვიყიდო თქვენთან ერთად: ჩემი რამე-რუმეების ნახევარიც კი არ წამომიღია. პიერმა უნდა გამიმართოს ხელი.

ლულუ წავიდა და რირეტმა ოფიციანტს დაუძახა. ორმაგად დამძიმებოდა თავი და სევდა მოსძალებოდა. ოფიციანტი მაშინვე მოვიდა: რირეტს შეენიშნა, რომ იგი მაშინვე მოდიოდა, როცა ეძახდა.

– ხუთი ფრანკი, – უთხრა ოფიციანტმა, მერე ცივად დაუმატა. – კარგად იჯერეთ გული ორივემ, თქვენი სიცილის ხმა ძირს ჩამოდიოდა.

„ლულუს საქციელმა გააჯავრა“, გული მოუვიდა რირეტს და წამოჭარხლებულმა უპასუხა:

– ჩემი მეგობარი ცოტა განერვიულებული იყო ამ დილით.

– მომხიბლავია, – გრძნობით უპასუხა ოფიციანტმა. – გმადლობთ, მადმუაზელ.

ოფიციანტმა ჯიბეში ჩაიდო ექვსი ფრანკი და წავიდა. რირეტი ცოტა განცვიფრებული დარჩა, მაგრამ საათმა თორმეტი ჩამოჰკრა და ქალმა იფიქრა, რომ ჰენრი ახლა დაბრუნდებოდა შინ, სადაც ლულუს ბარათი დახვდებოდა. და ძარღვებში ტკბილი გრძნობა ჩაეღვარა.

– გთხოვთ, ყველაფერი ხვალ საღამომდე გააგზავნოთ სასტუმრო „თეატრში“ [13], ვანდამის ქუჩაზე, – მაღალი საზოგადოების წრის ქალისთვის დამახასიათებელი ტონით უთხრა ლულუმ მოლარეს. მერე რირეტს მიუბრუნდა:

– მორჩა, რირეტ. ავითესოთ.

– თქვენი სახელი? – ჰკითხა მოლარემ.

– მადამ ლუსიენ კრისპენი.

ლულუმ მკლავზე გადაიგდო პალტო და გაიქცა. ჩარბოდა სამარიელი ქალის [14] დიდ კიბეებზე. რირეტი მისდევდა, რამდენიმეჯერ კინაღამ წაიქცა, რადგანაც არ უყურებდა, ფეხებს სად დგამდა: მკრთალი ცისფერი სილუეტისა და მბზინავი ღია ყვითელი ფერის მეტს ვერაფერს ხედავდა. „რაც მართალია, მართალია, დაგვაჯუღი ტანი აქვს...“ ყოველთვის, როდესაც ლულუს ზურგიდან ან გვერდიდან უყურებდა, თვალში ხვდებოდა მისი სხეულის ნაკვთების სიმახინჯე, მაგრამ თავისი თავისთვის ვერ აეხსნა, რატომ. ფიქრობდა: „ელასტიკური და გამხდარია, მაგრამ რაღაც აქვს უვარგისი, ისევ იქა ვართ. ყველაფერს აკეთებს იმისათვის, თავისი სხეულის ნაკვთები რომ გამოაჩინოს. ალბათ, ესაა თავი და თავი. ამბობს, საჯდომის გამოჩენა მერიდებაო, და ისეთ ქვედატანს იცვამს, უკანალზე რომ ეტკიცება. პატარა საჯდომი აქვს, კარგად ვხედავ, ჩემზე პატარა, მაგრამ თვალში გეჩხირება კაცს. ერთიანად მრგვალია, ნეკნების ქვემოთ, კარგად ავსებს ქვედატანს, გეგონება, ტაკოებზე დაჰკრობიაო. ესეც არ იყოს, უტოკავს“.

მხატვარი ბადრი გაგნიძე

ლულუ შემობრუნდა და ერთმანეთს გაუღიმეს. რირეტი გაიცხვითა და უხალისოდ ფიქრობდა დაქალის უშნო სხეულზე: მის პაწაწინა, შემართულ ძუძუებზე, პრიალა, გვარიანად ჩაყვითლებულ ხორცზე – როცა ეხებოდით, შეგეძლოთ დაგეფიცათ, კაუჩუკისაო – მაღალ ბარძაყებზე, მოუსვენარ სხეულზე, გრძელ კიდურებზე: „გეგონება, ზანგის სხეულიაო“, გაიფიქრა რირეტმა, „იმ ზანგს წააგავს, რუმბას [15] რომ ცეკვავს“. მოსრიალე კარებთან ახლოს რირეტმა სარკეში საკუთარი ტანის ანარეკლს მოჰკრა თვალი: „მე უფრო მოქნილი ვარ“, გაიფიქრა და ლულუს მკლავში მოჰკიდა ხელი, „როცა ჩაცმულები ვართ, ის უკეთესად გამოიყურება, ტიტველი კი, წყალი არ გაუვა, მე ვჯობივარ“.

ერთხანს დუმილში ჩაიძირნენ.

– პიერი ძალიან საყვარელი იყო. თქვენც, თქვენც, ასევე, საყვარლად მომექეცით, რირეტ. თქვენი, ორივესი, დიდი მადლობელი ვარ, – თქვა მერე ლულუმ ისე, თითქოს ძალით ამოღერღაო, მაგრამ რირეტს ყურადღება არ მიუქცევია ამისთვის. ლულუს არასოდეს შეძლებია მადლობის გადახდა, ზედმეტად მორიდებული იყო.

– მერიდება, – თქვა ლულუმ. – მაგრამ ლიფი უნდა ვიყიდო.

– აქ? – ჩაეკითხა რირეტი. სწორედ თეთრეულის მაღაზიის წინ იყვნენ.

– არა. უბრალოდ დავინახე და გამახსენდა. ლიფს ყოველთვის ფიშერთან ვყიდულობ.

– მონპარნასის ბულვარზე? – შეშფოთებით აღმოხდა რირეტს. – ფრთხილად იყავით, ლულუ, – სერიოზული ტონით წამოიწყო. – კარგს არაფერს მოგვიტანს მონპარნასის ბულვარის ფეხქვეშ ამოდება, ისიც ამ საათზე: ჰენრის გადავეყრებით და ძალიან უსიამოვნო ყოფაში ჩავვარდებით.

– ჰენრის? – მხრები აიჩეჩა ლულუმ. – რას ამბობთ, არა. მერე რატომ?

გაბრაზებისაგან რირეტს ლოყები და საფერთქლები წამოენთო.

– მუდამ ერთნაირი ხართ, ჩემო პაწაწინა ლულუ. როცა რაიმე გულზე არ გეხატებათ, ჩვეულებრივ – უბრალოდ – სავსებით უარყოფთ. ფიშერთან გინდათ გაიაროთ და მარწმუნებთ, ჰენრი მონპარნასის ბულვარზე არ გამოივლისო, თუმცა ძალიან კარგადაც იცით, რომ აქ ყოველდღე ექვს საათზე გაივლის, მის გზაზეა მონპარნასი. თქვენ თვითონ გითქვამთ ჩემთვის, რენეს ქუჩაზე ამოდის და [16] -სთან მელოდება, რასპელის ბულვარის კუთხეშიო.

– ჯერ ერთი, ახლა მხოლოდ ხუთი საათია, – თქვა ლულუმ. – და, მერეც, იქნებ საერთოდაც არ წასულა სამსახურში. იმ ბარათის მერე, მე რომ დავუტოვე, დასაძინებლად დაწვებოდა.

– მაგრამ, ლულუ, – მაშინვე მიუგო რირეტმა. – კარგად იცით, რომ არის სხვა ფიშერიც, ოთხი სექტემბრის ქუჩაზე, და სულაც არ არის ოპერიდან შორს.

– ჰო, – ამოიხვნეშა ლულუმ. – იქ წასვლა მოგვიწევს.

– აჰ, რა კარგი ვინმე ხართ, ჩემო პაწაწინა ლულუ! იქ წასვლა მოგვიწევსო?! აქვე არაა, ყურის ძირში?! აქედან მონპარნასის კუთხეზე უფრო ახლო არაა?!

– არ მომწონს, რასაც იქ ყიდიან.

რირეტმა გაიფიქრა, ფიშერები ყველგან ერთნაირ რამეს ყიდიან, მაგრამ ლულუს გაუგებარი რაღაც აეხირებინა და ეს ერთგვარად ართობდა კიდეც: ჰენრი, წყალი არ გაუვა, ის ადამიანი იყო, ვისი ნახვაც ყველაზე ნაკლებ უნდოდა ამწუთას, მაგრამ იტყოდი, საგანგებოდ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, ფეხებში რომ გაეჩხიროსო.

– კარგი, ბატონო, – შემრიგებლურად დაეთანხმა რირეტი. – წავიდეთ მონპარნასზე. ესეც არ იყოს, ჰენრი ისეთი მაღალია, უსათუოდ ჩვენ უფრო მალე დავინახავთ, ვიდრე ის შეგვნიშნავს.

– რომ შეგვხვდეს, მერე რა? – თქვა ლულუმ. – შეგვხვდეს და შეგვხვდეს! ხომ არ შეგვჭამს?!

ლულუს ძალიან უნდოდა ფეხით წასულიყვნენ მონპარნასისაკენ. ამბობდა, ჰაერი არ მყოფნისო. გაიარეს სეინის ქუჩა, მერე ოდეონის, მერე ვოჟირარდის. რირეტმა პიერი შეაქო და ლულუს აუხსნა, როგორ უშეცდომოდ მოიქცა პიერი ამ მდგომარეობაში.

– როგორ მომწონს პარიზი! – თქვა ლულუმ. – როგორ ვინანებ!

– თქვენი ხმა არ გავიგონო! გაოცებული ვარ, საშუალება გეძლევათ ნიცაში წახვიდეთ და პარიზზე გწყდებათ გული?!

ლულუს პასუხი არ გაუცია. მოწყენილი აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს რაღაცას ეძებსო.

ფიშერების მაღაზიიდან რომ გამოდიოდნენ, მოესმათ, როგორ ჩამოჰკრა ზარმა ექვსი საათი. რირეტმა მკლავი გამოსდო ლულუს და შეეცადა, რაც შეიძლება აეჩქარებინა, მაგრამ ლულუ მეყვავილე ბაუმანის წინ შეჩერდა.

– შეხედეთ ერთი, ჩემო პაწაწინა რირეტ, ამ იელებს [17]. ლამაზი სასტუმრო ოთახი რომ მქონდეს, სულ იელებით მოვრთავდი.

– სულაც არ მიყვარს ქოთანში ჩარგული ყვავილები, – თქვა რირეტმა.

ქანცი გაწყვეტოდა. რენეს ქუჩის მიმართულებით გაიხედა და, რაღა თქმა უნდა, ერთი წუთის შემდეგ ჰენრის გამოთაყვანებული, ზონზროხა სილუეტიც გამოჩნდა. თავშიშველი იყო და ტვიდის [18] სპორტული ყავისფერი პიჯაკი ეცვა. რირეტი ვერ იტანდა ყავისფერს.

– აი, ისიც, ლულუ, აი, ისიც, – სხაპასხუპით მიაყარა.

– სად? – იკითხა ლულუმ. – სადაა?

რა თქმა უნდა, რირეტზე ნაკლებად როდი იყო აღელვებული.

– ჩვენ უკან, იქითა ტროტუარზე. უკან არ მოიხედოთ და ავითესოთ.

ლულუ მაინც შემობრუნდა.

– დავინახე, – თქვა.

რირეტი შეეცადა ლულუ ძალით გაეცილებინა იქაურობას, მაგრამ იგი რაღაცნაირად გახევებულიყო და დაჟინებით უყურებდა ჰენრის. ბოლოს თქვა:

– მე მგონია, დაგვინახა.

შეშინებული ჩანდა, ერთი წამით მინებდა რირეტს და ნელა მიჰყვა.

– ღვთის გულისათვის, ახლა მაინც არ მოიხედოთ, ლულუ, – სთხოვა ცოტა გულამოვარდნილმა რირეტმა. – შემდეგ ქუჩაზე ხელმარჯვნივ გავუხვევთ და დელამბრეს ქუჩაზე გავალთ.

ძალიან სწრაფად მიდიოდნენ და გამვლელებს ეჯახებოდნენ. ლულუ ხან მინებდებოდა, რათა რირეტს გაეთრია, ხან კი თვითონ მიექაჩებოდა რირეტს წინ. დალამბრის ქუჩის კუთხემდე არ იყვნენ მისული, როცა რირეტმა ლულუს ოდნავ უკან დიდი რუხი ჩრდილი დალანდა. მიხვდა, ჰენრი იყო და გაბრაზებისაგან აკანკალდა. ლულუს ქუთუთოები დაეხარა და ისე იყურებოდა, თვალთმაქცი და ჯიუტი იერი ჰქონდა. „ნანობს თავის წინდაუხედაობას, მაგრამ ახლა ძალიან გვიანაა, მით უარესი მისთვის“.

ნაბიჯს აუჩქარეს; ჰენრი სიტყვის უთქმელად მისდევდათ. დელამბრეს ქუჩა ჩაათავეს და ობსერვატორიის მი-

მართულებით განაგრძეს გზა. რირეტს ყურში ჩაესმოდა ჰენრის ფეხსაცმლის კაკუნი. ამასთანავე, რაღაც მსუბუქი და გაბმული ბუყბუყის ხმა ეყურადებოდა, რომელიც მათ ნაბიჯებს ერწყმოდა: ეს ჰენრის ქოშინი იყო (იგი ყოველთვის მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ ასე არასდროს უქშინავს. ეტყობოდა, მათ რომ წამოსწეოდა, ბევრი ერბინა, ანდა ძალიან აღელვებული იყო).

„თავი ისე უნდა დავიჭიროთ, თითქოს არ დაგვინახავს“, გაიფიქრა რირეტმა. „არ უნდა შეგვატყოს, რომ შევნიშნეთ, აქ რომ არის“. მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძლო, თვალის კუდი იქეთ არ გაეპარებინა. სახე ისე გაფითრებოდა, რომ თეთრეულს მიუგავდა; ქუთუთოები კი ისე შეეტყუპებინა, იფიქრებდით, თვალები დახუჭული აქვსო. „მთვარეული გეგონება კაცს“, რაღაცნაირი შიშით გაიფიქრა რირეტმა. ჰენრის ტუჩები უკანკალებდა, ქვედა ტუჩზე – ვარდისფერი ნახევრადმორღვეული სალბუნის პატარა ნაწილიც კი. და ქშინვა, ყოველთვის ერთნაირი და ჩახრინწული, ამჯერად ერთი პატარა ცხვირიდან გამომავალი მუსიკასავით ისმოდა. რირეტი უხერხულად გრძნობდა თავს: არ ეშინოდა ჰენრის, მაგრამ ავადმყოფობა და წამება ყოველთვის ცოტაოდენ აფრთხობდა. და, აი, ჰენრიმ ნელა გამოსწია ხელი ისე, რომ არც კი გაუხედავს, და ლულუს მკლავში ჩაავლო. ლულუს ყბა მოეღრიცა, თითქოს ტირილი უნდა წასკდესო, და აკანკალებულმა ხელი გაითავისუფლა.

– პუფ, – აღმოხდა ჰენრის.

რირეტი გიჟურ სურვილს შეეპყრო, როგორმე შეჩერებულიყო: ფერდებში ჩხვლეტდა და ყურები უბზუოდა. მაგრამ ლულუ ლამის მიფრინავდა; მასაც, მასაც მთვარეულის ფერი ედო და რირეტს ეგონა, ახლა ლულუსთვის ხელი რომ გაეშვა და შეჩერებულიყო, ისინი, ორივენი სირბილს გააგრძელებდნენ ერთმანეთის გვერდით, ხმის ამოუღებლად, მკვდრებივით გაფითრებულნი და თვალებდახუჭულნი.

ხმა ამოიღო ჰენრიმ. სასაცილო ჩახლეჩილი ხმით ამოღერღა:

– შინ წამოდი!

ლულუს პასუხი არ გაუცია. ჰენრიმ კიდევ ერთხელ სცადა ბედი, იმავე ჩახლეჩილი ხმით, ხმის აუწევლად:

– შენ ჩემი ცოლი ხარ. შინ წამოდი!

– ძალიანაც კარგად ხედავთ, რომ არ უნდა თქვენთან დაბრუნება, – კბილებში გამოსცრა რირეტმა. – თავი დაანებეთ!

თითქოს ვერაფერი გაიგონაო, ისევ გაიმეორა:

– მე შენი ქმარი ვარ. მინდა, რომ შინ წამოხვიდე.

– გთხოვთ, თავი დაანებოთ, – წრიპინა ხმით შეეპასუხა რირეტი. – ვერაფერს მოიგებთ ასეთი იძულებით, მოგვასვენეთ!

განცვიფრებული იერით მიუბრუნდა რირეტს:

– ჩემი ცოლია, – უთხრა. – მე მეკუთვნის. მინდა შინ წამოვიდეს.

ლულუსთვის მკლავში ჰქონდა ხელი ჩავლებული და ამჯერად ქალს მკლავი არ წაურთმევია მისთვის.

– მოგვშორდით, – თქვა რირეტმა.

– არსადაც არ წავალ, ყველგან თან გავყვები. მე მინდა, ჩემთან ერთად დაბრუნდეს შინ.

ძლივს ლაპარაკობდა. უცებ ისე დაიჭყანა, რომ კბილები ერთიანად გადმოყარა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იყვირა:

– მე მეკუთვნი!

ხალხი სიცილით შემობრუნდა მათკენ. ჰენრი მკლავში ექაჩებოდა ლულუს, მხეცივით ბრდღვინავდა და ტუჩებს მაღლა იბზუებდა. საბედნიეროდ, ტაქსი გამოჩნდა. რირეტმა ხელი დაუქნია და გააჩერა. ჰენრიც შედგა. ლულუ შეეცადა ფეხი გადაედგა, მაგრამ ორივე მაგრად ჩასჭიდებოდა მკლავებში.

– უნდა შეიგნოთ, – თქვა რირეტმა და თან ლულუს მანქანისაკენ ექაჩებოდა. – რომ ძალით ვერანაირად ვერ წაიყვანთ თქვენთან.

– თავი დაანებეთ, თავი დაანებეთ ჩემს ცოლს, – გაიძახოდა ჰენრი და თავისკენ ექაჩებოდა. ლულუ მთლად მომჩვარებულიყო.

– სხდებით თუ არა? – იყვირა მოთმინებადაკარგულმა ტაქსის მძღოლმა.

რირეტმა ლულუს ხელი გაუშვა და ჰენრის ხელებს მუშტები სეტყვასავით დაუშინა. კაცი იმწამსვე შეეშვა ნადავლს და გაოცებული სახით შეხედა რირეტს. რირეტიც უყურებდა. ქალი ძლივს უყრიდა თავს ფიქრებს, საშინელ იმედგაცრუებას შეეპყრო. ერთხანს თვალი თვალში ჰქონდათ გაყრილი და ორივე მძიმედ სუნთქავდა. მერე რირეტმა ძალა მოიკრიფა, ლულუს წელში მოხვია ხელი და ტაქსისკენ გაათრია.

– საით? – იკითხა მძღოლმა.

ჰენრიმ იქაც მისდია, შეეცადა მათთან ერთად ჩამჯდარიყო ტაქსში, მაგრამ რირეტმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უკან უბიძგა და სასწრაფოდ მოიკეტა კარი.

– ოჰ, წადით, წადით, – უთხრა მძღოლს. – მერე გეტყვით მისამართს.

ტაქსი დაიძრა და რირეტი ინერციით მიესვენა სავარძლის საზურგეზე. „რა გულისამრევი იყო ყოველივე ეს“, გაიფიქრა. ეზიზღებოდა ლულუ.

– სად გნებავთ, რომ წავიდეთ, ჩემო პაწაწინა ლულუ? – ტკბილად ჰკითხა.

ლულუს პასუხი არ გაუცია. რირეტმა მკლავები მოხვია და შეეცადა დაეყოლიებინა.

– უნდა მითხრათ, გეთაყვა. გნებავთ, პიერთან მიგიყვანთ?

ლულუმ ისეთი მოძრაობა გააკეთა, რირეტმა თანხმობის ნიშნად მიიღო. წინ გადაიხარა:

– მესინას თერთმეტი.

როცა რირეტი ისევ გასწორდა, ლულუმ უცნაური იერით შეხედა.

– რა?.. – ჩაეკითხა რირეტი.

– მეზიზღებით, – დაიყვირა ლულუმ. – მეზიზღება პიერი, მეზიზღება ჰენრი. რა გინდათ ჩემგან? რატომ მაწამებთ.

უცებ გაყუჩდა. სახე არეოდა.

– იტირეთ, – მშვიდად დაუყვავა რირეტმა. – იტირეთ, გულზე მოგეშვებათ.

ლულუ ორად მოიკეცა და აქვითინდა. რირეტმა ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა. ხანგამოშვებით თმაზე ეფერებოდა, თუმცა გულში ცივად და გამკილავი გრძნობა

დაუფლებოდა. როცა მანქანა გაჩერდა, ლულუ უკვე დამშვიდებულიყო. თვალები შეიმშრალა და ფერ-უმარილი წაიცხო.

– მაპატიეთ, – თავაზიანად თქვა. – ნერვებმა მიმტყუნა. ვერ ავიტანე მისი ასეთ ყოფაში ნახვა, გული მატკინა.

– ორანგუტანგს ჰგავდა, – თქვა უკვე დამშვიდებულმა რირეტმა.

ლულუს გაეცინა.

– როდის შევხვდებით? – ჰკითხა რირეტმა.

– ოჰ, ხვალამდე ვერა. ხომ იცით, პიერთან ვერ გავათევ დედამისის გამო. სასტუმრო „თეატრში“ ვარ. თუ არ შეწუხდებით, შეგიძლიათ დილაადრიან მოხვიდეთ, ასე, ცხრა საათზე, მერე დედიკოს სანახავად უნდა წავიდე.

სახეზე ფერი არ ედო და რირეტმა გულდაწყვეტილმა გაიფიქრა, რა საშინელებაა, რა იოლად შეუძლია ლულუს, სახე დაიმახინჯოსო.

– ზედმეტი არ მოგივიდეთ ამ საღამოს, – უთხრა.

– არაფრის თავი არა მაქვს, – უპასუხა ლულუმ. – იმედია პიერი დროულად გამიშვებს შინ, თუმცა მას არასოდეს გაეგება ასეთი რამეების.

რირეტმა ტაქსი არ დაითხოვა და შინ მიაყვანინა თავი. ერთი პირობა ისიც იფიქრა, კინოში წავალო, მაგრამ საამისო გული აღარ ჰქონდა. ქუდი სკამზე მოისროლა და ფანჯარასთან მივიდა. მაგრამ საწოლი ეძახდა, თეთრი, ქათქათა, ისეთი ქათქათა, ისეთი ფუმფულა, ჩრდილქვეშა სავანეში. იქ უნდა მიასვენოს თავი, უნდა იგრძნოს, როგორ მოეფერება ბალიში წამონთებულ ლოყებზე. „ძლიერი ვარ, ეს მე გავაკეთე ყველაფერი ლულუსთვის, თვითონ კი მარტო ვარ და არავინ ზრუნავს ჩემზე“. საშინლად ეცოდებოდა საკუთარი თავი და ყელიდან ქვითინის ტალღა ამოუდიოდა. „ნიცაში უნდათ წასვლა და აწი ვეღარასოდეს ვნახავ მათ. ეს მე გავხადე ბედნიერები, ისინი კი აღარასოდეს იფიქრებენ ჩემზე. მე აქ დავრჩები და დღეში რვა საათს ვიმუშავებ, გავყიდი ყალბ მარგალიტებს ბურმასთან“. პირველი კურცხლები რომ ჩამოუგორდა ლოყებზე, ძალაგამოცლილი დაეცა საწოლზე.

– ნიცაში, ნიცაში... მზეზე... რივიერაზე... – იმეორებდა და მწარედ ქვითინებდა.

III

„პუაფ!“

უკუნეთი ღამე. იფიქრებდით, ოთახში ვიღაც ფლოსტებიანი მამაკაცი დააბიჯებსო. ფრთხილად დგამდა ჯერ ერთ ნაბიჯს, მერე მეორეს, მაგრამ ვერ ახერხებდა, ხმაური არ გაეღო იატაკს. გაჩერდებოდა თუ არა, მაშინვე სიჩუმე ისადგურებდა, მერე, როგორც კი მიაღწევდა ოთახის ერთ ბოლოს, ხელახლა იწყებდა მანიაკივით უმიზნო ბორიალს. ლულუს სციოდა, ძალიან თხელი საბანი ეხურა. დაიძახა „პუაფ!“ და თავისსავე ხმამ შეაკრთო.

პუაფ! დარწმუნებული ვარ ახლა დგას და ცასა და ვარსკვლავებს შესცქერის, სიგარეტს უკიდებს, გარეთაა, მითხრა, მიყვარს პარიზის შინდისფერი ცაო. პატარ-პატარა ნაბიჯებით ოთახში შემოვა, პატარ-პატარა ნაბიჯებით. ასე მითხრა, როცა ამას ვაკეთებ, პოეტური აღმაფრენით შეპყრობილი მგონია თავი და ისე მსუბუქი, როგორც ძროხა, როდესაც მოწველავენო; უკვე აღარ ფიქრობს ამაზე, და მე კი დასვრილი ვარ. სულაც არ მიკვირს, რომ თვითონ ამ დროს სუფთაა, აქ დამიტოვა თავისი ნაგავი, სიბნელეში, აი, პირსახოცი სავსეა ამით და ზეწარი სველია საწოლის შუაგულში, მე არ შემიძლია ფეხების გაშლა, რადგანაც სისველეზე მომიხვდება ფეხი. რა საძაგლობაა, თვითონ კი მშრალია, გავიგონე, როცა გადიოდა, როგორ უსტვენდა ჩემი ფანჯრის ქვეშ; იქ იყო, ქვემოთ, მშრალი და სუფთა თავის პეწიან ტანსაცმელში, თავის დემისეზონურ პალტოში, რაც მართალია, მართალია, იცის ჩაცმა, ნებისმიერ ქალს არ შერცხვება საღამოს მის გვერდით გავლა. ჩემი ფანჯრის ქვემოთ იდგა, მე კი ტიტველი ვიწექი სიბნელეში. მციოდა და ხელებით ვითბობდი მუცელს, რადგანაც ჯერ კიდევ სულ მთლად სველი მეგონა თავი. „ერთი წუთით ამოვალ“, ასე თქვა, „მხოლოდ შენს ოთახს შევავლებ თვალსო“. ორი საათით კი დარჩა და საწოლი ჭრიალებდა, ეს ჭუჭყიანი პატარა რკინის საწოლი. ვერ გამიგია, სად გამოჩხრიკა ეს სასტუმრო, მითხრა, ერთხელ აქ თხუთმეტი დღე გავატარეო, აქ ძალიან კარგად იგრძნობ თავს, ოთახები ძალიან მხიარულიაო, უკვე ვნახე ორიოდე ოთახი, არასოდეს მინახავს ასეთი პატარა ოთახები. ისინი ავეჯითაა გამოჭედილი, დახერგილია ტაბურეტები, დივნები და პატარა მაგიდები, პირდაპირ ყარს სიყვარული, არ ვიცი, თხუთმეტი დღე გაატარა აქ თუ არა, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ეს დღეები მარტოს არ გაუტარებია; უფრო მეტად უნდა დამაფასოს, თუ უნდა, რომ აქ საყვარლად ვყავდე. სასტუმროს ოფიციანტი იცინოდა, კიბეზე რომ ავდიოდით. ალჟირელია, ასეთ ტიპებს დასანახავად ვერ ვიტან, მეშინია მათი, პირდაპირ შემიყლაპა ფეხები, მერე ბიუროში შევიდა, ალბათ, გულში გაივლებდა: „აი, თურმე რა, იმასშვრებიან“ და ბინძურ რამეებს წარმოიდგენდა, ამბობენ, საშინელია ის, რასაც ეგენი ქალებს იქ, ქვემოთ [19], უკეთებენ; თუ ერთხელ მაინც ჩაიგდეს ხელში, მერე მთელი სიცოცხლე კოჭლები რჩებიანო; და ყოველთვის, როცა კი პიერი არ მასვენებს, ეს ალჟირელი მახსენდება, რომელსაც სულ ის აინტერესებს, თუ რას ვაკეთებ და კიდევ უფრო ბინძურ რამეებს წარმოიდგენს, ვიდრე სინამდვილეში ხდება. ვიღაცაა ოთახში!

ლულუ გაყუჩდა, მაგრამ ხმაური თითქმის იმავ წუთს შეწყდა. ბარძაყებს შორის მტკივა, მეფხანება და მეწვის, მეტირება და ასე იქნება ყოველღამ, ხვალინდელი ღამის გარდა, რადგანაც ხვალ მატარებელში ვიქნებით. ლულუმ ტუჩზე იკბინა და ააკანკალა, როცა გაახსენდა, როგორ კვნესოდა. ტყუილია, არ კვნესოდა, მხოლოდ ცოტა ქოშინი აუვარდა, რადგანაც ისე მძიმეა, რომ, როცა ზემოდან მაწვება, სუნთქვას მიკრავს. „კვნესი, ტკბები?“ – ჩამჩურჩულა. შიშსა მგვრის ლაპარაკი, როცა იმასმიშვრებიან, თავდავიწყება მირჩევნია. ის კი წუთითაც არ წყვეტს უხამსობების თქმას. ჯერ ერთი, არ ვკვნესოდი, რადგანაც სიამოვნებას მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, როცა მე თვითონ ვეფერები საკუთარ თავს. ეს ასეა, წყალი არ გაუვა. ექიმმაც მითხრა. არ უნდა ამისი დაჯერება, არც სხვებს უცდიათ, დაეჯერებინათ. ყველანი ასე ამბობდნენ: „ეს იმიტომ, რომ ცუდად გასწავლა პირველმა, მე გაჩვენებ, როგორ უნდა სიამოვნება“. ილაპარაკონ, რაც უნდათ. მე ხომ კარგად ვიცი, როგორც არის საქმე. ეს სამედიცინო პრობლემაა, მაგრამ ამის გაფიქრება შეურაცხყოფას აყენებთ.

ვიღაცა კიბეზე ამოდის. ვიღაცა შინ ბრუნდება, – გაიფიქრა. ღმერთო ჩემო, ნეტავ, ის ხომ არაა. შეუძლია ასე მოიქცეს, თუ მოუნდა, სურვილი შეიპყრობს. არა, ის არაა, ეს მძიმე ნაბიჯებია, – გული შეუქანდა ლულუს – თუ ალჟირელია, მან იცის, მარტო რომ ვარ და მოდის, რათა კარზე ბრახუნი ატეხოს. არ შემიძლია, ამას ვერ ავიტანი. არა, ეს ის ტიპია, ერთი სართულით ქვემოთ რომ ცხოვრობს, კარს გასაღებს არგებს, როგორ წვალობს, მთვრალია, საინტერესოა, ვინ ცხოვრობს ამ სასტუმროში: კარგი ვაჟბატონები უნდა იყვნენ, ღმერთმანი! დღეს, ნაშუადღევს, ერთ წითურ ქალს გადავეყარე კიბეზე. ისეთ თვალებიანს, მორფი უნდა ჰქონოდა გაკეთებული. არა, არ მიკვნესია! თუმცა, როგორც სჩვევია, ერთი წუთითაც არ მომასვენა: სულ ხელს მისვამდა, ეხერხება ეს; მეშინია ტიპების, ვისაც ეს ეხერხება. მერჩია, გამოუცდელ ბიჭთან დავწოლილიყავი. ეს ხელები, რომლებიც პირდაპირ გეფათურება იქ, სადაც საჭიროა, რომლებიც გეფერება, რომლებიც ოდნავ, ზომიერად გაწვება... ისინი იმ იარაღივით გეუფლებიან, რომლის დაკვრა იციან, სიამაყით ფიქრობენ. მეზიზღება, როცა მოსვენებას არ მაძლევენ, ყელი მიშრება, ტანში შიში მივლის, პირში რაღაცის გემო მაქვს და თავს დამცირებულად ვგრძნობ, რადგანაც ჰგონიათ, თითქოს მფლობენ. რა სიამოვნებით გავაწნავდი სილას პიერს, როცა უაზრო გამომეტყველებას იღებს და ამბობს: „მე ვფლობ ტექნიკას“. ღმერთო ჩემო, ნუთუ ესაა ცხოვრება, ნუთუ ამისთვის იცვამს ხალხი და ნუთუ ამისთვის დაწერილა მთელი რომანები. სულ ერთთავად ამაზე ფიქრობენ და, ბოლოს და ბოლოს კი, აი, რა შეგრჩება ხელში: საწოლ ოთახში ადიხარ ტიპთან ერთად, რომელიც თითქმის დაგაღრჩობს და, საქმის დასაგვირგვინებლად, მუცელს დაგისველებს. მეძინება, ოჰ, რა კარგი იქნება, თვალის მოტყუება რომ შევძლო! ხვალ მთელი ღამე მოგზაურობაში უნდა გავატარო და მჩვარივით ვიქნები. ყოველ შემთხვევაში, კარგი იქნებოდა, ცოტა გამომეძინა, რათა ნიცაში გასეირნება შემძლებოდა; ისეთი კოპწია უნდა იყოს ყველაფერი იქ: პატარ-პატარა იტალიური ქუჩები და ფერად-ფერადი ტანსაცმელი, მზეზე გასაშრობად რომ გამოუფენიათ. გავშლიდი ჩემს მოლბერტს, ხატვას დავიწყებდი და პატარა გოგონები ჩემს საყურებლად მოვიდოდნენ. რა საზიზღრობაა! (ცოტა წინ გაწეულიყო და თეძოთი შეხებოდა ზეწარზე სველ ლაქას). აი, ამისთვის მივყავარ. არავის, არავის ვუყვარვარ. გვერდით მივყვებოდი და თითქმის გონის წასვლამდე მინდოდა, მომესმინა საალერსო სიტყვები: „მე შენ მიყვარხარ“. რა თქმა უნდა, არ დავუბრუნდებოდი, მაგრამ რაღაც თავაზიან სიტყვას ვეტყოდი, კეთილ მეგობრებად დავშორდებოდით ერთმანეთს. ველოდი, ველოდი, მკლავები მომხვია და მე მკლავი მივანებე, რირეტი გაცოფებული იყო. ორანგუტანგს ჰგავსო, ვიცი, რომ რაღაც ამისთანას ფიქრობდა, მაგრამ ტყუილია ეს. გვერდიდან უყურებდა ბინძური თვალებით. გასაოცარია, როგორ შეუძლია რირეტს ასეთი ბოროტი იყოს, ჰოდა, ყველაფრის მიუხედავად, როცა მკლავში წამავლო ხელი, წინააღმდეგობა არ გამიწევია, მაგრამ მას მე არ ვუნდოდი, მას თავისი ცოლი უნდოდა, ვისზეც დაიწერა ჯვარი და ვისი ქმარიც იყო. ყოველთვის მამცირებდა, მეუბნებოდა, შენზე ჭკვიანი ვარო. რაც მოხდა, სულ მისი ბრალია. საკმარისი იყო, ასე ზემოდან არ ეყურებინა ჩემთვის და ახლაც მასთან ვიქნებოდი. დარწმუნებული ვარ, ამწუთშიც იოტისოდენადაც არ ვეცოდები, არც ტირის, არც ღრიალებს, ხვრინავს, აი, რას შვრება და ძალიანაც კმაყოფილია, რადგანაც მხოლოდ მას დარჩა საწოლი და შეუძლია გემოზე გაჭიმოს თავისი გრძელი ფეხები. ნეტავ, მოვკვდებოდე! ძალიან მეშინია, ცუდი რამე არ იფიქროს ჩემზე; ვერაფერი გავაგებინე, რადგანაც რირეტი ჩაგვიდგა შუაში. ის ლაპარაკობდა, მხოლოდ ის ლაპარაკობდა, ისტერიკა დაემართა. ახლა კმაყოფილია, თავი მოსწონს, ასე გაბედულად რომ მოიქცა, რა ვაჟკაცობაა ჰენრისთან გულადობის გამოჩენა, რომელიც ცხვარივით თვინიერია. წავალ. ბოლოს და ბოლოს, უფლება არა აქვთ, მაიძულონ, ძაღლივით დავტოვო. – საწოლიდან გადმოხტა და შუქი აანთო. – გრძელი წინდებისა და პერანგის ამარა წავალ. ისე ჩქარობდა, რომ არც უცდია, თმა დაევარცხნა. ხალხი, რომ დამინახავს, ვერც იფიქრებს, რომ შიშველი ვარ ჩემი დიდი ნაცრისფერი პალტოს ქვეშ, რომელიც ფეხებამდე მწვდება. ალჟირელი – გაიფიქრა და სული შეუგუბდა – მისი გაღვიძება მომიწევს, კარი რომ გავაღებინო. ფეხაკრეფით ჩავიდა კიბეზე, მაგრამ საფეხურები მაინც სათითაოდ აჭრაჭუნდნენ; მეკარის ფანჯარაზე დააკაკუნა.

– რა მოხდა? – იკითხა ალჟირელმა, რომელსაც არ გააჩნდა მაინცდამაინც საშიში იერი, თუმცა თვალები ჩაწითლებოდა და თმები აჩეჩოდა.

– კარი გამიღეთ, – ცივად უთხრა ლულუმ.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ჰენრის კარზე რეკავდა.

– ვინ არის? – კარს იქიდან იკითხა ჰენრიმ.

– მე ვარ.

პასუხს არ მაძლევს, არ უნდა ჩემი შეშვება. მაგრამ კარზე მანამდე ვაბრახუნებ, სანამ არ გამიღებს, სანამ არ დამითმობს მეზობლების რიდით. ერთი წამის შემდეგ კარი შეირხა და ჰენრი გამოჩნდა, მკვდრის ფერი ედო, ცხვირზე მუწუკი აჯდა; პიჟამა ეცვა.

– არ უძინია, – ალერსიანად გაიფიქრა ლულუმ.

– არ მინდოდა, ისე წავსულიყავი, მინდოდა, დაგმშვიდობებოდი.

ჰენრი ისევ დუმდა. ლულუმ ოდნავ უბიძგა და შევიდა. რა მოუხერხებელი ვინმეა, სულ ერთთავად ფეხებში გედება, გადმოკარკლული თვალებით მიყურებს, მხრები უცახცახებს, არ იცის, რა უყოს თავის სხეულს. ჩუმად იყავი, ჰო, ჩუმად იყავი, ისედაც ვხედავ, რომ დამუნჯებულხარ და ხმის ამოღება არ შეგიძლია. კაცი ისე იყო, რომ ნერწყვის გადაყლაპვასაც ვერ ახერხებდა და ლულუს მოუწია კარის მიკეტვა.

– მინდოდა, კეთილ მეგობრებად დავრჩენილიყავით, – ისევ წამოიწყო ქალმა.

კაცმა პირი დააღო, თითქოს რაღაცის თქმას ეშურებაო, უცებ თავის გარშემო შეტრიალდა და გაიქცა. როგორ მოიქცეს? ვერ ბედავდა დადევნებას. ტირის? უეცრად ხველება შემოესმა: აბაზანაშია. როცა დაბრუნდა, კისერზე ჩამოეკიდა და ბაგე მის ბაგეებს დააწება: კაცს გულისრევის შეგრძნება ჰქონდა. ლულუს ქვითინი აუვარდა.

– მცივა, – თქვა ჰენრიმ.

– დავწვეთ, – ტირილით შესთავაზა ქალმა. – ხვალ დილამდე შემიძლია დავრჩე.

საწოლში ჩაწვნენ. ხელახლა იხილა ლულუმ თავისი საწოლი ოთახი, თავისი ლამაზი საწოლი, წითელი შუქი ფანჯარაში და ძლიერი ქვითინისაგან აძაგძაგდა. ეგონა, რომ ჰენრი გულში ჩაიკრავდა, მაგრამ არაფერი ამის მაგვარი არ მომხდარა: მთელ სიგრძეზე გაშოტილიყო, თითქოს საწოლში ჯირკი ჩაუდვიათო. ამასთანავე, ისე გაჯგიმულიყო, როგორი გაჯგიმულიც ელაპარაკებოდა ხოლმე შვეიცარიელს. ორივე ხელში მოიქცია კაცის თავი და დაჟინებით დააკვირდა.

– უმანკო ხარ, შენ უმანკო ხარ.

ტირილი წასკდა.

– რა უბედური ვარ, – ამოილუღლუღა. – არასოდეს ვყოფილვარ ასეთი უბედური.

– არც მე, – თქვა ლულუმ.

დიდხანს ტიროდნენ. მერე ქალი გაჩუმდა და მის მხრებში ჩარგო თავი. ნეტავ, შესაძლებელი ყოფილიყო, სულ ასე დარჩენილიყვნენ: ორი ობოლი ბავშვივით, უმანკონი და ნაღვლით აღსავსენი! მაგრამ ეს წარმოუდგენელი იყო, ასე არ ხდება ცხოვრებაში. ცხოვრება ერთი უზარმაზარი ტალღა იყო, ლულუს რომ ეცემოდა და ჰენრის მკლავებიდან ჰგლეჯდა. შენი ხელები, შენი დიდი ხელები. კაცი ამაყობდა თავისი დიდი ხელებით, ამბობდა, უძველესი ოჯახების შთამომავლებს ყოველთვის დიდი კიდურები აქვთო. აწი აღარ შემომხვევს ხელებს წელზე. ეს ცოტა ღიტინს მგვრიდა, მაგრამ მე ვამაყობდი, რომ ჩემს წელზე თითებს თითქმის ერთმანეთზე აწვდენდა. ტყუილია, რომ ამბობენ, ცვედანიაო. უმანკოა, უმანკო და ზარმაცუნა. თვალცრემლიანმა გაიღიმა და კაცს ნიკაპს ქვემოთ აკოცა.

– რა უნდა ვუთხრა ჩემს მშობლებს, – თქვა ჰენრიმ. – ამას დედაჩემი გადაჰყვება.

მადამ კრისპენი არ მოკვდება, პირიქით, ცას შეწვდება სიხარულით. თანამეინახეებთან გამჭორავს, ხუთივენი ილაპარაკებენ, გამკილავენ იმ ხალხის ტონით, ვინც კარგად იცის ყველაფერი, მაგრამ არ უნდათ ყველაფრის გამხელა თექვსმეტი წლის პაწაწინა გოგონას თანდასწრებით, ვინც ძალიან პატარაა იმისთვის, ზოგიერთი რამე რომ თქვან მის წინაშე. გულის სიღრმეში დასცინებს, რადგანაც ყველაფერი ეცოდინება, მან ყოველთვის ყველაფერი იცის და ვერ მიტანს. რა სიბინძურეა! და ზრდილობის კოდექსიც ჩემ წინააღმდეგაა.

– უცებ ნუ ეტყვი ყველაფერს, – შეევედრა. – უთხარი, ნიცაშია წასული სამკურნალოდ.

– არ დაიჯერებენ.

პატარ-პატარა მოკლე კოცნით დაუფარა ჰენრის მთელი სახე.

– ჰენრი, შენ საკმარისი თავაზიანობით არ მექცეოდი.

– მართალია, – თქვა ჰენრიმ. – არ გექცეოდი საკმარისი თავაზიანობით. მაგრამ არც შენ... არც შენ მექცეოდი საკმარისი თავაზიანობით, – დაუმატა ცოტა ფიქრის შემდეგ.

– არც მე. ოჰ! – ამოიძახა ლულუმ. – რა უბედურები ვართ!

ისე ძლიერ ტიროდა, რომ მოეჩვენა, თითქოს იხრჩობოდა: სულ მალე დღე შემოაღწევდა დარაბებში და ის წავიდოდა. კაცი ვერასოდეს, ვერასოდეს ახერხებ იმის გაკეთებას, რისი გაკეთებაც გინდა, სულ მუდამ დინებას მიჰყვები.

– ასე არ უნდა წასულიყავი, – თქვა ჰენრიმ.

ლულუმ ამოიოხრა.

– ძალიან მიყვარდი, ჰენრი.

– ახლა, ახლა აღარ გიყვარვარ?

– მაშინ სულ სხვა იყო.

– ვისთან ერთად მიდიხარ?

– ხალხთან ერთად, რომელსაც შენ არ იცნობ.

– შენ საიდან იცნობ იმ ხალხს, ვისაც მე არ ვიცნობ! – ბრაზით თქვა ჰენრიმ. – სად ნახე ეს ხალხი?

– მოეშვი, ჩემო ძვირფასო, ჩემო პაწაწინა გულივერო, ხომ არ მოგინდა ეჭვიანი ქმრის როლის გათამაშება?!

– ვიღაც კაცთან ერთად მიდიხარ! – ტირილით თქვა ჰენრიმ.

– მომისმინე, ჰენრი, გეფიცები, ტყუილია. დედას გეფიცები, კაცები ამწუთას გულს მირევენ. ერთ ცოლ-ქმართან ერთად მივდივარ. რირეტის მეგობრები არიან, ხნიერი ხალხია. მარტო ვიცხოვრებ, სამუშაოს მიშოვიან; ოჰ, ჰენრი, რომ იცოდე, როგორ მჭირდება, მარტომ რომ ვიცხოვრო, როგორ მირევს გულს ყოველივე ეს.

– რა? – თქვა ჰენრიმ. – რა გირევს გულს?

– ყველაფერი! – აკოცა. – შენ ერთადერთი ხარ, გულს რომ არ მირევ, ჩემო ძვირფასო!

ხელი გადაუსვა ჰენრის პიჟამას და მერე დიდხანს ეფერებოდა მთელ სხეულზე. კაცს აჟრჟოლებდა მისი გაყინული ხელების შეხებაზე, მაგრამ ხელი არ შეუშლია, ესღა თქვა მხოლოდ:

– ასე გავციოდები.

აშკარად ეტყობოდა, რაღაცნაირად გაბზაროდა ხმა.

შვიდ საათზე ლულუ ლოგინიდან წამოდგა, ტირილისგან თვალები გასივებოდა; დაღლილი ხმით თქვა:

– უნდა წავიდე, იქ, ქვემოთ.

– სად ქვემოთ?

– სასტუმრო „თეატრში“ ვარ გაჩერებული, ვანდამის ქუჩაზე. ერთი ბინძური სასტუმროა.

– ჩემთან დარჩი.

– არა, ჰენრი, გევედრები, ნუ დამაძალებ, გითხარი, არ შემიძლია-მეთქი.

„დინებაა მთავარი, ესაა ცხოვრება; შეუძლებელია, რამე განსაჯო ან შეიცნო. სხვა გზა არ გაგაჩნია, გარდა იმისა, რომ მიჰყვე დინებას. ხვალ ნიცაში ვიქნები“. აბაზანაში შევიდა, თბილი წყლით რომ მოებანა თვალები. აკანკალებულმა ჩაიცვა პალტო. „ბედის ამბავია. ნეტავ, ამაღამ მატარებელში შევძლო დაძინება, თორემ ხვალ ნიცაში მჩვარივით ვიქნები. ნეტავ, პირველი კლასის ბილეთი აეღო. პირველად ვიმგზავრებდი პირველი კლასის ვაგონით. ყოველთვის ასე ხდება: წლები ვოცნებობ, სადმე შორს გავემგზავრო პირველი კლასის ვაგონით და როცა ოცნება უნდა ამიხდეს, ისეთნაირად შემომიტრიალდება ყველაფერი, რომ თითქმის აღარც კი მსიამოვნებს ეს“. წასვლას ეშურებოდა ახლა, რადგანაც ბოლო წუთები გაუსაძლისი რაღაცით იყო გაჟღენთილი.

– რას უპირებ უელსელს? – ჰკითხა კაცს.

უელსელს პლაკატი შეეკვეთა ჰენრისთვის. მასაც დაემზადებინა, მაგრამ უელსელს აღარ მიჰქონდა.

– არ ვიცი. – მიუგო ჰენრიმ.

საბნებს ქვეშ მოკუნტულიყო, მხოლოდ თმა და ყურის ზედა ნაწილი მოუჩანდა. ნელი და მოდუნებული ხმით თქვა:

– მინდა, ზედიზედ რვა დღე მეძინოს.

– მშვიდობით, ჩემო ძვირფასო! – უთხრა ლულუმ.

– მშვიდობით.

ქალი დაიხარა, ოდნავ გადაუწია საბანი და შუბლზე აკოცა. დიდხანს იდგა კარის წინ ბაქანზე, ვერ გადაეწყვიტა მისი მიხურვა. მერე თვალები მოაცილა და მაგრად გამოსწია სახელურით. ტკაცუნი მოესმა და ეგონა, საცა იყო, გული წაუვიდოდა: ეგონა, იმისი მსგავსი ხმაური მოესმა, მამის საფლავზე პირველი ნიჩაბი მიწის დაყრისას რომ გაიგონა.

„ჰენრი არ მომექცა მთლად თავაზიანად. შეეძლო, ამდგარიყო და კარამდე მივეცილებინე. მე მგონია, კარი მას რომ დაეკეტა, უფრო ნაკლებად დამწყდებოდა გული“.

IV

– აი, როგორ მოგექცათ, – თქვა რირეტმა და შორიდან შეხედა. – აი, როგორ მოგექცათ.

საღამოხანი იყო. დაახლოებით ექვს საათზე პიერმა რირეტს დაურეკა და ქალი მასთან შესახვედრად ტაძარში წავიდა.

– მაგრამ თქვენ, – ჰკითხა პიერმა. – განა დღეს დილით, ცხრა საათზე არ უნდა გენახათ?

– ვნახე.

– უცნაური იერი არ ჰქონდა?

– რას ბრძანებთ, – თქვა რირეტმა. – ვერაფერი შევატყვე. ოდნავ დაღლილად გრძნობდა თავს, მაგრამ მითხრა, რომ თქვენი წასვლის შემდეგ ცუდად ეძინა, რადგანაც ძალიან აღეგზნო ნიცაში წასვლის იდეას და ცოტაოდენ შეშინებოდა ალჟირელი შვეიცარისა... თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც კი მკითხა, მატარებლის პირველი კლასის ბილეთები აიღეთ თუ არა, მითხრა, მთელი ცხოვრება პირველი კლასის ვაგონით მოგზაურობაზე ვოცნებობო. არა, – გადაჭრით თქვა რირეტმა. – დარწმუნებული ვარ, მსგავსი არაფერი უფიქრია; ყოველ შემთხვევაში, ვიდრე იქ ვიყავი. ორ საათს დავრჩი მასთან და, როცა ასეთ რამეებს ეხება საქმე, ძალიან დაკვირვებული ვარ და დიდად გაოცებს, თუკი რამე გამომეპარება. ამბობთ, ქვეშქვეშაია, მაგრამ მე ოთხი წელია ვიცნობ და ათასნაირ ვითარებაში მინახავს, ხუთი თითივით ვიცნობ ჩემს ლულუს.

– მაშასადამე, ასე ტექსიერების გამო გადაწყვიტა. უცნაურია... – რამდენიმე წამს ფიქრობდა, მერე კი უცებ წამოიწყო. – ძალიან მაინტერესებს, ვინ მისცა მათ ლულუს მისამართი? სასტუმრო მე შევურჩიე, მას არასოდეს სმენია ამ სასტუმროს არსებობა.

დაბნეულად ატრიალებდა ხელში ლულუს წერილს და ეს რირეტს აღიზიანებდა, რადგანაც ერთი სული ჰქონდა წაეკითხა, ის კი არ სთავაზობდა.

– როდის მიიღეთ? – ჰკითხა ბოლოს.

– წერილი?.. – უბრალოდ გაუწოდა. – ინებეთ, შეგიძლიათ წაიკითხოთ. ალბათ, პირველ საათზე დატოვა მეკარესთან.

პატარა თხელი ქაღალდი იყო, ისეთი, თამბაქოს გამყიდველები რომ ყიდიან:

„ჩემო ოქრო,

ტექსიერები მოვიდნენ (არ ვიცი, ვინ მისცა მათ ჩემი მისამართი) და ძალიან უნდა გაგაწბილო, რომ ვერ მოგყვები, საყვარელო, ჩემო ძვირფასო პიერ. ჰენრისთან ვრჩები, რადგანაც იგი ძალიან უბედურია. ამ დილით მოვიდნენ, მე კარის გაღება არ მინდოდა და მადამ ტექსიერმა მითხრა, ადამიანს აღარ ჰგავსო. ძალიან თავაზიანად მომექცნენ და გაგებით მომეკიდნენ. მადამ ტექსიერმა თქვა, სულ ის ტყუის, პირუტყვია, მაგრამ სინამდვილეში სულაც არ არის ბოროტიო. თქვა, ახია მაგაზე, ახლა მაინც მიხვდება, როგორ უყვარხართო. არ ვიცი, ვინ მისცათ ჩემი მისამართი, არ მითხრეს, ალბათ, აქ შემთხვევით დამინახეს, როცა ამ დილით რირეტთან ერთად გარეთ გავედი. მადამ ტექსიერმა მითხრა, კარგად მესმის, რამხელა მსხვერპლის გაღებას გთხოვთ, მაგრამ კარგად გიცნობთ და, იმედი მაქვს, უარს არ გვეტყვითო. ძალიანაც მწყდება გული, სიყვარულო, სამოგზაუროდ რომ ვერ წავედით ნიცაში, მაგრამ მგონია, რომ ნაკლებად უბედური იქნები, რადგან მე ყოველთვის გყავარ. მე შენი ვარ მთელი ჩემი გულითა და მთელი ჩემი სხეულით და ერთმანეთს ისევე ხშირად შევხვდებით, როგორც – წინათ. ჰენრი კი თავს მოიკლავს, თუ გვერდით არ ვეყოლები, აუცილებელი ვარ მისთვის, გარწმუნებ, სულაც არ მეხალისება ასეთი დიდი პასუხისმგებლობის აღება. იმედი მაქვს, ბოროტად არ ჩამოუშვებ შენს პაწაწინა ცხვირს, რაც აგრერიგად მაშინებს. მითხარი, ხომ არ მოგინდება, რომ სინდისმა შემაწუხოს შენ გამო. ამწამს ჰენრისთან მივდივარ, თავგზა მერევა, როცა ვფიქრობ, რომ ასეთ ყოფაში უნდა ვნახო, მაგრამ გამბედაობა მეყოფა და ჩემს პირობებს წავუყენებ. უპირველესად უფრო მეტი თავისუფლება მინდა იმიტომ, რომ მიყვარხარ, ასევე, მინდა რობერს თავი დაანებოს და მეტად აღარ გამილანძღოს დედიკო. ჩემო ძვირფასო, გულს მიკლავს უშენობა, მინდა აქ იყო, მინდიხარ, გულში გეკრობი და მთელს სხეულზე ვგრძნობ შენს ალერსს. ხვალ ხუთ საათზე ტაძარში ვიქნები. ლულუ“

– ჩემო საბრალო პიერ! – რირეტმა მისი ხელი აიღო ხელში.

– მართალი გითხრათ, – მიუგო პიერმა. – მე ლულუს გამო უფრო მეთანაღრება გული! ჰაერი და მზე სჭირდებოდა. მაგრამ რახან ასე არჩია... დედაჩემი გულისგასახეთქ სცენებს მიწყობდა, – განაგრძო მერე. – ვილა მისია და არ უნდოდა, რომ იქ ვიღაც ქალი მიმეყვანა.

– აჰ! – გაბზარული ხმით გამოეპასუხა რირეტი. – აჰ, მაშ საუცხოოდ ყოფილა ყველაფერი, მაშასადამე, ყველანი კმაყოფილები ხართ!

გაუშვა პიერის ხელი: გრძნობდა, რომ მოსძალებოდა მწარე სინანული, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რატომ?

ფრანგულიდან თარგმნა
გაგა შურღაია

შენიშვნები

1 **ceaux** – ოტ-დე-სეინის კანტონის მთავარი ქალაქი ანტონის ოლქში (საფრანგეთი).

2 ამ პერსონაჟს სარტრი თავისი მეგობრის, ფრანგი მწერლის პოლ ნიზანის ცოლის, ჰენრიეტას კნინობით სახელს არქმევს, თუმცა, როგორც ჩანს, ამ ორ ქალს სახელის გარდა სხვა არაფერი აქვს საერთო.

3 იგივე აზრია გამოთქმული სარტრის პიესაში „ეშმაკი და კეთილი ღმერთი“, სადაც გოეცი ჰილდას უყვირის: „მომეცით ბეოტური ლინცეს თვალები, რათა ჩემმა მზერამ შეაღწიოს ამ ტყავს შიგნით. მაჩვენეთ, რა იმალება ცხვირის ნესტოებსა და ყურებში. მე, რომელსაც მეზიზღება, თითი დავაკარო ნეხვს, როგორ შეიძლება, მკლავებში სკლინტის გროვის დაჭერა მინდოდეს“? ჰილდა მიუგებს: „[... არ შეიძლება, რაიმე გიყვარდეს, თუ მთლიანად არ გიყვარს“. როგორც აღიარა სარტრმა ერთ-ერთ ინტერვიუში, გოეცის რემარკა თავიდან ბოლომდე ემყარება ოდონ დე კლუნიეს მოსაზრებას, რომელიც ციტირებულია იოჰან ჰუიცინგას „შუა საუკუნეების დაცემაში“ (S a r t r e , Un théâtre de situations, გვ. 278, 280, შენ. 8).

4 დიჟონი (Dijon) – კოტ-დ’ორის დეპარტამენტის მთავარი ქალაქი ბურგუნდიის ოლქში (საფრანგეთი).

5 ავტობიოგრაფიული დეტალია, რომელთან დაკავშირებით სარტრი ჯონ გერასისთან საუბრებში იხსენებს: „პაპაჩემის სახლში მე და დედას ერთ ოთახში გვეძინა. სტენდალისა, ანდა ფროიდისაგან განსხვავებით, მე არასოდეს მინახავს ტიტველი დედა: იგი უაღრესად მორცხვი იყო. ჩემზე გაცილებით ადრე დგებოდა და დასაბანად გვერდით, აბაზანაში გადიოდა. როცა ბრუნდებოდა, უკვე ჩაცმული იყო და, ამდენად, არასოდეს მინახავს ტიტველი [იხ. S a r t r e , *es Mots*, გვ. 13]. მახსოვს, მაშინ, მხოლოდ ერთხელ დავინახე: პერანგი ეცვა და ტიტველი მკლავები ჰქონდა. როცა კაბას იცვამდა, სულ ერთ წამში მოვკარი თვალი, რომ იღლიაში თმა ჰქონდა. და რადგან მე არ მქონდა, ვკითხე, რა არის-მეთქი. მომიგო, სულელო, ეს ავადმყოფობააო. სისულელეა, მაგრამ დღემდე მახსოვს ეს და მაოცებს“.

6 ანტიდოტი შხამსაწინააღმდეგო სამკურნალო ნივთიერებაა, გადატანითი მნიშვნელობით კი არაჩვეულებრივი თვისებების მქონე სამკურნალო ან მოსაფონებელ საშუალებას გამოხატავს. გამორიცხული არ არის, ლულუ უბრალოდ ბოდავდეს ანდა იყენებდეს ფრანგულში ბერძნულიდან (ντιδοτον) შესულ, მისთვის უცხო და ყოველგვარ შინაარსს მოკლებულ სიტყვას, რომელიც იმ წუთას ადგება ენაზე.

7 სარტრის შემოქმედების ცნობილი მკვლევარი, ფრანგი კრიტიკოსი, მიშელ რიბალკა იხსენებს, რომ მწერალს ჰკითხა, რამეს ხომ არ ნიშნავდა ეს სიტყვა. მას უთქვამს, რაღაცას ნიშნავს, მაგრამ ახლა აღარ მახსოვს, რასო (J-P. S a r t r e , Euvres romanesques, édition étable par M. C o n t a t et M. R y b a l k a , avec la collaboration de G. Idt et de G. H. B a u e r , Paris, Gallimard, 1981, გვ. 1846-47).

8 ნიცა (Nice) – ოლქის მთავარი ქალაქი ზღვისპირა ალპების პრეფექტურაში, ანგელოზთა ყურეში (საფრანგეთი).

9 ჩინური ალბათ იმიტომ, რომ ევროპაში ჩინური რესტორნების წინ ქუჩაში წითელი ფარანი ჰკიდია.

10 ევროპაში სხვადასხვა სახის სასმელს დღის სხვადასხვა დროს სვამენ.

11 ფრანგები, ისევე როგორც იტალიელები, სანატორიუმს უწოდებენ დაწესებულებას, სადაც მხოლოდ ტუბერკულოზს მკურნალობენ.

12 კორდოვა (Córdoba) – ქალაქი ანდალუზიაში, სამხრეთ ესპანეთში.

13 1936 წელს გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა დემილიტარიზებული რენანი დაიკავეს. ამ ფაქტის მიხედვით, მოთხრობაში აღწერილი ამბები შეიძლება 1937 წლით დავათარიღოთ.

14 მოთხრობის პირველ რედაქციაში, რომელიც ჟურნალ ა ოუ-ველლე ღევუე ფრანზაისე-ში (ახალი ფრანგული ჟურნალი) დაიბეჭდა, ლულუ, სასტუმრო „თეატრში“ კი არა, არამედ ვანდამის ქუჩაზე სასტუმრო „გლობუსში“ გადადის. ვანდამის ქუჩის მეთექვსმეტე ნომერში, მხიარულების ქუჩის მახლობლად, მართლაც მდებარეობს სასტუმრო „თეატრი“, მაშინ, როდესაც პარიზში დაახლოებით თხუთმეტ სასტუმროს ჰქვია „გლობუსი“. როგორც ჩანს, მწერალი შეეცადა, დაეკონკრეტებინა სასტუმროს სახელი.

15 პარიზის ერთ-ერთი ქუჩის სახელია.

16 რუმბა აფრიკულ-კუბური ცეკვაა, რომლის რიტმი ეფუძნება ორ მეოთხედში გამუდმებით გამეორებას.

17 პარიზის ავტობუსების ერთ-ერთი მარშრუტის ნომერია.

18 იელი (ლათ. azalea) – მარადმწვანე დეკორატული მცენარე, რომელსაც აქვს თეთრი, წითელი და ვარდისფერი ყვავილები.

19 ტვიდი (ინგ. weed) – საკო სტუმე ქსოვილი, ერთგვარი.

20 „ქვემოთ“ იტალიკური ენების იდიომური გამოთქმაა და ნიშნავს სამხრეთის ქვეყნებს იმის გამო, რომ ისინი ქვემოთ მდებარეობს.

ჩვენი ფოსტა

ძვირფასო როსტომ,

შენთვის ამ მცირე ბარათის მოწერის მიზეზად იქცა ავსტრიული პოეზიის ნიმუშთა მორიგი ნაკრები, რომელიც ჩემმა მეგობარმა, მთარგმნელმა, ისტორიკოსმა და უკეთილშობილესმა კაცმა, გია ჯოხაძემ გამომიგზავნა.

გიას მიერ ავსტრიელი ავტორების თარგმნა, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე ქართულ კულტურაში, რომელსაც, სამწუხაროდ, ახასიათებს სნობიზმი – რამდენიმე კლასიკოსი მთარგმნელის იმედად ყოფნა და მხოლოდ მათი შემოქმედებითი პროდუქციით ტკბობა.

რაკი შენ არც ასეთი სნობების რიგს განეკუთვნები და, ყველა სიკეთესთან ერთად, ნიჭიერი ადამიანების გვერდში დგომითაც ცნობილი ხარ, გიზიარებ ჩემს აღფრთოვანებას გია ჯოხაძის თარგმანებით, მისი ოსტატობით და უჩვეულო უნარით – უცხოენოვანი და უცხო კულტურის პირმშო ლექსი აქციოს ქართულ ლექსად, ქართული პოეზიის ნიმუშად. ევროპული მთარგმნელობითი ხელოვნების თეორიაში უამრავი მიმდინარეობა, მთარგმნელობითი ხერხი და სტილი არსებობს.

გიას აქვს თავისი, ყველა მთარგმნელისგან გამორჩეული მთარგმნელობითი ენა, უცხოენოვანი ტექსტის განწყობის წვდომის ისეთი ალღო, როგორიც მხოლოდ მაღალი რანგის ოსტატებს ახასიათებთ. ეს მხოლოდ ჩემი აზრია და არავის ვთხოვ მის გაზიარებას. მე მხოლოდ შენი კულტურული გახსნილობის, შენი ჟურნალის დიაპაზონისა და შენს მიერ ორგანიზებული ლიტერატურული საღამოების სპეციფიკის გათვალისწინებით მინდა გთხოვო, ერთი ლიტერატურული შეხვედრა დაეთმოს გია ჯოხაძის მთარგმნელობით ხელოვნებას, თუნდაც მხოლოდ მის მიერ უკვე ჭარბად თარგმნილ ავსტრიულ პოეზიას, თუ არა – ინგლისურ, ესპანურ და რუსულენოვან ავტორთა მისმიერ თარგმანებს.

დარწმუნებული ვარ, რომ მისი საღამო დამსწრე საზოგადოებას დიდ ტკბობას მიანიჭებს. მით უმეტეს, რომ არტისტული ნიჭით დაჯილდოებული ეს ადამიანი მხატვრული კითხვის ჩინებული ოსტატიც არის. მე ვიცი, რომ გია „ჩვენი მწერლობისთვის“ ნაცნობი ავტორია (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შენ უკვე დაგიბეჭდავს მისი თარგმანები), ამიტომ ბოდიშს გიხდი, მასზე ისე რომ გესაუბრები, თითქოს არ იცნობდე. მე მხოლოდ ჩემი აღფრთოვანება გაგიზიარე და არა უმეტესი.

პატივისცემით და მორიდებით, შენი **დათო ბარბაქაძე**

* * *

კინაღამ ავღანეთის ომში მიკრეს თავი.

– შტაბში იქნები, ენის ცოდნის გამო გაგზავნით, სხვა კი არაფერიო, – ღიმილით შემეგებნენ სამხედრო კომისარიატში გამოძახებულს, მაგრამ ან რა დაეჯერებოდათ, ან ომის ქარცეცხლმა იცის კი შტაბისა და სანგრის გარჩევა?!. ომმა – ინტერნაციონალური ვალის მოხდას რომ ავალდებულებდნენ საბჭოთა ქვეყნის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, ამ საბურველით რომ ფუთავდნენ ფარულ ზრახვებს, სინამდვილეში კი სამხედრო ექსპანსია გახლდათ ავღანთა დასაჩოქებლად და თავისუფლების წასართმევად.

გიორგი მეთერთმეტის ეპოქა იყო თუ რა, ისევ ავღანეთში და სხვათა დროშის ქვეშ რომ უნდა გვეხარჯა სისხლი.

რამდენ თუთიის სასახლეს ჩამოასვენებდნენ იქიდან – საიდუმლოდ, მალულად.

არაფერი იცვლებოდა, გარდა იმისა, რომ ირანის ნაცვლად რუსეთი მიგვერეკებოდა თავისუფლებაწართმეულებს სხვისთვის თავისუფლების წასართმევად.

ამ ომში მე მონაწილეობას არაფრისდიდებით არ მივიღებდი.

ჩემს მრწამსს რაც ეწინააღმდეგება, იმას სიცოცხლის ფასადაც არ დავყაბულდებოდი.

არადა, არც საბჭოთა სახელმწიფო დათმობდა ურჩობას და ჯარისაგან (სინამდვილეში: ომისაგან) თავის არიდება მკაცრად დაისჯებოდა.

მოსულიყო, რაც მოსასვლელია.

საიმედო თავშესაფარი მეგულებოდა სნოში, მაგრამ მაშინ ყველაფერს უნდა ჩამოვცილებოდი და ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელივით თუ სამანელივით ტყეებსა და გამოქვაბულებში გადავხვეწილიყავი დროდადრო იმ თავშესაფრიდან.

ამიტომ თბილისშივე უნდა მოხერხებულიყო რაღაც.

ვახტანგ ჭელიძე ისეთ ცნობას შემიდგენდა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციიდან, უმაგისოდ ქართული კულტურა დაიღუპება, ერთი კვირაც რომ მოწყდეს აქაურობასო. ეს ისე, ყოველი შემთხვევისათვის, თორემ ძალიან არ ენაღვლებოდა სამხედრო უწყებას ქართული კულტურა!..

ამიტომ გიორგი ციციშვილის კაბინეტში ვზივარ, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორისა და ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარის, ხელისუფლებაშიც საკმაო გავლენა აქვს მოპოვებული, სამხედრო უწყებაშიც და, თუ ვინმე დამიფარავს, მან უნდა დამიფაროს.

და თუ მანაც ვერ შეძლო, სნოსაკენ უნდა დავადო თავი, იორამ ღუდუშაურთან. რომელი ლადო ბალიაური ან ადამ ბობღიაშვილი მე ვარ, მაგრამ რას იზამ, თუკი ცხოვრება ასე მოიტანს, თორემ ბარემ იმათაც თბილისში ტრიალი ერჩივნათ და სალიტერატურო ცხოვრებაში გარევა.

– რას ამბობ, შენ იქ როგორ გაგიშვებ, არ გიცნობდე მაინც, – გიორგი ციციშვილი ისე შეიმართება, თითქოს მილიცია უკვე დადგომოდეს თავს და ის კი ხელიდან გლეჯდეს ჩემს თავს, – რა გადაგარჩენს, პირველივე დღესვე დაიღუპები.

როგორ ვცნობივარ თურმე!..

– შე საბრალო, შე საბრალო, ყველა რომ სანგრებში ჩაიმალება, დადგები ეგრე აშოტილი, გაიხედები, გამოიხედები და კიდეც დაგცხრილავენ ან აგაფეთქებენ... მაგრამ კიდევ რა უშავს.

რაო, რა უშავსო?

– იმ წამსვე თუ გათავდები, კიდევ ბედი გქონია, შეიძლება ხელში ჩაგიგდონ, ხიშტზე ჩამოგაცვან და გათრიონ ეგრე, ვიდრე სული ამოგხდებოდეს.

მართლა დაცხრილვა ან აფეთქება სჯობს, – გავიფიქრებ შეძრწუნებული და... მაინცდამაინც ეს პერსპექტივაც არა მხიბლავს.

– შე უბედურო, ვაი, ვაი, ვაი, თუ სულაც ცოცხლად დაგწვეს, არ იკადრებენ თუ რა, დავლურსაც დაუვლიან თორემ!..

ვგრძნობ, ტანში როგორ გამაჟრიალებს.

– ხომ ვიცი შენი ამბავი, წახეტიალდები, წამოხეტიალდები. გეტყვიან, იქით არ წახვიდეო, წახვალ, აქეთ არ წამოხვიდეო, წამოხვალ... გინდა თუ არა, აქაურობა კარგად უნდა დავათვალიეროო. დაგათვალიერებინებენ კარგად, თუ მოგავლეს ხელი და გველებით სავსე ორმოში ჩაგაგდეს. მაგასაც ელოდე. ვაი, ვაი, შე საბრალო... მოიცა, რა სახე გაგებადრა, რამ გაგახარა, ნეტა ვიცოდე?!..

– არა, გამეხარდა კი არა, უბრალოდ დავით-ულუ გამახსენდა,ისიც გველებით სავსე ორმოში არ ჩააგდეს?

– ძალიან გიყვარს, არა?

– ძალიან, აი, რომანტიკოსი ვინ იყო, ნამდვილი...

– არა, არაფერი გეშველება, მაგრამ იქ რომ შენი წასვლა არ შეიძლება, ეგ ვიცი... პირველ დღესვე, პირველივე დღესვე... ყველაფერს ვიღონებ, მაგრამ ვიდრე ჩამოგეხსნებოდნენ, სულაც ჩემთან დაგმალავ, იქ კი ვერ შემობედავენ.

– არა, თქვენ როგორ შეგაწუხებთ, ისევ მთაში მირჩევნია თავშეფარება. ახლობელი კაცია, ის მომხედავს.

– იქამდე ჩააღწევ კი? რა გგონია, უკვე ძებნა იქნება შენზე გამოცხადებული, დღეს დილით რომ კომისარიატში არ ეახელი. არა, შენი გამშვები სადა ვარ... არ გიცნობდე მაინც. ვაი, ვაი, ვაი... ისე, რომ იცოდე მემატიანე თავისი ფანტაზიით თხზავს, თორემ იმ ორმოდან ულუ-დავითი ამომღწევი არ იქნებოდა, – და ისევ ჩემზე გადმოინაცვლებს:

– შე საბრალო, შე საბრალო, ერთ ჩაცხრილვას ან ერთ აფეთქებას კიდევ რა უშავს. მაგრამ ნუ გეშინია, ვიდრე ცოცხალი ვარ...

ავღანეთში რა დამრჩენოდა.

ეჰ, ბარემ გიორგი მეთერთმეტესაც არ ენდომებოდა იმ გზებზე დადგომა.

იმას ვინ გამოუჩნდებოდა მშველელად, თორემ მე კი დავუსხლტებოდი სამხედროების მუქარასა და მრისხანებას და, როგორც გამოაცხადებდნენ ძებნას დღეში რამდენჯერმე მოადგებოდნენ ჩემს ბინას, ისევ თავიანთივე ხელით გააუქმებდნენ.

ეგაა, ულუ-დავითის დრამატული თავგადასავალი ისე ველარ გადამიკითხავს, გიორგი ციციშვილის აჩრდილიც არ გამომეცხადოს: შენი წასვლა იქ როგორ შეიძლება, არ გიცნობდე მაინცო.

დიდი ხანია გამოაძევეს რუსი დამპყრობელნი ავღანეთიდან, მიუმსხვრიეს დაგრძელებული ხელები და იქით გახედვის სურვილიც დაუკარგეს, მაგრამ ხსოვნაში გაშეშებული სურათი არა სცნობს წუთისოფლის განზომილებებს, თავისი დრო-ჟამი აქვს, თავისი წესრიგი, თავისი სიუჟეტური ქარგა და როდის ჩაიკარგება და ამოიზიდება სულის შორეული კუნჭულებიდან, რას გაუგებ.

* * *

თამაზ ჯოლოგუა არქივებში ჩხრეკა-ძიებისას ერთ ასეთ ხელნაწერსაც გადააწყდება – გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილის მემუარულ ჩანაწერებს, დღესდღეობით დავიწყებას მიცემული ეს პიროვნება თავადაზნაურთა მარშალი გახლდათ და, სხვათა შორის, ივანე მაჩაბლის ცოლის ძმა. მემუარები უთუოდ საინტერესო იქნება, საზოგადოებრივ მოვლენათა შუაგულში მოტრიალე კაცი, ვინ იცის, რამდენ უცნობ ეპიზოდს გაგვიცოცხლებს, შეგვივსებს თუ დაგვიზუსტებს, რამდენ რამესაც დაგვიდასტურებს. მაგრამ კითხვა ცოტა არ იყოს ძნელდება – კალიგრაფია ძალიან წვრილია. თუმც მონდომებული კაცი გამადიდებელი შუშითაც ჩაუჯდება და დასაბეჭდადაც მოამზადებს. თამაზს საამისოდ არა სცალია, ისედაც რამდენი საქმე აყრია თავზე, გახსენებას კი ცდილობს, ვინმე თუ ასახელებს ამ ხელნაწერს, რომელიმე მკვლევარს თუ დაჭირვებია ამ წყაროდან ცნობების ამოკრებაო... მაგრამ სანუგეშო არაფერი ახსენდება და რწმუნდება, რომ გიორგი ბაგრატიონის მემუარები ყველასათვის უცნობია და აქამდე ერთი მეცნიერიც არ გადაწყდომია.

კარიკატურები დათო თოთიბაძისა

შინისაკენ მომავალი ტროლეიბუსის გაჩერებაზე სოლომონ ხუციშვილს შეხვდება, იმჟამად ქართული მემუარული ლიტერატურის გამოცემას რომ ხელმძღვანელობს. ჯერ ვინ იფიქრებს, რომ ეს მრავალმხრივ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-ლიტერატურული წამოწყება – გამომცემლობა „საქართველოს“ მიერ – მალევე უნდა შეწყდეს – ექვსი წიგნის გამოცემისთანავე; და ჩვენი მხატვრულ-დოკუმენტური მწერლობის ბედით დაინტერესებული ადამიანები მოუთმენლად მოელიან ამ სერიით გავსებულ თაროებს.

რამდენი მემუარული თხზულება მზადდება გამოსაცემად.

რამდენი ჯერ ზოგად პროსპექტშია მონიშნული, მაგრამ ადრე თუ გვიან მათი რიგიც ხომ მოაწევს.

და ბარემ გიორგი ბაგრატიონის მემუარებიც იგულისხმოს მომავალ წიგნთა შორის ამ კეთილი საქმის თაოსანმა.

– თქვენ ალბათ არ იცით, – მისალმებისთანავე აუწყებს ბატონ სოლომონს, – გიორგი ბაგრატიონს მოგონებანი რომ დარჩენია, ნახეთ და იქნებ გამოგადგეთ თქვენი სერიისათვის.

– ძალიან წვრილი ხელითაა დაწერილი, ამოკითხვა ძნელდება, – მიუგებს მხცოვანი მკვლევარი, ვისაც ყველა არქივი ძირისძირობამდე შეუსწავლია და ერთადერთი შესაძლოა ეს ხელნაწერი არა სცოდნოდა... და თურმე ესეც!.. თამაზს მწარედ ეღიმება თავის გულუბრყვილობაზე, რამ მაფიქრებინა ბატონ სოლომონს აღმოჩენით გავაკვირვებდიო.

ის კი სინანულს გამოთქვამს: ხელწერას რომ არა უშავდეს, აქამდეც მოვაბამდი თავს მის გამოცემას, სახელდახელოდ კი გაგვიჭირდებაო.

... და დღესაც უნუგეშოდ გამოკეტილა თავადაზნაურთა მარშლის მემუარული ჩანაწერები.

ვიდრე ცოცხალ არიან

1944 წლის 1 აგვისტოს, ზუსტად საღამოს 5 საათზე, ვარშავაში ათასობით ფართოდ გაღებული ფანჯრიდან ატყდა სროლა – ხოცავდნენ ქუჩაში გამვლელ-გამომვლელ გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს.

ასე დაიწყო ვარშავის აჯანყება, რომელიც ორმაგ მიზანს ისახავდა: დედაქალაქიდან უნდა განედევნათ გერმანელი ოკუპანტები და სრულუფლებიან მასპინძლებად დახვედროდნენ წითელ არმიას, რომელიც უკვე უახლოვდებოდა ვარშავას. ეს აჯანყება ერთდროულად ანტინაცისტურიც იყო და ანტისაბჭოთაც.

აჯანყების მეორე დღესვე ჰიტლერმა გამოსცა ბრძანება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ვარშავა უნდა აღეგავათ პირისაგან მიწისა, მისი ყოველი მცხოვრები მოეკლათ და ტყვედ არავინ აეყვანათ.

თოფ-ავტომატებითა და შინნაკეთი თუ ნაალაფევი ხელყუმბარებით აღჭურვილი აჯანყებულნი გმირულად უმკლავდებოდნენ გერმანულ ტანკებსა და ქვემეხებს. მტრის ავიაცია განუწყვეტლივ ბომბავდა ქალაქს. ვარშავა შემწეობას სთხოვდა დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც, მაგრამ დასავლეთს ხელი არ მიუწვდებოდა იქამდე, ხოლო წითელი არმიის ნაწილები, რომელთაც გენერალი როკოსოვსკი (წარმოშობით პოლონელი) სარდლობდა, ვარშავის მისადგომებთან შეჩერდნენ.

პოლონელთა იატაკქვეშა ჯარის, „არმია კრაიოვას“, რიგებში 40 ათასი მებრძოლი ირიცხებოდა. ორთვიან ბრძოლებში მათგან 15 ათასი კაცი დაიღუპა. მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი ათჯერ მეტი იყო. აჯანყების ჩახშობა გერმანელებსაც საკმაოდ ძვირი დაუჯდათ: 10 ათასი დაღუპული, 9 ათასი დაჭრილი, 7 ათასი უგზოუკვლოდ დაკარგული.

ვარშავის აჯანყება, ოქტომბრის დამდეგს, სრული დამარცხებით დამთავრდა.

2 ოქტომბერს „არმია კრაიოვას“ სარდალმა, გენერალმა თადეუშ ბურ-კომოროვსკიმ განაცხადა: „ჩვენი შეუპოვარი ბრძოლა დედაქალაქში, სიკვდილისა და განადგურების დარტყმებქვეშ, წარმოადგენს უმაგალითო გმირობას, რომელიც პოლონელმა მეომარმა გამოავლინა... ჩვენ საქმით ვამტკიცებთ ჩვენს სულიერ ძლიერებას და თავისუფლების სიყვარულს. ჩვენ ვერ შევძელით დაგვემარცხებინა მტერი, ვინაიდან საომარ მოვლენათა განვითარება ჩვენს მიწა-წყალზე ამ ორი თვის განმავლობაში არახელსაყრელი გამოდგა ჩვენთვის, მაგრამ ამ ორთვიანმა ბრძოლამ მიწის ყოველი გოჯისათვის, ვარშავის ყოველი ქუჩისა და ყოველი სახლისათვის, შეასრულა თავისი პოლიტიკური და იდეური ამოცანა... დღეს მე მივიღე გადაწყვეტილება საომარ მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ. მადლობას ვუხდი ყველას – დაღუპულთაც და ცოცხლად დარჩენილთაც“.

როგორც აღნიშნავენ, ვარშავის აჯანყება, არსებითად, განსხვავდება პოლონელთა სხვა ბრძოლებისგან მეორე მსოფლიო ომში. პოლონელი ჯარისკაცის ყველა დრამათაგან სწორედ ვარშავის აჯანყება გახდა ყველაზე ცნობილი, რადგანაც გათამაშდა თვალსაჩინო სცენაზე – დედაქალაქში, რენესანსის ეპოქის ცეცხლმოდებულ სასახლეთა ფონზე. ვარშავის აჯანყება ყველაზე მკვეთრად აღიბეჭდა ხალხის მეხსიერებაში, რადგანაც სხვა პოლონურ დრამებში იღუპებოდნენ აქტიორები, უკიდურეს შემთხვევაში – სტატისტები ისტორიული სპექტაკლისა, აქ კი, დრამის ფინალში დაიწვა თვითონ თეატრიც და თავის ნანგრევებში მოიყოლა როგორც შეიარაღებული აქტიორები, ასევე უმწეო მაყურებელნი.

63 დღის მანძილზე ვარშავის მილიონნიანი მოსახლეობა 200 ათასი სულით შემცირდა. ნანგრევებად იქცა ქალაქი, რომელსაც 600-წლიანი ისტორია ჰქონდა.

ვარშავიდან ლონდონში მიღებული უკანასკნელი რადიოგადაცემა ასე ჟღერდა: „ეს არის აბსოლუტური ჭეშმარიტება: ჩვენ მოგვეპყრნენ უარესად, ვიდრე ჰიტლერის სატელიტებს – იტალიას, რუმინეთსა და ფინეთს. დაე, მოწყალე უფალმა განიკითხოს საზარელი უსამართლობა, რომელიც გამოავლინეს პოლონელი ერის მიმართ და დაე, მანვე სათანადო სასჯელი გამოუტანოს ყველას, ვინც დამნაშავეა... თქვენი გმირები – ესენია ჯარისკაცები, რომელთა ერთადერთი იარაღი ტანკების, ქვემეხებისა და თვითმფრინავების წინააღმდეგ იყო რევოლვერები და ბოთლები ცეცხლგამჩენი სითხით. თქვენი გმირები – ესენია ქალები, რომლებიც უვლიდნენ ჯარისკაცებს და მტრის ცეცხლქვეშ უზრუნველყოფდნენ კავშირს სხვადასხვა შენაერთებს შორის; რომლებიც ამზადებდნენ საჭმელს დაბომბილ და დანგრეულ სარდაფებში, რათა გამოეკვებათ ბავშვიც და მოზრდილიც; რომლებიც ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ მომაკვდავთა ტანჯვა და ენუგეშებინათ ისინი. თქვენი გმირები – ესენია ბავშვები, მშვიდად რომ განაგრძობდნენ თამაშს აბოლებულ ნანგრევებში. ასეთნი არიან ვარშაველები. უკვდავია ხალხი, რომელსაც ძალუძს გამოავლინოს ასეთი მასობრივი გმირობა, რამეთუ ის, ვინც დაიღუპა, გამარჯვებულია. ხოლო ის, ვინც ცოცხალი დარჩა, გააგრძელებს ბრძოლას, გაიმარჯვებს და კვლავ დაამტკიცებს, რომ პოლონეთი იცოცხლებს, ვიდრე ცოცხალ არიან პოლონელები“.

ასე ხდებოდა და ასე ხდება მსოფლიო ისტორიაში. პოლიტიკოსთა უსაზღვრო ამბიციებსა და ძალაუფლების დაუოკებელ ჟინს ზვარაკად ეწირებიან უბრალო მოკვდავნი, რომელთაც ღრმად სწამთ იდეალები თავისუფლებისა და ადამიანური ღირსებისა, ერთჯერადი მოხმარების ლოზუნგებად რომ გამოადგებათ ხოლმე სხვათა ხელით ნარის გლეჯის მოყვარულ ბატონებსა თუ ამხანაგებს. ისინი კი, გამოუსწორებელი იდეალისტები, უჭოჭმანოდ და უანგაროდ სწირავენ თავს სამშობლოსათვის.

... ვარშავის აჯანყება ლონდონში ემიგრირებული პოლონეთის მთავრობის ავანტიურისტული წამოწყება იყო – წითელი არმიის სარდლობასთან შეუთანხმებლად.

და მაინც რატომ შეჩერდა გენერალი როკოსოვსკი ვარშავის მისადგომებთან? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი დღემდე არაა გაცემული.

როგორ დაიბადა რეჟისორი

მამამ თექვსმეტმილიმეტრიანი კინოკამერა აჩუქა. ოცნებობდა, რომ მთელი მსოფლიო შემოეარა და ყველგან – გადაეღო, გადაეღო და გადაეღო.

ფრანგი ჭაბუკი კლოდ ლელუში 1957 წელს შეერთებულ შტატებში მოხვდა. სულ ოთხი დღე დაჰყო იქ და ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება მოასწრო. ერთი ნიუიორკზე იყო და ერქვა „განუმეორებელი ქალაქი“, მეორე კი ანტიამერიკულ ნაწარმოებად მიიჩნიეს საფრანგეთის ტელევიზიაში და დაფრთხნენ, დიპლომატიურ ინციდენტს გამოიწვევსო. ლელუშმა შეცვალა ფირის კოლოფები და დაწუნებული ნამუშევარი გაუშვეს ტელეეკრანზე. მეორე დღესვე გაისმა მრისხანე ზარი აშშ საელჩოდან და ლელუში ტელევიზიიდან გამოაძევეს მანამდე, ვიდრე თანამშრომლად აიყვანდნენ.

ამასობაში კანადის ტელევიზიამ გამოაცხადა კონკურსი დოკუმენტურ ფილმზე საბჭოთა კავშირის შესახებ (განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა მავზოლეუმს, სადაც განისვენებდნენ ლენინი და სტალინი). ვის არ მოხიბლავდა დანიშნული პრემია – 10 ათასი დოლარი! მაგრამ იმხანად საბჭოთა ვიზის მოპოვება არც ისე იოლი იყო. გარკვეული შეღავათებით სარგებლობდნენ მხოლოდ კომპარტიის წევრები. ლელუშმა შეიტყო, რომ 50 ფრანგი კომუნისტი ემზადებოდა კოლექტიური მოგზაურობისათვის საბჭოეთში. ლელუში დაჰპირდა ამ ღონისძიების ორგანიზატორებს, რომ მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე შეუერთდებოდა საფრანგეთის კომპარტიის რიგებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩარიცხეს დელეგაციის შემადგენლობაში.

მოსკოვში ლელუშმა თავი მოიავადმყოფა და გამოეთიშა კოლექტიურ ექსკურსიებს. დადიოდა მოსკოვის ქუჩებში თავისი კინოკამერით და იღებდა იმას, რაც გაეხარდებოდა. თურმე მავზოლეუმშიც კი მოახერხა გადაღება. ბოლოს „მოსფილმის“ ტერიტორიაზე ამოჰყო თავი. თვით მიხეილ კალატოზოვი გამოესაუბრა უცხოელ სტუმარს და აჩვენა უკვე დამონტაჟებული ფრაგმენტები შემდგომში სახელგანთქმული ფილმისა „მიფრინავენ წეროები“, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა კლოდ ლელუშზე. აღელვებული და სულიერად შეძრული გამოვიდა „მოსფილმიდან“. თავის მოგონებებში აღნიშნავს, ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი დღე ჩემს ცხოვრებაშიო.

ამიერიდან მისმა გულისწადილმა გეზი იცვალა. კალატოზოვის შედევრით შთაგონებულმა მტკიცედ გადაწყვიტა, რეჟისორი გამხდარიყო.

პარიზში რომ დაბრუნდა, დაუყოვნებლივ დაურეკა კანის კინოფესტივალის დირექტორს ლე ბრეს, რომელსაც არც კი იცნობდა. აუწყა: მოსკოვში არაჩვეულებრივი ფილმი ვნახე და თქვენც უსათუოდ უნდა ნახოთო. ლე ბრე სწორედ მოსკოვში მიემგზავრებოდა. ნახა ფილმი და ისიც აღტაცებული დარჩა. მოითხოვა, კანში გამოგზავნეთო. 1958 წლის მაისში კალატოზოვის ფილმმა კანის ფესტივალის უმაღლესი ჯილდო „ოქროს პალმის რტო“ მოიხვეჭა. არც მანამდე და არც შემდგომში საბჭოთა ფილმს ამგვარი პატივი არა რგებია.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობამ თვალები აუხილა ოცი წლის ლელუშს. იგი წერს, დავინახე, რომ იქაც თაღლითობა და მაქინაციები იყო გაბატონებული ისევე როგორც ამერიკაში თუ სხვა ნებისმიერ ქვეყანაშიო. ლელუში მიხვდა, მოსკოვში რომ არ ჩასულიყო, კომუნისტური ოცნების რომანტიზმით მოხიბლული დარჩებოდა – ივ მონტანის, სიმონა სინიორეს, ჟან-პოლ სარტრისა თუ სხვა ფრანგ ინტელექტუალთა დარად.

მიხვდა და თავისი გულისნადები პირში მიახალა იმათ, ვისი წყალობითაც იმოგზაურა საბჭოთა კავშირში. ცხადია, თავისი პირობაც კომპარტიაში გაწევრიანებაზე არ შეუსრულებია. მაშინვე მიაკერეს „მემარჯვენის“ იარლიყი. იმხანად საფრანგეთის კომპარტია ჯერ კიდევ ძლიერი გავლენით სარგებლობდა მოსახლეობის ფართო ფენებში.

სამაგიეროდ კანადის ტელევიზიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში კლოდ ლელუშის ფილმს „როდესაც იხდება ფარდა“ (მინიშნება ე.წ. „რკინის ფარდაზე“) წილად ხვდა დიდი წარმატება და ავტორს – 10 ათასი დოლარი!

ამ თანხით ლელუშმა კინოფირმა დააარსა და ფილმების გადაღებას შეუდგა.

ასე დაიბადა რეჟისორი, რომელიც მალე გადაიღებს ფილმს „კაცი და ქალი“, და კანში ისიც მოიპოვებს „ოქროს პალმას“.

20 ნოემბერს საჯარო ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზმა ირანული პოეზიის საღამოს უმასპინძლა, რომელიც ირან-საქართველოს მეგობრობის საზოგადოებისა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ძალისხმევით ჩატარდა.საღამოზე მოსულ პოეზიის მოყვარულთ დარბაზში ქართველ ფოტოხელოვანთა მიერ სხვადასხვა დროს განხორციელებული ექსპედიციებისას გადაღებული ფერეიდანის ხედები შემოეგება.

საღამოზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ბატონი გიორგი ხევიაშვილი, რომელმაც სიამოვნებით აღნიშნა, რომ მათი სამინისტროს პრეროგატივაში ამიერიდან უცხოეთში მცხოვრებ ქართულ დიასპორასთან ურთიერთობებიც შემოდის. ასე რომ, ფერეიდნელ გურჯებს ამ სამინისტროს სახით უკვე რეალური გულშემატკივარი ეყოლებათ. შემდგომ საქართველო-ირანის ურთიერთობათა პერსპექტივებზე საკმაოდ ვრცლად ისაუბრეს ირანის ისლამური რესპუბლიკის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა ბატონმა დემირჩილუმ და პროფესორმა ჯემშიდ გიუნაშვილმა. ქართულ-ირანული კულტურული ურთიერთობების შესახებ კი დამსწრე საზოგადოებას საინტერესო ექსკურსი წარუდგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გიორგი ლობჟანიძემ.

საღამოს დასასრულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და ფერეიდნელმა ქართველებმა ქართულ და სპარსულ ენებზე წაიკითხეს კლასიკური და თანამედროვე სპარსული პოეზიის ნიმუშები.

საღამოს საერთო ორგანიზატორი იყო ირან-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე ნოდარ კოჭლაშვილი.